ვახტანგ გოგუაძე

ვახტანგ გოგუაძემ (1940-2007 წწ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. 1967 წ. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ფორმა და შინაარსი პოეზიაში (ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მაგალითზე)", 1984 წ. კი — დისერტაცია თემაზე „ადამიანი როგორც ესთეტიკური ფენომენი" და მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იყო პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი (1984-1990 წწ.), აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი გახდა, 1992 წელს საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის სპიკერად აირჩიეს, 1995-1998 წლებში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი იყო.

ვახტანგ გოგუაძის ნაშრომი „ერი გულადი, პურადი..." პირველად 1977 წელს დაიბეჭდა. მაშინ მისი ავტორი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მეცნიერი იყო. წიგნმა გამოსვლისთანავე მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება. ნაშრომში ფილოსოფოსისა და ესთეტიკოსის მზერით იყო დანახული ის ტრადიციები, რომლებიც ქართველი ერის სულიერ ფასეულობათა კატეგორიას მიეკუთვნება. მაშინ ამ ტრადიციებს საბჭოური იდეოლოგიის შემოტევისაგან სჭირდებოდა დაცვა. ავტორმა მეტად თამამი საქმე იტვირთა: კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელიც ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ იყო მიმართული, მეცნიერული გამოკვლევა დაუპირისპირა. დღეს, როდესაც ცივილიზაციათა შეჯახებისა და გლობალიზაციის ფონზე, დიდი სახელმწიფოებისა და კაცობრიობის პრაგმატული ინტერესების მღვრიე ტალღები პატარა ერების ნასათუთებ ტრადიციებს, მათ თვითმყოფადობას წალეკვით ემუქრებიან, ძალზე საშური საქმეა ამ ნაშრომის ხელახლა გამოცემა.

მეორე გამოცემა
რედაქტორი ზურაბ გაიპარაშვილი

Second edition
Editor Zurab Gaiparashvili

© ვ. გოგუაძე, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: +995 32 22 36 09, +995 99 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-191-3

შესავალი

ისტორიულად ყოველი ერის პროგრესულ მესვეურთ აინტერესებდათ, თუ რა გემოვნებით, ზნე-ჩვეულებებით ცხოვრობდა თავისი ხალხი. ლიკურგეს სპარტელებმა ხვეწნა-მუდარით შეუთვალეს, სამშობლოში დაბრუნდი და შენს მშობლიურ ქალაქს უთავკაცეო. დაბრუნდა ლიკურგე ლაკედემონში (სპარტაში). მან, პირველ ყოვლისა, თავის ხალხში ფეხმოკიდებულ მავნე ზნე-ჩვეულებებს მიაქცია ყურადღება. შეიმუშავა ახალი კანონები. ემკაცრათ ლაკედემონელებს ლიკურგეს კანონები. როგორც ამბობენ, მას თავისი ქალაქის მცხოვრებთა კინაღამ ნახევარი გაექცაო. ემკაცრათ ეს კანონები პარაზიტებს, მუქთახორებს. ამიტომ ლიკურგეს თავის თანამემამულეებში არც გაბოროტებული მლანძღველები აკლდა. მაგრამ გავიდა ხანი, ლიკურგეს სიბრძნემ და სიმტკიცემ გასჭრა. პლუტარქეს სწორედ მისი ნიჭის წყალობად მიაჩნია, რომ სპარტელი ხალხის ისტორია ეგოდენ საამაყოდ გამოიყურება ხალხთა ისტორიებს შორის.

კიდევ ერთი მაგალითი: ათენელთა ბრძენი წინამძღოლი სოლონი „სახელმწიფო საქმეებით იყო გართული და კანონებს ადგენდა. როცა ანაქარსისმა ეს გაიგო, მისი საქმიანობა სასაცილოდ აიგდო. მოქალაქეთა უსამართლობისა და სიხარბის დათრგუნვას სოლონი კანონებით ცდილობდა. ანაქარსისის აზრით კი, კანონები არაფრით განსხვავდებიან ობობას ქსელისაგან, ვინაიდან ობობას მსგავსად მხოლოდ სუსტებისა და წვრილფეხობის შეპყრობასა და დამორჩილებას ახერხებენ, ხოლო ძლიერნი და მდიდარნი კანონებს სულ ადვილად არღვევენ და ძალას უკარგავენ“.[1]

ანაქარსის ეს გონებამახვილური ოხუნჯობა ოხუნჯობად დარჩა, გაიმარჯვა სოლონის საქმემ.

სოლონი თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებების თითქმის ყოველ დეტალში ჩაერია: ქალებს გლოვის დროს თავ-პირში ხელების ცემა აუკრძალა, შეამცირა გლოვის ხანგრძლივობა, მოქალაქეებს მცენარეთა დარგვის წესებსაც კი ასწავლიდა...

---

[1] პლუტარქე, სოლონი, 5

აქვე გავიხსენოთ, თუ რაოდენ მკაცრ მოთხოვნებს უყენებდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ყოფით-მუსიკალურ ტრადიციებს. პლატონის აზრით, არაფერი ახდენს ისეთ უარყოფით გავლენას ადამიანის სულიერ, ზნეობრივ ფორმირებაზე, როგორც ცუდი მუსიკა. ყოფით-მუსიკალური ტრადიციების ავ-კარგის შესახებ მსჯელობას დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოშიც. მაგალითად, დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, მეფემ ლაშქარში აკრძალა „საშმაკონი სიმღერანი", გინება და ყოველგვარი უწესობა. „საშმაკონი სიმღერანი" წარმართულ სიმღერებს გულისხმობს, მაგრამ, არ გვგონია — ყოველგვარ წარმართულს. „გალობანი სინანულისანი"-ს ავტორი ფრიად დახვეწილი გემოვნების ადამიანი იყო, რომელსაც შეეძლო, გაერჩია მუსიკის ავ-კარგი, მით უმეტეს, იგი ცნობილია, როგორც სხვადასხვა რელიგიებისადმი შემწყნარებელი პიროვნება.

ადათ-წესების საკითხი თითქმის ყოველთვის იყო აქტუალური ქართველი ხალხის ისტორიაში, ადათ-წესები ნიშნავდა ეროვნულ რჯულს, რწმენას, რომლისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საბაბიც კი გამხდარა. მავნე წეს-ჩვეულებათა აღმოფხვრა ერთი ხელის დაკვრით როდი ხდება.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც (1103 წ.) გაილაშქრა მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. მეცნიერებს საკამათოდ არ მიაჩნიათ ის აზრი, რომ ამ კრებამ მართლაც ავი ზნის ადათებიც დაგმო და საგანგებო დადგენილებაც მიიღო. მაგრამ ამ დადგენილების დადებითად განხორციელებისათვის მაშინ სოციალური ნიადაგი არ არსებობდა. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თუ ხალხის მთელი ზნე-ჩვეულებების გადასაქმნელად შესაფერისი პირობები არ არის, დადგენილება დადგენილებად დარჩება და ცხოვრება თავისას გაიტანს".[1]

მონტენი მოგვითხრობს: ერთ დროს საფრანგეთში შემოვიდა ასეთი მოდა: ქალიშვილები წამოსკუპდებოდნენ ხოლმე მეეტლეების გვერდით, კოფოზე. მაშინდელი საზოგადოების თვალში ეს უფრო მეტ მკრეხელობად იყო მიჩნეული, ვიდრე, მაგალითად, დღეს ქალიშვილების გაშარვლიანებას

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორისი ძირითადი საკითხები, 1930, გვ. 229

შევხვდით. მეფემ გამოსცა საკმაოდ ეშმაკური და ცხადი იუმორის შემცველი კანონი: ნება დართო კოფოზე დამსხდარიყვნენ 30 წელს გადაცილებული ქალიშვილები. შედეგს ადვილად მიხვდება მკითხველი.

ასევე გონებამახვილურ ხერხს მიმართავდნენ ძველი ბერძნები სიმთვრალის წიაღმდეგ ბრძოლაში. მონებს (ჰილოტებს) შუმ ღვინოს ასმევდნენ, ათრობდნენ, უბრძანებდნენ, უმსგავსი და სასაცილო სიმღერები ემღერათ და გულის ამრევი ცეკვები ეცეკვათ.[1]

ტრადიცია ლათინური სიტყვაა (ტრადო — გადავცემ; ტრადიციო — გადაცემა). ტრადიცია ნიშნავს ადამიანთა ურთიერთობის, ქცევის, მოღვაწეობის ხანგრძლივად შემუშავებული წესის მემკვიდრეობას. ამ წესების გადაცემა, მიღება არ ხდება რაღაც გაქვავებული ფორმით. ტრადიცია დიალექტიკური აზრით ერთსა და იმავე დროს ნიშნავს გარკვეული წესის ძველებურობასაც და ახლებურობასაც, ეს ნიშნავს ძველს განახლებული სახით (ზნე-ჩვეულებანი ეპოქის, გარემოს ვითარების მიხედვით იცვლება, — ინარჩუნებს რა წარსულის გამძლე თვისებებს).

ქვეყნად არც ერთი ხალხი არ არსებულა, რომელსაც, დღიდან თავისი მოღვაწეობის დაწყებისა, მხოლოდ ნათელი ტრადიციები ამკობდეს. ღირსეულ ტრადიციებს ისტორია სჭედს: წარმავალი, ფუჭი ზნე-ჩვეულებები მიდის, ღირსეული დაფუძნდება ეროვნულ ხასიათში — ასეთია პროგრესის დიალექტიკური ლოგიკა.

საუკუნეების ქარ-ცეცხლს გამოვლილი ქართველი ხალხი სწორედ ზნეობრივი სიწმინდის წყალობით გადარჩა, განვითარდა და ეს ძირძველი ერი კულტურული აღმავლობის კიდევ უფრო მეტ პერსპექტივას მომავალში ჭვრეტს.

ხალხი, რომელიც ისტორიულად თავისი რიცხვმრავლობით ვერ დაიკვეხნის და რომელსაც არაერთგზის უხდებოდა "სამი მხრით ხმლის ტრიალი" (ს. ჯანაშია), სწორედ თვისებრივ სიმტკიცეს ხასიათს, სწორუპოვარ ღირსებებს უნდა უმადლოდეს თავის სასიქადულო ისტორიას და არა მისტიკურ ძალას.

---

[1] პლუტარქე, ლიკურგე. გვ. 28. უფრო ვრცლად ძველ საბერძნეთსა და რომში ზნე-ჩვეულებების შესახებ იხილეთ ლ. სანიკიძის ნაშრომი "კვერთხი ეშმაკთა", თბ., 1976

საქართველოს ისტორიაში ჩახედული კაცი არ შეიძლება არ გაოცდეს, არ დაფიქრდეს იმ მიზეზებზე, თუ რაში მდგომარეობდა ამ ხალხის, ხშირად, თითქმის უიმედო მდგომარეობიდან ხსნის, ნაფუძრიდან აღორძინების ძალა: ჭეშმარიტების, მშობლიური მიწისა და ზეცის უსაზღვრო სიყვარული, მოყვასისათვის ზრუნვა და თანაგრძნობის გულითადობა, მეომრული გულმაგრობა და მკლავმაგრობა. ქალის მანდილის სიწმინდე, სხვა ხალხებისადმი პატივისცემისა და მეგობრობის კულტურა... ვინ იცის, რამდენნაირად შეიძლება დაიხატოს და განისაჯოს ქართველი ხალხის ეროვნული ტრადიციები...

ხალხური ტრადიციები ისეთ ზნე-ჩვეულებებს გულისხმობს, რომლებიც ღრმად არის გამჯდარი ხალხის ფსიქიკაში. ეს არის ხანგრძლივად გამომუშავებულ მოქმედებათა, ფიქრთა, აზრთა ისეთი წესი, რომლის დარღვევა ზოგჯერ ვერც კი წარმოუდგენია ხოლმე ხალხს. ჩამორჩენილი ტრადიციული თვალსაზრისიდან ცნობიერების დაძვრა დიდ სიძნელეებსაც აწყდება, რადგან რომელიმე უგვანი ტრადიციის გასაჯანსაღებლად ზოგჯერ მთელი სოციალურ-ფსიქოლოგიური გადახალისებაა საჭირო. თუმცა თვით მისივე მატარებელი ხალხისთვისაც ხანდახან ცხადი ხდება, რომ ტრადიცია მოძველებულია და უსიამოვნო ტვირთად განიცდება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქმედით ნაბიჯს მის მოსაშორებლად; რაღაცნაირად მოქმედებს ჩვევის, მორჩილი აღმსრულებლობის, ერთმანეთის წამხედურობის ფსიქოლოგიური ინერციის კანონიც.

სწორედ ამიტომ ტრადიციების ფილოსოფიური შესწავლა არ შემოიფარგლება კონკრეტული, ყოფითი რეალობით. ასეთ შემთხვევაში ტრადიციების ახალ-ახალი ფორმებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ. უფრო ზუსტად, ტრადიციების სფეროში განიხილება ზოგიერთი ისეთი წესი, თვისება ხალხისა, რომელიც მანამდე საკითხთა ასეთ წრეში არ მოიაზრებოდა. ასეთ შემთხვევაში საინტერესოა ვთქვათ, როგორია ქართველი კაცის მიმართებისა და თუნდაც მსჯელობის ტრადიციები — გმირობის, გულითადობის, ჭკუიანობის, სიყვარულისა და სხვა მოვლენათა შესახებ.

ქართული ტრადიციების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური შესწავლა იმავდროულად ნიშნავს ქართული ხასიათის შესწავლას: როგორი ზნეთვისებებით გამოირჩევა ქართველი ადამიანი, როგორია მისი დამოკიდებ-

ულება ჭირისა და ლხინისადმი, თანამოძმისა თუ უცხოელის მიმართ, რა ნიშნები განაპირობებს „ქართველის“ წარმოდგენას. ზნე-ხასიათების ცნება ადამიანთა ინდივიდუალურ ხასიათს მოწყვეტილი ცნებები როდია. ამიტომაც გვერდს ვერ ავუვლიდით ზოგიერთ გამოკვეთილ ინდივიდუალურ-საყურადღებო ხასიათებს, რომლებშიც კარგად აირეკლება სახელდობრ ქართული ხასიათი, მისი ტრადიციული ძირები. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ზნე-ჩვეულებების ცნების შემორკალვა ძალიან ძნელი საქმეა. ზნე-ჩვეულებათა ცნება მრავალი წვრილი რგოლისგან შედგება. ეს არის მართლაც „წრეთა წრე“ (ჰეგელი), რომელიც, როგორც ითქვა, მრავალი მეცნიერული დისციპლინის კვლევის ობიექტია. ჩვენი ამოცანაა ფილოსოფიურ-შიმოხილვითი დახასიათება ქართული ზნე-ჩვეულებებისა.

ძირითადი მიზანი ჩვენი ნაშრომისა არის ქართული ტრადიციების სილამაზის, ლაზათის, შნოს ჩვენება, ამ გზით იმის ჩვენებაც, თუ რა არ არის ესთეტიკური. თითქმის ყოველი ღირსეული ტრადიციის დადებითი მხრიდან ჩვენების გვერდით, ყოველთვის ვჩერდებით მის კონტრასახეობაზეც. როგორია, ვთქვათ, ერთი მხრივ, ადამიანების ერთმანეთისადმი ზრუნვის ტრადიციები, მეორე მხრივ, შური, გულღვარძლიანობა და ა.შ. მაგრამ აქ ეთიკურის ესთეტიკურობაზეა ლაპარაკი. გამოდის, რომ ტრადიციები მაღალეთიკურობის გამო ხდება ძირითადად ესთეტიკური. მაგრამ არა მხოლოდ მაღალეთიკურობის გამო იძენს ქართული ტრადიციები ესთეტიკურ სახეს. ზოგიერთი ტრადიცია შეიძლება არც ისე მაღალზნეობრივი იყოს, მაგრამ იგი ესთეტიკურია, ლამაზია. თუმცა ვიმეორებთ, ქართული ზნე-ხასიათების ლაზათის პირველწყარო მაინც სიკეთეა. სიკეთე აძლევს ფიზიკურ ძალას სიმპათიურ სახეს, სიკეთის გამო ხდება ადამიანთა ქცევები და ფიქრები ლამაზი და მომხიბვლელი. მაგრამ აქ ესთეტიკოსის პოზიცია სპეციფიკურია. მას გარკვეულად მაინც სხვაგვარ ვითარებასთან ექნება საქმე, ვიდრე ვარდისა და ან ლექსის სილამაზეზე როცა მსჯელობს. ამიტომ ნუ ველოდებით ყოველ აბზაცში მშვენიერების, სილამაზის რაობის შესახებ თეორიულ განყენებულ მსჯელობებს. ტრადიციის განხილვის ყოველი ასპექტი იქითაა მიმართული, რომ გვიჩვენოს სინატიფე და მიმზიდველობა ჩვენი ადათ-წესებისა. მაგრამ ამ მთლიანი შთაბეჭდილების შექმნას მრავალი ასპექტით სჭირდება წიაღსვლა.

ცხადია, ჩვენი ტრადიციების შნოსა და ლაზათზე ყურადღების გამახვილება მეხოტბეობაში არ უნდა გადავიდეს. წარსულის იდეალიზაცია მხოლოდ ლიტერატურული მოვლენა როდი იყო. არსებობდა აგრეთვე „ისტორიოგრაფიული რომანტიზმი“ (ნ. ბერძენიშვილი). სხვადასხვა დროს, ჩვენი მოაზროვნეები, თეორიაში ბევრ პოეტურ დოზას ჩაატანდნენ ხოლმე. ესენი იყვნენ „ოქროს ხანის“ „მოტრფიალენი“ (ნ. ბერძენიშვილი).

ცნობილი აზრია: ეროვნული კულტურის დონეს მისი კვლევის დონეც გვიჩვენებს. ეროვნული კულტურის კვლევის ფილოსოფიური მოწიფულობა ნიშნავს მიუდგომელი ობიექტურობით შეძლოს ერმა თავისი კულტურული თვითღირებულების განსაზღვრა. მეცნიერება იმიტომაა თეორიული კულტურა ერის ცნობიერებისა, რომ მოვლენები არ შეფასდეს მეტად ან ნაკლებად, არ ვაქებდეთ მას, რაც არ არის საქებარი, შეგვეძლოს ღირსებების საქმიანი და არა მეხოტბეობითი დანახვა.

ამ მხრივ ქართული კულტურის კვლევას დიდებული ტრადიცია მოსდგამს. ჯერ კიდევ უძველესი ქართველი მწიგნობარნი, ფილოსოფოსნი უაღრესად მოკრძალებულნი იყვნენ ქართული კულტურის შეფასებასა და, პირველ ყოვლისა, თავიანთი ღვაწლის შეფასებაში. მაგრამ ამ დიდებული ტრადიციის გვერდით შეინიშნებოდა მეხოტბეობითი, ანუ დოქსოგრაფიული ტრადიციებიც. ქებას და ძაგებას დიდი გონებრივი ძაბვა არ სჭირდება. დღეს, როდესაც ნათელი და ცრუ ტრადიციების ერთმანეთისაგან გამიჯვნისაკენ მოგვიხმობს გონება, ამოცანაა, აწმყომ ღირსეულად მოიხადოს თავისი ვალი მომავლის წინაშე და ისტორიისაგან შემუშავებული ეროვნული ტრადიციების კვერთხი წმინდად გადაეცეს მომავალ თაობას.

როდესაც ქართული სტუმართმოყვარეობის შესახებ ვლაპარაკობთ, ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ქართველი ხალხის განსაკუთრებული თავისებურებაა. სიყვარულის სიწმინდესა და მაღალი მორალის შესახებ რომ ვმსჯელობთ, არც აქ უნდა ვიფიქროთ, რომ „მხოლოდ ჩვენ გვზრდიან დედანი“ (ვაჟა).

ტრადიციების აზრიანობა-უაზრობაზე ლაპარაკი შედარებითია. ეს დამოკიდებულია მრავალ ისტორიულ ფაქტორზე, რა დროს და რა მოტივებით არის იგი შექმნილი. ზოგიერთი ტრადიცია, ზნე-ჩვეულება ერის კულტურის სარკე შეიძლება იყოს. თუმცა მთელი რიგი ყოფითი წესებისა

წმინდა რელიგიური ჭირვეულობის შედეგია, რომელიც ეროვნული ხასიათის არსისგან შორსაა. ამასთან კვლევითი თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა აქვს ზოგჯერ კურიოზული სახის ადათებსაც. ჰეროდოტე ეგვიპტელთა სიბრძნისა და კულტურის ჯეროვანი დამფასებელია, მაგრამ მის მიერ (და სხვების მიერაც) აღწერილი ზოგიერთი ზნე-ჩვეულება დღეს იუმორის თვალსაზრისით არის მიმზიდველი. მაგალითად, თუ ხანძარი გაჩნდებოდა, ეგვიპტელები სახლის გადარჩენაზე კი არა, კატების გადარჩენაზე ფიქრობდნენ. გლოვა იმართებოდა, თუ კატას რაიმე დაემართებოდა. ანდა ასეთი ფაქტიც: ალექსანდრიაში ეგვიპტელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს რომაელი ჯარისკაცი, რომელმაც კატა მოკლა. ასეთი ადათ-ჩვეები, ცხადია, არ შეიძლება განვაზოგადოთ მთელი კულტურის შინაარსის გამომხატველად. მაგრამ არსებობს მთელი რიგი ტრადიციებისა, რომლებიც უფრო ახლოს არის ეროვნული კულტურის მთლიან შინაარსთან.

მარჯვე ხერხად და ეთიკურადაც გამართლებულად მივიჩნიეთ, ქართველი ხალხის ხასიათისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ მომეტებულად მიგვეცა სიტყვა უცხოელი ავტორებისათვის. მათ შორის მტრულად განწყობილი ისტორიკოსებისათვისაც კი, რომლებიც ჩვენს დამპყრობლებს ახლდნენ საქართველოში... ამ გარემოებამაც განაპირობა ნაშრომში მოტანილი ციტატების სიუხვე.

ყოველი პროგრესული ერი ცდილობდა ცხოვრების კანონების სილამაზის კანონებთან მისადაგებას. ზნეობრიობის სილამაზე, სილამაზის ზნეობრიობა წარმოადგენს ეროვნული სულის ნათელ მისწრაფებას, რომელიც, პირველ ყოვლისა, ხალხის სულიერ მოღვაწეობაში, ეროვნულ ტრადიციებში ვლინდება. მყარი, ნათელი, აზრიანი ტრადიციების წარმოქმნას საუკუნეები დასჭირდა. ვითარცა ოქრო ქვიშისაგან, დროითი მინარევებისაგან იფილტრებოდა ის წესები, ზნეობრივი ნორმები, რომლებსაც მამა-პაპა მომდევნო თაობას უანდერძებდა. სიახლე და ტრადიციები მუდამ ებრძოდნენ ერთმანეთს ისტორიის განვითარების გზაზე. ზოგიერთი ტრადიცია ვერ სწვდებოდა თავისი ხალხის ჭეშმარიტ სულისკვეთებას და პირველი წინააღმდეგობისთანავე უმწეოდ თმობდა პოზიციას. ზოგიერთი ტრადიცია კი, თუმცა რომანტიკულ ელვარებას დღესაც არ კარგავს, მაგრამ ცივილიზაციის წესთან შეუთავსებელია და კულტურის ისტორიას ბარდება.

ცივილიზებულ ყოფაში მამაპაპური ტრადიციის ინერციით არსებობა, მისი ფორმის შენარჩუნების ცდა ხანდახან ბუტაფორულ ანაქრონიზმს წარმოადგენს. ლაპარაკია იმ ტრადიციებზე, რომლებიც ვერ გამოხატავენ ახალი სოციალური სინამდვილის შინაარსს, ფორმასა და შინაარსს შორის ბზარი ჩნდება.

გამოკვლევები ტრადიციების შესახებ მეცნიერული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მისი ძირებისაკენ, ფესვებისაკენ მიდის. საიდან მოდის, როგორ იცვლებოდა ცხოვრების ესა თუ ის წესი, ადათი, უალრესად მნიშვნელოვანი საკითხია. ამგვარი გამოკვლევებით შესაძლოა საფუძველიც კი ჩაეყაროს ახალ ქართველოლოგიურ დისციპლინას. ქართული ტრადიციები ქართველი ხალხის კულტურული მონაპოვარია. მისი მეცნიერული კვლევისავთის კომპლექსური საშუალებების გამოყენება იქნება საჭირო. ქართული ტრადიციები იმსახურებს ასეთ საგანგებო მეცნიერულ კვლევით ინტერესს. იგი საუკეთესო შემთხვევაში უდავოდ დაეხმარება ჩვენს ხალხს ეროვნული ზნე-ჩვეულებების მეცნიერული თვითკონტროლის გზით წარმართვის საქმეში.

ტრადიციების კომპლექსური კვლევა სრულებით არ ნიშნავს მრავალმეთოდიანობას, მეცნიერებათა სფეროებში დილეტანტური პრეტენზიებით შეჭრას. არც იმას, რომ ფილოსოფოსი ეთნოგრაფად გადაიქცევა ან პირიქით. ტრადიციებს სწავლობენ ფოლკლორისტები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები... ყოველი მეცნიერების წარმომადგენელი თავისი მეცნიერული დისციპლინის ნიადაგზე დგას, მაგრამ არავის ეკრძალება დაემყაროს მეზობელ დისციპლინათა მონაპოვრებს. მაგრამ თუ ფილოსოფოსი ისტორიოგრაფიის მონაპოვრებს უხვად და ერცლად გამოიყენებს, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი დასკვნებსაც ისტორიოგრაფიაში აკეთებდეს. ფილოსოფიურ მსჯელობას, თვალსაზრისს, დასკვნას, შეიძლება ძალიან მცირე ადგილიც ეჭიროს, მეტი სივრცე ჰქონდეს მოხმობილ საილუსტრაციო მასალას, მაგრამ ნაშრომის კომპეტენციის სფერო იქ არის, სადაც დასკვნები კეთდება, სადაც მსჯელობის შედეგი ჯამდება.

დასკვნებიც სხვადასხვაგვარია. ფილოსოფიურ-მიმოხილვითი დასკვნები სხვაა და პრობლემური ფილოსოფიური დასკვნები კიდევ სხვა. ტრადიციების

შესწავლას, როგორც ითქვა, კომპლექსურ-მეცნიერული მიდგომა სჭირდება. საჭიროა სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინის თვალსაზრისთა გარკვეული კომპოზიცია. მრავალი მეცნიერის გამოკვლევები მხოლოდ და მხოლოდ ერთი მეცნიერული მეთოდით უნდა იქნეს გამოყენებული.

ტრადიციების ძირების ძიებას შორეული დროისა და შორეული ქვეყნების საერთო მაკავშირებელი ძარღვებისაკენ მივყავართ. ამ კავშირების მეცნიერული საფუძვლის ახსნას კი ცალკე ვერც ერთი მეცნიერება ვერ შეძლებს. აქ თავს იჩენს რელიგიის ისტორიის (ფილოსოფიის), ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიისა და სხვა დისციპლინათა მჭარი-მჭარ ყოფნის აუცილებლობა. ვთქვათ, ასეთი მაგალითი: ვაჟა-ფშაველა სტატიაში, „ფშავლები", წერს: „მშობიარე-დედაკაცს ფშაველი ქოხს გაუკეთებს სადგომს, სახლზე კარგა მოშორებით, და გაიყვანს დედაკაცს იქ, რადგან საკალაბო სახლში შვილის შობა გაუწმინდურებად, „შელახვად" მიაჩნია".[1]

ახლა შევადაროთ ძველინდური წესი მშობიარობისა. "ქალი მშობიარობის დროს ითვლება უწმინდურად. ის გაჰყავთ ცალკე შენობაში, რომელსაც ჩვეულებრივ არ გააჩნია ავეჯი და მხოლოდ თივაა დაფენილი, და სადაც ის რჩება განწმენდამდე. ამ შენობაში შესვლამდე გამოჰკიდებენ ხოლმე ძროხის თავის ქალას, წითლად შეღებილს, ბოროტ სულთა დასაფრთხობად".[2]

რასაკვირველია, ასეთი ფაქტების ზედაპირული პარალელიზმების შენიშვნა ძნელი არაა, მაგრამ ახსნა კი ძნელია და სწორედ კომპლექსურ-მეცნიერულ უნარს და მეცნიერთა საერთო თანაშრომლობას მოითხოვს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჭეშმარიტი გამოკვლევა ტრადიციების ქართულობის შესახებ ნიშნავს იმის საფუძვლიან გათვალისწინებას, თუ რა არ არის ქართული. მაშასადამე, პასუხი კითხვაზე - რა არის ქართული, იმავდროულად ნიშნავს პასუხს კითხვაზე: რა არ არის ქართული?

ტრადიციებისათვის ქართულობის დარქმევა უდაოდ მოითხოვს მსოფლიოს ხალხთა ტრადიციებთან მის სისტემატურ შედარებით ანალიზს. წინამდებარე ნაშრომს, ცხადია, საამისო პრეტენზია არა აქვს, ოღონდ ის

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. VII, 1956, გვ. 10.)
[2] Беттани и Дуглас, великие религии Востока, М., 1899, стр. 89.

კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად გვიხდება უცხოურ ადათებთან ასოციაციები, შედარებანი და იმედია, დიდსულოვანი მკითხველი მას არ აღიქვამს, როგორც მთავარი მიზნიდან გადახვევას.

ნაშრომში გამოყენებულია ფილოლოგიის (კლასიკური, აღმოსავლური, ქართული), ისტორიოგრაფიის, ეთნოგრაფიის მეცნიერული მასალა. ჩვენ ვემყარებით ფაქტების არსებულ, გადაწყვეტილ ინტერპრეტაციებს. სამწუხაროდ, ჩვენს შესაძლებლობებს აღემატებოდა ზემოთ დასახელებულ მეცნიერებათა სფეროებიდან მასალის სრული სისტემატიზაციით გამოყენება. ბევრი რამ ჯერჯერობით მიუწვდომელი იყო, ზოგი რამ შეიძლება წიგნის ამჟამინდელი მიზანდასახულობის სფეროში ვერ თავსდებოდა.

რელიგიათა შორის ბრძოლების როლი ქართული ადათ-წესების ფორმირების საქმეში

რაც უფრო შორს ჩავყვებით ადათ-წესების ისტორიულ ფესვებს, მით უფრო ნათელი ხდება, რომ იგი რელიგიური რწმენის სრულ უფლებებში იმყოფებოდა. არათუ ადათ-წესები, არამედ თვით ხალხთა ისტორიაც კი ზოგჯერ რელიგიათა ისტორიად განიხილება: „აღმოსავლეთის ისტორია რელიგიის სახით წარმოგვიდგება.“[1]

ქართული ადათ-წესების ფორმირების ისტორიულ პროცესს რომ თვალი გავადევნოთ, სწორედ რელიგიური ბრძოლების ისტორია უნდა გახდეს შესწავლის პირველი ობიექტი.

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ის გარემოებაც, რომ ამგვარი ბრძოლები არ გულისხმობს, ვთქვათ, ორ რელიგიას შორის ბრძოლას. ისტორიის გრძელ გზაზე საქართველო იყო მსოფლიო რელიგიათა გზაჯვარედინი. აქ, ამ პატარა ქვეყანაში, ჩვენი პლანეტის ორი უდიდესი კონტინენტი ხვდება ერთმანეთს. ეს არის არა მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტი, ეს არის მეტად დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტიც. ზოროასტრი, უიდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი — ამ მსოფლიო რელიგიების ნაკვალევი ჩვენი კულტურის შრეებში ცხადად იჩენს თავს. გარდა ზოროასტრისა

---

[1] К. Маркс, Письмо Ф. Энгельсу, Соч., т. 1, стр. 297

და ამ თეისტური რელიგიებისა (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), ქართული კულტურის წინაისტორიული, წარმართული რელიგიები ჯერ კიდევ მეცნიერთა გამოკვლევებს ელოდება. მისი ფესვები საკმაოდ შორს მიდის, თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი წარმართული რელიგიის ანარეკლს ამჟღავნებს.

ქართული წარმართობის შესწავლა შეუძლებელია ზოროასტრულ რელიგიასთან მიმართების გარეშე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი ქართული კულტურის ისტორიული კვლევის დროს არის ზოროასტრის რელიგიის გავლენის ძებნა. ზოგჯერ მას ძებნაც არ სჭირდება, იმდენად ცხადია მისი კვალი. ხანდახან მას ქრისტიანიზირებული სახით ვხვდებით, მაგრამ ჩვენს ადათ-წესებში, დღევანდლამდე არსებულ ადათ-წესებშიც კი მრავალგზის შეიძლება მის ფესვებს წავაწყდეთ.

ზოროასტრი (მაზდეიზმი) ძალზე დიდი გავლენის მქონე რელიგია იყო. მაიერის თქმით, ეს იყო „პირველი მსოფლიო რელიგია". იაკობ ხუცესი ამ რელიგიას გვიხატავს როგორც საშინელებას, სიბნელეს, ვარსქენისთანა ადამიანების რელიგიას. მაგრამ ეს არის მორწმუნე ქრისტიანის თვალსაზრისი. მაზდეიზმი არც ისე მარტივი, არც ისე ესთეტიკურ ღირსებებს მოკლებული რელიგია იყო. კიდევ მეტიც: თუკი რომელიმე რელიგია შეიძლება დავასახელოთ პოეზიისთვის ხელსაყრელ რელიგიად, ალბათ მაზდეიზმი (ზოროასტრი) შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე პოეტურ რელიგიად. გერმანული ესთეტიკა და ახალი დროის პოეტები ერთხმად აღიარებდნენ სპარსული პოეზიის სიდიადეს. როცა ისინი ამ პოეზიას ახასიათებენ, არსებითად, ეს დახასიათება იმავდროულად ზოროასტრული თვალსაზრისის დახასიათებაცაა. ახალი სპარსული პოეზიის კორიფეები, ისლამის პერიოდის პოეტები, როგორც ერთსულოვნად აღნიშნავენ, თავიანთი პოეტური პრაქტიკით არსებითად ზოროასტრელები არიან. „რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ სპარსული ლიტერატურის პირველ პერიოდში ისლამის იდეები და აზრებია გაბატონებული. პირიქით, აქ ზოგიერთ პოეტთა შემოქმედებაში... უფრო სჭარბობს ზოროასტრული იდეები, ისინი უფრო ძველი ირანის ზნეჩვეულებებსა და ყოფას უმღერიან, ვიდრე ისლამის მოძღვრებას".[1] როცა

[1] დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, 1975, გვ. 87

ზოროასტრს პოეტურ რელიგიას ვუწოდებთ, ეს არ ნიშნავს თითქოს იგი საზოგადოდ სილამაზის რელიგია იყოს. პოეტური სილამაზე და საზოგადოდ ხელოვნებითი სილამაზე რელიგიებისა სხვადასხვაა. მაგალითად, ელინთა რელიგიას უწოდებენ „სილამაზის რელიგიას". ეს იყო მართლაც ხელოვნების წარმართული პანთეონი, რომელიც, საერთოდ, ესთეტიკური იდეალის მიუწვდომლობის ნიმუშად იწოდება. „ბერძნულ ქანდაკებებზე უფრო მშვენიერი არც არაფერი შექმნილა, არც არაფერი შეიქმნება" (ჰეგელი).

რაში მდგომარეობს ზოროასტრის ესთეტიკური მიმზიდველობა? ზარათუშთრა (ავესტის ენაზე), ზოროასტრი (ძველბერძნულად), რომლის არსებობას ვარაუდობენ VII ს. ქრისტემდე, ქადაგებს სინათლის, სიკეთის რწმენას. მისი ღმერთი არის აჰურა მაზდა (მეუფე, ქვეყნის გამგებელი). მაგრამ ეს არ არის სუბიექტ-ღმერთი. ეს ღმერთი ხან კაცივით წარმოიდგინება, მაგრამ არა იმგვარად, სულიერ სუბიექტად, როგორც თეისტური რელიგიებისთვისაა დამახასიათებელი. აჰურა მაზდა ანუ ორმუზდი ეს არის ქვეყნიერების ნათელი, კეთილი მხარე. მაგრამ მას ჰყავს, შეიძლება ითქვას, თანაბარუფლებიანი პარტნიორი, ბოროტების სამყარო; ორი სამყარო, ორი ღმერთი თანაარსებობს. ამიტომაც უწოდებენ მას დუალისტურ რელიგიას. ბოროტებას სძლევს კეთილი, მაგრამ ისინი მაინც თანაარსებადი მოვლენები არიან. ე.ი. აქ არ არის ერთი ძირი, ერთი სუბსტანცია.

ორმუზდის სამფლობელოა მთელი კოსმოსი, მთელი ბუნება, მაგრამ როგორც ითქვა, იგი არ არის აბსოლუტური მფლობელი. აქ გარეგნულადაა გაყოფილი მთელი სამყარო. ორმუზდის ვარსკვლავები ებრძვიან არიმანის ბოროტ პლანეტებს. აჰურა მაზდას (ორმუზდის) თვალი არის მზე.

ორმუზდი სინათლის, სიკეთის რელიგიაა. აღმოსავლეთის პოეტი ორმუზდის სინათლეს, სიკეთეს სთიშავს, ბოროტებას იგი შინაგანად, სიკეთის შინაარსიდან გამოაძევებს. ე.ი. აქ რაღაცნაირად დარღვეულია ჩრდილ-სინათლის ერთიანობის სურათი. კეთილი გმირი ლამაზია, დიდი თანამდებობისაა, უნაკლოა, ბედნიერია... სიცოცხლე არად ღირს, თუ ადამიანს არ გააჩნია ძლიერება, სიმდიდრე, მაღალი თანამდებობა, ე.ი. ამქვეყნიური აწმყო-ბედნიერება. ამიტომ ასეთი ბედნიერებისათვის უნდა გადადოს თავი ადამიანმა. პოეტ ჰანზალას სიტყვებია:

თუ ბატონობა ლომის ყბებშია მოთავსებული,
გადადე თავი და ყბებიდან გამოსტაცე ივი.

მაგრამ ზოროასტრელთათვისაც ცხადია, რომ ბედნიერების მოპოვება ადვილი არ არის. მაგრამ იმავე პოეტის აზრით, ცუდ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს ვაჟკაცური:

ან დიდებულება და ალერსი, სიმდიდრე და ხარისხი,
ან თუ ვაჟკაცი ხარ, სიკვდილი — პირისპირ!

როგორც ვხედავთ, ზოროასტრელების მთელი ფილოსოფია ამქვეყნიური, მიწიერი, ხორციელი ბედნიერების ფილოსოფიას განადიდებს. ასეთი ფილოსოფია, ასეთი სარწმუნოება უფრო ესადაგებოდა ადამიანთა ინტერესებს, ვიდრე საიქიო ბედნიერების, სულიერი ნეტარების აღქმა. ამიტომ ზოროასტრელები, დარწმუნებულნი თავიანთი რელიგიის უპირატესობაში, ცდილობდნენ, ძალდატანების გარეშეც, დარწმუნების გზით დაემარცხებინათ ქრისტიანული რწმენა და წარმატებებს აღწევდნენ IV-V სს-ში. ამიტომ იყო, რომ სპარსელი დამპყრობლები, ქართველ ხალხში აჰურა მაზდას (მაზდეიზმის) სჯულის გავრცელებას დროდადრო ცდილობდნენ ძალდაუტანებლად, მოსყიდვით, საჩუქრებით, დაპირებებით. როცა ამგვარად ვერ აღწევდნენ ხოლმე საწადელს, მაშინ მიმართავდნენ მახვილს. ასევე იქცეოდნენ შემდეგ არაბებიცა და მაჰმადიანი სპარსელებიც.

ზოროასტრის რელიგია სიწმინდის, სიკეთის რელიგიაა. ორმუზდი მტერია სიბნელისა, ბოროტი ცხოველებისა თუ ადამიანებისა. აქ ყველაფერი სინათლით, ბრჭყვიალითაა აღვსილი. ამიტომაც არის ზოროასტრული პოეზიის მეტაფორები მოსაყირჭებელი, სულ სილამაზე, რომელსაც ჩვენთვის დარწმუნების ძალა არ გააჩნია, აკლია ჩრდილის მარილი. „აბსოლუტურ სინათლეში არაფერი ჩანს“. ორმუზდის ჭეშმარიტი სამფლობელოა მეფეთა, ჭკვიანი ქალების, ქალაქების გონიერი გამგებლების, კეთილი, ბრძენი ადამიანების ცხოვრება. ისინი ორმუზდის მნათობებივით ბრწყინვალენი არიან. მათთან არის ოქრო, ლალი, იაგუნდი... მათთვის წმინდაა სიყვარული, მეგობრობა. სპობენ ბოროტ ცხოველებს, ახარებენ წმინდა ცხოველებს, რწყავენ კეთილ მცენარეებს. აქ ადამიანის სიკეთესა და ბუნების სიკეთეს ორმუზდი აერთიანებს. ორმუზდის საყვარელმა გმირმა „...წარმოთქვა წმიდა სიტყვა ლოცვა-ვედრებით მოთვინიერებულ ცხოველთა, ნადირთა და ადა-

მიანთა მიმართ. ამგვარად, მისი გაელა ამ ქვეყნებისათვის ბედნიერება და კურთხევა იყო და მოაწყდა ჯოგებად შინაური ცხოველები, მინდვრის ნადირები და ადამიანები".[1]

ორმუზდის რელიგია ისწრაფვის ადამიანთა შორის სიწმინდისათვის, კეთილი დამოკიდებულებისათვის. მაგრამ, ცხადია, ორმუზდის, ზარატუსტრას მოძღვრების სათნოება დიდად განსხვავდება ქრისტეს მოძღვრების სათნოებისაგან. ზარატუსტრა ხორციელი ცხოვრების მორთვა-მოკაზმვას მიმართავს სწორედ ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბოებისათვის, ხორციელი ნეტარებისათვის. მისთვის ნეტარება ტკბილ ცხოვრებაშია. ქრისტეს მიხედვით კი „ნეტარება ტანჯვაშია" (ამგვარი ასკეტური ფორმულა ბუდასთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა).

ზარატუსტრას მიხედვით, ადამიანი ან სიკეთეს ან ბოროტებას ემსახურება. ნეიტრალურ მდგომარეობას ის არ ცნობს, ამიტომ ზოროასტრული პოეტური თვალსაზრისით დახატული დადებითი გმირები მთლად ნათელია, კეთილია, რომელშიც არავითარი ბოროტება, არიმანისეული ნაკადი არ არის. ამიტომ ამ რელიგიისათვის განსაცვიფრებელი იქნებოდა გოეთეს აზრი: „არ არსებობს ბოროტება, რომელიც ჩემში არ იყოსო". ქრისტიანული თვალსაზრისით, ეშმაკი ბუდობს კეთილ ადამიანშიც. მხოლოდ არაჩვეულებრივად თანმიმდევრული ასკეტიზმი, შინაგანი განწმენდაა საჭირო ბოროტების, ეშმაკის გამოსადევნად. ვინც ამას აღწევს, ის არის ჭეშმარიტად დიდი ქრისტიანი და იშვიათი ადამიანი — ასე ესმოდა ადამიანის არსი ქრსიტეს მოძღვრებას.

რაც შეეხება ზოროასტრულ სიწმინდეს, იგი ქრისტიანობისათვის თავიდანვე ბოლომდე უწიმნდურობა იყო. მაგალითად, ქართული კულტურის მკვლევარებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენშიც ზოროასტრული სარწმუნოება ნებას რთავდა და-ძმას შორის ქორწინებას. არც მრავალცოლიანობაზე დაეთანხმებოდა ქრისტიანული სარწმუნოება ვარსქენის ტიპის ზოროასტრელებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოროასტრს, რელიგიის ისტორიის თვალსაზრისით, მრავალი საინტერესო მხარე ჰქონდა. მართალია, მისი მორალი შორსაა დღევანდელი მორალის გაგებისაგან, მაგრამ მისი ეს-

---

[1] ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, თბ., 1973, გვ. 382

თეტიკური მხარე, სილამაზისადმი მიმართების, ხორციელი გატაცებისა და პოეზიის ენაზე მისი გადმოცემის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა.

ზოროასტრი წარმართული რელიგიის ერთ-ერთი სახეობაა. მთელ ქართულ წარმართობას, როგორც ჩანს წინაქრისტიანულ ხანაში ზოროასტრიზმის ძლიერი კვალი ატყვია. ნიკო მარის მტკიცებით, ქართული პანთეონი, როგრც ის აღწერილია ქართულ მატიანეებსა და მათ წყაროებში, „წმინდა ნინოს ცხოვრება", „მოიცავს არიულ და სემიტურ ღმერთებს. მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ადგილობრივი".[1] ძირითადად, მისი აზრით, ეს არის ირანული ღმერთები, ორმუზდი (არმაზი).

ნიკო მარმა თავისი კატეგორიული დასკვნა იქვე შეარბილა. მისი აზრით, ზოროასტრიზმთან დაკავშირებულ გამოძახილებსაც ვხვდებით ადგილობრივ თქმულებებში, მაგრამ ეს თქმულები „ძალზე სუსტიაო". ჩვენს ზნე-ჩვეულებებზე ზოროასტრიზმის გავლენის შესახებ ზოგადად რომ ვმსჯელობთ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, არმაზი წარმოსდგება თუ არა ორმუზდიდან, როგორც ამას ფიქრობენ ნიკო მარი და სხვებიც. დღეს მიღებულია თვალსაზრისი, რომ „არმაზი ხეთურ-ნესიტური წარმოშობისაა. იგი მთვარის ღვთაების უძველესი სახელიდან (არმა) მომდინარეობს".[2] რაც შეეხება არმაზის იქვე მოტანილ ლეონტისეულ განმარტებას, იგი, შეიძლება ითქვას, სიტყვა-სიტყვით მისდევს ორმუზდის ავესტისეულ განმარტებას: „ღმერთი ღმერთთა არმაზ... ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქვეყნისა ნაშობთა გამომზრდელნი..."

ჩვენ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, უარვყოთ არმაზის ეს მიღებული განმარტება. აქ გვინდა, მხოლოდ იმაზე მივუთითოთ, თუ რა ზედმიწევნით იცნობდა ზოროასტრის, ავესტის მოძღვრებას ლეონტი მროველი.

ზოროასტრი ბუნების რელიგიაა, წარმართული რელიგიაა. იგი გარედან შემოტანის გზით გავრცელების შემთხვევაში მალე იღებდა ადგილობრივ სახეს. ასევე ზოროასტრი საქართველოშიც ქართველ ტომთა ხასიათის ფორმას იძენდა. რასაკვირველია, იგი ინარჩუნებდა თავის მთავარ პრინციპს. მაგრამ თუ ვამბობთ, რომ ქრისტიანობა იძენდა ეროვნულ ფორმასო, მით

---

[1] Н.Я. Марр, Боги языческой Грузии, С. Петербург, 1901, стр. 28

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, იხ. "არმაზი".

უმეტეს სწორია ეს აზრი წარმართულ რელიგიაზეც. მაშასადამე, ზოროასტრი საქართველოს სხვადასხვა მხარეშიც სხვადასხვა სახეს იღებდა.

ზოროასტრიზმის გარეშე არ შეიძლება ქართულ წარმართობაზე მსჯელობა. მაგრამ ზოროასტრი არ არის ერთადერთი რელიგია, რომლის შინაარსით ამოიწურებოდეს ქართულ წარმართობაზე მსჯელობა.

ფილოსოფიისათვის რელიგიათა შორის ყველაზე რთული ობიექტია წარმართობა. ეს არის ყველაზე შემოუფარგლავი ცნება. ეს არის სხვადასხვა რელიგია სხვადასხვა ხალხისა, რომელთა საერთო ნიშანია ბუნების ძალთა გაღმერთება. მაგრამ გაცილებით უფრო ზუსტ წარმოდგენებთან გვაქვს საქმე, როცა ვლაპარაკობთ, ვთქვათ, ისლამზე, იუდაიზმზე, ქრისტიანობაზე. ყოველ რელიგიას ჰქონდა ისტორიული განვითარების საფეხურები. მაგრამ ისეთი სიჭრელე და საფეხურების სიმრავლე, როგორც წარმართობას, არც ერთ ცალკეულ რელიგიას არ ახასიათებს.

კიდევ ერთი გარემოება უნდა გავიხსენოთ. სიტყვა წარმართობას აქვს ერთი მაცდუნებელი მომენტი. წარმართული რელიგიის ხსენების დროს თვალწინ ცოცხლდება ელინთა დიდებული სამყარო. ელინურ წარმართობას რელიგიის ისტორიაში „სილამაზის რელიგიას“ უწოდებენ. ეს წარმართობა იმავდროულად არის ელინური ხელოვნება. ელინური ღმერთები ესთეტიკური ღმერთები არიან. მაგრამ წარმართობის სხვადასხვა სახეობანი, სხვადასხვა ტომსა და ხალხში არსებული ბუნების რელიგიის ხასიათი განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება დღევანდელი მორალის, ფსიქოლოგიის პოზიციებიდან. იგი იწყება ყველაზე პრიმიტიული და დღევანდელი ცნობიერებისათვის მრავალნაირად გაუგებარი თვისებებით. ამიტომ ზნეჩვეულებების თვალსაზრისით, ქართული წარმართობის შესწავლის დროს, მაინცდამაინც დიდ მომხიბვლელობას არ უნდა ველოდეთ მის მორალში. წარმართული კულტურის ის ნაშთები, რომლებიც ჩვენი არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა მეცნიერებათა კვლევის ობიექტია, გვიჩვენებს ჩვენი ხალხის წინაქრისტიანული განვითარების მაღალ დონეს. მაგრამ წარმართობის მაღლა დაყენება ქრისტიანულ კულტურაზე რაიმე ნიშნით არც საზოგადოების განვითარების საერთო მსოფლმხედველობით იქნებოდა გამართლებული და, ცხადია, არც ქართული ისტორიული მასალის მიხედვით.

წარმართობასა და ქრისტიანობას შორის დამოკიდებულება საქართველოში ზოგჯერ მწვავე ურთიერთშეურიგებლობით ხასიათდება. საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, ცხადია, პროგრესული იყო ქრისტიანობა, მით უმეტეს, ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში, რაც შეეხება წარმართულ თუ ქრისტიანულ მორალს, დღევანდელი შეგნებისათვის ყოვლად შეუთავსებელი იქნება ამგვარი შეპირისპირებაც კი. წარმართულ რელიგიას ჯერ მორალის გაგება (ნამდვილი აზრით) არც გააჩნია. რაც შეეხება ქრისტიანობას, მან რელიგიად აქცია სწორედ მორალური იდეა. აქ მორალური მიზანდასახულობა, გარკვეული აზრით, გაცნობიერებულია. სხვა საკითხია, რა არის მისი რწმენის წყარო და საფუძველი.

მაგრამ, ესთეტიკის თვალსაზრისით, მაინც რაში მდგომარეობს წარმართული რელიგიის უპირატესობა ქრისტიანულთან შედარებით?

წარმართული რელიგიის ესთეტიკური უპირატესობა ქრისტიანულ რელიგიურ ხელოვნებასთან შედარებით ბუნების სილამაზის აღქმაში მდგომარეობს. წარმართობა სწორედ ხმაა ბუნებისა, ხორციელი ქვეყნის თავისუფლებას იგი შინაგანად გრძნობს. ქრისტიანობა წმინდა სულის სახელით უპირისპირდება და ზოგჯერ კიდეც მტრობს ბუნებას. გავიხსენოთ ერთი შესანიშნავი ეპიზოდი ჰაინრიხ ჰაინეს თხზულებიდან: გერმანიაში (XV ს.) ერთ-ერთი საეკლესიო კრების შემდეგ ბერებმა მდელოზე გაისეირნეს. საუბრის თემა იყო ღმერთის სიდიადე, მისდამი სიყვარული... მათ შემოესმათ ბულბულის გალობა. ბერებმა აზრმიუცემლად საუბარი შეწყვიტეს და ყური მიუგდეს ბუნების მგოსანს. უეცრად ერთი მათგანი „გამოერკვა“ და წამოიძახა — „ეშმაკს ვუსმენთო“. ერთ-ერთმა სულიერმა „მამამ“ შიშისაგან სული განუტევა. „ბულბულიც კი შეურაცხჰყვესო“ — აღშფოთებულია ჰაინე. ასეთ უკიდურესობას იჩენდა ქრისტიანული ეკლესია ბუნების სილამაზისადმი. თუმცა ასეთი მკაცრი ასკეტიზმი არ იყო დამახასიათებელი აღმოსავლური, კერძოდ, ქართული ქრისტიანული ეკლესიისათვის. ბუნების სილამაზის აღწერისაგან თავი ვერ შეიკავა გიორგი მერჩულემ. მან გრიგოლ ხანძთელის პირით შეამკო ხანძთის „შუენიერი“ ბუნება. ამით მან გადაუხვია ასკეტურ ნორმებს. მაგრამ გაზვიადებაც არ იქნება სწორი, თითქოს გიორგი მერჩულე ბუნების სილამაზის პოეტურ განცდას გვაძლევდეს. იგი აღიარებს მშვენიერებას, მაგრამ იგი არ აჰყო-

ლია გრძნობას. ეს ჰგავს ბოტანიკოსის მეცნიერულ მსჯელობას ლამაზი ყვავილის შესახებ.

ძალზე რთული და მნიშვნელოვანი საკითხია ფერისადმი ერის დამოკიდებულების საკითხი, ე.ი. როგორია, ვთქვათ, ფერთა ქართულობა, ფერთა რელიგიური საფუძველი. ქრისტიანობას ხომ გააჩნია ფერთა კანონებიც. რაც შეეხება ფერის ქართულ ხალხურ გრძნობას, როგორც ჩანს, იგი მაღალი ესთეტიკურობით გამოირჩევა, ე.ი. იგულისხმება ფერთა სინაზე, ფერთა ჰარმონია (კონტრასტულ ფერთა ერთიანობის სილამაზე). მაგალითად, „ხევსურული" „სპექტრი" შედგება: შავი, ლურჯი, წითელი, სისვი და ყვითელი ფერებისაგან. ამათგან კოსტიუმისათვის უპირატესობა ეძლევა ლურჯ ფერს. ორნამენტებში ვხვდებით ხევსურული ფერების ურთიერთთან შეხამებას. გამონაკლისს მამაკაცის ნაბდის ქუდი შეადგენს, რომელსაც შავ ფონზე შავი გრეხილის ორნამენტები აქვს ამოქარგული. საერთოდ მყვირალა ფერები აქ მოწონებაში არ არის. ნაზი ჰარმონიული ფერების ორნამენტების საუკეთესო ოსტატებად ბუდე-ხევსურეთის ქალები არიან ცნობილნი".[1] ფერთა ასეთი სინატიფე თვით ბუნების მრავალფეროვნებამ უკარნახა ხევსურულ გემოვნებას. ბუნების სილამაზისადმი ასეთი გრძნობა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

ეროვნული გემოვნების წმინდა ხალხური ძირები, ეთნოგრაფიული მასალა, გაცილებით უფრო ზუსტ სურათს გვაძლევს ფერთადმი საკუთრივ ხალხის ორიგინალური მიმართების შესახებ, ვიდრე ცივილიზებული ხელოვნების მონაცემები. რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი სიტყვაში ფერთა საოცრად ნატიფ სურათებს გამოხატავენ, მაგრამ საკუთრივ ქართული, დასაბამით ქართული, ხალხურში უკეთ ჩანს. საყურადღებოა, პროფ. ვ. ბარდაველიძის ხალხური ლექსის ეთნოგრაფიულ-ესთეტიკური ანალიზი.

იაგუნდის მარანშია
შიგ ღვინო და ლალი ბრწყინავს,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
ნორჩია და შტოსა შლისო,

---

[1] ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ხევსურული ორნამენტი, 1939, გვ. 10.

ზედ ბულბული შემომჯდარა,
გასაფრენად ფრთასა შლისო.

აქ თვალში გვხვდება სხვა დამახასიათებელი თავისებურებაც ღვთაებათა ქვეყნისა, სახელდობრ, ბრწყინვა და ფერთა შეხამება".[1]

ფერთა კულტი, ცხადია, არ არის მხოლოდ ბუნების ჭვრეტისაგან მიღებული ემოციების შედეგი. მას ღრმა რელიგიური წარმართული ძირები აქვს, ეს არის „...მითოლოგიური სახე ძვირფასი, მბრწყინავი, ურთიერთში გარდამავალი ფერები მარანისა და ალვის ხისა, ნაზი რტოებით, რომლებზედაც ნებივრობენ მოოლურტულე და მზიური ჩიტუნები. როგორც ჩანს, აქ გაფორმებულია, დიადი დედალმერთის ნანისა და მისი თანავარსკვლავედი ღვთაებებისა". [2]

ძალიან რთულია სრული სურათის შექმნა, თუ როგორ აისახა სახვითი ხელოვნების სფეროში რელიგიური ბრძოლა. წარმართულ ფერთა აღნიშნული თვისებები თავისთავად ახლოს იდგა, შინაგანად მზად იყო ფერთა ქრისტიანულ მგრძნობელობასთან. ეს კერძო საკითხია და კონკრეტულად მის შესახებ რაიმე დასკვნების გაკეთება ჩვენს შესაძლებლობას აღემატება. ვფიქრობ, რომ ფერთა გრძნობის სფეროში ნაკლებ სიმწვავე უნდა გვქონოდა ამ რელიგიათა შორის შეჯახებისას.

ქართული ზნე-ხასიათი, ცხადია, მისი გემოვნების საკითხებსაც გულისხმობს. მაგრამ ესეც უკიდეგანო საკითხია. ჩვენი ყურადღების ცენტრში დგას ამჯერად თვით ზნეობის, მორალის სფერო. ე.ი. როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს წარმართობა და ქრისტიანობა სილამაზის გამოყენების საშუალებით.

თუ ხელოვნებაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხან წარმართობის, ხან ქრისტიანობის უპირატესობაზე, ზნეობის, მორალის სფეროში ქრისტიანული მორალი, ცხადია, გაცილებით უფრო მაღალი ისტორიული საფეხურია.

წარმართობისა და ქრისტიანობის ისე გათიშვა და დაპირისპირება, თითქოს ისინი სხვადასხვა პლანეტის რელიგიები იყოს, არასწორი იქნება.

---

[1] В.В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 80.
[2] იქვე, გვ. 81

ქრისტიანობა თავისი არსით გაემიჯნა, დაუპირისპირდა ბუნების რელიგიებს, მაგრამ მათ შორის მრავალი საერთო ელემენტი არსებობს.

წარმართული ეთიკა (ვთქვათ ზევსის ეთიკა) და ქრისტეს ეთიკა ჩვენთვის დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, წარმართული მორალის ძირითადი პრინციპები ჩვენთვის უკვე მიუღებელია. მაგალითად, როგორც უკვე ითქვა, ზოროასტრული წარმართობა ნებას რთავდა და-ძმას შეუღლებულიყვნენ. ეს მათი შეგნებით ცუდ ზნედ არ ითვლებოდა. ის რაც კანონიერად მიაჩნდათ წარმართებს, შემაზრზენ ჩვეულებას ნიშნავდა ქრისტიანების თვალში. მაგრამ წარმართებისათვის ეს იყო სრულიად კანონიერი, სამართლიანი წესები.

ქრისტიანობის ადრინდელი პროპაგანდისტები, ცხადია, აშკარად ტენდენციურნი არიან და აზვიადებენ ქრისტიანობის როლს ზნე-ჩვეულებათა პროგრესის საქმეში. ისინი აზვიადებენ წარმართულ ზნე-ჩვეულებათა არაეთიკურობასაც, მის სიახლოვეს პირუტყვულ საწყისთან. მაგალითად, ევსევი კესარიელის ცნობებში ასეთი გაზვიადებანი გვაქვს, თუმცა იგი ნება-უნებლიედ მაინც რამდენადმე ასახავს ისტორიულ ჭეშმარიტებას. მისი აზრით, მაცხოვრის სიტყვით, „...მთელს მსოფლიოში გავრცელებული მოძღვრების წყალობით გაკეთილშობილდა ყველა ხალხის ადათ-წესები, თვით იმათიც, ვინც წინათ ველური იყო და ბარბაროსი. ასე მაგალითად, ის სპარსელები, რომელთაც მაცხოვრის მოძღვრება მიიღეს, დედებს აღარ ირთავენ ცოლებად. არც სკვითები ჭამენ ადამიანის ხორცს იმის წყალობით, რომ ქრისტეს სიტყვამ იქაც მიაღწია, არც ბარბაროსთა სხვა ტომები არიან უზნეოდ აღრეულნი თავიანთ ასულებთან და დებთან და არც მამათმავლობას მისდევენ და არც ბუნების საწინააღმდეგო სიამოვნებას ეტრფიან, არც ნათესავების გვამებს გადაუგდებენ ხოლმე ძაღლებსა და მტაცებელ ცხოველებს, როგორც ამას წინათ სჩადიოდნენ. არც მოხუცებს ჰკიდებენ სახრჩობელაზე, როგორც წინათ".[1]

ევსევი კესარიელი ამას წერს ტიბარენებთან დაკავშირებით (ტიბარენების ნათესაობა იბერებთან დაამტკიცეს ნ. მარმა, ი. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ და სხვებმა).[2]

---

[1] გეორგიკა, ტ. I, 1961, X, 6

[2] ს. ჯანაშია, შრომები, III, გვ. 58

ისტორიული სინამდვილის მუქი სურათია აგრეთვე თეოდორიტე კვირელის ცნობაშიც: „...ტიბარენებსაც ჩვეულებად ჰქონიათ მოხუცებულები ძალიან მაღალი კლდეებიდან დაექანებინათ და ამათაც ამ ყოველად საძაგელ კანონზე ხელი აიღეს, როდესაც სახარების კანონები შეისმინეს. უკვე არც ჰირკანიელები, არც კასპიელები აღარ კვებავდნენ ძაღლებს მიცვალებულთა გვამებით, სკვითებიც ცოცხლად აღარ მარხავდნენ მიცვალებულთან ერთად მათ საყვარელ არსებებს...".[1]

მიცვალებულთადმი ხალხის მიმართება ძალზე ფაქიზ გრძნობებთან იყო დაკავშირებული. ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლეზე დაფიქრების მეტად საგულისხმო მომენტი. როგორც ჩანს, მას ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ ჩვენი წინაპრები. ჯერ კიდევ VI საუკუნის დასაწყისში იბერთა მეფეს გურგენს სპარსეთის მეფემ „შეუთვალა სხვა რამეშიც ისე მოქცეულიყო როგორც სპარსელებში იყო მიღებული და მიცვალებულები მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ყველა მიცვალებული ფრინველების და ძაღლებისთვის გადაეგდო, ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიელო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს".[2]

ძნელია თქმა, რამდენად შეიძლება პროკოპის ამ ცნობის პირდაპირი მნიშვნელობით მიღება. თუმცა ნიკო მარი მიცვალებულთადმი ასეთი წესის არსებობას ასაბუთებს ქართულ მატიანეზე დამყარებით: „პროკოპის მიხედვით... სასანიდები მკაცრად ადევნებენ თვალყურს, რომ საქართველოში დაცულიყო მიცვალებულთა წესი ავესტას მიხედვით. და რომ ქართველები ქრისტიანობის მიღებამდე არ მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, ამას არ მალავენ ქართული მატიანეებიც".[3]

წარმართობას და ქრისტიანობას შორის ბრძოლას ადათ-წესების ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მით უმეტეს სიცოცხლის გაჩენა და მოსპობა ეს რელიგიური საკითხი იყო. ამ საკითხზე შეიძლება ითქვას „ფილოსოფოსობდა", ფიქრობდა და მის ახსნას ეძებდა ყოველი ხალხი. უძველეს დროში ეს ფიქრი მთლიანად რელიგიური

---

[1] გეორგიკა, ტ. I, გვ. 227-228

[2] გეორგიკა, ტ. 2, 1965, გვ.49

[3] Н.Я. Марр, Боги языческой Грузии, С-Петербург, 1901, стр. 6.

ფიქრი იყო. ახსნის ფუნქციას რელიგია კისრულობდა. მიცვალებულთადმი დამოკიდებულების ქართული ადათ-წესები დღეს ქრისტიანობის მიერ შეშუშავებული სახით გვაქვს მიღებული.

წარმართობასა და ქრისტიანობას შორის პირველ ყოვლისა მორალურ-იდეური განსხვავებაა. მაგალითად, ძველ საბერძნეთში, მიწათმოქმედების რელიგიას სულ სხვაგვარი ყოფა, ადათ-ჩვეულები უკავშირდებოდა. დედამიწა წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ქალი, მიწისაგან ნაყოფის მიღება როგორც მშობიარობისმაგვარი მოვლენა. ამიტომ, ისინი ველზე მუშაობის დროს შიშველდებოდნენ, მიმართავდნენ წარმართულ, სამიწათმოქმედო ე.წ. „სიმპათიურ მაგიას". ე.ი. რასაც იზამდნენ ადამიანები, თითქოს ბუნებაც გადაიღებდა მათგან მათ ქცევებს. მათი წარმოდგენით ეს ხელს უწყობდა მიწის მაღალ ნაყოფიერებას. ქრისტიანობის რელიგიური წარმოდგენით ამ მაგიასთან დაკავშირებული ადათ-წესები ყველაზე უხამსი და უწმინდურია. მსგავსი მოვლენები, არც ჩვენი თვალსაზრისით არის მისაღები... მაგრამ მათ ისტორიის ჩვენი საფეხურიდან პასუხი არ მოეთხოვებათ. ანდა ასეთი ადათ-ჩვეულება: თესმოფორიების დროს (მიწათმოქმედთა დღესასწაული დემეტრას პატივსაცემად), ალექსანდრიასა და ათენში ქალები მღეროდნენ ეროტიკული წარმოდგენების აღმნიშვნელი სიტყვებით, რაც თანამედროვე ადამიანის ყურს არ ესმინება.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მონოთეისტური რელიგიები პოლითეისტურ რელიგიებთან შედარებით მახვილს სწორედ მორალზე აკეთებენ. წარმართობისათვის სტიქიაა თავისუფლება გრძნობისა, მონოთეისტური რელიგიებისათვის კი (მეტ-ნაკლებად) ალაგმვა გრძნობებისა.

წარმართობისათვის დამახასიათებელი „ღმერთების ბუდეები" ამ რელიგიის ძალას როდი ნიშნავს. ამ ღმერთებს ადვილად ამარცხებს ალაჰი, ქრისტე. ისლამი იმიტომაც ადვილად ამარცხებს თავისსავე ქვეყნის წარმართობას და იმიტომაც არ ეწოდება მას წარმართული, რომ იგი იყო, ერთი მხრივ, რელიგია ქალაქელთათვის, მეორე მხრივ, მოხეტიალე ბედუინებისათვის.[1] ისლამამდე არაბული წარმოშობის ღმერთები იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ ცალკე ღმერთი ჰყავდა არა მხოლოდ ტომს,

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс о религии и борьбе с нею, т. II, 1933, стр. 517

გვარს, არამედ ცალკეულ ოჯახებსაც. ამიტომაც აზვირთდა მუჰამედის ნაქადაგები ახალი რელიგია.

მაშასადამე, წარმართობა არ წარმოიდგინება რაღაც სისტემური შინაარსის მქონე რელიგიად. სწორედ ამიტომ სძლევს მას მონოთეისტური რელიგიები. მონოთეიზმი (ერთღმერთიანობა) პრინციპების გარკვეულ ერთიანობასაც გულისხმობს.

საქართველოს ისტორიაში, მის კულტურაში რელიგიათა ბრძოლა ერთ დღეს არც დაწყებულა და არც დამთავრებულა. გაუთავებლად იგრძნობა მათ შორის ბრძოლა. ქართულ მთიანეთში XIX საუკუნემდე გრძელდებოდა იგი. მაგრამ გამარჯვებული რელიგია, ცხადია, ეს არის ქრისტიანული, რადგან ქართველი ხალხის ზნეობა, ფსიქიკა, მისი კულტურა ამ რელიგიის შინაარსით იყო ფორმირებული. ქრისტიანობა ქართველი ხალხის სახელმწიფო რელიგია, სახალხო რელიგია იყო. თუმცა ეს ცნებები ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ათენელ მიწისმოქმედთა სახალხო რელიგია სხვა იყო, ათენელ ქალაქელთა სახელმწიფო რელიგია კი სხვა. მიწათმოქმედების რელიგიის თავისებურება ის იყო, რომ მორწმუნენი არ მისდევდნენ ვაჭრობას, კონტაქტს არ ამყარებდნენ ქალაქურ ყოფასთან.

თუ არ გვინდა მარტივი სქემით წარმოვადგინოთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების არე, თავისებურებანი, მაშინ მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. სახელდობრ, როგორია მიწისმოქმედის, მწყემსის, მთის, ბარის, წიგნიერი კაცის ქრისტიანული რწმენის ფორმები. რეალური, კონკრეტული გარემო, ეკონომიკური სინამდვილე, ბუნებასთან შრომითი დამოიკიდებულება აპირობებს რწმენის ფორმებს. მართალია, ქრისტიანობა შემუშავებული პრინციპებით ვრცელდებოდა, მაგრამ ადგილობრივი ხალხის ფსიქიკა სწორედ ამ წარმართული სინამდვილით არის ფორმირებული. როგორიც იყო ადამიანთა კონკრეტულ-ისტორიული ყოფა, ისეთ ფორმას იძენდა რელიგიები. ტიბულის თქმით, მიწისმოქმედ ათენელთათვის ღმერთებიც „ზეციური მიწისმოქმედნი“ არიან.

ქართული კულტურის ისტორიის კვლევის დროს ხშირად თავს იჩენს საერო ზნე-ჩვეულებებსა და საეკლესიო საზოგადოების მორალს შორის გარკვეული წინააღმდეგობანი. რას ნიშნავს საერო წეს-ჩვეულებანი, რა ნიშნით უპირისპირდება ის საეკლესიო მორალს?

საერო საზოგადოების რელიგიური მორალი ისტორიულ ვითარებაზეა დამოკიდებული. ზოგიერთ პერიოდში იგი აშკარად შორდება ქრისტეს მოძღვრებას, საეკლესიო მორალს. მაგრამ მეფენიც ზნეობრივი კანონის დარღვევისას პასუხს აგებენ ეკლესიის წინაშე. სამღვდელოება ხშირად ერევა საერო ზნე-ჩვეულებების დარღვევის დროს მეფეთა და დედოფალთა ზნეობრივ ცხოვრებაში. აშოტ კურაპალატმა „დედაკაცი სიძვისა" მიიყვანა სასახლეში. აღშფოთდა გრიგოლ ხანძთელი, წაართვა უზნეო ქალი მეფეს და დედათა მონასტერში ჩაკეტა იგი. დიმიტრი თავდადებულმა მონღოლური წესების გავლენით სამი ცოლი მოიყვანა. მან „ამით ქრისტიანული წესების მიხედვით დიდი ცოდვა ჩაიდინა"[1], მაგრამ როცა მეფემ სამშობლოსათვის თავის გაწირვა გადაწყვიტა, სამღვდელოებას მისთვის ასე განუცხადებია: „თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის, ჩუენ ყოველნი ეპისკოპოსნი ვიტვირთავთ ცოდვათა შენთაო".[2]

პრინციპული დაპირისპირება ქართულ ქრისტიანულ, საეკლესიო მორალსა და საერო ზნე-ჩვეულებებს შორის, ცხადია, „სულიერი მამების" აღშფოთებას იწვევს. როგორც ვხედავთ, ეს აღშფოთება ხშირად გამოწვეულია ზნე-ჩვეულებების აღმოსავლური რელიგიების პოზიციიდან დარღვევის დროს. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა, ჩვენი საერო საზოგადოების ცხოვრების ზნეობრივ-იურიდიულ კანონს ეკლესია ქმნის და ადევნებს თვალ-ყურს. მაგრამ საერო და სასულიერო საზოგადოების ცხოვრების პრინციპებს შორის განსხვავებას რელიგიის პრინციპების შეუბღალაობის ფარგლებში, თვით ეკლესია უშვებს. ე.ი. ეკლესია ფეოდალისაგან არ მოითხოვს ღვთისმსახურების იმ სიმკაცრეს, იმ ნორმას, რასაც მოითხოვს თავისი მრევლისაგან.

რელიგიურ მოძღვრებასა და მის ცხოვრებაში გატარებას შორის დიდი მანძილია: თეოლოგები დღესაც კამათობენ „ბიბლიის" ტექსტის კანონზომიერების შესახებ, მისი „განწმენდის" შესახებ. რატომ?

1. ზოგიერთის აზრით, ქრისტეს ნამდვილ მრწამსსა და „სახარებას"

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 133.
[2] იქვე

შორის არ არის იდენტურობა. მათ შორის არაპრინციპული, მაგრამ გარკვეული სხვაობები იჩენენ თავს.

2. „სახარების“ პრინციპებსა და მის საფუძველზე შედგენილ საეკლესიო წეს-განგებას შორისაც მანძილი ჩნდება. მაგალითად, ქრისტეს არ უქადაგნია მონასტრების აშენება, მისი მიმდევარნი ქრისტეს რწმენის განდიდების მიზნით აშენებენ მონასტრებს. მონასტრებს აქვთ მამულები, სახნავ-სათესი, ჰყავთ მუშახელი. თვით სამღვდელოებას ფიზიკური არსებობა სჭირდება. მიწიერ არსებობას თან სდევს მიწიერი ინტერესები. მაგრამ საეკლესიო კანონები ცდილობს, დაიცვას „სულის სიმტკიცე“. საზოგადოებას იგი უწესებს „დიდი სჯულის კანონს“. საერო წეს-ჩვეულებებსა და საეკლესიო მორალს შორის მანძილია. მაგალითად, ქრისტე პრინციპული მტერია ქონებრივი სიმდიდრისა. ეკლესია არ უშლის ხელს თავისი ერის, ფეოდალების გამდიდრებას... აი, რამდენ კიბეზე ჩამოვიდა ქრისტეს ნაქადაგევი. ქრისტეს მოძღვრება — „სახარება“ — საეკლესიო წეს-განგება — საერო წეს-ჩვეულებანი (ეკლესიის უფლებებში).

როდესაც მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება ქრისტიანობის რეაქციულ არსზე მიუთითებდა, ცდილობდა, დაესაბუთებინა თითქოს ქრისტიანობის სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, და რომ ეს რელიგია მშვენივრად მოერგო სახელმწიფოს ინტერესებს, იგი სახელმწიფო რელიგიად იქცა, მაშინ როდესაც იგი თანასწორობას, სულიერ ძმობას ქადაგებს. ეს რელიგია იმდენად ელასტიური აღმოჩნდა, რომ მჩაგვრელთა იდეოლოგია გახდა. ქრისტემ კი ასე დამოძღვრა ერი (ხალხი): „რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი მიეცინ, რომელსა არა აქუნდეს რა რომელსა აქუნდეს საზრდელი, ეგრევე მსგავსად ყავნ“.[1]

ქრისტიანობის მიერ წამოყენებული მორალური იდეა მრავალი მაღალი სათნოებით ხასიათდება, თუმცა მას არა აქვს სათანადო სოციალური ძირი. კულტურის ისტორია დიდად აფასებს ცალკეული პირების მორალურ ენთუზიაზმს, რომელიც რელიგიის ნიადაგზეა აღმოცენებული, მაგრამ ქცევის სილამაზეს უდაოდ წარმოგვიდგენს. მაგალითად, პეტრე იბერის მშობლები, იბერიის მეფე და დედოფალი ბერ-მონაზვნური ერთგულებით ემსახურებოდ-

---

[1] ლუკა, 11

ნენ ქრისტეს მოძღვრებას. ვიმეორებთ, რომ ეს ქცევანი იყო ჭეშმარიტი სულიერი განვითარების შედეგი, იგი რელიგიურ ნიადაგზე იყო წარმოშობილი, მაგრამ ფორმა კი ადამიანებზე ზრუნვისა უდაოდ ყურადსაღებია და დასაფასებელი. დიდი ბაკურიოსი (პეტრეს მამა) „კვირაში სამჯერ საკუთარი ხელით ჰგვიდა ქალაქის ეკლესიას... საჭმელები კალათებით მიჰქონდა ღამით თვითონ მის მიერ აგებულ ღარიბთა თავშესაფარში და ვინც იქ იყო მოთავსებული, მეფე მათ საკუთარი ხელით აჭმევდა".[1] მისმა მეუღლემ დუხტიამ „...ჩაიცვა ბალნის სამოსელი".[2]

ეთიკური ცხოვრების სწორუპოვარ ნიმუშად იყო მიჩნეული პეტრე იბერის ცხოვრება. პეტრე იბერი ქართველი ერის მშვენებაა.

ქრისტიანულმა ზნე-ჩვეულებებმა, ცხადია, გაამარტივეს ადათ-წესების მრავალფეროვნება. წაიშალა მრავალი კუთხური ან შორეული წარმოშობის, თავისებური, უცნაური ზნე-ჩვეულებები... ბუნებრივმა მრავალფეროვნებამ უკან დაიხია. მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება თანასწორობისა არათუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ხორციელდებოდა, არამედ არც თვით საეკლესიო მამები ასრულებდნენ თავიანთი მოძღვრის აღთქმას. ეკლესიებში, სასულიერო თანამდებობებზე წინაურდებოდნენ დიდგვაროვანნი... მხოლოდ ერთეულ პროგრესულ მოღვაწეთა ჰუმანიზმი გამოკრთებოდა ისტორიის ფონზე ამგვარი ეკლესიური ტირანიის წინააღმდეგ. გრიგოლ ხანძთელი, ათონელები და სხვები იბრძოდნენ ნიჭის, სულიერი ღირსებების დასაფასებლად. მაგრამ ისტორია არ ჩქარობდა ადამიანის თავისუფლების აღიარებას...

ქრისტიანული რელიგიურ-მორალური ენთუზიაზმი ხანდახან კი გამოჩნდებოდა პატრიარქალური სოციალური ცხოვრების სამყაროში. ერისკაცნი ზოგჯერ „სულიერ მამებს" ეჯიბრებოდნენ ქრისტესადმი ერთგულებასა და სიყვარულში. მაგრამ საგულისხმო ის იყო, რომ ეს სიყვარული მათ ადამიანებზე ზრუნვაში გადაჰქონდათ. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს ქართული ხასიათის ისტორიული ნიშანი: ადამიანის სიყვარული ღმერთისადმი სასიკეთო ცნებებს, პატრიოტულ ცნებებს ემთხვეოდა.

„ერისკაცნი" და „მოწესენი" ადამიანურად დასაფასებელ საქმეებში

---

[1] თანე რუფინუსი, გეორგიკა, III, გვ. 250

[2] იქვე

თუმცა ღვთისადმი სიყვარულის შინაარსს დებდნენ, მაგრამ ჩვენთვის ამ საქმეთა ფორმა დღეს განსაკუთრებით საგულისხმოა, ეს არის მშვენიერი ზნეობა ჩვენი მოღვაწე ადამიანებისა, ადამიანის ადამიანზე ზრუნვის, უანგარობის დიდი სილამაზე.

„მოწესე სამღვდელო პირსა და მონაზონს ეწოდებოდა იმიტომ, რომ ისინი საეკლესიო და სამონასტრო წესებს ემორჩილებოდნენ, რომელნიც მთელი მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელი იყვნენ".[1]

„ერისკაცის მისწრაფებას... გამდიდრება შეადგენდა, რომ მას „ხორციელი სიმდიდრე უხუებით" ჰქონოდა. ამქვეყნიური თვალსაზრისით, ვინც დიდ უძრავ-მოძრავ ქონებას შეიძენდა და ქონებრივ კეთილდღეობას მოიპოვებდა, იმას შეეძლო პატივისცემაც დაემსახურებინა ხალხში. მაგრამ ეს მაინც არა კმაროდა და მარტო ამით დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა. თუ ზნეობრივი სიფაქიზე და ღვთისნიერი ცხოვრება არ სდევდა თან ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვასა და გამდიდრებას, მაშინ მას მაშინდელი შეხედულებით მომხიბლავი მიმზიდველობა აკლდა.

ამიტომაც იმდროინდელი თვალსაზრისით ურიგო არ იყო, როდესაც ერისკაცნი „ორთავე ცხოვრებათა შეზავებულად" შემკულნი იყვნენ"[2]... ასეთი სათნოება იმხანად, როგორც ჩანს, პოპულარული, მისაბაძი გახდა. ნამდვილი ერისკაცი ის იყო, ვინც „...ღარიბ-ღატაკთა და უძლურ სნეულთა დახმარებისთვისაც გაირჯებოდა. „ღირს" და „პატიოსნებით" მოსილ ადამიანად ისეთი ერისკაცნი ითვლებოდა, რომელიც თვითონაც თავისი მარჯვენით ირჩენდა თავსა და შრომით მონაპოვარით „ვლახაკთაცა" ეხმარებოდა (სერაპიონ ზარზმელი)"[3]

ქართული ზნე-ხასიათი ქრისტიანიზმის დიდი გავლენით ყალიბდებოდა. ქართველმა ხალხმა შეიყვარა ქრისტიანული სჯული, მასში მან ამოიკითხა საკუთარი თვისებები, ამ ზნეობამ განაპირობა ადათების ეთნოგრაფიული სიჭრელის გამარტივება, მუშავდებოდა ერთიანი ქრისტიანულ-ქართული ზნე-ჩვეულებანი. ამ მხრივ ქრისტიანობამ ჩვენს ადათ-წესებზე ძირითადად

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 133

[2] იქვე

[3] იქვე. გვ. 141

პროგრესული გავლენა იქონია. ისე როგორც მსოფლიო ისტორიის მაგალითი, ქართული სინამდვილეც გვიჩვენებდა, რომ მისი ბედის ჩარხი თუმცა მძიმედ, მაგრამ სინათლისკენ მოძრაობდა. აქაც დიალექტიკის პროცესების გამოვლენის სრულყოფილ ფაქტთან გვაქვს საქმე.

ეკლესიამ ყველგან მორცხვად დაიწყო თავისი მატერიალური ყოფა.

პირველმორწმუნენი გულუბრყვილოდ მისდევდნენ ქრისტეს ნაანდერძევს: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან“.[1] ანდრია მოციქული წირვას რომ მორჩებოდა, თავის სარჩენად კალათებს წნავდა და ჰყიდდა.

ქართველი მორწმუნენი ქრისტეს სახელით ცდილობდნენ, შეექმნათ აგრეთვე შრომის ტრადიცია. ეს ადვილი საქმე როდი იყო ფეოდალური ყოყლოჩინობის ეპოქაში. ფიზიკური შრომისადმი ამრეზილი, შეუგნებელი დამოკიდებულება აქამომდე მოგვყვა. ეს იქიდან წამოსული ტრადიციის ფესვია. ქრისტიანობამ ვერ შექმნა სოციალურად მყარი ტრადიცია, მაგრამ აქა-იქ დიდებულად მოჩანს ისტორიაში ჩვენს პროგრესულ მოღვაწეთა შრომითი საქმიანობის მაგალითები. „ეს რწმენა მაშინ იმდენად ყველას ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი, რომ თვით მეფეებიც კი, როგრც მაგ, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, რომელთაც არც დრო, არც გარემოება ხელს არ უწყობდა, მაინც იმის ცდაში იყვნენ, რომ მათი ქველმოქმედების წყაროც „მამულით“, ან „ხელოსანთაგან მორთმეული“, ან სახელმწიფო საჭურჭლითაგან კი არ ყოფილიყო წარმომდინარე, არამედ საკუთარის მარჯვენით შენაძენი. თვით საქართველოს დიდებული მეფე თამარიც თავის ხელსაქმეს ჰყიდდა და ამნაირად შეძენილ ფულს ღარიბ-ღატაკთა დახმარებას ანდომებდა“.[2]

საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა მრავალი დამპყრობი. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, ამ ორ ვეშაპს შორის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს არსებითად ჩვენი ზნე-ჩვეულებანი წყვეტდა. უჭირდა ქართველ კაცს თავისი რჯულის, თავისი ხასიათის დათმობა, ეს ნიშნავდა ეროვნულ

---

[1] მათე, 19

[2] ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 141

მეობაზე უარის თქმას, გაუჩინარებას მაჰმადიანურ სამყაროში. ისტორიულად ხან ძალზე მძიმე ჟანღი, მაჰმადიანიზმის საშიშროების ღრუბელი მოადგებოდა ქართულ ზნე-ხასიათს. იყო დრო, როცა მორწმუნენიც კი, ჩვენი ავტორის (იოანე საბანისძის — ვ.გ.) მოსწრებული და პოეტური სიტყვით, ირყეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა". ქართული ეკლესია და ჩვენი ეროვნული თვითშემეცნება დიდ განსაცდელში ჩავარდა. მაჰმადიანთა ზნე-ჩვეულება თანდათან ფეხს იკიდებდა და ვრცელდებოდა ჩვენს საზოგადოებაში: „აღვერიენითო — ამბობს აღშფოთებით იოანე საბანისძე, — ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომისა ქრისტესაგან.."[1]

ქრისტიანული რჯული იქცა ქართული ზნე-ხასიათის მნიშვნელოვან მომენტად, რომლის ირგვლივ ისტორიულად ტრიალებდა ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგია. ღმერთისათვის თავდადება მძიმე განსაცდელის ჟამს სამშობლოსათვის თავგანწირვას ნიშნავდა. „მოვიგონოთ სისხლის ის ოკეანე, რომელიც ჩვენში იღვრებოდა მაჰმადიანთა მიერ ამა თუ იმ პირთა ქრისტიანული რჯულიდან გადაბირების პროცესში. გულუბრყვილობა იქნებოდა, თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ეს „წამებულნი" სისხლს ღვრიდნენ „ზეციური სასუფევლისათვის" მხოლოდ - არა, ისინი იყვნენ მებრძოლნი „ამქვეყნიური სასუფევლისაც", მებრძოლნი საშობლოსა და მშობლიური კულტურის დამოუკიდებლობისათვის".[2]

ქართული ხასიათი, ქართული ზნე-ჩვეულებანი თავისი განვითარების ისტორიული ძნელბედობის გზაზე ქრისტიანობის გზით ვითარდებოდა. ქრისტიანობა აკავშირებდა ჩვენი ხალხის კულტურას ახალი ეპოქის აღმავალ ცივილიზაციასთან, ევროპულ კულტურასთან. ამიტომაც შეიქმნა მაღალი შინაარსის საისტორიო, ფილოსოფიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელმაც ჩვენი კულტურის საძირკველი შექმნა და რომელიც მისი უკვდავების, მისი განვითარების იმედს გვაძლევს.

„ქრისტიანობის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქვეყნის ფეოდალიზაციას, ფეოდალთა კლასის განმტკიცებას, გაძლიერებას. ქრისტიანობა აძლიერებდა ქვეყნის ცენ-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I, 1945, გვ. 71

[2] კ. კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, 1949, გვ.20

ტრალიზაციასა და კონსოლიდაციას, ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას... ქრისტიანობა თავისთავად უფრო პროგრესული რელიგია იყო, ვიდრე წარმართობა და გარდა ამისა, მან განამტკიცა კულტურული კავშირები ევროპის ქვეყნებთან".[1]

ქალისადმი დამოკიდებულების ტრადიციები საქართველოში

ქართველი ხალხის ადათ-წესები თავისი არსით ერთიანია, გამოვლენის ფორმები კი ფრიად მრავალფეროვანი, ზოგჯერ კონტრასტულიც, იმის მიხედვით, თუ რამდენად შორს, ისტორიული ძირებისაკენ ჩავყვებით მას. ასეთი სხვაობა შეიმჩნევა საქართველოში ქალისადმი დამოკიდებულების საკითხშიც. მხედველობაშია მისაღები, რომ ტრადიციები მეტ-ნაკლები სიძველისაა. არსებითია აგრეთვე ისიც, რომ ქართული მთისა და ბარის ცხოვრების ბუნებრივი ყოფა ამ მხრივ გარკვეულ განმასხვავებელ ნიშნებს გვთავაზობს.

ქართული ლიტერატურის ისტორია ფრიად პროგრესულ და მოკრძალებულ თვალსაზრისს გვიდგენს ქალის შესახებ. თხუთმეტი საუკუნის წინ იაკობ ხუცესმა ქალის ისეთი სიმტკიცე დაგვიხატა, რომ დღესაც უაღრესად თანადროულ სახედ რჩება იგი.

მარიამ ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს კულტი ქალისადმი ღრმა მოწიწებას გამოხატავს. მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს იმას, რომ მაშინდელი სოციალური რეალობა ლიტერატურული წარმოდგენების დონეზე მივიჩნიოთ. ჩვენს ლიტერატურაზე გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ თამარის მეფური გონების ბრწყინვალებამ საბოლოოდ განამტკიცა ქართველ ხალხში ქალისადმი მოკრძალება და პატივისცემა.

თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია, შეიძლება ითქვას, უკან დაახევინებდა ჰეგელის შემდეგ აზრს: „სახელმწიფო საფრთხეში ვარდება, როცა მთავრობის მეთაური გახდება ქალი,

---

[1] ლ. ჯანაშია, ქართლი IV ს. პირველ ნახევარში, ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 76

ვინაიდან ის მოქმედებს არა ზოგადსაყოველთაო მოთხოვნების (პრინციპების) თანახმად, არამედ ხელმძღვანელობს შემთხვევითი აზრებითა და მიდრეკილებებით".[1]

ქალის კულტი უჩვეულო არ არის პოეზიისათვის, კერძოდ, ძველი აღმოსავლური პოეზიისათვის. მაგრამ ქალის, როგორც მოქალაქეობრივი, ესთეტიკურ-ზნეობრივ-ინტელექტუალური არსების კულტი, იშვიათად გვხვდება საქრისტიანოს ისტორიაში ისე, როგორც ეს ქართულ კულტურაშია მოცემული.

ქართულმა ეკლესიამ სიამაყით აღიარა ქართველი ხალხის განმანათლებლად წმინდა ნინო. საინტერესოა თამარის თანამედროვე საეკლესიო მოღვაწის ნიკოლოზ გულაბერისძის შეხედულებანი იმის შესახებ, თუ რატომ იყო წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი. მისი აზრით, საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, აქ ღვთისმშობელს უნდა გაეწია მისიონერობა, მაგრამ ვერ შეძლო, ხოლო ვინაიდან თვით იგი დედაკაცი იყო, ღმერთმა ჩვენს ქვეყანაში დედაკაცი მოავლინა.[2] ნიკოლოზ გულაბერისძეს გულუბრყვილო, თუმცა ლამაზი არგუმენტები მოაქვს იმის ასახსნელად, თუ „რაისათვის უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართ".[3] მას უფრო სწორად მიაჩნია ის, რომ „ქართველები უმძვინვარესნი იყუნეს ნათესავთა შორის" და „უძლურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედფიცხელობაი ულმობელთა მათ..."[4] ამით ღმერთმა კიდეე უფრო საცნაურ ქმნა თავისი ღვთაებრივი ძალა. გულაბერისძის მესამე არგუმენტის თანახმად ღმერთმა საქართველოში ქალის განმანათლებლად მოვლინებით ქალის დიდ ღირსებაზე მიუთითა — „ღირსებისათვის დედათა პატივისა".

გულაბერისძემ თეორიულად მოუმზადა საფუძველი თამარის მეფობის აქტს. მისი აზრით, ქართველებს ჰმართებთ სიხარული, სიამაყე, რომ მათი განმანათლებელია წმინდა ნინო.

---

[1] Гегель, Соч., т. VII. стр. 198
[2] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1975, გვ. 131-133
[3] იქვე
[4] იქვე

ქალის კულტი საქართველოში არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ ისტორიული ფაქტია. როგორც ითქვა, ეს ტრადიცია თამარის დიდებულმა მეფურმა გონებამ საუკუნეობრივად განამტკიცა. მაგრამ ეთნოგრაფიულ-ისტორიული მონაცემების მიხედვით, სქემატური იქნება აზრი, თუ ქართული ქორწინებისა და ოჯახის ისტორიას ამ იდეალიზებული ნიშნით წარმოვიდგენდით. როცა ისტორიულ წარსულზე გადაგვაქვს მსჯელობა, პირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომელ ეპოქაზე, რომელ კუთხეზეა ლაპარაკი. რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორია მხოლოდ თამარის ეპოქის ნიშნით არ წარმოიდგინება.

ქალის ნამდვილი ემანსიპაცია, ცხადია, გაცილებით უფრო გვიანდელი ფაქტია და არსებითად იგი სოციალისტური საქართველოს ისტორიიდან იწყება.

ქალის სოციალურ უფლებებზე, მის თავისუფლებაზე რომ ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა, საინტერესოა საკითხი — რა უფლებები ჰქონდა ქალის სიყვარულს ქორწინებაში, ე.ი. სიყვარულის მიხედვით სრულდებოდა თუ არა ქორწინება, თუ მშობლების ნება-სურვილით, თვით ახალგაზრდების გრძნობების უფლებების გაუთვალისწინებლად? ამ მხრივ დიდ, მრავალფეროვან ფაქტებს წავაწყდებით, თუ უძველესი დროიდან მთისა და ბარის ცხოვრების წესს თვალს გავადევნებთ. არა მხოლოდ ქართულ სინამდვილეში, მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში, ისტორიულად ქალის ქორწინება გარკვეულ რელიგიურ-ადათობრივი წესებით იყო განპირობებული და გრძნობა არ იყო უფლებამოსილი ქორწინებისათვის.

ქორწინების უფლება თავისუფლების საკითხთან იყო დაკავშირებული. ქორწინების თავისუფლება მოქალაქეობრივ დამოუკიდებლობას, პიროვნულ თავისუფლებას ნიშნავს, ისტორია კი საუკუნეების განმავლობაში ბურუსში მიიკვლევდა გზას. დიალექტიკური კანონზომიერება, ადამიანის ფილოსოფიური განვითარების ისტორია ნიშნავს გზას სიბნელიდან სინათლისაკენ. ისტორიის მოძრაობის მიზანი არის თავისუფლება. ადამიანი თავის თავს ხედავს სოციალურად თანასწორს, არავის მჩაგვრელს, არავისგან ჩაგრულს. ქორწინებასთან დაკავშირებით იმ აზრსაც გამოთქვამდნენ, რომ ზოგჯერ გრძნობის თავქარიანობა სწრაფმავალია და ოჯახისათვის საჭირო სხვა

ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება არ ხდებაო. რა სურათს გვაძლევს ქართული ტრადიციები სიყვარულისა და ოჯახის შესახებ? როგორია ქართული ოჯახის სულიერი არსი, ე.ი. როგორ გასაქანს აძლევს ქართული ოჯახი ადამიანის მაღალ სულიერ, საზოგადოებრივ, ინტელექტუალურ ინტერესებს? არის თუ არა იგი ისეთი კერძო თავისებურებებით დამძიმებული, რომელიც ცივილიზაციის წინსვლას, ერის განვითარებას არ უწყობს ხელს?

ქართული ოჯახი აგრძელებს ეროვნულ ტრადიციებს. კერძოდ, ქართველი ქალისაგან ქორწინებისას იგი ძველებურად მოითხოვს ქალწულებრივ უმანკოებას. ტრადიციით ქალის პატიოსნების, შეიძლება ითქვას, უნივერსალურ კრიტერიუმადაა მიჩნეული მისი უმანკოება. თუ ქალი რომანულ ეპიზოდებში არაა შემჩნეული, რაგინდ გაიძვერა და ავყიაც იყოს, პატიოსან ქალად ითვლება, ხოლო სასიყვარულო ისტორიების მქონე ქალის მიმართ, რომელიც შეიძლება უაღრესად კეთილშობილი ადამიანიც იყოს, ტრადიცია გამქირდავი აზრისაა.

ქართული ოჯახის ტრადიცია ძალზე ლამაზია, მასში ცოტაა ბრმა ცრურწმენის ელემენტი. მას შესანიშნავი ძირები მოსდგამს. ეს იმიტომ, რომ ქართული ოჯახი მკაცრი ოჯახია, მას მკაცრი წესები აქვს. ისეთი გრძნობებით აღსავსე ტემპერამენტიანი ხალხი, როგორიც ქართველები ვართ, საოცრად ვზღუდავთ ოჯახის წესში გრძნობისეულ თავისუფლებას. ეს ყოფნა-არყოფნის საკითხის დასმას ნიშნავს. ამ მხრივ ქართველი დიასახლისი საუკუნოვანი ტრადიციების მიმდევარია. ტრადიცია სწორედ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ ზნეობრივ კანონს ნიშნავს, რომელსაც ვუმორჩილებთ ჩვენს გრძნობებს.

ქართველი ქალისათვის თავისი ოჯახი სტიქიაა. მისი ყურადღების გარეგანზოგადოებრივი დატვირთვა, ცხადია, მამაკაცის დატვირთვას ჩამორჩება. ეს განსხვავება განსაკუთრებით დიდი იყო ისტორიულად. მამაკაცი გარეთ მუშაობდა და მამულს იცავდა, დედაკაცი სახლს უვლიდა, საკუთარ „სამეფოს“ განაგებდა. „მამაკაცს უყვარს საოჯახო მშვიდობა და სიამოვნებით ემორჩილება ცოლის განკარგულებებს, რომ მას ხელი არ შეეშალოს თავის საქმეში (სახლს გარეთ). ქალს არ ეშინია საშინაო ომისა, რომელსაც ის

ენით ეწევა და რისთვისაც იგი ბუნებამ დააჯილდოვა ენაწყლიანობით და გზნებიანი მჭევრმეტყველებით, რაც განაიარაღებს მამაკაცებს".[1]

„ის რასაც ამბობს მალალი წრე, სწორია, და ისიც, რასაც ის აკეთებს, კარგია"[2] — აი, ქალის პრინციპი... „სოკრატისა და იობის ცოლებს მათი ქმრების ხვედრი მძიმე მდგომარეობაში ამყოფებდა, მაგრამ მათ ხასიათში დამკვიდრდა მამაკაცური კეთილშობილება".[3]

ქართველ ხალხს თავისი ზნე-ჩვეულებებიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად ქალის პატიოსნება ეამაყება. ეს იმდენად წმინდა სფეროა, რომ ცნობიერება ქართველი კაცისა რაღაცნაირად მკაცრად კანონიზებულია და თავისუფალი, მეცნიერული, მშრალი, პროზაული მსჯელობის უფლებას ქართულ გარემოცვაში ძნელად თუ მოვიპოვებთ.

ქალისადმი დამოკიდებულების ერთ-ერთი უაღრესად ორიგინალური და ქართული წესი არის და-ძმური, ანუ ნაფიცი დობილობა, ქალთან ძმადგაფიცვის წესი. სისხლით არანათესავი ქალი და ვაჟი შეჰფიცებენ ერთმანეთს და-ძმურ სიყვარულს, რომელიც გამორიცხავს ხორციელ სიყვარულს.

ალბათ ძნელია ადამიანურ ურთიერთობაში უფრო ლამაზი, პოეტური წესი ვიპოვოთ. ეს არის ბუნების დაძლევა, წმინდა ზნეობრივი, სულიერი საწყისის ზეიმი, ამაღლება ცხოველურზე. როდესაც ამ წეს-ჩვეულებას როგორც ზნეობრივ კანონს ჩვენ ქართულს ვარქმევთ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს გრძნობა სხვა ხალხთათვის უცხო იყოს. ისე როგორც კაცს კაცი მოსწონს ვაჟკაცობის, კაცური კაცობის გამო და ამის გამო ისინი მეგობრები ხდებიან, ცხადია, არ გამოირიცხება ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოეწონოთ, როგორც სულიერ მეგობრებს.

ამ მხრივ ჩვენი პროზა ძალზე პოეტურია, თავისი უმანკოებით გამოირჩევა ევროპული კლასიკური პროზის გონებრივ სითამამესთან შედარებით. რასაც ყურადღების ცენტრში აყენებს ევროპული პროზა, ხშირად ჩვენი მწერალი გვერდს უვლის, როგორც ქართული ყურთასმენისათვის საჩოთირო საკითხს. ეს არის ლამაზი შეზღუდულობა.

---

[1] Кант, VI, 1966, стр. 554
[2] იქვე
[3] იქვე

შორს რომ არ წავიდეთ, გადავხედოთ წაწლობის ფაქტთან დაკავშირებით ქართველი მოაზროვნე კაცის პოზიციას. ამ შემთხვევაში ჩვენი პირველადი ინტერესის საგანია არა წაწლობა, როგორც ასეთი, არამედ ამ ფაქტის განხილვისადმი ქართული ტრადიციული მიმართება. ზნეობრივი სიწმინდის ეროვნული სტილის გამო არასასურველ ჭეშმარიტებაზე თვალის დახუჭვა, ჩვენი აზრით, უდიდესი სიმორცხვის მიზეზით ხდება. ვაჟა წერს: „რაკი ასაკში მოვა ფშაველი ქალი, ის მაშინვე წაწალს გაიჩენს, მშობლების წინაშე დაუმალავად, აშკარად წაწალთან წოლასაც არ მოერიდება. ქალი ეძახის ვაჟს წაწალს და ნაძმობს, ვაჟიც ქალს — წაწალს და ნაძმობს. რომ ჰკითხო ქალს: რად წვები ამადა ამ ბიჭთანო, ის გიპასუხებთ „მიყვარს და იმათა ვწვები, ავი კი მაშოროს ღმერთმა“. მაგრამ ეს დასაჯერებელიც არ არის. ახალი ცხოვრების სიომ წაწლობაც გაჰრყვნა. დღეს ამ თვალთმაქცურ და-ძმობას ბევრი ცუდი ემჩნევა. ძველს დროში, მოხუცებულები ამბობენ, რუსთველური მიჯნურობა ყოფილა, დღეს კი საყვარლობად გადაიქცა“.[1] ეს ადათი შეისწავლა ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულით განწყობილმა მაქსიმე კოვალევსკიმ, რომელიც პირადად იცნობდა ვაჟა-ფშაველას. მაგრამ, როცა წაწლობას, „ლაშარობას“ მან „რელიგიური ჰეტერიზმი“ უწოდა, ამან ძალზე გააბრაზა ვაჟა. კაცმა რომ თქვას, კოვალევსკი არაფერს გასაბრაზებელს არ წერს: „ცნობილია, თუ რა გავრცელებით სარგებლობდა და სარგებლობს არა მხოლოდ ველურებში, არამედ ძველი აღმოსავლეთის, კლასიკური საბერძნეთისა და რომის ხალხებში ეგრეთ წოდებული რელიგიური ჰეტერიზმი, რომლის არსებობაზე მიუთითებს თანამედროვე რუსეთში უწესრიგო თანაცხოვრება (посиделки)... დაბოლოს შვეიცარიაშიც შეიძლება აღინიშნოს ასეთივე მოვლენები, რაც ახლოს არის იმასთან, რის შესახებაც ჩვენ მიერ იყო აღნიშნული ფშაეის ყოფაში“.[2]

ვაჟა-ფშაველას გაბრაზება უფრო ფშაველი კაცის გაბრაზებაა, ვიდრე გენიალური პოეტისა, მოაზროვნისა. მას სამარცხვინოდ მიაჩნია ის, რომ

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ., თბ., 1956, ტ. VII, გვ. 17-18

[2] მაქსიმე კოვალევსკის ნაშრომებს ვრცლად იყენებს ფ. ენგელსი თავის ცნობილ ნაწარმოებში "ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს შესახებ" (М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе).

სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები, რომლებსაც ერთმანეთი მოსწონთ, ერთ ლოგინში მწოლიარენი, თავს ვერ შეიკავებენ. ხორციელი სიყვარული, ეროტიკული ვნებანი ვაჟას ძალზე საჩოთიროდ მიაჩნია, როცა მშობლიური კუთხის ადათებზეა ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ეროტიკული თავაშვებულობის გამართლება ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა, მაგრამ წაწლობის ფაქტი მაინც არ შეიძლება პლატონურ სიყვარულზე იქნეს დაყვანილი. გრძნობის მომენტის გარეშე სიყვარული არ არის სიყვარული. ზნეობრივი მომენ-ტის გარეშეც სიყვარულს სიყვარულის სახელი ვერ დაერქმევა, მაგრამ გრძნობას, ადამიანურ რეალობას, სხვა განზომილებანიც გააჩნია, რომელსაც ხშირად, დიდი პოეტებიც გარს უვლიან, უფრთხილდებიან რა სულიერი სიწმინდის სილამაზეს. ამიტომ წერდა გარკვევით ს. მაკალათია: „სწორედ გაუგებარია, რომ თვით ისეთი ქართველი მოღვაწეებიც, როგორიც რ. ერი-სთავი, ნ. ურბნელი და ნ. ხიზანიშვილი, რომლებმაც ამ კუთხეს ვრცელი და საუკეთესო „ეთნოგრაფიული წერილები" უძღვნეს, წაწლობა-სწორ-ფრობაზე სრულად სდუმან".[1]

ქართველების ტრადიციების სიფაქიზე იმასაც გულისხმობს, რომ ყოველნაირი ჭეშმარიტების ძიება არ არის საჭირო. არის თემები, ევ-როპელთათვის უაღრესად საინტერესო, რომელსაც ჩვენ დელიკატურად ვუვლით გვერდს. ეს აძლევს ჩვენს აზროვნებას პოეტურ, გამაფაქიზებელ ხასიათს, ნაცვლად პროზაული ჭეშმარიტებებისაკენ ლტოლვისა. „...გრძნო-ბისა და შეგნების სულიერი ერთიანობის გაყოფა შეცდომით პლატონურ სიყვარულადაა წოდებული. ეს გამოყოფა ბერ-მონაზვნურ თვალსაზრისთან არის დაკავშირებული, რომელშიც ბუნებრივი ცხოვრება განისაზღვრება როგორც უაღრესად უარყოფითი რამ..."[2]

როდესაც ვამბობთ — „ქართველი ქალი" — ეს არ არის რაიმე სქემატური სახის წარმოდგენა. ივი წარმოიდგინება როგორც სინაზის განსახიერებაც და როგორც შეუპოვრობის, მძიმე შრომისა და ბრძოლების მონაწილეც. წინა ქართული ტომების წარმოდგენას უკავშირდებოდა ქალის

---

[1] ს. მაკალათია, ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფორბა, 1925, გვ. 1

[2] Гегель, Философия права, 1932, стр. 195

ისეთი ორიგინალური, მსოფლიო ისტორიაში *გარსკვლავური* სახე, რაგორიცაა ამორძალები".[1]

შესანიშნავი მკვლევარი-ეთნოგრაფი ხიზანიშვილი *აღშფოთებულია* იმის გამო, რომ დ. ჯანაშვილს ამორძალები ქართველი ქალის წინასწარ მიაჩნდა. დ. ხიზანიშვილის აზრით, ჰეროდოტე, სტრაბონი, პლუტარქე და სხვები „...უჩვენებენ ერთს საყურადღებო მხარეს, სახელდობრ იმას, რომ ამაზონებს ყველანი ერთნაირად მიაჩნდათ ქმრებად".[2] ნ. ხიზანიშვილის ძირითადი არგუმენტია ის, რომ ქართველი ქალები ასეთ საქციელს არ ჩაიდენენ. სამი ათასი წლის წინანდელი ქალების ასეთ თვისებებზე ნ. ხიზანიშვილი, ჩინებული მკვლევარი და ქართველი მამულიშვილი, ფრიად შეწუხებული თავმოყვარეობით მსჯელობს.

ამორძალების სურათის წარმოდგენა რალაცნაირად უკავშირდება ქართველი ქალის წარმოდგენას.[3] სწორედ ქართველი ქალის მკაცრი ცხოვრების პირობები, საზოგადოდ მთიელი ქალის შრომითი ყოფა ათქმევინებს მაქსიმე კოვალევსკის შემდეგ სიტყვებს: „არც ისე საარაკოდ წარმოგვიდგება სტრაბონის მეთაურობით ძველ მწერალთა მონათხრობი კავკასიაში, ჩერქეზებიდან აღმოსავლეთით, მყოფ ქალღმერთებზე ანუ ამაზონკებზე".[4]

როდესაც ლხინის დროს ქართველი კაცი სვამს მანდილის სადღეგრძელოს, მას თვალწინ უდგას ტანკენარი თვალებდახრილი მორცხვი ასული. ეს პოეტური წარმოდგენებია, ეს არის ხელოვნების მიერ შექმნილი წარმოდგენები. ერთფეროვანი არ არის ქართველ ქალთა გალერეა. ქართველი ქალი გაჭირვების ჟამს ხმალსა და გუთანს ჰკიდებდა ხელს, მოლხენის შნოც ჰქონდა, როცა დაამღერებდა და წიგნსაც გადაშლიდა. ქართველი ქალის ღირსებებს არა მხოლოდ პოეზია განადიდებს. ქება-დიდება მას არც უცხო ავტორთაგან მოჰკლებია.

---

[1] ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 96

[2] იქვე, გვ. 158-159

[3] თუმცა ამორძალების წარმომავლობა ჯერაც სადავოა. უკანასკნელი ნაშრომი ამორძალების წარმოშობაზე გვიმტკიცებს, რომ ეს იყო უბიხების ტომი, კავკასიური ტომი. იხ. А.В. Урушадзе, Г.В. Рогава, сб. Проблемы античной культуры, Тб. 1975, стр. 345

[4] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I, М., стр. 24

ძველი დროიდანვე მრავალი უცხოელი ავტორი ლეგენდურ სამოსში ახვევდა ქართველი ქალის სიმტკიცეს, სათნოებას, სიტურფეს... XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში ქართველი ქალის წარმოდგენა თითქმის მოდურ გატაცებად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ქართველი ქალის პოპულარობას იშვიათად თუ რომელიმე უცხო ქვეყნის ქალის პოპულარობა შეედაროს. მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს არის ლეგენდურობის სამოსით წარმოდგენილი პოპულარობა.

ლეგენდურობა მხოლოდ თავმოსაწონი სიტყვა როდია. ამ სიტყვას მეორე მხარეც აქვს, სახელდობრ, ქართული სამყაროს ნაკლებ კონკრეტული ცოდნა. ევროპელი მწერალი, დრამატურგი ქართველი ქალის წარმოდგენაში თავისი ფანტაზიის საზრდოს პოულობს. ზოგჯერ იგი მონათხრობთა ფანტაზიის ღრუბლებით გადაუვლის კავკასიას, საქართველოს, მის მიწას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ქალის ევროპული პოპულარობა ზოგჯერ ყურმოკრულ ამბავთა შთაბეჭდილებასაც ქმნის, მაინც საყურადღებოა თვით სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები ამგვარი ლეგენდური განდიდებისა.

უცხოელთა ინტერესი ქართველ ქალებთან დაკავშირებით პირობითად, ეთიკურ-ესთეტიკური ნიშნით ასე შეიძლება დავაჯგუფოთ:

1. მედეას ციკლი, როგორც ქალის გრძნეული და საოცარი ხასიათი;

2. ზენობიას ციკლი;

3. ქეთევან დედოფლის ციკლი, როგორც ქალის სიმტკიცისა და სათნოების არაჩვეულებრივი ხასიათი;

4. გალანტური რომანების ციკლი, როგორც ქალის სილამაზის, არაჩვეულებრიობის ეგზოტიკურ-რომანტიკული ხასიათი.

უამრავი ავტორი ეჯიბრებოდა ერთმანეთს მედეას მითის დრამატული ხორცშესხმისათვის. დაწყებული გენიალური ევრიპიდეთი, ვიდრე ფრანგ კლასიცისტებამდე და უახლოეს ავტორებამდე, მედეას სახე კვლავ ინარჩუნებს მხატვრულ ინტერესს.

მედეას კოლხურმა წარმოშობამ, ევროპული ცნობისმოყვარეობა დიდად ასაზრდოვა. კოლხეთისაკენ ისინი იცქირებიან, როგორც ოქროს საწმისისა

და გრძნეულების ქვეყნისაკენ. ერთთავად საინტერესო გახდა კოლხთა ქვეყანა და მედეას ასევე საკვირველი ხასიათი. მედეასადმი ინტერესი მისი სიტურფით არ აღძრულა. აქ უმთავრესი იყო მითის სიუჟეტური სიმძაფრე, სიყვარულისა და შურისძიების გრძნობათა თანაარსებობა. ეს თავისთავად იწვევდა ტრაგიზმის მაღალ ემოციურ ეფექტს, ადამიანის ღრმა სულიერი ფენების დანახვის წყურვილს. ფანტასტიკურისა და ეგზოტიკურისადმი ასეთი მიმართება ხელსაყრელი მასალა იყო სცენისათვის. ამ დროისათვის ევროპელ მწერალს, დიდი ტრადიციების, ადამიანური განცდების მრავალფეროვანი სურათები უდევს თვალწინ. ის მკითხველის გასაკვირვებლად ახალ-ახალ ხერხებს ეძებს. განცვიფრების, გამოცანის, ცნობისმოყვარეობის აღძრის ეფექტური საშუალებაა გრძნეულების უნარის ჩვენება. სასწაულებისადმი ინტერესი უძველესი დროიდან აღვივებდა ადამიანში შემეცნების იმპულსს... კავკასიის კალთებთან, შორეული, სასწაულებით აღსავსე კოლხეთიდან ეს ლეგენდა გრძნეულობის განმაცვიფრებლობის დიდ ეფექტს იწვევდა ევროპელ მკითხველსა და სცენისმოყვარე მაყურებელში. სენ-მარკუს ჟირარდენის თქმით „კორნელს, როგორ სენეკას, უნდოდა მედეა გადაექცია მრისხანე ძალად ჯადოქრობისა...“[1] ევროპული ინტერესის საფუძველი იყო არგონავტიკის დიდი პოპულარობა ბერძნულ ხელოვნებაში. „არ დარჩენილა ელინური ეპოქის არა თუ მწერლობის, არამედ საერთოდ ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელსაც ეს თქმულება მთლიანად, ან მისი ცალკე ეპიზოდების სახით არ დაემუშავებინოს“.[2]

მედეას ხასიათმა ფანტასტიკურ, ეგზოტიკურ სამოსში გაახვია მისი სამშობლო კოლხეთი. „...ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ჩამოაქვთ ოქრო, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან გამომდინარეობს მითი ოქროს საწმისის შესახებ...“[3].

---

[1] Н.К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков, Тб. 1965. стр. 51

[2] არგონავტიკა, შესავალი წერილი ა. ურუშაძისა, 1975, გვ. 1

[3] სტრაბონი, XI, 2, 19 (თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი შესავალითა და კომენტარებით)

მტრისაგან დევნილი რადამისტი[1] ცხენით მიაქროლებს ზენობიას. ფეხმძიმე ქალს მეტის ატანა აღარ შეუძლია. გრძნობს, რომ მათ მდევარი დაეწევა. ზენობია ეშუდარება რადამისტს, უწყალობოს მას სანუკვარი სიკვდილი, რათა მტრის ხელში არ ჩავარდეს. რადამისტი აღფრთოვანებულია მისი ერთგულებით, უბიწოებით, ეხვევა საყვარელ ცოლს. მაგრამ მას ეჭვი ღრღნის, ვაითუ თავისი უსაყვარლესი არსება პართელ ტირიდატს დარჩეს. რადამისტი აკინაკს (მოკლე მახვილს) ჩასცემს ზენობიას. დაჭრილ ზენობიას იგი მდინარე არაქსში გადააგდებს, თვალითაც რომ არ ნახოს იგი საძულველმა მტერმა, მაგრამ ზენობიას მწყემსები გადაარჩენენ...[2] ტაციტუსის ეს ცნობა საოცრად მდიდარი წყარო შეიქმნა ევროპელ ხელოვანთათვის. ზენობიასთან დაკავშირებული ყველა ნაწარმოების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.[3]

კულტურის ისტორიას ქალთა გმირობისა და საზრიანობის მრავალი ფაქტი ამშვენებს. ყოველთვის იგრძნობდა განცვიფრებაც, აღტაცებაც ქალის გმირობის, პატრიოტული თავგანწირვის გამო. ბიბლიაში განდიდებულია, მაგალითად, ივდითის, ესთერისა და სხვათა გმირობა. ყოველი ხალხი განსაკუთრებული მოწიწებით ეკიდებოდა ქალის გმირობას, ხშირად კი ღვთაებრივ პანთეონში ჩარიცხავდნენ მას. ქეთევან დედოფლის გმირობა მსოფლიო ისტორიაში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ერთი უიშვიათესთაგანია. ძნელია უპირატესობის ნიშნით მას შევადაროთ რომელიმე ქალის გმირობა. რწმენისა და სამშობლოს სიყვარულის ერთგულებისათვის 8 წლის გვემა და იმ უსაშინლესი სახით წამების ატანა ძნელი წარმოსადგენია. გავარვარებული რკინით მკერდმოგლეჯილი ქალი, ცნობიერების კუნჭულში შემორჩენილი სინათლით ლოცვის ქართულ სიტყვებს ბუტბუტებდა. ასე უდრტვინველად გადალახა მან სიკვდილის უმძიმესი საზღვარი. შაჰ-აბასს ცდა არ დაუკლია ქეთევან დედოფლის თავის რჯულზე მოქცევისათვის. „თუ ქეთევან დედოფალი გამაჰმადიანდებოდა, შაჰი მას

---

[1] „ფარსმან მეფეს, სსხვათა შორის, ერთი შვილი ჰყავდა, რომელსაც სახელად რადამისტს (უეჭველია როდამს) ეძახდნენ. თვალადი და ტანადი ჭაბუკი იყო იგი (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, 170).

[2] Тацит, Анналы, XII, 51

[3] Н.К. Орловская, Грузия в литературах Западной европы XVII-XVIII веков, 1965, стр. 59-87.

ცოლად შეირთავდა და მისცემდა უამრავ საჩუქარს. თუ იგი ამაზე უარს იტყოდა, მას მოელოდა სიკვდილი ტანჯვა-წამებით. ქეთევან დედოფალმა უპასუხა, რომ ის არავითარ შემთხვევაში „არ მიატოვებს თავის ქრისტეს, თავის ღმერთს".[1]

ცხადია, ასეთი ამბავი უკვალოდ არ გაქრებოდა. კათოლიკე მისიონერებმა, რომლებიც უშუალო მოწმენი იყვნენ ადამიანის ასეთი უმაგალითო გმირობისა, ევროპას აუწყეს ფაქტი, როგორც მთელი საქრისტიანოს სულიერი გამარჯვებისა მაჰმადიანურ სამყაროზე.

გერმანელმა მწერალმა ანდრეას გრიფიუსმა ამ მწვავე ფაქტში გერმანელი ხალხის აღმანთებელი შინაარსი ამოიკითხა და დაწერა ტრაგედია „ეკატერინა ქართველი".

თუ მედეასადმი ევროპული ინტერესი ანტიკური ლიტერატურით იყო გაშუალებული, ქეთევან წამებულის თემა უშუალოდ შევიდა ევროპულ ლიტერატურაში, როგორც რწმენისადმი თავდადებული, ამაღლებული ადამიანის სათნო სახე. ქეთევან დედოფალი ყოველი ღირსებით შემკული ქალი ყოფილა. გარეგნული სილამაზე და შინაგანი კდემამოსილება, განათლება და საკუთარი ღირსების გრძნობა, მართლაც დიდების შარავანდედით წარუდგა იგი ცივილიზებულ სამყაროს და კიდევ მეტად შეუწყო ხელი ქართველი ქალის პოპულარობას. მან ქართველი ქალის ზნე-ხასიათის დიდი სილამაზე უჩვენა კაცობრიობის ისტორიას.

მესამე მომენტი ქართველი ქალის პოპულარობისა ევროპაში, ეს იყო კულტი ქართველი ქალის სილამაზისა. უამრავი ზღაპარნარევი ამბავია მოთხრობილი ქართველი ქალის სიტურფეზე ფრანგულ გალანტურ რომანში.

ამ რომანებში ქართველი ქალის სილამაზის ძალა ძველ ჩინეთამდეც უწევს. XVIII საუკუნის ფრანგი პოეტის ევარისტ პარნის პოემაში მინერვა

---

[1] ი. ტაბაღუა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, "მაცნე", 1974, №1, გვ. 9. ქეთევან წამებულის წამების ეპიზოდი დიდი სიყვარულითა და თაყვანისცემით აქვს აღწერილი როგორც კათოლიკე მისიონერებს, ისე სომეხ ავტორებსაც. იხ. დავრიეჟეცის წიგნი, აგრეთვე დავით ქორიძის მონოგრაფია — „სახელოვანი ქართველი ქალები" და სხვ.

ჩინეთიდან მოდის, გადმოივლის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, სადაც სილამაზე, ქალი, ღვინო განუყოფელი ცნებებიაო.

გალანტური რომანებისათვის მოსაყირჭებელი გახდა ანტიკური და შუასაუკუნეების გახუნებული სათავგადასავლო სიუჟეტები. ამ ჟანრმა თითქოს შვება იგრძნო, როცა განცვიფრების გამოწვევისათვის ხელსაყრელი სამყარო იპოვნა. ეს იყო აღმოსავლეთი. ზღაპრული სილამაზით წარმოადგინა მან ქართველი ქალის სილამაზე. ასეთი იყო, მაგალითად, ფრანგი მწერლის შევრემონის ვრცელსათაურიანი რომანი სამი ლამაზი ქართველი ქალის შესახებ. სულთნის ჰარემიდან, სადაც მეფის დიდი სიყვარულითა და ყურადღებით სარგებლობდნენ, ბედმა ისინი მრავალ მხარეს მოატარა. ასევე ჰარემის ფონზეა წარმოდგენილი, თუმცა უაღრესად ზნეობრივი სულისკვეთებით, ქართველი მზეთუნახავის კემისკის[1] სათავგადასავლო ისტორია.

ამ რომანების მიზანი იყო ეჩვენებინა ქალის სილამაზის არაჩვეულებრიობა. ისინი, აღმოსავლეთის პოეტებისაგან განსხვავებით, მეტაფორებსა და ეპითეტებზე მეტად სხვა საშუალებებს ეძებდნენ, რათა ეჩვენებინათ ქალის სილამაზის არაჩვეულებრიობის ხარისხი. ისინი იგონებდნენ სხვადასხვანაირ ზღაპრულ ამბებს, დარწმუნების ათასგვარ ხერხს: „...ყირიმის ხანი სამი მოტაცებული ქართველი ლამაზმანის ხილვისას მთელი თხუთმეტი წუთი გაქვავებულია, ვერ შეძლო წარმოეთქვა ვერც ერთი სიტყვა ამგვარი უჩვეულო სილამაზის ხილვისაგან".[2]

სწორედ ქართველი ქალების სილამაზის მიზეზით ამბობდა ალექსანდრე დიუმა: „რაც შეეხება თათრებს, მათმა შერევამ კავკასიურ რასაში გააუმჯობესა მათი (თათრების) პირველყოფილი პროფილი".[3]

ქართველი ქალის სილამაზეს ბევრი ტრაგედიაც მოუტანია ქართველებისათვის. ადამიანთა მოტაცება, ყიდვა-გაყიდვა ძნელი წარმოსადგენია დღევანდელი კაცისათვის: „ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ კოლხეთის ხალხთა სილამაზეზე. თურქები მათთან გამუდმებით ომობენ.. დღე არ გავა, რომ

---

[1] Н.К. Орловская, დასახ. წიგნი, გვ. 114-115
[2] Н.К. Орловская, დასახ. წიგნი, გვ. 119<?>
[3] ა. დიუმა, კავკასია, თბ., 1964, გვ. 188

ლაზები საზღვარზე არ გადმოვიდნენ და არ მოიტაცონ ქალი ან ბავშვი ტრაპიზონში გასაყიდად. რამდენიმე თვის წინათ მათ მთელი ოჯახი მოიტაცეს. გურულები ძალიან გულადი ხალხია და მთელი სოფელი დაედევნა მტაცებლებს. ლაზებმა ტყვეებს პირი შეუკრეს, რომ არ ეყვირათ. ერთი პატარა გოგო დაიხრჩო, მეორემ კი მოახერხა შეკრული პირის გახსნა, მაგრამ წყალში გადააგდეს. ამ უკანასკნელ ხანებში ბათუმის კონსულმა, რომლის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს, ხელი შეუშალოს ტყვეებით ვაჭრობას, ტყვეობიდან გაათავისუფლა დედა-შვილი, რომლებიც ერთად მოიტაცეს, მაგრამ ცალ-ცალკე გაყიდეს. როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, აღმოჩნდა, რომ ერთმანეთის ენა აღარ ესმოდათ."[1]

რა თქმა უნდა, შორს წაგვიყვანდა ქართველი ქალის სილამაზის შესახებ უცხოელთა აზრების სრულად მოტანის ცდა. მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. ბაირონის „დონ ჟუანიდან" არ შეიძლება არ გაგვახსენდეს, რომ დონ ჟუანის ყველაზე ლამაზი, რჩეული სატრფო — დუდუ არის ქართველი ქალი.

„მეგრელები ძალიან კარგი ჯიშის ხალხია, — წერს შარდენი — კაცები კარგი აღნაგობისა არიან, ქალები კი ძალიან ლამაზები. მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ, რაც გხიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით, საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მაყურებლისაგან თითქოს ტრფიალს ითხოვენო".[2] ყურმოკრულის შთაბეჭდილებას ტოვებს ვინკელმანის აზრი ქართველების შესახებ, მაგრამ ეს ფრიად დიდი ავტორიტეტი, ალბათ, მრავლად შეხვედრია ქართველი ხალხის სილამაზის აღმნიშვნელ შეხედულებებს: „აკი დღესაც არსებობენ ხალხები, რომლებთანაც სილამაზე სრულიად არ ითვლება უპირატესობად, რადგანაც იქ ყველა ლამაზია. ერთსულოვნად გვიამბობენ ამას მოგზაურები ქართველების შესახებ".[3]

---

[1] ა. დიუმა, კავკასია, გვ. 405

[2] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 116

[3] Винкельман, Избр. произведения и письма, 1935, стр. 91

ქორწინება

განვითარებული ცივილიზაციის პირობებში ქორწინება ხდება ქალისა და ვაჟის ურთიერთსურვილით. საკითხს მათი გრძნობის თავისუფლება უნდა წყვეტდეს. ქალ-ვაჟის სიყვარულს, მათ სურვილს უძველესი დროიდანვე ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ იგი ადათის, ზნეობრივი კანონის დონეზე არ იყო აყვანილი. კანონი იყო მშობლების ნება-სურვილი.

ზოგიერთ შემთხვევაში მშობლების ნებით ქორწინება ემთხვეოდა ქალ-ვაჟის ნებასაც. ზოგჯერ ამას სასურველი შედეგიც მოჰყვებოდა, რადგან აქ მომავალი ოჯახის, მომავალი სანათესაო მხარეების ურთიერთობანი გონების თვალით იყო განჭვრეტილი. ყოველთვის არც სიყვარულია სანდო გარანტია მტკიცე ოჯახის შექმნისა. გრძნობის თავქარიან, წუთიერ აყოლას, ხანდახან, ოჯახის ზნეობრივ სოციალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლობა სდევს ხოლმე. ამიტომ გრძნობის დუღილის გავლასთან ერთად მთავრდება მათი სერიოზულობა და ირღვევა ოჯახებიც. ოჯახის ზოგიერთ არასერიოზულ ახალგაზრდას სატრფიალო გასართობი ჰგონია. თუმცა ისიც ცნობილია და განსაკუთრებით ხელოვნება გვიჩვენებს ამგვარ სურათებს, რომ ზოგჯერ სწორედ მრავალი სიძნელის გაუთვალისწინებლობაც დაოჯახების ბედნიერი საფუძველი გამხდარა. ზოგჯერ ნამეტნავად ჭკუით მჭვრეტელნი გაუთხოვარნი და უცოლონი რჩებიან.

ოჯახის შექმნა შუამავლობის გზით გავრცელებული იყო საქართველოში. იმდენად ბუნებრივი იყო მშობლების სრული უფლება შვილების ბედის გადასაწყვეტად, რომ თუ კაცს თვალში მოუვიდოდა ქალი, მისი ცოლობის სურვილს, სიყვარულის უშუალოდ ახსნის ნაცვლად, მშობლებს უცხადებდა. ასეთი იდილიური, უშფოთველი პირველი ნაბიჯის შესახებ მოთხრობილი აქვს გიორგი ხუცეს-მონაზონს. იგი ჰყვება, თუ როგორ შეირთო ცოლი გიორგი მთაწმინდელის მამამ, იაკობმა.

სპარსეთში დავალებით მიმავალი იაკობი გზაზე ერთ დაბაში ჩამომხტარა და შეჩერებულა ერთ სახლში. ამ ოჯახში „შვილად მხოლოდშობილად ესვა მათ მარიამი... იხილა რა შუენიერება ხატისა მისისა და ნარნარი იგი და დაწყნარებული ქცევა მისი და განკრძალული სახე..“ იაკობმა მათ სთხოვა,

შეენახათ მისთვის მარიამი მის დაბრუნებამდე, შემდეგ კი იქორწინებდა და მათთან დაემკვიდრებოდა.

„ესე აღწერილობა X საუკუნის ცოლის შერთვის წესისა საუცხოოდ გვისურათებს ყმაწვილ კაცს, რომელსაც რომელიმე ქალწული თუ მოსწონდა, ქალის მშობლებისათვის უნდა მიემართა და თავისი სურვილი გამოემეღავნებინა. თუ მშობლები თანხმობას გამოაცხადებდნენ, საქმე გათავებული იყო და ქალ-ვაჟს შეეძლოთ შეჯულიერითა და წმინდითა ქორწინებითა შეუღლებულიყვნენ".[1] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქორწინება მშობლების ნებაზე იყო დამოკიდებული, იგი მაინც უწევდა ანგარიშს შვილების სურვილსაც. მშობლების უფლებები დესპოტურად არ ვრცელდებოდა შვილებზე. ყოველ შემთხვევაში ეს (როგორც ადათი) არ მისულა სავაჭრო გარიგებამდე, ისე როგორც, ვთქვათ, ძველ ჩინეთში: „ქალის დაქორწინება მხოლოდ მშობლების სურვილზე იყო დამოკიდებული. ძველს ჩინეთში ქორწინება ნამდვილი სავაჭრო გარიგება იყო".[2]

„...მაშასადამე, ქალს თავიანთ შვილისათვის საქმროს მშობლები თხოულობდნენ და ქალ-ვაჟი, როგორც ეტყობა, მოლაპარაკებაში არც კი ერეოდნენ".[3] როგორც მრავალგზის ითქვა, ქართულ ოჯახს ისტორიულად არ შეიძლება შევხედოთ როგორც რაღაც გაქვავებულ ფორმას, ეს დამოკიდებულია ეპოქაზე და იმ მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ სიჭრელეზე, რაც ჯერ კიდევ ქართველთა ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. ბევრი საცნაურობაც შეგვხვდება ქორწინებასთან დაკავშირებულ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ მასალებში. ამ საცნაურობებს, რამდენადაც უნდა გაგვიკვირდეს, ამარტივებს მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ეთიკურ-ესთეტიკურ ფილტრში ატარებს იმ ყოფით თვისებებს, მწერლის თვალში რომ არ დააშვენებდა ან ერს, ან ადამიანის ხასიათს საზოგადოდ. ეს არის, ასე ვთქვათ, ზნეობრივი მიზანდასახულების გამო ერთგვარი შეცოდებაც ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით. კულტურის ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებათათვის განსაკუთრებით ძვირფასია ფაქტები ნამდვილი სახით.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 363
[2] ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957, გვ. 392
[3] ი. ჯავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 363

რასაკვირველია, ამ ადათ-წესების დღევანდელობის თვალით მორალურ კრიტიკას აზრი არა აქვს. ესაა ისტორიის ფაქტი... ქართული ზნე-ჩვეულებების სილამაზე არც მიწიდან ამოხეთქილა და არც ცვარ-ნამივით დაპკურებია ჩვენს ქვეყანას. მან ბევრი სიბნელე გამოიარა, ადამიანის ბუნებისათვის უგვანი ჩვეულებანი დასძლია და ასე გაიკაფა გზა ჭეშმარიტი ცივილიზაციისაკენ.

რაც შეეხება მცირეწლოვანთა დაწინდვის ფაქტს, მისი მორალური კრიტერიუმებით განსჯა არავისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ამ ჩვეულების დაძლევაში დიდი წვლილი მიუძღვის ეკლესიას, რასაც აღიარებს ივანე ჯავახიშვილი: „უძველეს დროს ქალვაჟის დაწინდვა სცოდნიათ XII საუკუნის დამდეგიდან. ამის ნება თვით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც დართო. მაგრამ წინათ თურმე არამცთუ მცირეწლოვანი საქმრო-საცოლის დანიშვნა წესად ყოფილა, არამედ მცირეწლოვანების დაქორწინებაც კი შეიძლებოდა თურმე. ეს ჩვეულება რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ უკანონოდ სცნო, აკრძალა და განსაზღვრა, „რათა ამიერიდან არღარა ეკურთხეოდინ გვირგვინი ჩვილთა „ქალყრმათა“.[1]

როგორც ცნობილია, მცირეწლოვანთა დაწინდვის ფაქტი გავრცელებული ყოფილა საქართველოს მრავალ კუთხეში; მაგალითად, სამეგრელოში — აკვანში დანიშვნა („ონწეშ იკოდგუმა“).[2] მცირეწლოვანთა დაწინდვას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სვანეთში.[3] „აკვანში ნიშნობის სვანურ ჩვეულებასთან ახლოს დგას აფხაზეთში, ფშავში, თუშეთში გავრცელებული ის წესი, რომლის მიხედვით, ბავშვების დაბადებამდე დანიშვნაზე შეთანხმებას ჰქონდა ადგილი“.[4] არსებობდა არა მხოლოდ მცირეწლოვანთა ქორწინების, არამედ ორსული დედების მოლაპარაკების წესიც, მათი მომავალი შვილების შეულლების თაობაზე.[5] „როგორც ვხედავთ, 1103 წლის საეკლესიო კრების

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 366
[2] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 260
[3] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, 1939, გვ. 106
[4] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, 1950, გვ. 113
[5] იქვე, გვ. 115

მოწვევამდე „ჩვილთა ქალ-ყრმათა“ გვირგვინის კურთხევა ქართველებს წესად ჰქონიათ. საგანგებო საეკლესიო ყრილობამ აკრძალა ეს მავნე ჩვეულება“.[1]

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მრავალი, შეიძლება ითქვას, კონსტიტუციური საკითხი გადაწყვიტა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ერთი ასეთი ადათიც უარყო: საქართველოში ერთ დროს წესად შემოსულა წარმომადგენლობითი ჯვარის წერაც. ეს ნიშნავდა, რომ ჯვარის წერის დროს ერთმანეთს ხვდებოდნენ არა ნეფე-პატარძალი, არამედ მათი წარმომადგენლები. ქალის მხრივ წარმომადგენელი იყო არა ქალი, არამედ მამაკაცი, — კაცის მხრივაც მამაკაცი და არა თვით ნეფე.

მთის ადათ-წესებში ასეთივე სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ჩარევის ფაქტი იყო 1782 წლის „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა ბატონიშვილისა ვახტანგისა“. სხვა წეს-ჩვეულებებთან ერთად იკრძალებოდა თვითნებური (ჯვარდაუწერელი) ქორწინება: „განჩინებაში“ სასტიკი აკრძალვაა დადებული ისეთ ჩვეულებაზე, როგორიცაა სისხლის ალება, ჯვარდაუწერლად ქალის ქმრის სახლში მიყვანა...“[2]

რაც შეეხება ნების თავისუფლებით ქორწინებას ძველ საქართველოში, ეს თითქმის არც ერთგან არ არსებობდა: „ქალის გათხოვება — წერს ვაჟა-ფშაველა ხევსურეთის შესახებ — მშობლების ნებითა ხდებოდა. ვისაც მამა მიათხოვებს ქალს, ესეც უნდა იმას გაჰყვეს. ხშირად აკვანშივე დანიშნავენ ბავშვებს — მომავალ ცოლ-ქმარს. ჯიშიანი ოჯახი ჯიშიანს ეძებს. უჯიშო გვარიდან რომ გამოჩენილი ვაჟკაცი გამოვიდეს, ჯიშიანი ხევსური ქალს არ მიათხოვებს და უჯიშობითა დაიწუნებს, „უთესლჯილაგო!“ — იტყვის ხევსური“.[3]

ასეთივე წესი იყო გავრცელებული სამეგრელოშიც: „სამეგრელოში წინათ ქალ-ვაჟის დაქორწინება მხოლოდ მშობლებს ეკითხებოდა და ვისაც მშობლები აირჩევდნენ, ჯვარსაც იმაზე იწერდნენ. ნიშნობამდის პირველ

---

[1] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, 1950, გვ. 109

[2] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულების სოფელი ძველად, 1965, გვ. 447

[3] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. VII, 1956, გვ. 153

ყოველისა უნდა გამოერკვიათ ქალ-ვაჟისა და მათი მშობლების ვინაობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა და სხვ."[1]

როგორც ვხედავთ, მეგრელები, ხევსურები და თითქმის ყველა კუთხის ქართველები ყურადღებას ამახვილებდნენ გვარის ძირზე, ჯიშზე, წარმოშობაზე. ასე რომ, ისინი ასე ვთქვათ, ბუნებრივი „გენეტიკოსები" იყვნენ. ცხადია, ამ ადათ-წესს მრავალი გაუგებრობა, უშუალო პიროვნულ ღირსებათა შეუფასებლობა მოჰყვებოდა ხოლმე. მაგრამ ისინი ფიქრობდნენ: „კვიცი გვარზე ხტისო". ადამიანის უშუალო, თვალწინ ვლენილ ღირსებებს არ ენდობოდნენ, ვარაუდობდნენ, — ადამიანის ფსიქიკა, ხასიათი სტაბილური არ არის, ვინ იცის თავისი გვარის ნიშნები სად გამოაჩნდებათ. რა თქმა უნდა, დღევანდელი თვალსაზრისით ეს აზრი მიუღებელია, მაგრამ იგი თავისთავად საყურადღებოა, რამდენადაც ხალხის ბუნებრივ-დამკვირვებლობით უნარზე მიგვითითებს.

ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს, რომ თანამედროვე ქართული რიცხვმრავალი ქორწილი მოძველებულია. მაგრამ, როცა ლაპარაკია რეალურ ცვლილებებზე, პრაქტიკულად საზოგადოების უმეტესი ნაწილი ფეხს ითრევს. რატომ მიაჩნიათ, რომ თანამედროვე სოფლური ქორწილის ცერემონიალმა დაკარგა თავისი მიმზიდველობა? მხოლოდ იმიტომ, რომ სუფრის წევრთა რაოდენობრივმა ზრდამ გამოიწვია ადამიანთა შორის ინტიმური საუბრის, მოლხენის დაკარგვა?

პირველ რიგში ქორწილს დღეს წაერთვა ის ესთეტიკური ფუნქცია, რომელიც ათეული წლების წინ ჰქონდა. დღეს ვერც ერთი ეთნოგრაფიული აღწერილობა და თვით მწერლების მიერ რომანტიზებული სურათები სრულად ვერ აგვიხსნის, თუ რატომ იზიდავდა ასე ძლიერ ქორწილი არა მხოლოდ ნეფე-პატარძალსა და მათ ოჯახებს, არამედ ნათესაობას, ახლობლებს. ხშირად ჩვენ თანამედროვე ესთეტიკური გემოვნებით ვუყურებთ იმ გარდასულ დროის ქორწილს, სადაც „ბუზიკის", „დოლგარმონის", ტაშ-ფანდურის ხმაზე ქორწილის მონაწილენი თავისებურად უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას იღებდნენ. ლაპარაკია ხალხის ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ასეთი მოთხოვნილება ყველა

---

[1] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 259

დონის ადამიანს აქვს. მაგრამ განსხვავებით თანამედროვე სოფლისაგან, მაშინ ეს მოთხოვნილებანი წყურვილის ფაზაში იმყოფებოდა. ესთეტიკაში ცნობილია ესთეტიკურ მოთხოვნათა წყურვილისა და მოყირჭების ცნებები. დღეს, ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, თეატრის, კინოს, რადიოს, ტელევიზიის წყალობით ესთეტიკური ინფორმაცია გვაწვიმს. ქორწილის მონაწილენი გრძნობენ ბევრი რამის გულუბრყვილობას, მოძველებულობას. ცხადია, ეს მოძველებულობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქორწილში მოძველდა „ოდოიას", „კუჩხა ბედნიერის", „მრავალჟამიერისა" და ამგვარ სიმღერათა შესრულება. პირიქით, ტრადიციებზე ლაპარაკი დღეს სწორედ ისე უნდა გავიგოთ, რომ აქ ხელაღებითი დამოკიდებულებები გამოირიცხოს. ლაპარაკია, მაგალითად, იმ ამაზრზენ მუსიკაზე, რომელსაც მუსიკასთან არაფერი საერთო არა აქვს, ესაა ძველი ჩარჩული მელოდიების გადმონაშთები. ერთი უძველესი ჭეშმარიტება დღესაც ძალაშია: სახელდობრ, კონფლიქტი მუსიკოსს, მუსიკის მართლა მცოდნე-მგრძნობელსა და სახალხო მუსიკალურ მოდას შორის. მუსიკოსები ხშირად მწვავედ განიცდიან, როცა კლასიკური ხალხური მელოდია საესტრადო პოპულარიზაციაში გადადის. რა დასამალია და, ბევრს ეს უფრო სიამოვნებს, ვიდრე ის რთული ხალხური პოლიფონია, რომლის სიყვარულს მეტი სერიოზულობა, მეტი შინაარსობრივი სიღრმე სჭირდება. ამიტომაც ხიბლავდა ზაქარია ფალიაშვილს სვანური სიმღერების შეუვალობა: „სვანურ სიმღერებში დიდად ყურადსაღებია ის სასიამოვნო მოვლენაც, რომ სხვა ქართველთა ტომების სიმღერებთან შედარებით, ისინი უფრო შეუბღალავად არიან დაცული, რომ მათში ჯერ კიდევ არ გამოსჭვივის ევროპული მუსიკის და განსაკუთრებით გიტარა-მანდალინისა და არღნების გავლენა, რომელიც დღეს მთელი საქართველოს სოფლებში მეტად გავრცელებულია და გადატრიალებას უქადის ნამდვილ სახალხო სიმღერებსა".[1]

არც ისაა სწორი, როცა ლხინში სუფრის მონაწილეთა ვოკალურ შესაძლებლობებს ამჯობინებენ სიმღერის კლასიკურ შესრულებას და ტექნიკას ხდიან ლხინის მონაწილედ, უსმენენ მუსიკალურ ჩანაწერებს. ქეიფი

---

[1] ციტირებულია წიგნიდან: ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1930, გვ. 29

კარგი გაგებით, ნიშნავს ერთსულოვან ლხინს, რომლის ყველა წევრი არის კოლექტივის აქტიური მონაწილე. ეს ნიშნავს სიახლოვის, კეთილი გრძნობების გამოხატვას, ახალგაცნობილთა მეგობრულ ნათლობას. ამიტომაც არ შეიძლება ნამდვილი გაგებით ქეიფი იყოს ხალხმრავალი.

რაც შეეხება ქართულ საქორწილო ლხინს, აქ ხალხმრავლობას იწვევს ნათესაობის ძალზე ფართო ცნება. აღსანიშნავია, რომ ქორწილს, გარდა მოლხენისა, სხვა ფუნქციაც აქვს. ეს არის სანათესაოს ფორუმი, დაუწერელი კანონების გარკვეული სახე. აქ ყალიბდება ახალი რგოლი, ახალი სანათესაო — უჯრედი, ზნეობრივ-იურიდიული უჯრედის შექმნის აქტი. დღესაც დიდი და ზოგჯერ ზედმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ნათესავსა და მოყვარეს. ჩვენი უნიჭო მოყვარე ხშირად სხვის ნიჭიერ მოყვარეს გვირჩევნია და ნათესაურ სუბიექტივიზმში გვავიწყდება მამულიშვილური ობიექტურობა. ქორწილი ეს არის ორ ოჯახს შორის წარმოქმნილი იურიდიულ-ზნეობრივი ხელშეკრულება, რომელიც ერის, სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარკვეული უჯრედია.

„რასაკვირველია, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — უმუსიკოდ და უსიმღეროდ ვერც ქორწილი იქნებოდა. პირიქით, ორი სახლობისა და მახლობელ-ნაცნობების სიხარულს ყველაზე მეტად აქ უნდა ეჩინა თავი. ქართველს კი უსიმღეროდ ვერ წარმოუდგენია სიხარული. ჯერჯერობით პირველი ცნობა საქორწილო ლხინზე თამარის ისტორიკოსის თხზულებაში მოგვეპოვება“.

„...თამარის მეორე ქორწინების დროს „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა მჭრუეტელობანიო“ — ნათქვამია „ისტორიანსა და აზმანში“. თუმცა ზმა მხოლოდ მგოსანთა სიმღერასა და სადღესასწაულოდ შეთხზულ-წარმოთქმულს ლექსებს გულისხმობს, მაგრამ უეჭველია, არც უმაყურებლოდ იქნებოდა ეს ქორწილები გადახდილი“.[1]

არათუ ქორწილი, არამედ ყოველი საზეიმო ცერემონიალი, სამხიარულო თუ სამგლოვიარო სიმღერის თანხლებით სრულდებოდა. ბუნებრივია, რომ სიმღერა გარკვეული რელიგიურ-ადათობრივი ნიშნით და უბრალო მოთხოვნილებით თან ახლდა ნიშნობის პროცესსაც.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1930, გვ. 278

„საკრავების დაკვრა და სიმღერა, ლხინი და დროს მხიარული გატარება მარტო ქორწილის აუცილებელი კუთვნილება კი არ იყო, არამედ ნიშნობისაც. მაგ., „ერთა ჭამის“ წესის დროსაც საცოლეს რომ თითზე ბეჭედს შეაცვამდნენ და ლხინი იწყებოდა ხოლმე, მაშინვე დარბაზში ისმოდა “შუშაითთაგან კვრანი და ხმა ტკბილად ამღერებანი“ (თეიმურაზი)“.[1]

სიმღერას გარკვეული დამლოცველი ფუნქციაც ჰქონია. ნიშნობა და ქორწილში სიმღერა, უბრალოდ ბუნებრივი მოთხოვნილებაა და იგი, ცხადია, საზოგადოდ არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა. რელიგიური, დამლოცველი შინაარსი აქვს სიმღერის იმ წესს, რაც საქორწილო კაბის გამოჭრას უკავშირდებოდა.

„სიმღერას საქართველოში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უიმისოდ საქორწილო კაბის გამოჭრაც კი არ შეიძლებოდა. თეიმურაზ II-ის სიტყვით, წესად ყოფილა, რომ ჯვარის დასაწერი კაბების გამოსაჭრელად დაპატიჟებული მოყვრების წინ „დასჭრიან ჯვარის საწერსა თეთრ კაბებს მაყრულითა და სამჯერ იტყვიან მაყრულსა, სანამ დასჭრიდნენ კაბებსა“.[2] რა თქმა უნდა, დღევანდელი თვალსაზრისით, ეს აზრი მიუღებელია, მაგრამ იგი თავისთავად საყურადღებოა, რამდენადაც ხალხის ბუნებრივ-დამკვირვებლობით უნარზე მიგვითითებს.

მუსიკალურ-ყოფითი ჩვეულებანი

როგორც ხმა არ არის ადამიანისათვის შემთხვევითი ნიშან-თვისება, არც მუსიკაა მეორადი, ფუფუნებითი რამ. მუსიკალურობა ადამიანის არსების განუყოფელი მომენტია. იგულისხმება არა მხოლოდ შემოქმედებითი მუსიკალური ნიჭი. ლაპარაკია ადამიანის მუსიკალურ მიდრეკილებაზე საზოგადოდ.

როგორც ადამიანის ბუნებაში, ასევე ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ჩაწნულია მუსიკა. მუსიკალურ-ყოფითი ჩვეულებანი, თავის ხმრივ, მრავალ

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1930, გვ. 278

[2] იქვე, გვ. 276

ყოფით ზნე-ჩვეულებას კრებს, ამიტომ მუსიკალური ტრადიციების შესახებ მსჯელობა ეროვნულ ტრადიციებს მრავალმხრივ ჰფენს ნათელს. ყოფითი მუსიკალური ტრადიციების შესასწავლად საკუთრივ მუსიკის შესწავლაც არ კმარა. საჭიროა მუსიკის რელიგიური, სოციოლოგიური, ეთნოგრაფიული, ერთი სიტყვით, მთელი სოციალური ძირების კვლევა. ძველი მუსიკალური რიტუალები, სიმღერების შინაარსი სცილდება საკუთრივ მუსიკის ფარგლებს; ეს არის სიმბოლური ფაზა მუსიკისა.

თავისთავად წმინდა მუსიკალური ტრადიციების შესწავლა სპეციალისტების საქმეა. თუ რას ნიშნავს ტრადიცია და ნოვატორობა მუსიკაში, — პლატონიდან მოყოლებული ხშირად ყოფილა ესთეტიკოსთა და მუსიკათმცოდნეთა საგანგებო მსჯელობის საგანი. მაგრამ ეს სხვა რიგის საკითხია და ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდის. ჩვენი ამოცანა შემოიფარგლება ყოფით ზნე-ჩვეულებათა წრეში მუსიკალური ტრადიციების შესახებ მსჯელობით.

ქართველი ხალხის ყოფა ვერ წარმოიდგინება უმდიდრესი მუსიკალური ტრადიციების გარეშე. ტირილი, სიხარული, შრომა, ბრძოლა... ყველანაირი მდგომარეობა და ურთიერთობა ჩვენი ყოფისა მუსიკალურობით არის გამსჭვალული. კაცმა რომ თქვას, ზოგადად, მეტნაკლებად, ასეა ყოველი ხალხის ყოფაცხოვრებითი ისტორია.

საგანგებო შრომა არსებობს კავკასიაში (ძირითადად ლაპარაკია ქართულზე) მუსიკის სამკურნალო დანიშნულების შესახებ.

„შემდეგში მე დავრწმუნდი, რომ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ სომხებსაც და სხვა კავკასიელ ხალხებსაც აქვთ ჩვეულება მოიწვიონ მომღერლები და მუსიკოსები ქრონიკულად მძიმე ავადმყოფთათვის და ცეცხლმსროლი იარაღით დაჭრილთა განსაკურნებლად, დაამშვიდონ ავადმყოფი სიმღერითა და მუსიკით და მიანიჭონ მას სიამოვნება. მუსიკითა და სიმღერით ართობენ მას. მოგვიანებით მე გავიგე, აგრეთვე მეორე ჩვეულების შესახებ, რომელიც მიუთითებს ქართველი ქალების გრძნობების დელიკატურობაზე... იმოქმედონ ავადმყოფზე დამამშვიდებლად მხედველობითი ორგანოს საშუალებით. ამ მიზნით ქართველი ქალი, ნათესავი ან ნაცნობი ეწვევა რა ავადმყოფს, არა მხოლოდ არასდროს არ ჩაიცვამს შავ კაბას, არამედ ამ შემთხვევის გამო იცვამს უფრო ნათელ კაბას, რომ აჩვენოს

ავადმყოფს, — ის მძიმე ავადმყოფი კი არ არის, არამედ პირიქით, გამოჯანმრთელების პროცესშია".[1]

მუსიკის სამკურნალო მიზნით გამოყენებას ი. მინკევიჩი, ცხადია, ქართველების განსაკუთრებულ თვისებად არ თვლის. მას მოაქვს ცნობილი აზრები იმის შესახებ, რომ აფრიკის, ამერიკის, აზიის ძველ ხალხებში დღესაც არსებობს ჩვეულება მუსიკის, ცეკვა-სიმღერის საშუალებით ადამიანის მკურნალობისა.

ასეთივე საშუალებით ამხნევებენ, მკურნალობენ მშობიარე ქალსაც.

ავტორი შეგვახსენებს აგრეთვე მეცნიერებაში კარგად ცნობილ ფაქტებს იმის შესახებ, რომ მუსიკა-სიმღერები უმთავრეს ნაწილს შეადგენდა რელიგიურ ყოფაში, როცა ავადმყოფებს მკურნალობდნენ.

ი. მინკევიჩი ძალზე მცირე ადგილს უთმობს მსჯელობას სახელდობრ ქართული მუსიკალური მკურნალობის შესახებ. იგი ქართულს ეხება არსებითად იმგვარად, რომ მას ცივილიზაციის პრიზმაში გატარებულ ტრადიციად გვიჩვენებს. აქ მუსიკალური და ფერების საშუალებით მკურნალობის ფაქტს რელიგიური ძირები გამოცლილი აქვს. აქ ის მხოლოდ ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური სფეროთი იფარგლება და აღარ მისდევს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სათავეებს.

რახან ტრადიციებზეა მსჯელობა, საკითხი მუსიკალურ-სამკურნალო ჩვეულებების შესახებ — ერთი უაღრესად საინტერესო საკითხია.

პირველ რიგში ისმის ასეთი კითხვა: ჰქონდა თუ არა, ჯერ კიდევ ველურთათვის მუსიკას სამკურნალო შედეგები? იქნებ ეს იყო მხოლოდ რელიგიური ილუზია ავადმყოფის მორჩენისა?

ცხადია, ეს იყო რელიგიური ცრურწმენით გააზრებული რიტუალი, მაგრამ მასში უდავოდ იყო გარკვეული მომენტი ჭეშმარიტებისა ფსიქოფიზიოლოგიურ მოვლენათა შესახებ. თუ ველურები შეამჩნევდნენ, რომ ასეთ რიტუალებს ათ და ას შემთხვევაში არავითარი შედეგი არ მოაქვს, ისინი, რასაკვირველია, ბუნებრივი ფაქტების პირისპირ აღმოჩნდებოდნენ და ასეთ ტრადიციას გადააგდებდნენ. რელიგიური ცრურწმენის მომენტი შემდეგში მდგომარეობდა: ადამიანები ხმაურით, ცეკვა-სიმღერით, მოგვი-

---

[1] И.И. Минкевич, Музыка как медицинское средство на Кавказе, 1896, стр. 1

ანებით — ცეცხლმსროლი იარაღის გასროლით „აფრთხობდნენ ბოროტ სულებს“. ცრურწმენა იყო მათ წარმოდგენებში, მათ მოქმედებაში. თვითონ ფაქტი კი უდავოდ გამოხატავდა რაღაც ფსიქოლოგიურ ძალას. ასე რომ, მუსიკალური მკურნალობის ველური ავტორები იყვნენ პირველი "ნატურ-ფსიქოლოგები“.

მუსიკა დღესაც ჩვენ გვესმის როგორც სულიერი გაჯანსაღების წყარო. ფსიქიატრებისა და ესთეტიკოსებისათვის არ არის უცხო, რომ ესთეტი-კური ფენომენი დადებით ფსიქიკურ რეაქციებს იწვევს, რასაც აგრეთვე ფიზიოლოგიურად დადებითი ცვლილებები მოჰყვება.

ძველი კულტურის კვლევის დროს რელიგიურ-ფსიქოლოგიური ფაქტების უმდიდრესი შრეები ჩნდება, როცა საკითხი სამკურნალო მაგიასა და მუსიკალურ მაგიას შეეხება. რწმენა განკურნების მაგიური ძალისადმი იყო ხალხთა ცნობიერების პირველი დამპყრობი საშუალება. ასეთი მაგიური ძალის განმასახიერებელია ბერძნულ რელიგია-მითოლოგიაში ასკლეპიოსი. ასეთი მაგიური ძალა გააჩნდა მოსეს. მის მიერ ღვთისაგან მიღებული მაგი-ის ძალა იყო მისი ღვთის რწმუნებულად ყოფნის პირობა. მოსე პირველად უარზედაცაა, ეშინია ღვთისაგან ამ მისიის მიღებისა. მაგრამ ბიბლიური მითი გადმოგვცემს, რომ ღმერთმა არ მოასვენა მოსე.

ქრისტეს სარწმუნოების პრინციპებიდან გამომდინარე, მას თითქოს ხელთ არ უნდა აეღო მაგიის იარაღი, მკურნალის ხელოვნება. ამის გამო გოეთე ამბობს, ქრისტეც დემონიურიაო. დემონიურობა და ღვთიურობა ძე ღმერთში შეურიგებელი ცნებებია. ქრისტე „ჰკურნავს“ ხალხს, მკვ-დრეთითაც „აღადგენს“ ზოგს. მაშასადამე, ღმერთმა ვერ გაძლო მიწაზე დაუყრდნობლად და მიწიერი, ბუნებისეული მაგიური ძალა გამოიყენა. მა-გია მოჯადოებას, დაპყრობას ნიშნავს. ამგვარ ჰიპნოზურ ძალებს არ უნდა მიმართავდეს ქრისტე. მას წმინდა სულიერი ძალები უნდა ჰქონოდა. მაგრამ მაშინ ვეღარ ჩამოსწვდებოდა ადამიანებს.

თითქმის ყოველი ღმერთი თავისი მორწმუნისადმი „მზრუნველი“, ძლევამოსილი, ყოვლისშემძლე პატრონია. ადამიანს კი ყველაზე მე-ტად უჭირდა, ყველაზე მეტად სჭირდებოდა მშველელი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. ადამიანს არ შეეძლო ღმერთის ყოვლისშემძლეობაში მკურნალის თვისებაც არ დაენახა და შემდეგ თვითონვე არ ეწამა იგი.

ცნობილ ქრისტოლოგს ჰარნაკს მთელი თავი აქვს მიძღვნილი ქრისტეს როგორც მკურნალისადმი. ღვთაებრივი მკურნალი იმით განსხვავდება ადამიან-მკურნალისაგან, რომ მისი სამედიცინო ხელოვნება არ არის პაციენტთან, მის სხეულებრივ სატკივართან საქმო შრომა. ეს არის ღვთის მბრძანებლობის, ყოვლისშემძლეობის სულიერი აქტის გამოხატვის ფორმა. არა თუ ქრისტე, მისი მოციქულებიც არიან ამ თვისებით აღჭურვილნი. ისინი ქრისტეს ძალის შეწევნით „კურნავენ" ადამიანებს. ასეთი ლოცვა-მკურნალობა საუკუნეების მანძილზე არსებობდა ხალხში როგორც რელიგიური მკურნალობის აღიარებული ფორმა. იგი დაკავშირებული იყო ჩვენი ტრადიციის მრავალ სხვა სახეობასთანაც.

წმინდა ნინოს მომაქცეველი ძალა, მისი წარმატებების წყარო ლეგენდების მიხედვით არის სამკურნალო მაგია. მაგალითად, მასთან ავადმყოფი ბავშვით მიდის დედა, ემუდარება შველას. წმინდა ნინო ეუბნება: „მე ვერ შევძლებ ეუშველო ბავშვს; ქრისტეს კი, რომელზედაც ხშირად მილაპარაკია თქვენთან, ვიცი, შეუძლია მკვდრებიც აღადგინოს და მიტოვებულთ განკურნება არგუნოს".[1] წმინდა ნინო ამ სიტყვებს ეუბნება წარმართ დედას, უკიდურესი გაჭირვების ჟამს, როცა ის ყველაფერზე თანხამაა, ოღონდ კი შვილი მოურჩინოს. ის იმ ღმერთს იწამებს, ვისი წყალობითაც შვილს გადაარჩენს. „...მაშინ ამან, აღძრულმა სიბრალულით მთხოვნელის მიმართ თავის გარესამოსში გაახვია, შეავედრა ღმერთს და განკურნებული გადასცა იგი დედას".[2] ასეთივე საინტერესოა ლეგენდა წმინდა ნინოს მიერ წარმართი დედოფლის მოქცევის შესახებ. წმინდა ნინომ არ ინება დედოფლის სასახლეში მისვლა. მაშინ ლოგინით მოიყვანეს დედოფალი მასთან, რომლის განკურნება შეიქმნა მისი გაქრისტიანების მიზეზი.[3]

ყოველივე ეს იყო მკურნალობა ლეგენდის მიხედვით. აქ ყველაფერი ისე მარტივადაა წარმოდგენილი, თითქოს სულის შებერვით იკურნებოდეს ადამიანი, მაგრამ რელიგიური სამკურნალო ლოცვებით შეიარაღებული

---

[1] გეორგიკა, ტ. I, 1961, გვ. 186-187

[2] იქვე

[3] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, 1961, გვ. 186-187. გელასი კესარიელის ეს ცნობა უცვლელი შინაარსითაა აგრეთვე მოცემული სხვა ავტორებთან.

მკურნალი, რომელიც რეალური ავადმყოფობის წინაშე აღმოჩნდა, ცდილობს, თავისი რელიგიური განწყობილება და რეალობა შეარიგოს. იგი ეძებს მიწიერ, რეალურ საშუალებებს ადამიანის განკურნებისათვის. ქრისტიანული მლოცველ-მკურნალი მიმართავს წარმართულ საშუალებებსაც, ოღონდ კი შედეგს მიაღწიოს. ეს მხოლოდ ქრისტიანობაზე როდი ვრცელდება. მკურნალობისათვის დიდი და ხანგრძლივი რიტუალებიც იმართება. ლოცვებთან ერთად ძალიან გავრცელებულია სიმღერა. მუსიკალური და რელიგიური საშუალებანი მკურნალობისას ხშირად ენასკვება ერთმანეთს.

ამგვარ ბიბლიურ მითებში, ზღაპრებში, ჭეშმარიტების გარკვეული მარცვლები მაინცაა რაღაცნაირად ასახული. ჯერ ხომ ფსიქიკური შთაგონების ძალას და რელიგიურ-სულიერ ძალას ვერ ასხვაებდა საზოგადოება. XVIII საუკუნის დასაწყისში კინალამ შეაჩვენეს ფსიქოთერაპიის მამამთავარი მესმერი. მაგრამ არავინ უარყოფს, რომ ჰიპნოზური მკურნალობით, წმინდა ფსიქოლოგიური ხერხებით იგი კურნავდა ეპილეფსიას, კრუნჩხვებს და ა.შ. დღეს ფსიქიატრიული მკურნალობა უამრავ საშუალებებს მიმართავს, მათ შორის მუსიკასაც.

მუსიკა დღეს გამოიყენება არა რელიგიური, არამედ ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური მეცნიერულად გააზრებული საშუალებებით. მაგრამ პირველი მუსიკალური „ფსიქოთერაპევტები" ემყარებოდნენ ბუნების რელიგიას, რომელშიც მუსიკის ესთეტიკური მომენტიც იყო ნაგრძნობი.

ადრიდანვე იყო ცნობილი და კიდევ უფრო ადრე ნაგრძნობი, რომ მუსიკა გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ისეთ დაავადებაზე, როგორიცაა პაროქსიზმი, კონვულსია და ა.შ. გავიხსენოთ ბიბლიიდან: როგორ ამშვიდებდა საულს ყრმა დავითის ქნარი.

მუსიკას სამკურნალოდ ასე თუ ისე საზოგადოებისა და თვით მუსიკის განვითარების თითქმის ყოველ დონეზე იყენებენ. ერთი შეხედვით, უნდა ვივარაუდოთ: რაც უფრო განვითარებულია მუსიკა, მით მეტი უნდა იყოს მისი სამკურნალო ზემოქმედებითი ძალაც. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით მეტი უნდა იყოს საზოგადოების მიერ სამკურნალოდ მუსიკის გამოყენების ეფექტი. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი უფრო რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. იქნებ პირიქითაც ხდება?

ველურ მუსიკას მეტი სამკურნალო ძალა ხომ არ გააჩნია, ვიდრე ქრისტიანულს?[1] იქნებ არის მასში სხვა რამ თვისებები, ვიდრე განვითარებული მუსიკის ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური გამოყენების შემთხვევაში? ეს კითხვები იდგა და ახლაც დგას კულტურის მკვლევრების წინაშე. ჩვენთვის ამჟერად ნაყოფიერი შეიძლება იყოს ამ პრობლემის ერთი წახნაგი, სახელდობრ, ძველი წარმართული მუსიკისა და ახალი (სასულიერო) მუსიკის განსხვავება ადამიანზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

დავუბრუნდეთ ჩვენს კონკრეტულ მიზანს: ბუნების ადამიანი უკეთ გრძნობს ბუნების ენას, თუ კულტურის ადამიანი? (ამ გამოთქმის პირობითობა ცხადი უნდა იყოს). ბუნებასა და ბუნების ადამიანს შორის საერთო ენა გრძნობის ენაა, კულტურის ადამიანისა კი გონებაა. უფრო ნათელი რომ გახდეს შედარების აზრი, კიდევ ერთი ასეთი კითხვა: ადამიანი უკეთ გრძნობს ბუნების კოსმოსურ ცვლილებებს, თუ ცხოველი? ცხოველები ხომ ადამიანზე უკეთ გრძნობენ (და არა ცნობენ) ასტროფიზიკურ მოვლენათა ცვლილებებს, მზის დაბნელებას, მიწისძვრას. ლაპარაკია ბუნებასთან ინსტინქტურ-გრძნობით კავშირზე და არა ბუნების შეცნობაზე. განა საკვირველი არ არის ცხოველთა ინსტინქტური "მედიცინა"? ძაღლი საოცრად გამოარჩევს ათასნაირ ბალახებში იმ სამკურნალო ბალახს, რომელიც მას მუცლის ტკივილს მოურჩენს. ინსტინქტი ბუნებასთან კავშირის ბუნებრივი ფორმაა, გარკვეული აზრით, უფრო ღრმა, ვიდრე გრძნობა ადამიანისა, რომელიც გონებითაა გაშუალებული და ბუნებისგან დაშორების ტენდენციას შეიცავს.

ამდენად ველურ, გრძნობით-ინსტინქტურ მედიცინას სხეულებრივ, ცხოველურ საწყისთან მთელი რიგი ისეთი გრძნობითი არხები აკავშირებს, რომლებიც აღარ გააჩნია კულტურის ადამიანს. ცხადია, რომ ეს სამკურნალო, ველური მუსიკა უნდა ყოფილიყო არა იმდენად სულიერი სიღრმისა და სინატიფის, ლირიკული მელოდიების გამომხატველი, რამდენადაც სხეულებრივ, ხორციელ სამყაროსთან მეტი სიახლოვის გამომხატველი, „ბოროტ სულთა" დამაფრთხობელი მუსიკა.

---

[1] რა თქმა უნდა, ამგვარ სამკურნალო საშუალებებზე პირობითად ვმსჯელობთ.

ძველი და ახალი სამყარო საზოგადოების განვითარებისა ეს არის გზა გრძნობიდან გონებისკენ. ერთ მხარესაა ბუნების მედიცინა და ბუნების მუსიკა, მეორე მხარესაა გონების მედიცინა, გონების მუსიკა (გონების მუსიკას უფრო ხშირად სულის მუსიკას უწოდებდნენ).

ღვინო და ქართული ლხინი

მრავალი ხალხი იჩემებს ღვინის, ვენახის პირველი სამშობლოს პრეტენზიას. ეგვიპტელები, ძველი ბერძნები, სპარსელები... თავიანთ თქმულებებს უჯერებენ და თავს ვაზის პირველ ქვეყნად თვლიან.

„მევენახეობისა და მელვინეობის აკვანი აზიაში უნდა ვეძიოთ. შესაძლოა კავკასიაში, მის დასავლეთ ნაწილში, და საზოგადოდ შავი ზღვის პირა ქვეყნებში, სადაც ვაზი უაღრესად კარგად ხარობს, ადის რა მაღალ ხეებზე...“[1]

ბიბლიური თქმულება ღვინის პირველ ქვეყნად ამიერკავკასიას მიიჩნევს. გასული საუკუნის შვეიცარიელი ბოტანიკოსი დეკანდოლი, გერმანელი ისტორიკოსი ჰენი და სხვები საქართველოსკენ მიმართავენ ყოველი ლეგენდის გეზს.[2]

„მკვლევარები დღესაც იმავე აზრს ადგანან მევენახეობის თავდაპირველი სამშობლოს შესახებ. „სამხრეთი კავკასია“, საქართველო - აი, ის უმთავრესი კერა, სადაც პირველად მოაშინაურეს ველური ვაზი და ყურძნის წვენისაგან ღვინო დააყენეს“.[3]

ვენახის თავდაპირველი სამშობლოს ძიებას დაუკავშირდა სიტყვა „ღვინოს“ წარმოშობის საკითხიც. მრავალ ენაში იგი შესულია ერთი საერთო ძირით: „ბერძნული ოინოს, ლათინური ვინუმ, ხეთური ვიანა, სომხური გინი, რუსული ვინო, გერმანული ვაინ და ა.შ. სემიტურ ენებში: არაბული ვაინუმ, ებრაული იაინ, ასურულ-ბაბილონური ინუ და სხვ. ამ სახელწოდებათა საერთო წარმოშობა უდავო იყო.

---

[1] Е. Кагаров, Культ фетищей, растений и животных в древней Греции, С.-Петербург, 1893. стр. 155.

[2] ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, 1972, გვ. 7

[3] იქვე

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარებითმა ანალიზმა მიიყვანა საგულისხმო დასკვნამდე, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელებული უნდა იყოს „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო“.[1]

ვენახის კულტი იმდენად ჩაწნული იყო ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, რომ იგი ერთი უაღრესად მდიდარი ლინგვისტურ-ისტორიული თემაცაა. მდიდარი იყო ვენახისადმი, ღვინისადმი ხალხის სამეურნეო-ყოფითი მიმართება და მისი შესაბამისი სიტყვიერი სურათიც.[2]

ნიკო მარი ბასკებისა და ქართველების სიახლოვისათვის სწორედ ამიტომაც თვლის ხელსაყრელად ვენახისადმი ლინგვისტურ მიდგომას: “შე დუმილით ვუვლი გვერდს, როგორც უაღრესად მადლიან ენათმეცნიერულ თემას ყურძნის, ბაღის, ვაზის, ღვინისა და სხვათა შესახებ. დავსძენ მხოლოდ, რომ აქ ჯერ კიდევ იგონებენ, როცა ხეებზე ეშვებოდა ვაზი იმგვარად, როგორც ჩვენთან, გურიაში...“[3]

ღვინის ღვთაებად გამოცხადება წარმართული მოვლენაა. ბახუსი[4] იყო ღვინის ღმერთი, რაც ნიშნავს თვით ღვინის გაღმერთებას. ღვინის გაღმერთების ელინურ სტილს პოულობენ გურული „აგუნას“ სახით.

აგუნა მელვინეობის ღვთაებაა, როგორც ამას ამტკიცებენ ქართველი მკვლევარები: „მათვე შენიშნეს საგულისხმო დამთხვევა აგუნას ლექსში მოხსენებული გურიის სოფლების — ბახვისა და ასკანის სახელებსა და

---

[1] ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, 1972, გვ. 10

[2] სიტყვა „ღვინის“ უცხოურ ენებში მიმოქცევის შესახებ იხ. აგრეთვე კაგაროვის დასახ. ნაშრომი, გვ. 155

[3] Н.Я. Марр, Из Пиренейской Гурии, Тб., 1927, стр. 3

[4] Ф.Ф. Зелинский, Религия еллинизма, Ц., 1922, стр. 18.

იაკ-ბაკხოს — „ეჭვი არ არის: ის იგივურია ძველი საბერძნეთის ოლიმპოსის ერთ-ერთი უდიდესი ღმერთის - დიონისე-ბახუსისა“.

საინტერესოა აგრეთვე დიონისეს კულტთან დაკავშირებით ასეთი ორიგინალური შეხედულებაც: „ფ.ფ. ზელინსკის აზრით, საყოველთაოდ მიღებული აზრის წინააღმდეგ— დიონისე არ იყო საკუთრივ „ღვინის ღმერთი“ (ჰომეროსმა ბრწყინვალედ იცის ღვინო, მაგრამ არა დიონისე, როგორც მისი მწყალობელი); პირველად ეს იყო უბრალოდ „ღმერთი“, რომელსაც განადიდებდნენ მთა-გორებზე აღფრთოვანებული ეაკხური ზნე-ჩვეულებებით“. იხ. კაგაროვის დასახ. წიგნი, გვ. 157.

ძველი ბერძნული ღვინის ღმერთის ბახუსის და მისი შთამომავლის ენეასის ვაჟის ასკანიის[1] სახელებს შორის.

პროფ. ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით აგუნას კულტს თავისი ფესვებით წარმართული სარწმუნოების შორეულ ხანაში მივყევართ. ხალხმა თავის რელიგიურ პანთეონში იმთავითვე ვაზისა და ღვინის მფარველ ღვთაებასაც მიუჩინა ადგილი".[2]

აგუნას კულტის გამოძახილს პოულობენ აგრეთვე ლეჩხუმში: ქართველების დამოკიდებულება ვაზისა და ღვინისადმი უძველესი დროიდან რაღაცნაირი მოწიწებით, რიდით გამოირჩეოდა; იგია ლხინის წყაროც და ჭირის თმენის საშუალებაც. ამ საწყის წარმართულ ძირებს დაემყნო ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი. ღვინო გახდა ხელის განბანვის, ჭირის საზიარებელი საშუალებაც. ზედაშე არის ღვინის ქრისტიანიზებული გაღვთიურების, წმინდა მოვლენად ქცევის გამოვლენაც. თვით კათოლიკური პანთეიზმი — პური არის ქრისტეს სხეული, ღვინო — სისხლი მისი, ქრისტიანულ რელიგიასთან შეგუების ახალი ფორმაა. ღვინო ქართულ სინამდვილეში არანაკლებ რელიგიური მნიშვნელობისაა, შეიძლება ითქვას, იგი ესთეტიკურად იყო გაღმერთებული. გაღმერთება აქ ნიშნავს ხოტბას, განდიდებას, მადლობის შეწირვას.

გვერდს ვერ აუვლით ამ საკითხთან დაკავშირებით არქანჯელო ლამბერტის დაკვირვებებს. მით უმეტეს, რომ იგი ჰიპოთეტურად სვამს საკითხს ქართველი ხალხის უძველესი ბიბლიური წარმოშობის ძირძველი მოდგმის ხალხის შესახებ:

ვინ იცის, იქნება ძველებმა იმიტომ უწოდეს ქართველებს გიორგიანი (ეს სიტყვა ნიშნავს მიწის მუშას), რომ პირველად ნოემ ამ ქვეყანაში ავარჯიშა ეს ხელობა და იქნება ამ დაბადებამ ამ ქვეყნის მკვიდრთ ამისათვის უწოდა მიწის მუშაკნი. „და იწყო ნოემ კაცმან საქმედ ქვეყანისა და დაასხა ვენახი".[3] აქ ბერძნულ თარგმანში წერია: „ნოე ანდროპოს გეორგეს". იქაუ-

---

[1] „მაგრამ, ამბობს (დემეტრიოსი), გეფიცებით ზევსს, უნდა ზოგიერთი უმნიშვნელო დამატება მივიღოთ, როგორიცაა, „შორიდან ასკანიდან" (ილ. II, 863)" (იხ. სტრაბონი, XII, II, 20)

[2] ა. ლეკიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 115

[3] დაბად. თ. 9. მუხლ. 20

რებს დღემდის მარტო სახელი კი არა, ჩვეულებანიც თავის პირვანდელ წინაპრებისა შერჩენიათ. მართლაც მიწის მუშაობას, როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში ისე ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანის მუშაობა. სხვა რომ არაფერი იყოს, ნოესგან მათ ჩამომავლობას ეს მათი ჩვეულება ამტკიცებს: ყოველგან ვენახებს აშენებენ და ცდილობენ ბევრი ღვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ".[1]

ვაზისა და ღვინის კულტი საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი ბიბლიაში, განსაკუთრებით ძველ აღთქმაში. აქ სრულადაა გადმოცემული ვაზის მოვლის, ყურძნის კრეფის სურათები. ძველი ებრაელებისათვის ყურძნის კრეფა ყველაზე სამხიარულო შრომა იყო. იგი სრულდებოდა სიმღერით, მუსიკით. ვაზი დიდი სიყვარულით სარგებლობდა, მას თვით ღმერთი მფარველობს. ძველ იუდეველთა ეკლესია შედარებულია „დიადი ვაზის" მცენარესთან, რომელიც მორთულია ბრწყინვალე ნაყოფით.

საწნახელში ღვინის დაწურვა, საწნახელიდან ქვევრებსა და ტიკებში ღვინის გადასხმის ტრადიციაც კარგადაა ცნობილი ძველ ებრაელებში. გარდა ნატურალური ღვინისა, ამზადებდნენ აგრეთვე ხელოვნურ ღვინოს — ვაშლისა და თაფლისაგან...

ნამდვილი (ნატურალური) ღვინო ფრიად განდიდებულია. იგი ნიშნავს სიმბოლოს ძლიერებისას, სილამაზისას, რასაც თაყვანსა სცემდნენ ძველი ებრაელები.

ვაზი (მაღალი ვაზი) ქართულ წარმართულ ეკლესიაშიც გაღმერთებულია. აქაც ეს არის სიმბოლო ხანგრძლივი, ნაყოფიერი სიცოცხლისა. „მაშასადამე, მაღალი ვაზი მიჩნეული უნდა ყოფილიყო წმინდა მცენარედ, რამდენადაც ქართველების რწმენით, წმინდა ადგილებში მყოფი ხე-მცენარეები უნდა ყოფილიყო წმინდა".[2]

საგულისხმოა, რომ ყურძნისადმი, ვენახისადმი, შეიძლება ითქვას, მტერ-მოყვრულ დამოკიდებულებაზეცაა მითითება როგორც ბიბლიაში, ისე ქართულ წარმართულ რწმენაში. რას ნიშნავს ეს? ვენახი, ყურძენი, ღვინო გაღმერთებულია, მაგრამ ვენახმა ერთგვარი მტრობაც იცის. ბიბლიაში

---

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938, გვ. 9

[2] В.Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 57

მოსესთან ლაპარაკია შხამიან ყურძენზე. ქართულ წარმართულ პანთეონში კი ყურძნის შეუჭამლობას სიკვდილი მოაქვს. „ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც მწიფე ყურძენი არ უჭამიათ, დაიხოცნენ უდროოდ“.[1]

მრავალ ხე-მცენარეს ხვდა წილად ყოფილიყო ამა თუ იმ ხალხის ღმერთი: ალვის ხე, დაფნა, კაკალი, ვარდი, ვენახი... ვენახის კულტი ყველაზე გამძლე აღმოჩნდა. ძველი აღთქმის დამოკიდებულება ვაზისადმი არც ახალმა აღთქმამ უარყო. ახალი აღთქმის პრინციპებისათვის ერთგვარად უცნაურიც ჩანს მცენარის ეგოდენი მოწონება. მაგრამ ქრისტეს მოძღვრებაში არსებითად ვენახი სიმბოლური მნიშვნელობისაა, თუმცა არც მისი რელიგიური მნიშვნელობაა უარყოფილი. რაც შეეხება ღვინოს, ისიც ღვთის სისხლადაა მიჩნეული. ესეც სიმბოლიკაა, მაგრამ როცა ქრისტემ თვით დააპურა ხალხი — პური და ღვინო უკურთხა, აქ უკვე არა მხოლოდ სიმბოლიკაა. ქრისტე მოწაფეებს ეუბნება: „...მიიღეთ და სჭამეთ ესეც არს ხორცი ჩემი“.

„და მოიღო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰრქუა: სუით ამისგან ყოველთა, რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი (ახლისა) აღთქუმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული, მისატევებლად ცოდვათა“.[2]

როგორც უკვე ითქვა, ვენახის ქრისტიანული კულტი მიანც სიმბოლური მნიშვნელობისაა. იგია ქრისტიანულად გამრავლების, სიცოცხლის, გახარების სიმბოლო: „ყოველმან ვენახმან რომელ ჩემ თანა დამკვიდრებულ არს და არა გამოიღოს ნაყოფი, მოჰკუეთოს იგი და ყოველმან რომელმან გამოიღოს ნაყოფი, განწმინდოს იგი და უფროისი ნაყოფი გამოიღოს“.[3]

ქრისტე თავის თავს უწოდებს საფუძველს, რომელზედაც დაყრდნობით შეიძლება სიკეთემ ნაყოფი გამოიღოს: „მე ვარ ვენახი, და თქუენ რტონი“.[4]

„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული..“. ახლად აყვავებული ნიშნავს იმავეს, რასაც თვით ქრისტე ამბობს ღვინოსთან დაკავშირებით: „...სისხლი ჩემი (ახლისა აღთქუმისა“. “ახალი აღთქმა“, ახალი ფუძე, ახალი ძირი

---

[1] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58
[2] მათე, 26-29
[3] იოანე, 2 (C)
[4] იოანე, 5 (C)

ქრისტეს მიხედვით იყო თვით ქრისტე, რომლის მიხედვით, როგორც ვენახს აქვს ძირი, ფესვები და აქვს რტოები, ისე კაცობრიობის ძირი, საფუძველი ვარ მე, უფლის ძეო (როგორც ცნობილია ქრისტე თავის თავს ღმერთს არ უწოდებს, უფლის ძედ თვლის). როგორიც უნდა იყოს ამ ამბების ზღაპრულობა, იგი ნება-უნებლიეთ ქართულ ყოფა-ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულებებში ღრმად შეჭრილი მოვლენებია, რომელთა გარეშე ზედმეტია ტრადიციის ძირებზე მსჯელობა.

საგულისხმოა, რომ ძველ ხალხებს ზოგჯერ არამათრობელი სხვა სასმელის კულტიც ჰქონდათ.

სასმელის გაღმერთების ფაქტს ვხვდებით ძველ ინდოეთში. ინდური მცენარე „სომა", სომას წვენი, როგორც ვენახის ნაყოფი ღვინო, გაღმერთებულია, რომელსაც „რიგვედას" IX წიგნში 120 ჰიმნი ეძღვნება. მათი წარმოდგენით, ეს არის უძვირფასესი და ჯადოსნური სასმელი, რომელიც ჰკურნავს ადამიანებს მრავალ სნებათაგან და განამტკიცებს სიცოცხლის ძალას.[1]

ღვინის გარეშე არ წარმოიდგინება ქართველი კაცი. ჭკვიანი კაცისათვის იგი ჭკუის ელვარების შემძენია, უჭკუოთათვის მამხილებელი...

გენიალურად არის ნათქვამი ფშავურ ხალხურ ლექსში:

ღვინოვ, შე ჭაჭანაისძეე, უცეცხლოდ ამდულებდი,
ჭკვიანს კაცთანა ბრძენი ხარ, უჭკოსთან ამოჰქუხდები.

პოეზიის თვალით, დარდიან გულზე დალევა სევდის გასაფანტავი, სასიცოცხლო ენერგიის აღმდგენელ საშუალებად მიაჩნდათ და არა სევდის მელანქოლიურ გამაღრმავებლად. ფიქრობდნენ: დარდს გული არ უნდა დაალრღნევინოს კაცმა. მართლაცდა, ქეიფი კვლავ აღადგენდა ქართველი კაცის სულიერ წონასწორობას, კვლავ სიცოცხლის ხალისით აღავსებდა მას, შემდეგ კი კავს ან ხმალს ღონივრად მოჰიკდებდა ხელს. ქეიფი თვით

---

[1] Культура древней Индий, М., 1975, стр. 72. სომას შესახებ ხშირად ვხვდებით აგრეთვე საუბარს ბეტანისა და დუგლასის დასახ. წიგნში. მათრობელ სასმელთაგან, გარდა ღვინისა, ცნობილია აგრეთვე ლუდის გაღმერთება. ლუდი თუმცა ბიბლიაში არ იხსენიება, მაგრამ მის საშობლოდ პალესტინას მიიჩნევენ. ხევსურეთში "წმიდა ლუდის" საკულტოდ დალევა სრულდებოდა საგუნდო სიმღერების ცერემონიალით (იხ. ვ. ბარდაველიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 55).

სიმღერების თემა და შინაარსი გახდა. ე.ი. მღეროდნენ სიმღერის შესახებ. ქართული ქეიფის სიმღერები აღმოსავლურ-დასავლურ ინტონაციებს შორის არის წარმოქმნილი. თუმცა თავანკარა ქართული მუსიკის არსში აღმოსავლეთმა რაიმე ძირეული გავლენა ვერ მოახდინა.

აღმოსავლური გავლენა ძირითადად იმ გენიალური სპარსული პოეზიისაგან მოდიოდა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ დასავლეთის პოეტები, მათ შორის გოეთე. აღმოსავლური სამყაროს პოეტურობის ნიშნად მიაჩნდათ სწორედ აღმოსავლური დარდიმანდობა, უზრუნველყოფა. ჰეგელის თქმით, აღმოსავლეთის პოეტი თვით სევდაშიც უზრუნველიაო. იგი საწუთროსადმი ერთს დაიჩივლებს, ხელს ჩაიქნევს... დასავლეთის პოეტი კი ბედთან შეჭიდების გრძნობითაა აღვსილი. იგი უბრალო სამდურავით არ კმაყოფილდება. მაგალითად, მიუხედავად ფორმით დიდი მსგავსებისა, ძალიან დიდი შინაარსობრივი, უფრო ზუსტად, სულისკვეთების განსხვავებაა შემდეგ პოეტთა სტრიქონებში:

მერიქიფევ, მე ისეთი ღვინო მასვი,
რომ მასში ჩაკვდეს ჩემი მწუხარება.

(რუდაქი)

და:

ეგება გულის ვარამი,
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია;
თვალთ წინ დამიდგეს ლამაზი,
ერეოლა მამკიდოს ტანშია,
დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა
გადავერიო ზღვაშია.

(ვაჟა)

უცხოელი სტუმრები აღტაცებული არიან ქართული ლხინით და როცა თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებიან, ხშირად, სვეტიცხოველის ნაცვლად, ჩვენს ყანწსა და კულაზე ლაპარაკობენ. ეს თვით ჩვენი ტრადიციების, გადაჭარბებული ქეიფების შედეგია. ქართული ლხინის მომხიბვლელობას მაცდუნებელი მხარეც ჰქონდა. ეს ერის მოწინავე შვილებსაც ესმოდათ და უცხოელებსაც. ლხინმა და არხეინობამ ბევრგზის ჩააძინა ჩვენი ხალხი, მოუდუნა მას სიფხიზლე, საქმისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების უნარი.

„მეგრელები და მათი მეზობლები ღვინოს სვამენ. ისინი ღვინის სმაში აჭარბებენ გერმანელებს და ყველა ჩრდილოელს. ღვინოში არასოდეს წყალს არ ურევენ. კაცი და ქალი სუფთა ღვინოს სვამს. შეზარხოშებულებს ნახევარლიტრიანი თასები ეპატარავებათ და პირდაპირ ლანგრიდან და დოქებიდან სვამენ.

...სტუმრებს და მეგობრებს აიძულებენ, სვან ღვინო უკანასკნელ შესაძლებლობამდე და ამავე დროს ერთმანეთს მიმართავენ ზრდილობითა და ქათინაურებით".[1]

თუ ალექსანდრე დიუმას სხვა ცნობები თხზულებაში „კავკასია" ისევე სარწმუნოა, როგორც ღვინის სმასთან დაკავშირებით, მაშინ ცოტა ეჭვით უნდა მოვეკიდოთ მის სხვა ინფორმაციასაც.

„ქართულ სუფრაზე ჩვეულებრივი მსმელები ხუთ-ექვს ბოთლ ღვინოს სვამენ; უფრო დიდი მსმელები კი თორმეტ-თხუთმეტ ბოთლს. გამოერევიან ისეთებიც, ბოთლებით კი არა, ტიკებით სვამენ, ესენი ოც-ოცდახუთ ბოთლამდე ადიან. საქართველოში სასახელოა, თუ შენ მეზობელზე მეტი დალიე. ასე რომ, ქართველი საშუალოდ თხუთმეტ ბოთლს სვამს".

დიუმა დიდი სიყვარულით მიიღეს ქართველებმა. ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციაში ისიც შედის, რომ თუ სტუმარს სურს ყველაზე ღონიერ კაცად იქნეს მიჩნეული, ქართველები დაუდასტურებენ, რომ ეს ასეა:

„ბ-ნი ალექსანდრე დიუმა ეწვია ჩვენს უბადრუკ რედაქციას, სადაც მისთვის გამართულ სადილზე ქართველებზე მეტი ღვინო დალია. 1858 წ. 28 ნოემბერი. ქართული ჟურნალის „ცისკრის" რედაქტორი ივანე კერესელიძე".[2]

„როგორც ვიცით, ქართველები დედამიწის ზურგზე პირველი ღვინის მსმელები არიან, ხოლო თავაზიანობა, რომლითაც მე ცნობა მომცეს, მათ სახელს ვნებას ვერ მიაყენებს. ასეთი მოწმობა, როგორც მრავალი სხვაც, ალბათ, მათი შემწყნარებლობის შედეგია".[3]

---

[1] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, გვ. 122

[2] ალ. დიუმა, კავკასია, 1964, გვ. 345

[3] იქვე

ქართველების სიყოჩაღეს ღვინის სმაში, როგორც ჩანს, პუშკინიც გაუკვირვებია. დიდი პოეტი აღტაცებულია ქართველი კაცების ფიზიკური სიმაგრით, მეგობრული ხასიათით. პუშკინი მოუხიბლავს კახური ღვინოს. საზოგადოდ, მისი მშვენიერი თხზულება „Путешествие в Арзрум...“ ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულითაა დაწერილი. პოეტისათვის მიწაში ჩაფლულ უზარმაზარ ქვევრებში ნანახი კახური ღვინო ერთგვარი ეგზოტიკური აღმოჩენაა. გავიხსენოთ მისი სიტყვები დასახელებული თხზულებიდან:

„Грузины пьют и не по-нашему, и удивительно крепки Вина их не терпят вывоза и скоро портятся, но на месте они прекрасны. Кахетинское и карабахское стоят некоторых бургонских. Вино держат в маранах, огромных кувшинах, зарытых в землю. Их открывают с торжественными обрядами. Недавно русский драгун тайно открыв таковой кувшин, упал в него и утонул в кахетическом вине“.[1]

ქართულ ლხინს, თვით სადღეგრძელოს შესანიშნავი პოეტური სახე შეუქმნა გრიგოლ ორბელიანმა. მისი „სადღეგრძელო“ არის ნამდვილი პოეტური გამოხატვა ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიისა. ეს არის აგრეთვე გარკვეული სტილიც ისტორიისადმი ქართული მიმართებისა. დროის სიშორის რომანტიკა, საუკუნეთა შორეთისადმი ამაღლებული, დარბაისლური დამოკიდებულება, რომელსაც თითქოს რაღაცნაირი იდუმალება თანა სდევს, იგრძნობა თავისი ისტორიით სიამაყე.

„სადღეგრძელო“ ლამაზი, მჭევრი ქართულის განსახიერებაა. სრული სათაური ამ ნაწარმოებისა უფრო გარკვეულ სურათს ქმნის. „სადღეგრძელო ანუ ომის შედგომ ლხინი ერევნის სიახლოვეს“. ამ სათაურის წაკითხვისას არ შეიძლება, თვალწინ არ დაგვიდგეს გრიგოლ ორბელიანის პორტრეტი. კაცი, რომელსაც ყოველი სიკეთე ჰშვენის: ხმალი, ყანწი... წარმოგვიდგება დარბაისელი ქართველი ჭკუით და ნიჭით სავსე, ომისგან დაღლილი, გამარჯვებისაგან გამხნევებული. საუკუნეების სიღრმეთა გახსენებისას თითქოს პოეტის მზერა შორს მიემართება, შორს „ცის დასავალსა“. მის სიტყვაში

---

[1] А.С.Пушкин. Роман и повести. М., 1971 (Путешествие в Арзрум во время похода 1829 года). стр. 318

მძიეებადაა აკინძული საქართველოს ისტორიის გვირგვინოსანთა, მის მამშვენებელთა სახეები. ამ ნაწარმოებმა დიდად შეუწყო ხელი ქართველ კაცში მამულიშვილური სიყვარულის გრძნობას. გრიგოლ ორბელიანის ეს ნაწარმოები ადამიანს ამაღლებს, ანიჭებს შინაგან სიამაყეს, სერიოზულობას; აღუძრავს ღრმა ფიქრს, მამულისათვის ერთგულების გრძნობას.

ასეთი იყო ჩინებულ ქართველთა ლხინის პოეტური სურათი, იმ ადამიანებისა, რომლებიც შრომისა და ბრძოლის შემდეგ შეისვენებდნენ. ღრმა იყო მათი ლხინის, სადღეგრძელოს შინაარსი. ლხინი - დასვენება კარგია მძიმე ტვირთისაგან, მაგრამ თუ კაცს ქეიფი პროფესიად ექცა, ქეიფისაგან დაღლილი ქართველი, კარგს ვერას უზამს მამულსა.

ქართულ სუფრაზე მრავალი პოლიტიკურად საჭირბოროტო საკითხიც დასმულა და გადაჭრილა, მრავალი ღირსეული საქმე განმტკიცებულა. მაგალითად, ერთ ასეთ ისტორიულ სუფრას წარმოადგენს საქართველოსთან აჭარის შეერთების გამო მაჰმადიან ქართველთა დეპუტაციის მიღება თბილისში 1872 წელს. სუფრას ესწრებოდნენ ქართველი ხალხის საამაყო შვილები. სუფრაზე სიტყვები წარმოთქვეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა და სხვებმა. ძნელია, დღეს ჟრუანტელის გარეშე წაიკითხოს კაცმა ეს მშვენიერი სიტყვები, რაც უკაშირდება საქართველოსთან აჭარის შემოერთებას.

ეს სადღეგრძელოები წარმოადგენს ბუნებრივი ჭკუის, პოლიტიკური ტაქტის იშვიათ ნიმუშებს.

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოსგან მოკვეთილი აჭარელი ხალხი კვლავ დაუბრუნდა თავის სამშობლოს. აჭარის მიწა-წყალი კვლავ საქართველოს წალკოტად იქცა. ამ დიდ პოლიტიკურ საქმეში დიდი გარჯა გასწიეს აჭარის, საქართველოს, რუსეთის მოწინავე შვილებმა. ქართველმა ინტელიგენციამაც მღელვარებით მიიღო ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი. გრიგოლ ორბელიანის აქ წარმოთქმული სადღეგრძელო სწორედ ღრმა მთრთოლვარებით ალსავსე სიტყვა:

„ბატონებო! რას მოასწავებს ჩვენი შეყრილობა? რა გვიხარია? რას ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სიხარულს მას სანახავსა, როდესაც ერთი დედის შვილნი, შავი ბედის გამო განწირულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად შეჰხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულითა.

და აი, დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვეუფლებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყეველად... და დღეის იქით ლხინშიც, ჭირშიც, უნდა ვიყვნეთ ერთად, ვითარცა ერთნი დედა — საქართველოს შვილნი".[1]

მომხიბვლელია აკაკის სიტყვაც. აკაკი ბედნიერ დღედ თვლის ამ შეკრებას, რომელიც მას მამა-პაპათა ანდერძის აღსრულებად მიაჩნია. მისი სადღეგრძელო ისევე თბილია, როგორც მისი ლირიკა, გული ამ ჩინებული ქართველი პოეტისა:

„დიაღ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდეე არ გაგვიფუჭებია, და რა იყო ბატონებო ის ანდერძი? აქ მე გადაჭარბებულს არ ვიტყვი. ეს ანდერძი იყო დედაენა და ერობა! ამაების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევია და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარხსენებულ მამა-პაპებს!"

საერო და საეკლესიო მუსიკალური ტრადიციების ბრძოლის ანარეკლი ქართულ ზნე-ჩვეულებებში

საეკლესიო მუსიკალური ტრადიციების სფერო, მისი მნიშვნელობა წინასწარვე გარკვეული სიცხადით წარმოგვიდგება. ჩვენ ვიცით, ასე თუ ისე რა თვისებრიობა უნდა მოვიაზროთ ნაწარმოებებისა. მაგრამ მის მოპირისპირე ცნებას — „საეროს" გაცილებით უფრო ჭრელი შინაარსი აქვს. საქართველოს ისტორიის მთელ სიგრძეზე თუ გვინდა წარმოვიდგინოთ ერთი მნიშვნელობის, თანმიმდევრული შინაარსის მქონე თვისებრიობა საერო კულტურისა, საერო მუსიკისა, ეს გაცილებით დიდ სიძნელეს აწყდება.

საერო და საეკლესიო კულტურათა დაპირისპირების დროს ჯერჯერობით მისი ცხადი, გამოკვეთილი შინაარსის მქონე ფილოსოფიური განსაზღვრებანი არ მოგვეპოვება. ეს არის სწორედ ფილოსოფოს-ქართველოლოგთა საქმე. ამ რთული საქმის პრეტენზია ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ ფილოსოფიური ასპექტით ქართულ ზნე-ჩვეულებებზე ლაპარაკის დროს ამ ცნებებისათვის გვერდის ავლაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

---

[1] თ. სახოკია, გურია, აჭარა, სამურზაყანო, 1950, გვ. 153

სხვადასხვა რელიგიური შინაარსის მქონე ზნე-ჩვეულებათა შორის ბრძოლის დროს ყველაზე ეფექტური საშუალება იყო მუსიკალური გადაბირება, ხალხის გულის მიმხრობა მუსიკის საშუალებით. რელიგიური მტრობა, უკომპრომისობა ხელოვნებაში არც ერთ სფეროში არ იჩენს თავს ისე მკვეთრად, როგორც მუსიკაში. ეს ბრძოლა იწყება ქრისტიანობის გავრცელებისთანავე. ჯერ კიდევ IV-V საუკუნეში მუსიკალური ბრძოლა წმინდა რელიგიური ბრძოლის სახესაც იღებდა. ზოგიერთი წარჩინებული გატაცებული იყო საერო მუსიკით. მაგრამ ამ დროს საერო მუსიკაში მნიშვნელოვანწილად უნდა იგულისხმებოდეს ზოროასტრული წარმართული მუსიკის ჰანგები. ამიტომაც არიან ასე გაცხარებული ქრისტიანობის აპოლოგეტები. მათი აზრით, „ნაძირალები" არიან ის მუსიკოსები, რომლებიც ხორციელ სიამეთა აღმძვრელ ჰანგებს მღერიან. მაშრიბნი და მუტრიბნი წარმავალი სიამოვნებისა და განცხრომისათვის არიან მოწოდებულნი. ამიტომ გააძევა ისინი არჩილ მეფემ: „...და რადგან ბევრ წარჩინებულს ამა ქვეყნისას, ამ უზრუნველებსა და სიამოვნებათა მაძებართ ჩვეულებად ჰქონდათ მოეწვიათ თავისთან მაშრიბნი და მუტრიბნი, ამა სოფლის ნაძირალები (თუ არარაობანი — ს. ყაუხჩიშვილი), რათა ემღერათ სიამოვნებისა და წარმავალი განცხრომის მოსაგვრელად, მან დაიქირავა, როგორც ეს ქმნა დავით მეფემ, წმინდა გალობათა მომღერალნი, რომელნიც პურის ჭამის დროს და ყოველ დროს ღვთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ, ასე რომ მისი სასახლე არაფრით არ განსხვავდებოდა ეკლესიისაგან".[1]

ქართული მუსიკალური ტრადიციების ბრძოლის მთელი სურათი აშკარად გვიჩვენებს, რომ ქრისტიანული საგალობლების მოყვარულთათვის, მორწმუნე ქრისტიანთათვის ზიზღის ობიექტია არა ყოველგვარი წარმართული, არამედ ისეთი მუსიკა, რომელიც სხვა რელიგიის თვალსაზრისს გამოხატავს. ქრისტიანთა ზიზღის ობიექტია სპარსული ჰანგები: ჯერ ზოროასტრულ-სპარსული, შემდეგ მაჰმადიანურ-სპარსული. ეს ბუნებრივიცაა. სპარსული ჰანგები (მაშრიბნი და მუტრიბნი) ანტიქრისტიანულ პოზიციას გამოხატავენ. განსაკუთრებით შეუწყნარებელია იგი ისეთი მორწმუნისათვის, რომელიც თეორიულად იცავს თავისი სარწმუნოების პრინციპებსა

---

[1] გეორგიკა, II, იოანე რუფინუსი, 1965, გვ. 252.

და ხალხის ქრისტიანულ ზნე-ჩვეულებებს. მაგრამ მორწმუნე ფეოდალი, ხშირად, მიდის რა ეკლესიაში, ლოცულობს ქრისტე ღმერთს, თუმცა მისი ხედვა და სმენა სპარსულ ჰანგებს მოუხიბლავს. ის ესთეტიკურად უკვე სხვა რელიგიის მქონე კულტურის მიმდევარია. მაშასადამე, მისი გულის ძგერა აღარ არის ქრისტიანული. ამიტომ ებრძვიან სპარსულ ჰანგებს. შეიძლება ვთქვათ, რომ ქრისტიანობის ფანატიკოსი აპოლოგეტები ყოველგვარ არაქრისტიანულ მუსიკას გმობდნენ? არა, ეს რომ ასე ყოფილიყო, საეკლესიო მუსიკა, დაწმენდილი ქართული მუსიკალური ფოლკლორიდან, არ შეიძენდა ისეთ დიდ ფასეულობას, როგორიცაა პოლიფონიურობა (მრავალხმიანობა). მრავალხმიანობა არც სპარსული მოვლენაა და საზოგადოდ არც აღმოსავლეთისგან მიღებული თვისება. „მრავალხმიანობა ქართულ მუსიკას წარმართობის ხანაშივე უნდა ჰქონოდა და იმ დროითვანვე უნდა ჰქონდეს საუკუნეთა განმავლობაში შენარჩუნებული...“[1] მაშასადამე, ქართული საგალობლების საზრდო ყოფილა ხალხური პოლიფონია. მას არათუ უარუყვია, არამედ შეუთვისებია ეს დიდებული თვითმყოფადი ქართული ხალხური მუსიკა. „მრავალხმიანობა — წერს ი. ჯავახიშვილი — ქართული მუსიკის შინაგანი განვითარება-წარმატების ნაყოფია“.[2]

რუფინუსის მიერ დახასიათებული მუსიკა, რომელსაც გმობს არჩილ მეფე, ცხადია, სპარსულ ჰანგებს გულისხმობს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ „მაშრიბნი“ და „მუტრიბნი“ იხსენებიან, არამედ ხაზგასმულია ცეცხლთაყვანისმცემელთა მიწიერ სიამეთა აპოლოგია. ეს რელიგია ხორციელ სიამეთადმი, ამქვეყნიურ ფუფუნებისა და განცხრომისადმი ფრიად ხელსაყრელ სანქციას იძლეოდა.

რაც შეეხება არჩილ მეფეს, თუმცა იგი საერო პირად ითვლება, მაგრამ გაცილებით მეტი ფანატიზმით იცავს საეკლესიო ცხოვრების პრინციპებს, ვიდრე მოწესენი. არჩილ მეფე ნამდვილი ასკეტი იყო, საზოგადოდ საერო პირებს შორის იშვიათი როდი იყო ასკეტიზმი. ცნობილია, რომ ხშირად მორწმუნენი ღმერთს აღთქმას აძლევდნენ, რომ არც გათხოვდებოდნენ, არც ცოლს შეირთავდნენ, იცხოვრებდნენ საზოგადოებაში, მაგრამ როგორც

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1930, გვ. 327

[2] იქვე

ასკეტები. ე.ი. ლაპარაკია არა ბერ-მონაზვნებზე, მონასტრის კედლებში მოღვაწე ადამიანებზე, არამედ საერო საზოგადოების წიაღში მცხოვრებ პირებზე. მაშასადამე, ისტორიულად მკაცრი ზღვარის გავლება საერო და მოწესე პირებს შორის იმის მიხედვით, ვინ მეტად ერთგულებდა ღმერთს, ძნელი საქმეა, ამიტომ ზოგჯერ სასულიერო მუსიკას არანაკლები მხარდამჭერი ჰყავს მეფის სასახლეში, ვიდრე ეკლესიაში.

ეროვნული ხასიათის მუსიკისა სწორედ საეკლესიო და საერო მუსიკალურ ბრძოლაში ყალიბდება. ეს მხარეები კიდეც ებრძვიან ერთმანეთს და კიდეც თანამშრომლობენ. მართალია, სასულიერო მუსიკა თავის რელიგიურ პრინციპებს არ თმობს, მაგრამ ქართული ქრისტიანობა აქაც ისეთივე ლოიალური, უფრო ზუსტად ეროვნული ინტონაციებით ვლინდება, როგორც, მაგალითად, ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, ხუროთმოძღვრებაში... მკაცრი ქრისტიანიზმის შემთხვევაში ჩვენი საეკლეისო საგალობლები ეროვნულ მუსიკად არ უნდა ქცეულიყო. მას ქართული ეროვნული კილოები არ უნდა შეეთვისებინა. ე.ი. ქრისტიანული საეკლესიო მუსიკა ბიზანტიისა, პალესტინისა, სომხეთისა, საქართველოსი, გარკვეული აზრით, ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართული მუსიკალური საგალობლების პოლიფონიურობა თვით ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციებით იყო განაყოფიერებული.

„ხალხური", „წარმართული", „საერო" — ეს ტერმინები ხან გადამკვეთი, ხან ურთიერთდამფარავი შინაარსისაა. ხალხური მუსიკის ცნებაში შედის წარმართული და იგივე საეკლესიო სიმღერებიც (გარკვეულად ტრანსფორმირებული სახით). ე.ი. ხალხისთვის მთავარია მისმა გულმა მიიღოს, საამო ღელვა-ჭმუნვა, სიხარული ამოიკითხოს და სულ ერთია, იქნება ის საეკლესიო, თუ წარმართული. მუსიკის ხალხური აღქმა და შემოქმედებითი განვითარება თავისუფალია რელიგიური ცენზურისაგან. „ხალხური მუსიკა", „საერო მუსიკა" — ამ გამოთქმებს შორის უდაოდ იგრძნობა სოციალური შინაარსი. სხვანაირად განსხვავებაზე ლაპარაკი აქ ძნელია. მაგალითად, ერისკაცი ქართულ ისტორიულ სინამდვილეში არ გულისხმობს მონას, ყმას, გლეხს... ის გულისხმობს გვარიშვილს, დიდგვაროვანს, ვისაც უფლება აქვს ერის საქმეებში ერეოდეს. ამიტომ საერო პოეზია (საკარო პოეზია) გულისხმობს ხელოვნებას სასახლის დიდგვა-

როვანთათვის. საერო გემოვნებას აქვს თავისი სოციალური კრიტერიუმები (არა გამოკვეთილი პრინციპებით), მაგრამ ის ყოველგვარ სიმღერას არ კადრულობს, მდაბიურს არ ღებულობს.

არჩილისნაირი მეფეების სასახლეები არ წარმოადგენს საერო მუსიკალური ტრადიციების კერას. ასეთი მეფენი მაინც გამონაკლისები არიან. ძირითადად მეფე, ერისთავი, ფეოდალი თავის კარზე მომლხენ მუსიკას ეტანება. მისთვის მუსიკა გრძნობად-დამატკბობელი ფუნქციისაა. სასულიერო საგალობლებს კი ნაკლებად იგუებს ქართული ლხინი, ქეიფი, რომლის განუყოფელი ნაწილია სიამოვნების პრინციპებით შერჩეული სიმღერები, რასაც ბრძოლის შემდეგ დაღლილი მეფე-ერისკაცები მღერიან, ისმენენ... სასახლესა და ეკლესიას შორის მიანც დიდი მანძილია. მიუხედავად ამისა, ხალხიდან და სასახლიდან საეკლესიო მუსიკამ შეიძინა არა მხოლოდ თემატიური სივრცე, არამედ მუსიკალური პრინციპი მრავალხმიანობისა. ქართული საგალობლების მკვლევარებმა ვერავითარი სხვა ქვეყნიდან მომავალი წყარო ვერ აღმოაჩინეს ქართული საეკლესიო მუსიკის ერთხმიანობიდან მრავალხმიანობაზე გადასასვლელად.

როგორც ცნობილია, საქრისტიანომ ძველ ებრაელთაგან შეითვისა წირვა-ლოცვის ერთხმიანი გალობა, „...რომელიც დასავლეთ ევროპის კათოლიკური და ქართული ეკლესიების გარდა, დღევანდლამდე ერთხმადვე შერჩა ბერძნულს, სომხურსა და ასურულ ეკლესიებს. მე-10 საუკუნემდე თვით რომის ეკლესიასაც ერთხმიანი გალობა ჰქონდა".[1]

მე-10 საუკუნიდან ქართული საგალობლები სრულიად დამოუკიდებელია ბერძნულისაგან. მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული ამ ფაქტის სრულ დადასტურებას წარმოადგენს.[2]

საზრდო ქართული საგალობლებისა გახდა ხალხი. ჩვენმა ხალხმა გაამდიდრა და შეიძლება ითქვას, გადაახალისა კიდეც საქრისტიანო მუსიკის, საგალობლების მუსიკალური პრინციპები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული საგალობლები და ხალხური, საერო,

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1930, გვ. 224

[2] იქვე

წარმართული მუსიკა ურთიერთთანამშრომლობის გზით მიდის. ცხადია, საგალობლებს არ დაუთმიათ უმთავრესი სასულიერო პრინციპები, რელიგიური პოზიცია. ამიტომაცაა, რომ მუსიკისაგან შორს მყოფი ქართველი კაციც ადვილად არჩევს, რომ ის სხვანაირი მუსიკაა. ამასთან, მათ შორის კილოთა მსგავსებაც ცხადია: „ლოცვამან ანნა“, „სამსახეობა სამებისა“ და სხვ. ამგვარი სხვადასხვაობა ერთი და იმავე საგალობლების კილოებისა საერო სიმღერებშიც მოიპოვება: „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო“, „ალილო“...[1]

მუსიკალურ ტრადიციათა ბრძოლების მიზანი მხოლოდ მუსიკალური უპირატესობის აღიარება კი არ იყო. ეს იყო რელიგიური, ეროვნული, ზნე-ჩვეულებების უპირატესობის დამტკიცებისათვის ბრძოლა. ამიტომ ეს ესთეტიკური ბრძოლა ღრმა სოციალურ შინაარსს გამოხატავდა. ამ ბრძოლაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ, შეიძლება ითქვას, მუსიკალურ დიპლომატიას. ეკლესია ზოგჯერ ერიდებოდა შებრძოლებას წარმართულ ზნე-ჩვეულებებთან, არჩევდა დიპლომატიურ გზას. იგი ხალხურ ჰანგებს, ხალხისათვის საყვარელ მელოდიებს რელიგიურ ტექსტს შეაპარებდა. მაშასადამე, ხალხი თუმცა წარმართულად მღეროდა, მაგრამ სიტყვებით ღმერთს განადიდებდა. „...გამარჯვებულს ქრისტიანობას წარმართული ზნე-ჩვეულებების მთლიანად აღმოსაფხვრელად ხალხში გავრცელებული ჰანგებიც კი გამოუყენებია საეკლესიო საგალობლების სიტყვებისათვის“.[2]

ამ მხრივ საყურადღებოა კარგად ცნობილი ამბავი — ქრისტიანული ასური მოღვაწის ბარდესანის მუსიკალურ-დიპლომატიური ხერხი, მან არათუ წარმართული ჰანგები, არამედ ცეკვებიც კი გამოიყენა, ე.ი. ჯერ ესთეტიკურად მონათლა თანამოძმენი და ამ მხრივ მიიყვანა ისინი ქრის-

---

[1] პ. კარბელაშვილი, ქართული საეკლესიო და საერო კილოები, 1898, გვ. 34-35. საზოგადოდ, ხსენებული ავტორის ნარკვევს თუმცა ტენდენციურობა ემჩნევა, მაგრამ მისი შეხედულებანი დღესაც ძალაშია: „სრულიად უცხო და ყოველ მსგავსებას მოკლებულია ბერძნული გალობა ქართულთან“ (14), “ბერძნული გალობისაებრ სომხური გალობის გავლენაც სრულებით უარსაყოფელია“ (15),„ბერძნული გალობა ერთხმოვანია, მოსაწყენი და გულის გამწავრილებელი“ (15)

[2] ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 327

ტიანობამდე. ლოცვების სიტყვები კი იმ ცეკვა-სმიღერების დროს მათთვის შეუმჩნეველად შეასწავლა და შეაყვარა მათ. ამ გზით აქრისტიანებდა იგი წარმართებს.

ხდებოდა პირიქითაც: ტექსტი რჩებოდა წარმართული, ჰანგი კი საეკლესიო. ასეთია, თუნდაც „ბატონები". მაგრამ აქ წარმართული წარმოშობის კვალია დარჩენილი და არა რაღაც რელიგიური პოზიცია: „მუსიკალური შინაარსით „იავნანა" და „ბატონები" ანუ „საბოდიშო" დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ტექსტუალურად, მიუხედავად მათი სხვადასხვა სახელწოდებისა, ერთი და იგივე შინაარსისა და დანიშნულებისანი არიან".[1]

განსაკუთრებული ლირიკულობით ხასიათდება ქართული იავნანას ციკლის ხალხური ვარიანტები. თემატიკურად, როგორც ითქვა, „ბატონებიც" იმავე გვარისაა, ოღონდ მუსიკალურად სხვა ხასიათისა. საგულისხმოა, რომ ამ საეკლესიო საგალობლის ლექსის შინაარსი წარმართულია.

ბატონები არის ბოროტი სული, ავადმყოფობა. თუ წარმართობა ავადმყოფობის სულების გასაფრთხობად ზოგჯერ ჟრიამულს მართავდა, მოგვიანებით თოფებსაც სცლიდა, „ბატონები" უაღრესად ფაქიზ გარემოს მოითხოვს. მის წინააღმდეგ ბრძოლა, უხეშობა არ შეიძლება. ავადმყოფობის ეს სახე, როგორც მრავალი სხვაც, სულს მიეწერებოდა და არა სხეულს. „სულის ადგილსამყოფელად მიიჩნევდნენ გულს, ზოგჯერ აგრეთვე ღვიძლს, სისხლსა და ტვინს. როდესაც სული შორდება სხეულს, სხეული კვდება. თვით დაავადებას სულს მიაწერდნენ — ბოროტ სულს, დემონებს (ჩვენში მათ უწოდებდნენ ბატონებს, ავ სულებს)".[2]

ბოროტი სულებისადმი ამგვარი ლოიალობა გამოწვეული იყო ბავშვების ავადმყოფობისადმი დამოკიდებულების სინაზით, შიშით:

ლამაზი ბატონებია
ია და ვარდი ფენია,
გაუხარდათ ბატონებსა
და უკან პირი იბრუნა.

---

[1] გრ. ჩხიკვაძე, ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, 1948, გვ. 25

[2] ივ. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, გვ. 9

საზოგადოდ, რელიგია, როგორც ამბობენ, შიშმა წარმოშვაო. ამის გამო რელიგიების ისტორიაში იშვიათი როდია საძულველი ღვთაებანი. ასევე იყო ჩვენშიც. „ჩვენს წინაპრებს შიშის გრძნობის გამო კულტის ობიექტად გაუხდიათ თვით საძულველი მტერიც კი“.[1] ასეთია კოპალასა და იახსარის მიერ დევების ამოწყვეტის შემდეგ გადარჩენილი დევ-ქალების ამბავი. „ბოროტი ღვთაების პატივსაცემად თიკანსაც ჰკლავენ. „იმის გამო ილოცვენ, რომ დავიშორათა“ — ამბობს ხევსური. ბოროტი სულები ხშირად ბავშვებს ეტანებიან. „რგება მას არაფერი შეუძლიან, ვნება კი ბევრისა“.[2]

„ბატონები“ საგალობელია, მაგრამ მას ხალხურ საკრავზე, ჩონგურზეც უკრავდნენ. ადრე ერთ ხმაში, შემდეგ ორ ხმაში და ბოლოს ეს მრავალხმიანი საგალობელი, როგორც ვიცით, ქართული მუსიკალური საუნჯის მშვენება გახდა.

„აქვსენტი მეგრელიძის სიტყვით, „საერთოდ ჩვენში (ე.ი. გურიაში) უკრავდნენ ჩონგურზე: 1. საცეკვარს, 2. საბოდიშოს ყვავილბატონებისა და სხვა სახადის დროს დასაკრავებს, 3. სასიმღეროს... 4. საბავშვო, აკვნის ნანინას და 5. ძილად მისვლისას“.[3]

წარმართული მუსიკა ფრიად მრავალფეროვანი ცნებაა. სვანური წარმართული მუსიკა, მეგრული წარმართული მუსიკა... საერთო ნიშნისაა იმის მიხედვით, რომ ბუნების გაღმერთების შორეულ შინაარსს ასახავენ. რაც შეეხება ნასესხებ წარმართულ კერპებს, ის შეიძლება სახელმწიფო რელიგიაც კი ყოფილიყო ძველ იბერიაში, მაგრამ მუსიკალური ფუძე ჩვენი ხალხისა ურყევი იყო. მისი მუსიკალურ-წარმართული ძირი ეს არის ბუნებისა და მუსიკალური სიმღერების შინაარსობრივი და ფორმის მხრივაც მჭიდრო კავშირი. მშობლიურ გარემოსთან სვანურ წარმართულ მრავალხმიან სიმღერებში გუგუნებს სვანეთის სალი კლდეები. ამ ხმაში მოისმის არა მხოლოდ შორეულ ღვთაებათა სახელები, არამედ ფონეტიკური სიახლოვე, რაღაცნაირი შესაბამისობა ამ მითოლოგიურ სამყაროსთან.

---

[1] თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 18

[2] იქვე

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1940, გვ. 280

„საეკლესიო საგალობელი, ე.ი. ქრისტიანული რელიგიური გალობა სვანურად არ არის. მაგრამ არის და მეც მოვისმინე ის, სვანური წარმართული რელიგიური სიმღერა, ღრმა შთაბეჭდილების აღმძვრელი“.[1]

ძველი ქართული წარმართული სიმღერები ძალზე თვითმყოფადია, რაგინდ შორეულსა და უცხო ღმერთების სახელებს უნდა შეიცავდნენ ისინი. ზოგიერთი სიმღერა ან მუსიკალური პერიფრაზი, ფრაგმენტი დღეს იმდენად ჩვენეულად მიგვაჩნია, რომ მის სიტყვიერ შინაარსსაც შორს არ მივდევთ. თითქოს ფონეტიკური აუცილებლობისათვის საჭირო უბრალო წარმონაქმნია, ვთქვათ, ისეთი სიტყვები და მინამღერი, როგორიცაა “ჰარი ჰარალე, თარი არალე“.

„...ძველი ქართული სიმღერების მისამღერებში, რომლებიც დღესაც ფართოდაა გავრცელებული, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მთელ რიგ ძველაღმოსავლურ ღვთაებათა სახელები... მისამღერები შეიცავენ ასეთ გამოთქმებს: „ივრი ალალე (არალე), „თარი ალალე (არალე)“, „ორი ალალე (არალე)“, „ივრი“ ხური-ურარტული სიტყვაა („მეუფე“, „ბატონი“, ხურიტულში: “მეფე“) „თარი“ ძლევამოსილს ნიშნავს. ...„ივრი ალალე (არალე)“ ნიშნავს — „მეუფეო ალალე (არალე)!“ „თარი ალალე (არალე)“ — „ძლევამოსილი ალალე (არალე)!“; „არი ალალე (არალე)“ კი — „მოგვეც (ჩვენ ღვთაებაო) ალალე (არალე)“.[2]

კულტურის კვლევის ძირებს რაც უფრო სიღრმეებისაკენ მიჰყვება მეცნიერება, ცხადი ხდება, რომ ეს ძირები სიღრმესთან ერთად სიფართოეშიც განირთხმება.

ძველი ქართული წარმართული მუსიკის ფოლკლორულ-ტექსტობრივი მონაცემები გარკვეულ ასოციაციებს იწვევს ძველი აღმოსავლეთის, ძველი ბერძნების მუსიკალურ ფოლკლორთან, მითოლოგიურ სამყაროსთან.

ძველი აღმოსავლური წარმართული მუსიკა ბუნების მუსიკაა. ძველ ინდურ, ძველ ჩინურ შეხედულებებს მუსიკის შესახებ ღრმად რელიგიური შინაარსი აქვს. მუსიკა ძველი აღმოსავლეთის რელიგიურ მოაზროვნეთა

---

[1] Н.Я. Марр, Из поездок в Сванетию, стр. 6

[2] გ. მელიქიშვილი, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, 1953, გვ. 38

შეხედულებებში მიჩნეულია, როგორც კოსმოსის მუსიკის გამეღავნება. ეი. არსებობს გაუმეღავნებელი ზებგერა, კოსმოსის მუსიკა, რომელიც ჩვენ არ გვესმის. ციურ სხეულებს გააჩნიათ მუსიკა, რომელიც მიუწვდომელია ადამიანის ყურებისათვის. ეს თეორია პითაგორამ, მეცნიერთა აღიარებით, ინდურ-ჩინურ ძველ თქმულებებს დაესესხა. რახან მუსიკა კოსმიურია, იგი ბუნების მოვლენებშიც არსებობს. ამიტომ იგი არ ყოფილა, გარკვეული აზრით, ადამიანის განსაკუთრებული თვისება. აღმოსავლეთის ამ რწმენით, მუსიკალურია არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ცხოველები და მცენარეები. ამიტომ ძველი აღმოსავლეთის თქმულებებსა თუ პოეტურ ნაწარმოებებში მეტაფორული კი არ არის ის აზრი ან მხატვრული შედარება, როდესაც ცხოველნი სულგანაბულნი უსმენენ სიმღერებს, უყურებენ ცეკვებს... მაგალითად, ძველი ინდური თქმულებიდან: მღერის კრიშნა. ქალები მას უპასუხებენ: „თვით ძროხებიც, ფრინველები, ხეები და გარეული ცხოველები თრთიან აღტაცებისაგან, ისმენენ რა შენი ვანშის (მუს. საკრავი — ვ.გ.) უნაზეს ბგერებს".[1]

ამიტომაცაა, რომ ძველ ინდურ, ჩინურ, სპარსულ მინიატურებში ხშირად ვხედავთ ფრინველებს, ცხოველებს, მცენარეებს, რომლებიც სულგანაბულნი უსმენენ მუსიკას. ასევე ზორასტრის რელიგიაშიც ბუნების მოვლენებში მუსიკალური სიყვარულის, მიმზიდველობის სურათებია წარმოდგენილი. მაგალითად, ორმუზდი თავის საყვარელ ჯემშიდზე ამბობს: „...მან წარმოთქვა წმიდა სიტყვა ლოცვა-ვედრებით მოთვინიერებულ ცხოველთა, ნადირთა და ადამიანთა მიმართ. ამგვარად, მისი გავლა ამ ქვეყნებისათვის ბედნიერება და კურთხევა იყო და მოაწყდა ჯოგებად შინაური ცხოველები, მინდვრის ნადირები და ადამიანები".[2]

მუსიკა როგორც ხმა ბუნებისა, ხშირად მოჩანს ჩვენს წარმართულ მუსიკასა და მის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებშიც. ამის ანარეკლი გვაქვს აგრეთვე გენიალური შოთას სიტყვებში: „რა ესმოდის მღერა ყრმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან".

---

[1] Музикалная эстетика стран Востока, стр. 74

[2] ჰეგელი, ესთეტიკა, 1973, გვ. 382

ქართული მუსიკალური ნაკადების ძირები და მისი განვითარება გვიჩვენებს აღმოსავლურსა და დასავლურ თვისებებს, ეს არის ქართულ-აღმოსავლური და ქართულ-დასავლური ძირები. აქ, ერთი მხრივ, მდიდრულად, მრავალფეროვნად არის გამოვლენილი წარმართული მუსიკა, როგორც „ხმა ბუნებისა“ და სასულიერო მუსიკა — „ხმა ღვთისა“. საერო ხალხური სიმღერა არის ხმა ბუნებისა, ხმა ხალხისა... სიმღერა არის „მსოფლიო ხმოანება“ (საბა). „გალობა არის ხმაი ანგელოსთადმი შემსგავსებული“ (იოანე ბატონიშვილი).

მაინც როგორია განმასხვავებელი ნიშნები საგალობლებსა და სიმღერებს შორის? ეს კითხვა დგას ხელოვნებათმცოდნის, მუსიკისმცოდნისა და ესთეტიკოსის წინაშე. მაგრამ, როგორც ირკვევა, სიტყვიერ აზრებში მისი გამოხატვა მეტად დიდ სიძნელეებს აწყდება. ამ განსხვავებას სხვადასხვანაირი ასპექტით ხედავს მუსიკის ფსიქოლოგი, ესთეტიკოსის, მუსიკისმცოდნე...

მუსიკა საერო, ხალხური, როგორც ითქვა, ეს არის ხმა ბუნებისა, ხალხისა, ხოლო სასულიერო მუსიკა — ტრადიციულად ხმა სულისა. ასეთი კლასიფიკაცია პირობითია, ისტორიული შინაარსისაა. მაგრამ მათ შორის განსხვავება ცხადია, საერო სიმღერები ამქვეყნიური გრძნობებითაა სავსე. ადამიანი გრძნობს თავისი რეალური, ფიზიკური არსებობის სიხარულს, გრძნობს სხვებთან, ადამიანებთან ყოფნის სიხარულს, მჭმუნვარე ლირიკულ შინაარსზე კი სენტიმენტალურადაც რეაგირებს. სიყვარული, სინანული, მონატრება... სევდის გრძნობების სენტიმენტალობა (გულისამაჩუყებლობა), ...ერთი სიტყვით, ეს არის გრძნობების სამყარო... საეკლესიო საგალობელი კი, ცხადია, ამ აზრით, ციცია. მგალობელი ცდილობს ბგერებს წაართვას ხორციელება, ფიზიკურობა, მიაღწიოს ისეთ ჰაეროვნებას, რომ რაც შეიძლება სწვდეს სულის ბგერებს, უხორცო ბგერებს... იგი არ აღგვიძრავს მეგობრობის, მეზობლობის, სიყვარულის ენებებს, არც საქორწილო ჟრიამულის სახალხო ფსიქოლოგიას გამოხატავს... ეს ციცი ხმები ტოვებენ დედ-მამის, შვილების, და-ძმებისადმი კონკრეტულ მიმართებებს. ისინი მისდევენ „სახარების“ ქადაგებას. ქრისტეს მცნებას — ვისაც ჩემზე მეტად უყვარს უახლოესი ადამიანი, მას მე ჭეშმარიტად არა ვწამვარო.

ხალხური, საერო სიმღერა უარყოფითადაა გამსჭვალული ტანჯვისად-

მი. ქრისტიანული ლოცვა-გალობა კი ქადაგებს: „ნეტარება ტანჯვაშია“. ამიტომაცაა, რომ ამ ორ მუსიკალურ სამყაროს განსხვავებული ყოფა-ცხოვრებითი სამყაროები აქვს. „მრავალჟამიერი“, სუფრული თუ ნადური სიმღერები შესანიშნავად ესადაგება ქართულ პურ-ღვინოს. თითქოს სხვანაირად წარმოუდგენელიცაა მისი წარმოშობა. რიგიანი შეზარხოშება ამ სიმღერების წყურვილს, შესრულებისა და მოსმენის სურვილს აღძრავს. საგალობლების ცივი ხმები, მაღალი პროფესიული სიფხიზლე მარხვას მოითხოვს, ვიდრე ქეიფს...

მშვენიერი ქართული სუფრული, გუნდური სიმღერების დროს მომღერალ-მსმენელნი გრძნობენ მეგობრობის, ურთიერთსიყვარულის, სიახლოვის სიხარულს. ესაა აგრეთვე, შეიძლება ითქვას, საკუთარი არსებობის ვაჟკაცურობის განცდის ზეიმი, ფიზიკური სიძლიერის თვითშეგრძნებაც. ამ სიმღერის დროს მომღერალი ილხენს, აძლევს რა თავისუფლებას მუსიკალურ გრძნობას. აქ თამაშის მომენტი გაცილებით უფრო თავისუფალია. საგალობლების შესრულება კი ნიშნავს მკაცრ აზროვნებას ხმაში. აქ სიამოვნების მინიჭების კონკრეტული ადრესატი არ ჩანს. ისტორიულად ასეთი ადრესატი იყო ღმერთი. ხმა უნდა „მოსწონებოდა“ ღმერთს, გალობა მისი „სიამოვნებისათვის“ სრულდებოდა. მგალობელი თითქოს მოსწყდება თავის ხორციელ საწყისს.

დღეს ამ საეკლესიო საგალობლებს არავითარი რელიგიური ფუნქცია აღარ გააჩნია. მათი ესთეტიკური ღირსება კი ფრიად მაღალია. ესაა პროფესიონალური მუსიკა, ახალი საერო პროფესიონალური მუსიკის აკვანი.

ბუნებრივია, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების ხუროთმოძღვრული ფაქტიც მიგვითითებს ამ კულტურის ნათესაობას ქრისტიანულ ევროპასთან. ქართულ სასულიერო ლიტერატურას, პეტრიწის ფილოსოფიას კავშირი დასავლეთთან აქვს. სრულიად ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი მძლავრი არხი ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირისა ეს იყო სასულიერო მუსიკალური სამყარო. მიუხედავად ამისა, ქართული მუსიკა მიმბაძველობის, გავლენის კალთას დროულად იშორებს და ქმნის ეროვნულ თვითმყოფად მუსიკალურ საუნჯეს, რომლის ძირითადი კომპონენტებია, ერთი მხრივ, ქრისტიანული, მეორე მხრივ, ქართული წარმართული ნაკადები. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გალობის მრავალი კადენცია დასავლეთ ევროპის გალობათა კადენ-

ციებს ჰგავს, მაინც უყოყმანოდ ვიტყოდით, რომ ჩვენი გალობის ბგერათ-წყებები ხალხურია, ქართველი ხალხის შექმნილია".[1]

ქართული საგალობლები გარკვეულ გავლენას ახდენდა ხალხური მელოდიების კილოებზე, ალბათ, მეტ ლირიკულობას სძენდა მას და გარკვეული როლი უნდა ეთამაშა მუსიკალური ტექნიკის დახვეწის თვალსაზრისით. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ნანასებრ სიმღერებზე. მაგრამ როგორც მუსიკის ისტორიის მრავალმხრივ შემსწავლელი ქართველოლოგები ასკვნიან, ქართული წარმართული, ხალხური და საეკლესიო მუსიკა ღრმად ეროვნული დარჩა. ქართული ზნე-ჩვეულებების, „ტრადიციების გამძლეობის ფაქტორების გამოკვლევა უწინარეს ყოვლისა ქართული მუსიკალური სულის თანმიმდევრულობისა და სიღრმის უკუფენას მოითხოვს. ზნე-ჩვეულებათა სილამაზე, მუსიკალურ-ყოფითი ტრადიციები ჩვენი ერის ხასიათს საუკეთესო მხრიდან გვიჩვენებს, ...მეტადრე ხალხში, სადაც სიმღერა მის მთელ ყოფაცხოვრებასა და საქმიანობასთან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული".[2]

ქართული მუსიკალური ტრადიციების შეუვალობაზე ლაპარაკი, ცხადია, უკიდურესობამდე არ უნდა მივიდეს, თითქოს უცხო ტონი, მელოდია, ჩვენს სიმღერებს არ განეცადოს. მაგრამ თუ ეს გავლენები ძლიერმა მუსიკალურმა ტრადიციამ შთანთქა, საკუთარ მუსიკალურ ძირფესვს მოარგო, მაშინ მას გავლენის საჩოთირო მნიშვნელობა ეკარგება. რაც ჩვენი ხალხის ეროვნული სულიდან არ მომდინარეობს, მას ერი სხვა ხალხის ზნე-ჩვეულებებიდან არ იღებდა. თუ ხალხს შეუძლია ნასესხები ფსიქოლოგიით იცხოვროს, მას შეუძლია დაკარგოს თავისი მეობა. ასეთი ერები კიდევაც გადაგვარებულან, შთანთქმულან ისტორიის მორევში.

რაც შეეხება მუსიკალური ტრადიციების გავლენას, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორს გააჩნია გავლენის ისტორიული ფონიც. მაგალითად, სპარსული მუსიკალური ტრადიციების თავსმოხვევა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო მის ჩამოფერთხვას

---

[1] დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, 1925, გვ. 45
[2] ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228

ჩვენი ხალხის ერთი გამოფხიზლება ჰყოფნიდა. ზოროასტრულ-ირანული მუსიკალურ-ყოფითი ტრადიციები შთაინთქა და გაუჩინარდა ხალხურ მელოდიებში, მაგრამ განსაკუთრებით აშკარა მტრობა მას გამოუცხადა საეკლესიო მუსიკამ. შემდგომში კი, XVI საუკუნიდან მაჰმადიანური ირანის მუსიკალური გავლენა დიდხანს შემოგვრჩა. საგულისხმოა, რომ არაბების ოთხსაუკუნოვანმა ბატონობამ საქართველოში ვერ დატოვა ჩვენს ზნე-ჩვეულებებში გავლენის კვალი, როგორც ამას ამტკიცებს აკად. ს. ჯანაშია („არაბობა საქართველოში"). გამაჰმადიანებულმა სპარსელებმა კი მნიშვნელოვანწილად დააჩნიეს კვალი ისტორიის გარკვეულ პერიოდს, თუმცა ქართული მუსიკალური კულტურის, მუსიკალური ყოფის არსში მაინც ვერ შეაღწიეს. „ქართულ ტექსტზე შეწყობილი ეს აშუღური მუსიკალური ფოლკლორი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ირანულმა მუსიკამ ვერ გაუძლო ქართულს, უკან დაიხია და ახლა შემოპარება მოინდომა. ეს იყო გადამწყვეტი ეტაპი შეჯახების წინ... საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულ ტექსტზე შეწყობილი აშუღური მუსიკაც გაქრა და აშუღური პოეტური ფოლკლორიც. და განა დაივიწყებდა ამას ხალხი, მასში რომ თავისი დაენახა? არა, ქართულ ტექსტზე აგებული აშუღური მუსიკა წარმოშობით დიდი ტრადიციების მქონე ქართული მუსიკალური ფოლკლორის ნაწილი არ ყოფილა".[1]

აშუღურმა მუსიკამ, საზოგადოდ აღმოსავლურმა ჰანგებმა, მხოლოდ თბილისში მოიკიდა ფეხი. საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები იმდენად სავსე, ძლიერი იყო ქართულობით, რომ ეს თავანკარა წყარო ქართული მუსიკისა უცხო სულს არ მიიღებდა. „აღმოსავლური მუსიკის გავლენა თბილისის არე-მარეს ჯერ კიდევ ვერ გასცილებია, მაგრამ თბილისში კი მაგრად მოუდგამს ფეხი. და ეს უმნიშვნელო საქმე როდი იყო, რადგან თბილისი იმთავითვე საქართველოს გულს წარმოადგენდა და თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა აღმოსავლური მუსიკის ეს მოძალება, იგი თანდათან გაიფართოვებდა ასპარეზს, მაგრამ საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა".[2]

---

[1] ი. შილაკაძე, მეტყველება და მუსიკა, გვ. 115-116
[2] იქვე, გვ. 110-111

ქალაქური და სოფლური მუსიკალური ფოლკლორის დაპირისპირებასთან ერთად იცვლებოდა მუსიკალურ ინსტრუმენტთა სახეობანი, ტერმინები, ადათ-წესები. მუსიკა გავლენას ახდენს პოეზიაზე; აღმოსავლური პოეზიაც თავის მხრივ განაპირობებს სათანადო ურთიერთობას. ფართო გავრცელებას პოულობს მესტვირული პოეზია... ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორში თავი იჩინა თარმა, საზანდარმა, აღმოსავლურმა საკრავებმა.[1]

ქართული ზნე-ჩვეულებების შნოსა და ლაზათზე რომ ვლაპარაკობთ, აქ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ხასიათის გრძნობადდახვეწის თვალსაზრისით მუსიკა იყო პირველი ფაქტორი კულტურული პროგრესის განხორციელების საუკუნოვან გზებზე. მუსიკალურ ტრადიციებს სჭედდნენ არა მხოლოდ მუსიკოს-სპეციალისტები. ეს იყო ჩვენი დიდი მრავალმხრივი მოღვაწეების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი. მათ შორის არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნათელი სახე დიდებული გიორგი მთაწმინდელისა. დღეს, როცა გვახარებს ქართველი ბავშვების მუსიკალური წარმატებანი, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ამ მხრივაც შორეული ტრადიცია, რომელიც გიორგი მთაწმინდელის სახელს უკავშირდება.

გ. მთაწმინდელს ნორჩი მგალობლების გუნდი რიგიანად გაუწვრთნია. მას იმდენად დიდი იმედი დაუმყარებია თავისი გუნდის ესთეტიკურ მომხიბვლელობაზე, რომ იგი დიპლომატიურ საშუალებადაც გამოუყენებია. მას ბიზანტიის კეისართან რალაც სათხოვარი ჰქონია. კეისარს მან ჯერ თავისი მოწაფეების მიერ დასწავლილი ბერძნული და ქართული საგალობლები მოასმენინა. მართლაც არ შემცდარა გიორგი მთაწმინდელი. კეისარი დიდად მოიხიბლა ნორჩთა გალობით და ბრძანა „ათასი აჟურა მიცემად მათდა...“

„...გიორგი წარმოადგენდა თავისი დროისათვის გამოჩენილ პიროვნებას. მისი ბერძნულად დაწერილი ლექსი „რეკა მწუხრის ძელისა, მწუხრის ძელისა“ ტომას მურის მიერ ინგლისურად იქნა გადაკეთებული და შემდეგ გადმოითარგმნა ყველა ევროპიულ ენაზე (მათ შორის რუსულადაც „Вечерний звон“).[2]

---

[1] ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, 1962, გვ. 19-20

[2] დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, 1925, გვ. 45

დღეს ჩვენში მრავალი ახალი სადღესასწაულო ტრადიცია შეიქმნა. მათ შორის საყურადღებოა შრომის დღესასწაულები, რომელთა განუყოფელი ნაწილია სიმღერა, მუსიკა... აქაც უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველი ხალხის ამ ტრადიციასაც შორეული ფესვები აქვს. ქართული სიმღერების თემატური მრავალფეროვნება, ღრმა ემოციურობა, ჩვენი ხალხის მძიმე, მაგრამ შინაარსიანი წარსულიდან მოდის. სიმღერები იქმნებოდა ჭირისა და ლხინის კარნახით. სიმღერები იქმნებოდა ბრძოლისა და შრომის შთაგონებით.

მღეროდა ქართველი ხალხი ხან შეუკავებელი, მოზღვავებული სიხარულისათვის რომ ლამაზი ფორმა მიეცა, ღიღინებდა ქართველი კაცი გუთნის კვალდაკვალ, ლაშქრულით ამხნევებდნენ ერთმანეთს ბრძოლაში მიმავალი მეომრები, ტკბილის ხმებით ლოცავდნენ ნეფე-პატარძალს, მწუხარე ტირილ-სიმღერით აცილებდნენ მიცვალებულს, სიმღერით ჰკურნავდნენ დაჭრილ-დავრდომილთ, ტკბილი ჰანგებით მოუბოდიშებდნენ „ბატონებს...“ ამიტომაცაა ქართული ხალხური სიმღერების თემატიკა ვრცელი, ღრმა შინაარსობრივად ამოუწურავი...

„მშობლიურო ჩემო მიწავ...“

ყოველ ხალხს უყვარს თავისი მიწა, თავისი ზეცა. უყვარს ლაპლანდიელს თავისი ყინულოვანი ქარაფები, ბედუინი პოეტი გზნებით უმღერის თავის უდაბნოს... როგორც წრფელია ჩვილთა ნათქვამი: „ჩემი დედიკო ყველაზე ლამაზია“, ასევე ეჩვენება ყოველ ხალხს თავისი მიწა-წყალი. მრავალი ხალხი, უძველეს დროში, დედად მიიჩნევდა თავის მიწას.

ძველი ბერძნებისათვის მიწა იყო ღმერთქალი. ისინი სიამაყით თვლიდნენ თავიანთ თავს გეას შვილებად. „დედა-მიწა“ — ჩვენს მეტყველებაში ამ ორი სიტყვის დაწყვილება ამშვენებს ერთმანეთს. ეს კომპოზიტი პოეტური პირობითობის ქმნილება როდია. მას შორეულ წარსულში გადავყავართ...

იმ ხალხმა, ვინც მიწა საფიცარ ღმერთად აქცია, ჩვენ გვიწოდა „გეორგიანოს“ („მიწის მოქმედნი“). ეს დიდი პატივი იყო. საკვირველია, ასეთი პატივი იმ ხალხისაგან, რომელიც ყოველ არაბერძენ ხალხს „ბარბაროსს“

უწოდებდა. ასეთი სახელწოდება უდაოდ კეთილგანწყობილ ნათლიაზე მიგვითითებს.

ბერძნებისათვის სიტყვა მიწა ორგვარი მნიშვნელობით იხმარება: „ხთონ", როგორც ფხვიერი მასა და მიწა, როგორც სივრცობრივი რამ, ზედაპირი. „გე", რომელზედაც სიცოცხლე აღმოცენდება. ასევეა ჩვენთვისაც. ერთია „დედამიწა" და მეორე კი უბრალოდ — მიწა. მკაცრად, ცხადია, არავის შემოუფარგლავს ამ სიტყვათა ხმარების სფერო.

მშობლიური მიწისადმი სიყვარული ერთი მნიშვნელოვანი თემაა ქართულ ფოლკლორში, ლიტერატურასა და მხატვრობაში. ეს სიყვარული თავისი პირველსაწყისებით აუცილებლობით გვაკავშირებს ძველბერძნულ სამიწათმოქმედო საკითხებთან.

„მიწა ათენელი მიწათმოქმედის რელიგიურ წარმოდგენებში იხატებოდა, როგორც დედა მიწა (გე მეტერ) და როგორც ღმერთქალი მიწა (გე). ეს სახეები ძალიან ხშირად გადადიოდა ერთიმეორეში და არ ჰქონდა მკვეთრად გავლებული საზღვარი".[1]

ათენში, ატიკაში ძველი ბერძენის მეტყველება „მიწის" ირგვლივ „ტრიალებდა. მიწა იხსენებოდა ლოცვებში, დაფიცებაში. „წმინდა ნაკვეთი", სალოცავი სადიდებელი ნაკვეთი იყო თვით დედამიწის განდიდებისათვის. ეს ნაკვეთი მიძღვნილი იყო დედამიწა-შასაზრდოებლისადმი".[2]

დედა-მიწის ანუ მიწა-დედის წარმოდგენა მრავალფეროვანი იყო ათენელის ცნობიერებაში. მიწა, როგორც ნაყოფის მომცემი, დედამიწა, როგორც სიცოცხლისათვის ყოველ აუცილებელ პირობათა წყარო, დედა-მიწა, როგორც ბავშვებზე მზრუნველი...

დედა-მიწის, როგორც „წმინდა ნაკვეთის" გაღვთიურებას ქართულ წარმართობაშიც ვხვდებით. „...ქართველთა რწმენით, წმინდა ადგილებში მყოფი ხეები იყვნენ წმინდანი".[3]

---

[1] Б.Л. богаевский, Замледельческая религия Афин, т. I, П., 1916. стр. 96.

[2] იქვე, გვ. 102

[3] ვ. ბარდაველიძე, დასახ. წიგნი, გვ. 57

რაც შეეხება მიწისა და ქალის რელიგიურ გაიგივებას, ეს გამოწვეული იყო იმ პრიმიტიულ-ბიოლოგიური თვალსაზრისით, რომ ქალიც და დედამიწაც მშობიარენი არიან. ძველი ბერძენი მიწას შესძახებდა — „დაორსულდი!" ამასთან იყო დაკავშირებული „სიმპათიური მაგია". მათი წარმოდგენით, დედამიწა მიიღებდა იმ იმიტაციას, რასაც გარკვეული რიტუალების დროს შეასრულებდნენ ადამიანები. ეს იყო სექსუალური ხასიათის რიტუალები, რომელიც გამიზნული იყო მაღალნაყოფიერებისათვის, რასაც ისინი უჩვენებდნენ და კარნახობდნენ ბუნებას.

მიწა, ბავშვთმასაზრდოებელი (ძუძუსმწოვებელი), ათენში გაღმერთებული იყო. სახელმწიფო რელიგიამ მას დაუდგინა განსაკუთრებული კულტი. ამ ქალღმერთს ეწოდება დემეტრა-მწვანე („ხლოე"). მის სადიდებლად მისმა საყვარელმა ერიხთონმა დააწესა საკულტო მიწის ნაკვეთი, „წმიდა ნაკვეთი". ამ ერიხთონის სახელს უკავშირდება ათენის აკროპოლის ერთ-ერთი ტაძარი — ერიხთონის ტაძარი, პართენონის ტაძრის გვერდით.

დედამიწა დედობას უწევდა არა მხოლოდ ცოცხალთ. „იყო რა ყოველ შობილთა და ცოცხალთა დედა, დედამიწა განაგრძობდა დედობას გარდაცვლილთადმიც, რომელთა შექმნაში ის მონაწილეობდა, და რომელთაც ის იბრუნებდა უკან, თავის წიაღში".[1]

გავიხსენოთ, რაოდენ ძვირფასი იყო მშობლიურ მიწას მოწყვეტილი ბედკრული ქართველისათვის უბეში დამალული მშობლიური მიწა, როგორც უკანასკნელი ნუგეში... რაოდენ უმსუბუქებს ჭირისუფალს მწუხარებას უცხო მიწაზე დაღუპულ და დამარხულ ქართველ მეომართა საფლავებზე მშობლიური მიწის მოფრქვევა.

მშობლიური მიწისადმი სიყვარულს ღრმა ფესვები აქვს. მიწისმოქმედ კაცს ფიქრის მრავალი მიზეზი ჰქონდა. თავჩაქინდრული ჩასცქეროდა თავის მარჩენალს, თავის მშობელს. ამიტომ გაალმერთა იგი კაცის გონებამ. ასეთი გაღმერთება, ცხადია, არა მხოლოდ ბერძნულ-რომაული დასაბამისაა. მიწისა და ზეცის კულტს ძველინდურ, პირველყოფილ ველურ რელიგიაში მივყავართ. ზეცა და მიწა არის მშობელი ღმერთებისა. ესენი წარმოდგენი-

---

[1] ბ. ბოგაევსკი, დასახ. წიგნი, გვ. 102

ლი არიან დიაუსისა და პრიტგივის სახელით. ზეცაა მამა, მიწა კი - დედა. ვედური ჰიმნი ასე მიმართავს მათ: „დღესასწაულზე მე მოვიტან საჩუქრებს და განვადიდებ ზეცას და მიწას, სიკეთის მფარველთ... მე თაყვანსა ვცემ კეთილისმყოფელი მაიისა და დედის უმძლავრეს ძალას.

...აი როგორ ემთხვევთა ერთმანეთს ძველ ინდოელთა და ძველ ბერძენ-რომაელთა წარმოდგენები დედა-მიწისა და მამა-ზეცის შესახებ".[1]

მიწის ასეთ გაღმერთებას ვერ შეხვდებით ბიბლიაში. მართალია, გაკვრით ისიც არის ნათქვამი, რომ სამიწისმოქმედო მოღვაწეობა ადამის, კაენის, აბრამისა და სხვათათვის არ იყო უცხო, მაგრამ ისინი უმთავრესად მეცხოველეობას მისდევდნენ. აქ ღმერთი და მიწა არათუ ერთი და იგივეა, არამედ ღმერთი ამბობს, რომ მიწა ჩემია, თქვენ მოსულები, ჩემი მოსახლენი ხართ. ამიტომ სამუდამოდ მიწის გაყიდვის ნება თქვენ არა გაქვთო. ძველი ებრაელები მიწას მხოლოდ დროებით ყიდდნენ".[2]

სტუმარ-მასპინძლობა

თითქმის ყველა ხალხი აცხადებს სტუმართმოყვარეობის პრეტენზიას. მართლაცდა, არა გვაქვს მორალური უფლება, არ ვერწმუნოთ და პატივი არ ვცეთ ყოველი ხალხის ზნეობრივ ღირსებას, სტუმართმოყვარეობას. სტუმარი, ალბათ, ყველა ხალხში დასაფასებელია. მაგრამ ზოგი ხალხი მაინც მეტი სტუმართმოყვარეა, ზოგი შედარებით ნაკლები. სტუმართმოყვარეობით განთქმულობას მეცნიერული ანალიზი სჭირდება, ტრაბახის სამოსელი უნდა ჩამოვაცილოთ, გავაანალიზოთ, ამ სტუმართმოყვარეობას სანაქებო მხარეს გარდა რა ნაკლოვანებანი აქვს.

ქართული სტუმართმოყვარეობა მართლაც განთქმულია. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ გრძნობის სიჭარბეა, მასში უფრო მეტი პოეზიაა, ვიდრე პროზაული რეალობა.

უცხოელები მომეტებულად აღფრთოვანებით წერენ ქართველების

---

[1] Беттани и дуглас, Великие религии Востока, М., 1899, стр. 24

[1] წიგნი ლევიტელთა, 25, 23

სტუმართმოყვარეობაზე, პურ-მარილიანობაზე, თუმცა ამ აღფრთოვანებას ეგზოტიკური ელფერი დაჰკრავს. როდესაც ჩვენი სტუმრების ეს შთაბეჭდილებები გესურს გავაანალიზოთ და დავფიქრდებით, ხანდახან უადგილოდაც გავბრაზდებით, რომ სტუმარმა მეტი ღირსება ვერ დაინახა ჩვენში. სულ ადვილად მივმართავთ კრიტიკის ისარს გარეთ. აბა ჩავფიქრდეთ, მართლაც რამდენი ნაკლი გვაქვს გამოსასწორებელი, მაგრამ ქართული სტუმართმოყვარეობის შნოსა და ლაზათს მაინც თავისი უნდა მივუზღოთ. მართლაცდა რა ლამაზია, კეთილშობილურია ქართული სტუმართმოყვარეობა. მთელი უბედურება, აქაც, როგორც მრავალგზის ჩვენს ტრადიციებში, ზომიერების გრძნობის უქონლობაშია. რაღა თქმა უნდა, ცუდი ადამიანის არც სტუმრობა ვარგა და არც მასპინძლობა.

ყველა ქართველმა იცის, რომ ქებულია მისი ერის სტუმართმოყვარეობა. მაგრამ გადაჭარბებაც ხშირად იქამდეც უწევს, რომ სტუმართმოყვარეობა თითქოს ჩვენი გამოგონება იყოს.

რას ნიშნავს ხალხური გამოთქმა „სტუმარი ღვთისაა“? გამოთქმა ბიბლიური წარმოშობისაა. როგორც ბერძნულ მითოლოგიაში, ძველსა და ახალ „აღთქმაში“ ბევრგზისაა ხაზგასმული სტუმრისადმი პატივისცემის გრძნობა.

სტუმრისადმი პატივისცემა ჩვენში ისე შორს მიდის, რომ ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს სტუმრის უფლებები. თუმცა ეს არა მხოლოდ საქართველოს შეეხება.

საინტერესოა, რამ გამოიწვია ჩვენში სტუმრისადმი პატივისცემის გრძნობის იმ ხარისხში აყვანა, რომ სტუმარი შეიძლება იყოს ძმის მკვლელიც და იგი ხელშეუხებელია. მას იცავს მასპინძელი, იცავს იქამდე, რომ კიდეც ეწირება მას. გავიხსენოთ ბიბლიიდანაც: საული სასიკვდილოდ დასდევს დავითს. საულის შვილი იონათანი კი ძმური სიყვარულით ეხმარება დავითს და გააპარებს თავისი სასახლიდან. იონათანი მფარველობს სტუმარს.

სტუმრისადმი ამ რიგის დაფასებას გარკვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. სახელდობრ, კაცი, უცხო მხარეში გადახვეწილი, სრულიად უმწეოდ გრძნობდა თავს.

სტუმართმოყვარეობის ქართულ ადათ-წესს დიდი სილამაზე გააჩ-

ნია. მასში ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის ბუნებრივი კეთილშობილება. ქართველი მასპინძელი სტუმარში არ ასხვავებს არც ერს, არც რელიგიას, თანამდებობას... მისთვის სტუმარი ყველა ერთნაირად ძვირფასია. მისი დამოკიდებულება სტუმრისადმი არის უანგარო, უმიზნო. მასპინძელს სიამოვნებს სწორედ ის, რომ იგი უანგარიშოა, ხედავს, რომ ხალხის მიერ შემუშავებულ იმ წესს ასრულებს, რომელიც საშუალებას აძლევს მას, იხილოს თავისი სიკეთე. წესებისადმი, ზნეობრივი კანონისადმი ადამიანის ამგვარი მორჩილება, აღმსრულებლობის სიამოვნება აგრძნობინებს ადამიანს, რომ მის „მე"-ში რაღაც „მე"-ზე მეტია. ეს მეტი არის მისი ხალხის წესი და კანონი. ეს არის საუკუნეობით შემუშავებული ადათი.

ქართული სტუმართმოყვარეობის წესს არაჩვეულებრივი ძეგლი დაუდგა დიდმა ვაჟამ. მან სტუმარმასპინძლობის საოცარი სურათი გვიჩვენა. სტუმარი-მოკეთე ძვირფასია, მაგრამ სტუმარი თურმე მაშინაც კი რაღაცნაირად ძვირფასია, როცა ის ძმისმკვლელი აღმოჩნდება. ადამიანი მით მეტად მაღლდება, რაც უფრო მეტად შეუძლია იყოს მბრძანებელი თავისი ვნებებისა. „სტუმარ-მასპინძელში" ვაჟამ გვიჩვენა ქართველი კაცის რაინდული სული. კერძო გრძნობანი სიყვარულისა და სიძულვილისა უკან იხევენ, როცა ადამიანი გრძნობს თავის სულში ჭეშმარიტების დიად ძალას. "ჩემს" სურვილებზე მეტია ჭეშმარიტება, ამ ჭეშმარიტებისადმი თანმიმდევრული, უყოყმანო სიყვარული ამაღლებს და ადიდებს ადამიანს.

ჯოყოლამ სახლში უცნობი მიიპატიჟა. მასპინძლობს ქრისტი ჯოყოლა ხევსურ ზვიადაურს, ქრისტიანს... როდესაც თემი გაიგებს ზვიადაურის, ქრისტების მტრის, ჯოყოლას სახლში სტუმრობას, თემი ასრულებს მტრისად დახვედრის წესს. აქ გაიმართა სათემო რჯულის კანონთა ბრძოლა. ჯოყოლა სტუმრისადმი ხელუხლებლობის რაინდულ წესს ასრულებს, თემი — მტრისადმი შურისძიების წესს.

ცხადია, მეტი სილამაზეა ჯოყოლას პოზიციაში. ეს არის მეტად ამაღლებული, გონებისმიერი მიმართება მოვლენებისადმი. თემი უფრო პროზაულია, რეალისტურია. რაინდული მორალი ნიშნავს მოწინააღმდეგის გაფრთხილებას თავდასხმის წინ. მართალია, არც ზვიადაური მართავდა ქრისტებთან რაინდულ დუელს, ეს უფრო ყაჩაღობის ფორმა იყო და არა ხელთათმანის სიმბოლიკით დაწყებული დუელი. ჯოყოლა პირველად

განცვიფრებულია, აღშფოთებულია, როცა ღამით თემი მიეჭრება სახლში და მის სტუმარს ჰბოჭავენ:

— რას სჩადით? — შემოუძახა: —
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?

თემიც გაკვირვებულია ჯოყოლას პირველი ურჩობით, თუმცა იგრძნობა, რომ ჯოყოლამ არ იცის ზვიადაურის ვინაობა:

რას ამბობ, შტერო, რას ამბობ?
რად არ მოდიხარ ცნებასა?
მოსისხლე სტუმრის გულისთვის
ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?

არც თემს აქვს მარტივი სიტყვა. ჯოყოლას ძალიან მწარედ შეახსენეს ძმის სულისადმი ერთგულების გრძნობა, შეახსენეს იგი დედის ძუძუს დაფიცებით. შემდეგ თემი კონკრეტულად განუმარტავს ჯოყოლას ზვიადაურის ვინაობას:

— თვით ამან მოკლა შენი ძმა
არყიანებში თოფითა,
ჩვენ ვიცნობთ მგის სახესა,
გადალესილსა ცოფითა,
„გახლავართ ზვიადაური!“ -
ჩამოგვკიოდა გორითა...

თემი ძალიან ამაყი თავდაჯერებით ლანძღავს ჯოყოლას. ძმის მკვლელის დაცვა ძნელი საქმეა... ჯოყოლას ხმაში ბზარი შეეპარა:

ეგ მართალია, იქნება...
რა უნდა მითხრათ მგვითა.

ამ სიტყვების შემდეგ ჯოყოლა ყოყმანს თავს აღწევს, შეტევის ტონი თანდათან მწვავდება და არანაკლებ მკვახეა, ვიდრე თემისა:

დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითაც მე ვერ ვულალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა,

მე გთხოვთ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უდიერადა.
როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარი ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქრისტეს სად თქმულა ამბადა?

თანდათან ღრმავდება ჯოყოლას ხასიათი, ღრმავდება ჭეშმარიტების ძიების მიმართულებით. იგი სულში გრძნობს შინაგანი ხმის ძალას, ჭეშმარიტების ნათელ შუქს. ეს არის ჭეშმარიტება, რომლისადმი სიყვარული და თავგანწირული ერთგულება ადამიანის უმაღლეს რაინდულ ღირსებას წარმოადგენს.

ღრმაზრიანი ადათები შეიმუშავა ჩვენმა ხალხმა. სწორედ ამიტომ, რომ ასეთი ადათები დაეჯახა ერთმანეთს, შესაძლებელი გახდა ადამიანის სულიერი სამყაროს გენიალური სურათის შექმნაც. ეს არის საუკუნეთა გამოცდილების შედეგი.

„ადათობრივი სამართლის ძირითადი ნიშანი ისაა, რომ იგი სავალდებულოა შესასრულებლად, მაშინ, როდესაც ქცევის ზოგიერთი ნორმისაგან გადახვევა შესაძლებელია, და ასეთ შემთხვევაში სასჯელი აუცილებელი არ არის. სათანადო მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ადათს იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც მის დაცვას დაემატება მისი სავალდებულობის ცნობიერება. ადათობრივია ისეთი სამართალი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კანონისაგან არ არის დადგენილი, ფაქტიურად სრულდება, ანდა ქცევის გარკვეული წესის მუდმივ ერთგვარ დაცვაში გამოიხატება. მაშასადამე, ადათობრივი სამართლისათვის სწორედ ისაა დამახასიათებელი, რომ მას ახლავს შესრულების სავალდებულობის ცნობიერება“.[1]

ქართული სტუმართმოყვარეობის ეს ადათ-წესები ვაჟა-ფშაველას ფანტაზიის ნაყოფი როდია. იგი ჩვენს ხალხში მოქმედი წესი იყო, მან ასახვა ჰპოვა ხალხურ პოეზიაში.

---

[1]გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957, გვ. 60-61

„ქართულ ხალხურ პოეზიაში მრავალგზის გამოხატულა ამ ადათის სიმტკიცე. აქ სტუმრის პატივისცემის ადათის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მტრის დაცვაც კი საკალდებულოდაა მიჩნეული, უკეთუ იგი სტუმრადაა. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

მივა და შეეხვეწების ძმისა მამკლავი დისა:
„დაო, ვერ შემინახევდი? ცხონებას შენის ძმისა!“
„წამოდი შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისა,
ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო, ნაჭაბნს ნუ მამჭრით თმისა“.

ბოლოს, ხალხის გულისწყრომაა გამოთქმული იმის გამო, რომ ასეთი სტუმარი ვერ იქნა დაცული:

ამბობენ ჩამოქცევასა ახალციხურის კლდისა
თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბელელაის ძისა, -
ვერ შაინახა სტუმარი, ვაი, ვა, დედას მტრისა!

„ასეა წარმოდგენილი სტუმართმოყვარეობის ადათი ვაჟას შემოქმედებას და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ამ ადათის ასეთი დახასიათება პოეტური სურათი კი არ არის, არამედ არსებული ვითარების ნამდვილი გამოხატულებაა“.[1]

სტუმართმოყვარეობის მაღალი კულტურა საქართველოს ყველა კუთხისათვისაა დამახასიათებელი.

სტუმარს ძალიან ბევრი რამ ეპატიებოდა. დღეს, რა თქმა უნდა, ზოგიერთი რამ იურიდიულად დაუშვებელია და მისი პატიება კანონის მიხედვით იქნებოდა შეუძლებელი. სტუმრისადმი პატივისცემის ქართულ ხასიათს შესანიშნავად გვიდგენს სვანური ტრადიციაც. მშვენიერი ეპიზოდია გადმოცემული ბესარიონ ნიჟარაძის წიგნში.[2]

რაჭის თავადმა გრიგოლ წერეთელმა სვანეთში, უშგულში გაგზავნა მოციქულად ერთი მღვდელი და მისი თანმხლები, ვილაც აზნაური გრიგოლი. „თავ. წერეთელმა საჭირო ფულები გაატანა მღვდელს სპილინდოს სვანების მოსაბირებლად“. სპილინდო და მისი მხლებელი უშგულში ნაცნობთან გეგი

---

[1] გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957, გვ. 72
[2] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, 1964, გვ. 202-204

რატიანთან მივდნენ. რატიანმა ვერ გაბედა უშგულელებისათვის მოციქულთა წარდგენა. უშგულის ყრილობამ გაიგო ეს ამბავი და იწყინა კიდეც. რატიანს მოსთხოვეს მოციქულები, რომლებიც მან კოშკში გადამალა. ცრუობს რატიანი, მოციქულები რაჭას გავისტუმრეო. არ უჯერებენ და სამ დღეს ალყაში ამწყვდევენ მის ოჯახს. გამოტყდა რატიანი და მოციქულებიც გამოაჩინა. ოღონდ ყრილობას სიტყვა ჩამოართვა — მათ ხელს არ ახლებდნენ. „ჩვეულების ძალით ხალხი პატივსა სცემს რატიანსა და მის სტუმრებს, სიტყვიერ პირობას ადებინებს პირველს, რომ მან დაუყოვნებლივ გაისტუმროს უკანასკნელნი რაჭას და თავს ანებებს. ყრილობა იშლება. რატიანი არღვევს თავის პირობას: რაჭის მაგიერ წერეთლის მოციქულებს ღამით აპარებს მულახის საზოგადოებაში, რომელიც შორავს უშგულს 25 ვერსით. მულახი ერთ-ერთი შეძლებული და დიდ საზოგადოებათაგანია თავისუფალ სვანეთში.

...რატიანმა და სპილინდომ დაარწმუნეს მულახელები, რომ თ. წერეთლისაგან კარგს საჩუქრებს მიიღებდნენ, თუკი მასთან გამოცხადდებოდნენ".[1] ერთი სიტყვით, გადაიბირეს შვიდი სვანი. ეს ამბავი შეიტყვეს უშგულელებმა და ისინი შეიპყრეს. მეორე დღეს ყრილობა გაიმართა. სპილინდოსა და მხლებლებს საღსარის გადახდას უპირებდნენ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს დიდსულოვნად აპატიეს სვანებმა ორგზის მოტყუება.

ქართული ტრადიციებით სტუმარი ყოველთვის ნათესავ-მეგობარს, მეზობელს როდი გულისხმობდა. სტუმარი იყო უცნობი კაცი, ჭიშკართან რომ გაივლიდა. მასპინძელი სახლში მიიპატიჟებდა, უანგაროდ პატივსა სცემდა. მასპინძელს სიამოვნებას ანიჭებს, რომ უცნობ ადამიანებს პატივსა სცემს და მადლობას იღებს. თვითონ გრძნობს, რომ სასიამოვნოა იყოს მასპინძელი, პატივს სცემდეს უცნობს, თითქოს მთელი კაცობრიობის მასპინძლობა სურდეს. სწორედ ასეთი უცხო მასპინძლის შესახებ წერს თედო სახოკია:

„ — რაკი აქედან მობრძანდებით და ჩემი ქოხის პირდაპირ გაიარეთ, თუ შეიძლება, იმდენი პატივი მეცით, ჩემს ღარიბ ქოხში მობრძანდით. მართა-

---

[1] ბ. ნიჟარაძე, დასახ. წიგნი, გვ. 202-204

ლია, თქვენს საკადრის პატივს ვერ გცემთ, მარა მაინც ნუ გამიწყრებით... ხო მოგეხსენებათ ღარიბი კაცის საქმე... თქვენი ხელის ნარეცხი დასტოვეთ ჩემს სახლში.

ღამდებოდა. წინ კარგა მანძილი გვედო. მაგრამ ჩვენი სტუმართმოყვარე გურულის გულწრფელ თხოვნას ვერ ვეწინააღმდეგეთ, მოგვერიდა, რომ გავაწბილოთ, ვაი თუ განაწყენდესო.

შეგვიძღვა ეზოში, სახლის აივანზე ხელად გამოიტანეს თხილი, ვაშლი, სანთლის არაყი და ჩხავერის ღვინო. დაგვალოცინა თავი და თვითონაც დაგვლოცა თავაზიანად. სანაქებო იყო „ჩხავერის" ღვინო, ოქროს ფერისა, გემოდ ნაზი და უზადო. რაც უფრო ვსვამდით, მით მეტი გვინდებოდა, ეს ღვინო კაცს აფხაზურ „ამილეხუს" მოაგონებს. ბოლოს, ჩვენმა სახელდახელო მასპინძელმა ბოდიში მოიხადა, რომ „ასე ცოტა რამისთვის გაგსაჯეთო".[1]

აქვე ერთი ისტორიაც უნდა გავიხსენოთ: ნიკო მარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბასკებში მოგზაურობამ. იგი ვერ ფარავს აღტაცებას და განცვიფრებას. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს "პირენეის გურიიდან" მან უკეთ დაინახა გურია, ვიდრე მაშინ, როდესაც სუფსის პირას თამაშობდა.

ბასკების ქვეყანაში ყოფნის დროს მის მეცნიერულ ინტერესებში წინა პლანზე წამოიწია ზნე-ჩვეულებათა ქართულთან სიახლოვის საკითხმა, მათ შორის სტუმართან, უცხოსთან შეხვედრის ქართულ ადათ-წესებთან ასოციაციამ. „...ნაცნობი თუ უცნობი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ყველანი ერთთავად გესალმებიან. მაგრამ მე ფიქრით გადავდივარ გურიაში ჩემი არა მხოლოდ ბავშვობის, არამედ ჭაბუკობის წლებით, როდესაც ევროპულ განათლებას ჯერ კიდევ არ აღეგავა ასეთნაირი ზრდილობა. ადამიანებში იყო არა მხოლოდ ცოდნა ურთიერთისა, არამედ რწმენა და გაგება ერთმანეთისადმი, თვით შემხვედრი უცნობისადმიც, პასპორტში ჩახედვის გარეშე. ამ აზრით, აქ ღრმადაა შენარჩუნებული ძველებური ყაიდა, ასეთი გაგება აქაური გურულებისა ვრცელდებოდა თვით ცხოველებზეც".[2]

---

[1] თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 48-49

[2] Н.Марр, Из Пиринейской Гурии, 1927, стр. 7

გმირული ზნე-ხასიათი

ყოველ ხალხს თავისი წინაპრები გოლიათებად ან გოლიათების მძლეველ ადამიანებად ჰქონდათ წარმოდგენილი. ეს არის ხალხური ეროვნული წარმოდგენა, რომელიც ინტელიგენტსაც დიდხანს გაჰყვება. ამის მიზეზია პატრიოტული გრძნობა, მაგრამ ზღაპრული ეროვნული თვითგანდიდება დღეს სიამოვნებას აღარ გვანიჭებს, დღეს გონებას ეკუთვნის სიტყვა. გონება კი მოჩვენებებს არათუ ქმნის, არამედ ანგრევს.

ეროვნულ ხასიათზე, მის ზნე-ჩვეულებებზე ისე არ შეიძლება მსჯელობა, თუ გმირის იდეალისადმი ხალხის მიმართება არ გამოიკვეთა. ხალხური ზნე-ჩვეულებების ფორმირებას სწორედ გმირის ხალხურ-ესთეტიკური იდეალი ახდენს. ხალხის ზნე-ხასიათის შესახებ ასე თუ ისე ობიექტური სურათის შესაქმნელად საინტერესოა არა მხოლოდ ხალხის წარმოდგენა თავის თავზე, არა მხოლოდ ამ ხალხისადმი სიყვარულით წარმოთქმული აზრები სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან, არამედ თვით მტრულად განწყობილი ისტორიკოსების აზრები, სახელდობრ, როგორ გვხედავენ მოწინააღმდეგეთა მემატიანე-ისტორკიოსები (ან-ნასავი, ჯუვეინი, გურჯი ზადე და სხვები)?

ხალხის გმირობა და ინდივიდუმთა გმირობა ერთი და იგივე როდია. ხალხის გმირობა, მისი ღირსება, სოციალური ბედ-იღბალი იმით განისაზღვრება, მიაღწია თუ არა მან ისტორიულად ნამდვილ ეროვნულ ერთიანობას. მოკლედ, ხალხი ხალხად იქცა თუ არა, სრულად აითვისა თუ არა ეროვნული პოტენცია. საქართველოს ისტორია ინდივიდუმთა გმირობებით ღარიბი როდია. ქართველების მეომრულ ღირსებაზე ბევრი თქმულა მტრებისაგან თუ შორიდან მაცქერალ ევროპელ თანამგრძნობელებში.

ჯუვეინი ილხანების სპარსეთის სულიერი განწყობილების გამომხატველია. იგი ისე ხარობს ქართველებზე თავდასხმით, მათი გაჟლეტით, როგორც მშიერი სვავი ლეშის დანახვისას. აქ მორალზე ზედმეტია ლაპარაკი. ეს იყო მტარვალი ბარბაროსების დამპყრობლური სულისკვეთება, რომლებიც აფერხებდნენ საკაცობრიო პროგრესს. რასაკვირველია, ამით სპარსეთის კულტურის მნიშვნელობას არ ვამცირებთ, მაგრამ სპარსი ადამიანის ამ საუკუნის ფსიქოლოგია ქრისტიანობასთან შედარებით უფრო

ჩამორჩენილი რელიგიით და სოციალური ვითარებით იყო გაპირობებული. დამპყრობლური ომები არც ქრისტიანი ქვეყნებისათვის იყო უცხო, მაგრამ ამ ქვეყნებს არ ჰყოლიათ ისეთი სულის მწერლები, როგორიც იყვნენ სპარსი ავაზაკების თანამზრახველი, მათი ისტორიის ოქმის შემდგენელი მწერლები. სპარსეთის იმპერია, მსოფლიო ისტორიის დიდმნიშვნელოვანი მუხლედია. ადამიანის განვითარების თვალსაზრისით, რელიგიური საფეხურების თანაფარდობის თვალსაზრისით, სოციალური შინაარსით, როგორც ამბობენ, სპარსელებს დაპყრობილი ჰყავდათ მათზე უფრო განვითარებული ხალხები.

ჯუვეინისა და ან-ნასავის თხზულებებს რომ დიდი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ეს მწერლები თავისი განწყობით არ განსხვავდებიან სპარსი დამპყრობლებისაგან. ამ შემთხვევაში კალამი და ხანჯალი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ ისტორიკოსთა შემდეგ გავიხსენოთ დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და ვნახავთ რა კონტრასტია ობსკურანტიზმსა და ქართველი მეფის განწყობილებებს შორის.

ჯუვეინი ასე გადმოგვცემს თავისი სულთნის „მოღვაწეობას“ ქართველების წინააღმდეგ: „იმ დროს, როცა განთიადის შუქი ღამის წყვდიადს სდევნიდა, (ჯალალ-ად-დინმა) ქართველთა ბანაკს მიაღწია გარნისის ხეობაში, სადაც ისინი ღვინით მთვრალები და გალეშილები იყვნენ.

სანამ ქართველები ხელს აღმართავდნენ საომრად, სულთანი თავს დაესხა და კარგი გამარჯვება მოიპოვა მათზე... შალვა და ივანე სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად შეიპყრეს, ბორკილებში ჩასვეს და სულთანს მოჰგვარეს. შალვა ადის ტომის (ყურანის მიხედვით ადის ტომი მეტად ძლიერი და ამის გამო, მედიდური ყოფილა) მამაკაცს ჰგავდა ტანის სიდიდითა და წარმოსადეგობით, კეთილშობილ ღირსებითა და ძლიერებით“.[1] ამის შემდეგ ისლამის მიღება შესთავაზეს. მან უპასუხა: „დეჰყანებს ასეთი წესი აქვთ, რომ ბოსტნებში ავი თვალის წინააღმდეგ სახედრის თავს ჰკიდებენ.

---

[1] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანები და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1974, გვ. 32

შალვაც ვირის თავი იჭნება ისლამის ბალის მწვანეში"[1] (შემდეგ ჯუვეინი მას უწმაწურად ლანძღავს). შალვა და ივანე სულთანმა ვერ გამოიყენა თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ. „რაკი სულთნისათვის ამ თვალთმაქცი ადამიანების უხამსი მრწამსის ნამდვილი ამბავი ცნობილი შეიქნა, წამოდგა, ხმალი წელზე შემოჰკრა შალვას, შუაზე გაკვეთა და ხმალი შეღება მისი სისხლით. თანაც ბრძანა, ყველა დანარჩენიც ჯოჯოხეთში გაგზავნეთო"...

„როცა (ლორის ველზე) მტერი ჩადგა და მზე ამოვიდა... ნახეს ქართველები, რომლებიც მახეში გაბმული ნადირივით ხუთ-ხუთ და ათ-ათ კაციან ჯგუფებად შეგროვილიყვნენ. ვინც კი დაინახავდა ქართველს, იქვე ჰკლავდა, სანამ ამრიგად ბევრი არ გაწყდა და თავისიანებს არ მიჰყვა. ყოველი სოფელი თუ ციხე თბილისის მიდამოებში, რომლებიც ეშმაკის მიმდევრებით იყო სავსე, ერთიანად მოსთხარა და მის ამალას უსაზღვრო და უზომო ნადავლი ერგო. თბილისის ეკლესიები, რომელთა აშენებაზე ძველთაგან ძვირფასი საუნჯე იყო დახარჯული, დააქცია, მათ ადგილზე კი ისლამის სამლოცველოები დააარსა".[2]

რასაკვირველია, მტრის დამარცხება ყველას გვახარებს, მაგრამ ადამიანის ღირსება ის არის, შეუძლია თუ არა გაარჩიოს, რისი და რანაირი მტერია თვითონ. ეს ისტორიკოსი ხარობს იმით, რომ სიკეთე დაამარცხა, მოსპო, გაანადგურა ქრისტიანული კულტურის კერები. მასაც უწია ბედმა და მონღოლებმა იგივე უყვეს, რაც ჯალალ-ად-დინმა საქართველოს.

ახლა ვნახოთ ჯალალ-ად-დინის მეორე ისტორიკოსის ან-ნასავის „ლირიკული" განცდები, სულთან ჯალალ-ად-დინის მიერ საქართველოს აოხრებასთან დაკავშირებით.

ან-ნასავი გადმოგვცემს მისი ახლო მეგობრის ნაამბობს: ჩვენ ვიმყოფებოდით აფხაზთა ქვეყანაში სამი თვე, განუწყვეტლივ ვახდენდით რა თავდასხმებს მანამ, სანამ მისი მცხოვრებნი არ აღვავსეთ დიდი უბედურებით. მცხოვრებნი მთის ხეობებში იხიზნებოდნენ. მაგრამ მუსულმანები იქაც მისდევდნენ. დამპყრობლებს თავიანთი უფროსები აფრთხილებდნენ — არ

---

[1] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1974, გვ. 32
[2] იქვე

წასულიყვნენ შორს, სახიფათო ადგილებში, მაგრამ ისინი ჯგუფ-ჯგუფად ან თითო-თითოდაც მიდიოდნენ მათ დასარბევად და ნადავლითაც ბრუნდებოდნენ. ქართველებს „...აიძულებდნენ თავის გადასარჩენად ეხეტიალათ ხეობიდან ხეობაში, ერთი-ერთმანეთზედ ვლვრიდით სისხლს".[1] შემდეგ ეს ისტორიკოსი სიამოვნებით მოგვითხრობს, თუ სულთანმა როგორ გაავლეჯინა ორ ნაწილად თავის მეომრებს ქართველი შალვა.

თბილისი „...დაპყრობილი იქნა და მაშინ ხმლები სრული უფლებით მბრძანებლობდნენ მის მცხოვრებთ, ხოლო მეომართა ხმლებმა მოიტაცეს მათი ავლადიდება".[2]

„და მიიღო სულთანმა ყოველივე, რაც აქ საუკუნეებით იყო დაგროვილი. ყოველივე ამას ვერ ჩამოთვლიდა თითები ყველაზე გაწაფული მცოდნესი, ხოლო რეესტრების სვეტებში მათი ჩამოთვლისაგან სივიწროვე შეიქნებოდა". მტაცებლობა, კვლა, აოხრება სულთანის სტიქიაა. ასეთივე სულისკვეთება გააჩნიათ მის მემატიანეებსაც. ძარცვავდნენ უმოწყალოდ ქართველი ხალხის საუკუნეების ნაოფლარს. „265 წლის მანძილზე (1235-1500)... სულ მინიმალური ანგარიშით საქართველომ... დაკარგა მრავალი ასი მილიონი ოქროს (ფული) ხარკის სახით და ათჯერ მეტი ძალადობა-ძარცვის შედეგად".[3]

ან-ნასავი გატაცებით აგვიწერს გარნისთან ქართველების დამარცხების ამბავს, იმასაც, რომ ივანე ათაბაგმა თავისი ლაშქრით ბრძოლის ველი მიატოვა. ამას ავტორი ქართველების სიმხდალით ხსნის, მაგრამ მას სავსებით სწორ კომენტარებს უკეთებენ აზერბაიჯანელი მეცნიერები. ისინი ემყარებიან „ქართლის ცხოვრების" ქრონიკებს, სომხურ საისტორიო წყაროებსა და ივანე ჯავახიშვილის ინტერპრეტაციას. სახელდობრ, ივანე ათაბაგმა მართლაც მუხანათურად მიატოვა მოძმენი. მან მონაწილეობა არც კი მიიღო ამ ბრძოლაში, მტერს შეატოვა ძმები შალვა და ივანე. შური, ეს უმძიმესი მავნე სენი, შეიქნა გარნისთან დამარცხების მიზეზი.

---

[1] Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-дина Манкбурны, Баку, 1973, стр. 160-161

[2] იქვე, გვ. 168

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველო სისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 238

საომარ ლაშქრობებში მონაწილე აზიელ ისტორიკოსებს ემოციები ეძალებათ. ისინი ქრონიკების შედგენისას თითქოს უეცრად მოსწყდებიან საქმეს და საფალავნო ოცნებები აღეძვრით. აქ ისინი მეზღაპრე პოეტები ხდებიან და ბავშვივით ხარობენ მტრის დამარცხებას. ამ ისტორიკოსებს, რა თქმა უნდა, რაინდული გრძნობა არ გააჩნიათ და ფანტაზიის ტყვეობაში არიან. თუმცა ალაგ-ალაგ მაინც ვერ იმორჩილებენ ჭეშმარიტების ძალას იმ აზრით, რომ წამოსცდებათ სიმართლე. რელიგიური ზიზღი ქრისტიანებისადმი უსაზღვროდ იჩენს თავს. ქართველების ისტორია, ცხადია, მხოლოდ გამარჯვებათა ისტორია როდია. ისინი დამარცხებულან, შეშინებულან, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ქართველი ხალხის ზნე, მისი ხასიათი, უცხოელთა აღიარებითაც, უაღრესად განსაკუთრებული, გმირულ-მეომრული ყოფილა. აშკარა მტრულ-ემოციურად განწყობილი მემატიანეც კი — ნებსით თუ უნებლიეთ ხაზს უსვამს „ურწმუნო" ქართველების ქედუხრელობას და თავგანწირულ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ: „ქართლის ვილაიეთში არის გუჯარეთად სახელდებული მხარე, რომელიც საკრებულოა მეამბოხეებისა და ბოროტი სულებისა. მისი მოსახლეობა ქართველ მეფეთა დროსაც გამოირჩეოდა თავისი ურჩობით. ეს ტომი შორს დგას ქალაქისადმი მორჩილებისა და დაქვემდებარებისაგან.

...იყვნენ ურჩები და ფანატიკურად ქედუდრეკნი... მკაცრი ბუნების დიდებულები ერთგულების ფიცის ქვეშ სულმდაბლად ჯანყდებიან და ეშმაკობისა და თვალთმაქცობის დაწყევლილ საქმეში შეუდარებელნი არიან".[1]

ეს ავტორები ვერაგობად თვლიან მას, რასაც გონება ადამიანის ღირსებად მიიჩნევს. სამშობლოს დაცვა „ურჯულოთაგან" ქართველების მოვალეობა იყო, ეს იყო მათი ზნეობრივი კოდექსის პირველი მუხლი.

ძველაზიელ მემატიანეთა ფსიქოლოგიას რომ დავით აღმაშენებლის ფსიქოლოგია შევუპირისპიროთ, კიდევ ერთ თვალსაჩინო ისტორიულ-ფსიქოლოგიურ ფაქტს მივიღებთ, თუ რაოდენ დიდი განსხვავება იყო მტარვალ დამპყრობლებსა და ადამიანის მაღალ ღირსებებს შორის.

---

[1] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის ისტორია, ცისანა აბულაძის თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით, თბ., 1975, გვ. 9

დავითის „გალობანი სინანულისანი“[2] განსაცვიფრებელი სულიერი სიღრმის მაჩვენებელია. მეფე კიცხავს საკუთარ საქციელს, რომ მან გააფართოვა თავისი ქვეყნის საზღვრები. საყოველთაოდ ცნობილია მისი დიდსულოვნება ყოველი ერისა და რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ. იგი ბოროტებას უწოდებს თავის მოქმედებას: „ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შეეჰრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მოვჰხუჭე ნაწილი მათი და ვილუწიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტოი ვშხედრობდი ქვეყანასა ზედა“. აღმაშენებელს პირველ მცნებად მიაჩნია ის ჭეშმარიტება, რომ ყველა ხალხმა თავის მიწა-წყალზე უნდა იცხოვროს. „ნუ გარდასცვალებ საზღვართა, რომელ დაამტკიცნეს მამათა შენთა სამკვიდრებელსა მას შენსა ქვეყანასა მას ზედა, რომელსაც დაგამკვიდროს შენ უფალმან ღმერთმან შენმან“ (მეორე სჯულ. 19, 14).

როდესაც მტერ-შემატიანეებზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ან ომის უშუალოდ მონაწილენი, ან ომის თანამედროვეები. მაგრამ წარსული ომებისადმი ასეთი დამოკიდებულება ან ნელდება, ან სრულებით ქრება. ამიტომაცაა შესაძლებელი ხალხთა შორის მეგობრობა. მაგალითად, ძნელია, ეჭვი შეიტანოთ თურქი ავტორის ევლია ჩელების კეთილგანწყობილებაში ქართველი ხალხისადმი. რა თქმა უნდა, აქ ზოგჯერ ღიმილისმომგვრელი მსჯელობებიც გვაქვს და იგი თვალახვეული კაცის ხელების ფათურით მიაგნებს გზას ისტორიულ ფაქტებში. მაგრამ მასში ბევრი რამ საყურადღებოა, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებთან დაკავშირებით.

საქართველოს ხალხები „...თორმეტ ენაზე ლაპარაკობენ. თითოეული მათგანი თავის კილოზე ლაპარაკობს. ვერაფრით ვერ გაიგებ. მათი აზრით, შავშეთისა და დადიანის ხალხები უნატიფეს ენაზე მეტყველებენ. მოსკოვის ხელმწიფის შთამომავლობა რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ. კეთილშობილი ხალხებია“.[2]

ქართველი ხალხი მისმა ბუნებრივმა ნიჭმა, ფიზიკურმა ძლიერებამ, ფსიქიკურმა გამძლეობამ, სულიერმა სინათლემ გადაარჩინა. XIII-XV საუ-

---

[2] ესარგებლობთ ლაურა გრიგოლაშვილის გამოცემული ტექსტითა და კომენტარებით.

[2] ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I, გვ. 297

კუნეები წარღვნა იყო არა მხოლოდ საქართველოს, მთელი მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ისტორიაშიც: „საფრთხე იდგა ქართველობის მოშლისა ისევე, როგორც მოიშალა სომხობა სომხეთში (და სიცოცხლისუნარიანმა სომეხმა ხალხმა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში გადაიტანა ეროვნული არსებობის კერები...), ალბანელობა შაქ-შირვანსა თუ რანში... საფრთხე იდგა ქართველობის აგილზე თათრულ-ველური ურდოების შემოსვლისა, აღმოსავლური ბარბაროსული ფეოდალური ურთიერთობის შემოსვლისა ქართული განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ადგილას, მსგავსად ყიზილბაშური ირანისა, ოსმალური მცირე აზიისა, თათრულ-თურქმანული შაქი-შირვან-ერევნისა...

საფრთხე დაუდგა ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციას. ეს იყო მსოფლიო მნიშვნელობის შეფერხება, რეაქცია, უკანდახევა... ეს იყო ველურთა დიდი გადმოსახლება (არა, ველურს არც შეუძლია გადმოსახლება), ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციის წალეკვა.

მაგრამ ველურთა ამ წინამორბედებს (ავანგარდს) თან მოჰყვნენ მონღოლ-თათრები, თურქმან-ყიზილბაშები და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაცია დაეცა, „გაველურდა", კუნძულებივით ბოგინობდნენ ამ ველურთა ზღვაში ძველი ცივილიზაციის ნაშთები... მათ აღარ შესწევდათ ძალა ამ ველურეთის ცივილიზებისათვის და საუკუნეთა მანძილზე „აღმოსავლეთის ცა" უძრავი რჩება. ბარბაროსული ფეოდალიზმის საფეხურზე...".[1]

მსოლფიოს ისტორიის ბორბალი უკან დაატრიალა მონღოლობამ. მოვარდა წარღვნასავით, „მსგავსად კალიების ვეება ჯგროებისა გავრცელებულიყო სხვა ერთა ტერიტორიებზე".[2] „მონღოლები, როგორც უკვე იყო ნახსენები, გამოირჩევიან თავისი მძვინვარე ხასიათით, რომელიც ისწრაფვის მხოლოდ გარეგამოვლინებისაკენ, მსგავსად წყალვარდნილისა, რომელიც თუმცა ისევე სწრაფად მიდის, როგორც მოდის, მოქმედებს მხოლოდ დამანგრეველად, მაგრამ არაფერს არ ქმნის, არ მოაქვს არავითარი პროგრესი მსოფლიო ისტორიაში. პროგრესი ხორციელდება მხოლოდ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 240
[2] Гегель. Соч., т. III, 1956, стр. 72

კავკასიური რასის წყალობით".[1] კავკასიური (ე.ი. თეთრი) რასა, ჰეგელის მიხედვით, გეოგრაფიულ მნიშვნელობას არაა მიჯაჭვული. კავკასიური რასა არის ქრისტიანული (ევროპული) რასა, რომელსაც მიეკუთვნებიან აგრეთვე წინააზიელი ხალხებიც.[2] საგულისხმოა, რომ რასობრივი ფიზიონომიურ-განმსაზღვრელი ნიშნით, ჰეგელს, კავკასიური რასის ხალხებში ყველაზე სრულფასოვან გამოვლინებად მიაჩნია იტალიელების, ქართველებისა და ჩერქეზების ფიზიონომია. ის ახასიათებს თავის ქალის კუთხეს: „კავკასიურ რასას დასახელებული კუთხე აქვს სწორი ან თითქმის სწორი. ეს განსაკუთრებით სამართლიანია იტალიელების, ქართველებისა და ჩერქეზების ფიზიონომიის მიმართ".[3] ჰეგელის ეს აზრი ამა თუ იმ ხალხზე გამოთქმული შთაბეჭდილებები როდია, ის მის ფილოსოფიაში მეტად პრინციპული მნიშვნელობისაა. ამ ანთროპოლოგიურ ნიშნებს ჰეგელი სულიერი პოტენციის, ბუნებრივი ნიჭის ნიშნებად თვლის.

რასაკვირველია, ჰეგელის ეს შეხედულებები კავკასიური, ე.ი. თეთრი რასის უპირატესობის შესახებ მიუღებელია.

არც ისე იშვიათ აზრად ითვლებოდა იმ ხანაში ევროპაში, ქართველების ასეთი შარდენისეული ანთროპოლოგიური დახასიათებაც:

„საქართველოს სისხლი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელს დედამიწის ზურგზედაც. მე არ შემინიშნავს ამ ქვეყანაში არც ერთი უშნო სახე როგორც ერთ, ისე მეორე სქესში, სამაგიეროდ მე მინახავს ანგელოზისებური (სახეები)... შეუძლებელია უფრო მომხიბლავი სახისა და უფრო ლამაზი ტანის დახატვა, ვიდრე ქართველი ქალებისა. ისინი არიან მაღლები, ტანადები, უაღრესად მოქნილნი წელში. რაც მათ აფუჭებს, ეს ის არის, რომ ისინი სახეზე უმარულს ისვამენ".[4]

---

[1] Гегель, Соч., т. III, 1956. стр. 73

[2] იქვე

[3] Гегель, Энциклопедия философских наук. III, М., 1956 г., стр. 71 დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი აღნიშნავს, რომ „არ არსებობს არც ერთი არისტოკრატიული გვარი ოსმალეთსა და ირანში, რომლის სისხლიც გაკეთილშობილებული არ იყოს ჩერქეზთა და ქართველთა სისხლით" („სახეთა წარმოშობა...").

[4] ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III, 1962, გვ. 65. შდრ.: შარდენის მოგზაურობა, გვ. 297.

არც ძველი ბერძენი ისტორიკოსების აზრები იყო ამ დროისათვის უცხო ევროპელთათვის: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომსაც მბრძანებლობდნენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზედმეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახეგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ...".[1]

ამრიგად, ქართველი ქალის ან ქართველი მეომრის ქება-დიდების მხრივ მსოფლიო აზრი არ ძუნწობს. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, საქართველოს ცოტაოდენი შვება ჰქონოდა გარეშე დამპყრობთაგან, რათა თავისი ნიჭი სრულად წარემართა ხელოვნებასა და კულტურულ საქმიანობაში. ერის ისტორიას ტრაგიკული იმიტომ კი არ ეწოდება, რომ მან ბევრი სისხლი დაღვარა ბრძოლის ველზე. ქართველი ხალხის ძველი ისტორია ტრაგიკულია, რადგან თავისი ფიზიკური ძალ-ღონე, ფსიქიკური სიმტკიცე, სულიერი სინათლე თავისი მიწისა და ზეცისათვის მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენა. აბა, რა იყო იმაზე უფრო ტრაგიკული ერის ისტორიისათვის, რომ თვალადობით, სახიერებით დარჩეული ქართველი ბავშვები უმოწყალოდ იყიდებოდნენ აღმოსავლეთის ბაზრებზე. დავაჟკაცებული ქართველი მამლუქები ხმალს აგელვებდნენ ეგვიპტის, ერაყისა და თურქეთის... სახელმწიფოთა სასარგებლოდ.

ქართველი მეომრების მლანძღველებსაც მოვუსმინოთ. ამ მხრივ ქართველ მკვლევარს არ ეშინია, ამდენი ქება-დიდების გვერდით მტრის ზიზღით გამსჭვალულ სტრიქონებში დამარცხებული ქართველი მეომრის დანახვის სურვილი თუ გამოსცრის. თუმცა იქაც ჩანს, რომ ინდივიდუალურ-ვაჟკაცური თვალსაზრისით ქართველი კაცი ისეთივე მაგარი და მდიდარი იყო,

---

[1] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, III, 3,5

როგორც მისი კავკასიონის კლდეები, სულით ისეთი ლამაზი, როგორც მისი ყვავილოვანი ველმინდვრები.

დედითა და მამით ქართველი, რომელმაც მშობლიურ მიწაზე აიდგა ფეხი, თავისი ბიოფსიქიკით, ხასიათით ქართველი დარჩა, მთლად ვერ უშლიდა ხელს მაჰმადიანური სამოსი, თუნდაც რელიგია, ეგვიპტის ცხელი უდაბნოები. მამლუქების მეომრულ ხასიათზე შეჩერება იმიტომაც გვჭირდება, რომ მათ მეომრულ საარაკო გმირობას მრავალი ისტორიკოსი და ცნობილი მოღვაწე შეპხებია".[1]

„რუსული საარქივო ცნობები საკვლევით ადასტურებენ ქართული წარმოშობის მამლუქთა იმ წამყვან როლს, რომელზედაც მიუთითებდნენ ევროპელი ავტორები (მოგზაურები, სარდლები და ა.შ.) და რომლის მიჩქმალვასაც ვერ ახერხებდნენ აღმოსავლეთელი მემატიანენი, ენციკლოპედისტები და სახელმწიფო მოღვაწენი. ამ ევროპელ ავტორთაგან მხედველობაში გვყავს კარსტენ ნიბური, ვოლნეი, აბატი ბინო, ფერიერ-სოვბეფი, ნაპოლეონ ბონაპარტე, მარსლეი, მასონი, პინო, ფრანსუა შარლე რუ, იოსებ ჰამერი. შემთხვევით არ თვლის ვოლნეი კოლხეთს იმ ძირითად რეზერვუარად, სადაც ხდებოდა მამლუქთა არმიის შევსება და შემთხვევით როდი მიუჩინა მან „საპრიზო ადგილები" ქართველი წარმოშობის მამლუქებს ამ მხედრობის ოცდაერთსაფეხურიან ეთნო-გენეტიკურ კიბეზე. შემთხვევით არ იწყება ნაპოლეონ ბონაპარტეს 1798 წლის ეგვიპტური მანიფესტი კავკასიიდან მოტაცებული ქართველი მამლუქების ხსენებით. არც ფერიერ-სოვბეფი წერდა ყურმოკრულის საფუძველზე შემდეგს: „მამლუქები ესაა ტყვეები, რომლებიც ოსმალებმა, თათრებმა და ლეკებმა საქართველოდან გაიტაცეს".

„ქართველ მამლუქთა წამყვან როლზე მიუთითებენ XV ს. არაბი ენციკლოპედისტები ტაკი-ედინ აჰმედ მაკრიზი, XVIII ს-ის ისტორიკოსი აბდარახმან ალ-ჯაბარტი და ოსმალეთის ხვანთქარი სელიმ მესამე. დიდი სურვილი ჰქონდა მაკრიზის მამლუქ სულთნებზე დაწერილ ორტომიან შრომაში მიეჩქმალა მათი ქართული წარმოშობა. მაგრამ თავისი ზოგადი კონცეფცია დაავიწყდა და მასალამ გასცა — გვერდი ვერ აუარა არსენიშ-

---

[1] მომეტებულად ვხელმძღვანელობდით დ. ჯანელიძისა და ბ. სილაგაძის წიგნით — „ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში", 1967

ვილების დასახელებას. ნაპოლეონ ბონაპარტეს მომსწრე ისტორიკოსი აბდურახმან ალ-ჯაბარტი უკრიტიკოდ და თანხმობის დუმილით ათავსებს თავისი ხუთტომეულის მესამე ტომში ნაპოლეონის მანიფესტის ტექსტს, რომელიც ქართველი მამლუქების დომინანტობაზე მითითებით იწყება. ფაქტებს ემყარებოდა ოსმალეთის ხონთქარი სელიმ მესამე, როცა 1801 წელს ინგლისში გაგზავნილი პირადი წერილის ფურცლებზე ამტკიცებდა — ყველა მამლუქი ყოფილი ქართველი ტყვეაო".[1] მამლუქთა ცოდვამ ბევრ გარეწარ ქართველსაც უწია. მოძმეთა გაყიდვაზე უფრო დიდი საძაგლობა ადამის მოდგმამ არ იცის. ამ გარეწრების წინააღმდეგ ბრძოლაში შთამომავლობის სიყვარული და მადლობა არ მოაკლდება იმერეთის მეფეს. დასახელებულ წიგნში მოთხრობილია ერთი მაწანწალა ქიორ-ბეის (ბრმა თავადის) შესახებ „...თვალები მას სწორედ ტყვეების ვაჭრობის გამო დაუვსო განსვენებულმა სოლომონ პირველმაო".[2]

„ეგვიპტიდან დაბრუნებული ზოგიერთი ქართველის ტრაგიკულ ბედში წილი ედოთ საქართველოდან ოსმალეთში გადახვეწილ თავადებსაც, რომლებიც ქართველი ერის ინტერესების, ღალატისა და ტყვეებით ვაჭრობის გამო იდევნებოდნენ".[3]

„მაღალ შეფასებას აძლევს ევროპული ისტორიოგრაფია ავჯანყებული მამლუქების მოწინააღმდეგე ბანაკის მეორე მეთაურსაც - დიდვაზირ იუსუფ-ჯოჯას. ევროპელი ავტორები მას გვისახავენ როგორც მამაც და შეუპოვარ მებრძოლს".[4]

„...ქართველი ტყვის იუსუფის დიდვაზირად გახდომის მიზეზი იყო მისი ღვიძლი და, რომელიც ხონთქრის ჰარამხანის მშვენებას წარმოადგენდა".[5]

„ჰარამხანის მზეთუნახავზე ზემოხსენებულ რუსულ ვერსიასთან დაკავშირებით, საინტერესო იქნება იმის აღნიშვნა, რომ ტყვედ გაყიდული ქართველი ასულებიც გარკვეულ ამაგს სდებდნენ დაუვიწყარ სამშობლოს

---

[1] დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, დასახ. წიგნი, გვ. 97
[2] იქვე, გვ. 99
[3] იქვე
[4] იქვე, გვ. 107
[5] იქვე

— საქართველოს. რუსმა პოლკოვნიკმა სტეფანე ბურნაშოვმა[1] შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ სტამბოლის ჰარამხანაში მყოფი ტყვე ქართველი ლამაზმანები საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდნენ ერეკლე მეორეს ოსმალეთის იმპერიის საშინაო მდგომარეობის თაობაზე".[2]

„...ოსმალეთის, ეგვიპტის, სპარსეთის ჰარამხანები სავსე იყო ამ ბედკრულებით, რომელთა ისტორიას შეეხო უთვალავი ევროპელი ავტორი, ამათ შორის ფერიერ-სოებეფი, ბარონი ტოტი, კლაპროტი, სავარი, ოლივიე. მაგალითად, ოლივიე ბაღდადის (ერაყი) ბანოვანთა შესახებ შენიშნავს: „აქაური მდიდარი ქალები საერთოდ ძალიან ლამაზები არიან და საუცხოო ტანადობით განთქმულან. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მათი უმეტესობა ქართველი, ჩერქეზი და მეგრელი ტყვე ქალებია, რომლებშიც მეტისმეტად მაღალი ფასია გადახდილი. მათ არც ვონებამსვილობა აკლიათ, არც განსწავლულობა. მეტყველებენ შესანიშნავი სიფაქიზითა და მოხდენილობით".[3]

მართლაც, აბდურახმან ალ-ჯაბატის ვრცელ წიგნში[4] ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები მამლუქების ქართველობასა ან კავკასიელობაზე. არც იცოდაო, ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ მას თავისი რელიგიური ფანატიზმი აიძულებს გვერდი აუაროს სიმართლეს. აბდურახმან ალ-ჯაბარტი ასე ახასიათებს ალ-მუჰამედს (იბრაჰიმ შინჯიკაშვილს): „...დიდი ემირი, ცნობილი იბრაჰიმ ბეი ალ-მუჰამედი, ყველაზე წარჩინებული ათასობით ეგვიპტელ ემირთა შორის...".[5]

„ისტორიოგრაფიაში და სამოგზაურო ლიტერატურაში ფართოდ არის გახმაურებული დიდი ალი-ბეის ულამაზესი ქართველი ცოლის - ზემოხსენებული სიტი-ნეფისეს სახელი. ერთი ევროპელი ავტორი წერს: „სიტი-ნეფისე... ფრანგთა შორის ცოტა ვინმეს უჩვენებია იმდენი ღირსება, რამდენიც მან აჩვენა. მისი კეთილშობილური ხასიათი და კდემამოსილება

---

[1] Бурнашов, Картина Грузии, Тифлис, 1896. стр. 15

[2] დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, დასახ. წიგნი, გვ. 107

[3] იქვე, გვ. 107-108

[4] „Египет под властья Мухаммада Али", М., 1963

[5] იქვე, გვ. 107

ფრანგების აღტაცებას იწვევდა. ახასიათებდა ისეთი განსწავლულობა, რასაც აღმოსავლეთის ქალებში ჩვეულებრივად ვერ ვხვდებოდით. მანერებიც საკვირველი შეესაბამებოდა ამაღლებულ სულს მისას. გასაჭირი უდრტვინველად აიტანა, განმარტოებულმა და შემწეობას მოკლებულმა თავის ქმარს აღმოუჩინა ისეთი დახმარება, როგორიც მოსალოდნელი იყო ამ ერთგული და მგრძნობიარე ქალისაგან. იბრაჰიმ-ბეის ცოლიც[1] არ ჩამოუვარდებოდა და ასეთივე ქების ღირსია".[2]

როდესაც ხალხურ წყაროებს ვკითხულობთ, გმირებზე შექმნილ ლეგენდებს ვეცნობით, გვაინტერესებს, რაა მასში გაზვიადებული, რაა მართალი. გმირისადმი სიყვარულით განწყობილი ხალხური მთქმელები ან მწერლები და თვით ძველი ისტორიკოსები, ხშირად ეჭვს იწვევენ.

სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი ქართველი ხალხისადმი, მისი წამებული გმირებისადმი უაღრესად გულწრფელი სიყვარულითაა გამსჭვალული. აღწერს რა ქართლ-კახეთის ტრაგედიას მე-17 საუკუნის დასაწყისში, განადიდებს კახეთის წამებულ გმირებს. ქეთევან დედოფლის გმირობით იგი ხარობს, როგორც მორწმუნე ქრისტიანი. ოღონდ მას არასწორი წარმოდგენა აქვს გიორგი საკაძეზე. მას იგი დახასიათებული ჰყავს, როგორც ქართველი ხალხის, საქრისტიანოს ამომგდები. იგი მას აბრალებს იმდროინდელი ქართლ-კახეთის ტრაგედიას. თითქოს შაჰ-აბას პირველს იგი შეუჩნდა, რათა მშობლიური მიწის ასაოხრებლად მიეღო ლაშქარი, ლუარსაბის მიერ უკუგდებული თავისი დის გამო შურის საძიებლად. ცხადია, არასწორად მსჯელობს, მაგრამ საინტერესოა, ამ სიძულვილის მიუხედავად, გიორგი საკაძის მეომრულ ღირსებათა შეფასება: „ის იყო მეომარი უძლეველი, რომელ მხარეზედაც არ უნდა გადასულიყო, ამარცხებდა მეორეს, საწინააღმდეგო მხარეს და სთიბავდა მეომრებს მოწინააღმდეგეებისას, მსგავსად ბალახისა და მით ფარავდა მინდორს".[3]

---

[1] იბრაჰიმ-ბეის ცოლიც ქართველი იყო

[2] იქვე, გვ. 108

[3] Аракел Даврижеци, Книга истории, М., 1973, стр. 107.

ვაუკაცობა და რაინდობა

სიტყვა „ვაუკაცს“ ჯერ კიდევ არ მოუშორებია ისტორიისაგან გამოყოლილი ნიშანი ფიზიკური ძლიერებისა. მით უმეტეს საქართველოს ისტორია მადლიერია ქართველი კაცის ხმალში ნაწრთობი მარჯვენისა. მაგრამ ხალხური თვალსაზრისიც არასოდეს სცემდა პატივს უგულო და უკეთურ მკლავს. ყოველ შემთხვევაში, ვაუკაცის წარმოდგენა უცილობლად გულისხმობს ფიზიკურ ახოვანებას, ძალასა და სიყოჩაღეს. „გმირი არის კაცი დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა“ (სულხან-საბა ორბელიანი).

დღეს პიროვნული ძლიერების გაგება თანდათან შორდება გარეგნული ახოვანების, კუნთების ძალის წარმოდგენას. იგი ძირითადად ნიშნავს სულიერ სიმტკიცეს. ტრადიციული წარმოდგენით, ვაუკაცი გამარჯვების იმედით იბრძვის, არ ერიდება ხიფათს, რაინდი ხშირად სიკვდილის ვარაუდით იბრძვის, ინარჩუნებს რა სულიერ სიმტკიცეს. ძლიერ ფსიქიკას ძლიერი ფიზიკური ძალა უდევს საფუძვლად, მაგრამ მისი შინაგანი სიმკვრივე, სიმტკიცე არ არის პირდაპირი გაგებით ეკვივალენტური ფიზიკური ძალისა.

ადამიანის ძალის შეფასება გარეგნული ნიშნით არ შეიძლება. პატარა დავითმა, უიარაღო მწყემსის ბიჭმა დაამარცხა გოლიათი. გორკი აღტაცებული იყო ამ ბიბლიური თქმულებით, ახალგაზრდობის აღზრდისათვის ჩინებულ ამბად მიაჩნდა. „ხერხი სჯობია ღონესა...“ — ეს აზრია ამ მითის არსში ჩაქსოვილი, თუმცა მასში ბიბლია მაინც ტოვებს რაღაც მისტიკურს. ღონე არ არის ადამიანის ძალის ეკვივალენტი. ადამიანის ძალა ფსიქოფიზიკური მრავალფეროვნებით ვლინდება. განასხვავებენ ფიზიკური ენერგიის ვლენის სხვადასხვა ფორმებს. ერთია, როცა ფიზიკური ენერგია ფიზიკურად ვლინდება, მეორეა, როცა იგი სულიერ ენერგიად გვევლინება. სიტყვებს — „ვაუკაცობასა“ და „რაინდობას“ არ უპირისპირებს ერთმანეთს ჩვეულებრივი მეტყველება. ისინი ხშირად სინონიმებად ენაცვლებიან ერთმანეთს. სინამდვილეში მათ შორის არსებითი განსხვავებაა, იქამდეც, რომ შეიძლება ზოგჯერ, ზოგიერთი სახის ვაუკაცობა სრულიადაც არ ნიშნავდეს რაინდულს.

რაინდობა ისტორიული ფაქტია. რაინდული გრძნობები კი ისტორიულ რაინდობამდეც არსებობდა, იგი ადამიანის ბუნების ნათელ თვისებებს გულისხმობს. რაინდული გრძნობები სიმპათიური რჩება რაინდობის რელიგიურ-ისტორიული ეპოქის შემდეგაც.

ვაუკაცმა (გმირმა) შეიძლება თავი გასწიროს, მაგრამ მას მაინც აკლდეს რაინდული გრძნობა. რაინდის უცილობელი ნიშანია — მეტოქეში, მტერშიც ღირსების დანახვისა და აღიარების უნარი, საკუთარ ემოციებზე ამაღლების უნარი. რაინდობა ეს არის ბატონობა საკუთარ ხასიათზე, ჭეშმარიტების სიყვარული თუნდაც ყველაზე საყვარელ მახლობელთა საზიანოდაც კი. ამდენად, რაინდობა ისტორიულად შეიძლება ითქვას, რელიგიურ-ფილოსოფიური ვაუკაცობა იყო.

ცოტა რამ რაინდობის ისტორიასთან დაკავშირებით: შუა საუკუნეების ეკლესია ჩაეფლო მიწიერ ინტერესებში. ჰეგელის აზრით, ეკლესიის მსახურთა საერთო გატაცებებმა მიწიერი ჭუჭყი მოსდეს რელიგიურ გრძნობებს. ამ ეკლესიურმა დაცემულობამ გაამწვავა მისდამი რეაქცია. ეკლესიის წიაღშივე წარმოიშვა რელიგიური წყურვილი ქრისტესადმი სიყვარულისა. ბერები აღენთნენ პაპის უწმინდურებისადმი სიძულვილით, ქრისტესადმი ფანატიკური სიყვარულით. მაგრამ პაპის მოქნილი პოლიტიკა ოპოზიციასაც თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ იყენებდა. წმინდა ფრანცისკ ასიზელის, წმინდა დომინიკეს და სხვათა ორდენების სახით წარმოიშვა დიდი მოძრაობა აპოსტოლური არმიებისა, რომლებიც ისევ მოხერხებულად გამოიყენა ეკლესიამ. დასავლეთი დაიძრა აღმოსავლეთის წინააღმდეგ. მშიერ-ღატაკი ბერების არმიები — პეტრე მეუდაბნოე, ფრანცისკანელები, დომინიკანელები დიდ ძალად გადაიქცნენ. ქრისტეს „წმინდა ადგილების" გამოსახსნელად დაიძრნენ წმინდა რელიგიური ექსტაზით აღელვებული ადამიანები, ფანატიკოსები. არაბებმა შეავიწროვეს ესპანეთის ქრისტიანები, მაგრამ ქრისტიანულმა რაინდულმა ორდენმა შეუტია და შეავიწროვა არაბი სარაცინები. ეი. რელიგიური გრძნობა, ფიზიკურად უმწეო ადამიანების ღელვა ძალად იქცა. მკლავმაგარი გახდა. სულიერმა უანგარო ბრძოლამ საღვთო საქმისათვის სიწმინდისა და ღვთიური ინტერესების დასაცავად რაინდული ორდენები წარმოქმნა. როგორც ამბობენ, ყველაზე ლამაზი ფორმით იგი გამოვლინდა ესპანეთში სწორედ სარაცინებთან ბრძოლის

გამო. იოანიტების, ტამპლიერებისა და ტევტონელთა რაინდული ორდენები დიდ ასოციაციად გაერთიანდნენ.

„ეს ასოციაციები არსებითად განსხვავდებოდნენ ფეოდალიზმის ეგოისტური პრინციპისაგან. თითქმის თავგამეტებული სიმამაცით წირავდნენ თავს რაინდები საყოველთაო სიკეთეს".[1] შემდეგში წახდნენ რაინდებიც. მაგრამ კლასიკურ პერიოდში მათ მიაღწიეს რელიგიურ ფანატიზმს, სანიმუშო პათოსსაც. ისინი მფარველობდნენ ღარიბ-ღატაკებს, იბრძოდნენ წმინდა, სულიერი, უანგარო სიკეთის დასაცავად.

რაინდებისათვის უმთავრესი არ იყო თავისი მშობლების, და-ძმების, ცოლ-შვილის, ან მეგობრების ბედნიერებისათვის ბრძოლა, მათი მიზანი არ იყო არც სამეფო ტახტისა და მიწიერი, ამქვეყნიური ბედნიერება.

რაინდული მორალით ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა უნდა თავისუფლდებოდეს კერძო მიზნებისაგან. ჩვენში ამგვარი რაინდული გრძნობების გენიალური სურათები შექმნა დიდმა ვაჟა-ფშაველამ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სამყარო, მისი გმირები სწორედ რაინდობის კლასიკური განსახიერებანი არიან. გავიხსენოთ: ალუდა მოხიბლა მტრის სიმამაცემ, მისმა პიროვნულმა ღირსებამ. ალუდა დაფიქრდა, თითქოს გამოეყო თავის თავს, თითქოს სხვა ადამიანია. ალუდამ თავისი მტრობის ემოციები გვერდზე გადადო. ალუდა თანდათან ჩაღრმავდა თავის თავში და მიუახლოვდა ჭეშმარიტების არსს. ჭეშმარიტება მხოლოდ მშრალი სახით არ გადაიშალა მის წინაშე. მან ჭეშმარიტება აღმოაჩინა როგორც შინაგანი, ფიქრთა შინაარსი, თვალით უხილავი და აბსტრაქტული რეალობა. ალუდა ფილოსოფიურობის გულში აღმოჩნდა.

ჭეშმარიტების სიყვარულსა და გარემომცველ რეალობას შორის კონფლიქტი ღრმავდება. ალუდა თანდათან უფრო და უფრო მტკიცედ დგება სულიერი ჭეშმარიტების მხარეზე. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჭეშმარიტების სიყვარულმა მსხვერპლის უმაღლეს ზომას მიაღწია. ალუდა თავის ოჯახურ ბედნიერებას სწირავს სულიერ პრინციპებს. მხოლოდ ღრმა პიროვნებისათვის წყდება ამგვარად საკითხი.

---

[1] Гегель, Философия истории, 1935, стр. 327

პირადი ბედნიერება თუ სიყვარული ჭეშმარიტებისა — ასე იდგა საკითხი დიდ პიროვნებათა წინაშე. მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ ჭეშმარიტების სიყვარულისათვის გასწირონ ხორციელი კეთილდღეობა. ჩვეულებრივნი კი უფრო ადვილად წყვეტენ საკითხს.

მოგვწონს ალუდას შეუპოვრობა. ჩვენ ადამიანურად ვზრუნავთ ალუდას ბედზე. გარკვეული აზრით ზრუნავს ვაჟაც. მას უმაღლესი ბედნიერება ეშეტება ალუდასთვის... ტოვებს ალუდა მშობლიურ სახლ-კარს, იმ ადგილებს, სადაც ჩაწნულია მისი სასიცოცხლო გრძნობები. მიდიან ყინულოვან ბილიკზე, მისი ცოლ-შვილი, დედა...

ერთხელ მაუნდა ალუდას
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით საკიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით ჩემო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა“.

გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი ალარ ჩანს კვალისა,
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

ერთი თავისებური ხასიათის შესახებ

პიროვნება, რომელზედაც უნდა ვიმსჯელოთ, სრულებით არ არის სანიმუშო ზნეობრივი თვალსაზრისით. მაგრამ მისდამი ინტერესი უაღრესად დიდია. ეს გახლავთ XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის მთავარი - ლევან II დადიანი, რომელიც “...ერთ-ერთი მეტად საინტერესო პოლი-

ტიკური მოლვაწეთაგანი იყო და მის შესახებ უამრავი ცნობა არსებობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე".[1]

ამ პიროვნებისადმი ჩვენი ინტერესი, ცხადია, სხვაგვარია, ვიდრე ისტორიკოსისა. ერთი მხრივ, გვაინტერესებს თვით ლევან II დადიანის ზნე-ხასიათი, ჩვეულებანი, მეორე მხრივ, ამგვარი ხასიათისადმი მიმართების, პიროვნების შეფასების სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრადიციები. სახელდობრ, რას უფრო ვაფასებთ ტრადიციულად ადამიანში — პირველ ყოვლისა, გულკეთილობას, თუ ჭკუას. რამდენად ვაპატიებთ ინდივიდუალურად გულკეთილ ადამიანს სოციალურ შეცდომასაც, რამდენად შეგვიძლია ობიექტურად შევაფასოთ არაგულკეთილი კაცის სოციალურად სასიკეთო ჭკუის ნაყოფი.

კატეგორიულ მტკიცებებს ვერ დავიწყებთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ტრადიციულად ქართული მიმართება ადამიანის ღირსებისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბუნებით გულკეთილობას. გულკეთილ ადამიანს ლამის ქვეყნის დაქცევა ვაპატიოთ. გულღრძო კაცისგან კი საქვეყნო სიკეთის გაგონებაც არ გვინდა. გულკეთილობა, თუ სოციალურ ჭკუას მოკლებულია, მას საზოგადოებრივი სიკეთის ძალა არ ეჭნება. ხშირად ხდება პირიქით. უვიცი კაცი, რომელსაც ჭკვიანი კაცის სკამი უკავია, არ შეიძლება ბოროტი ან ბოროტების ხელშემწყობი არ გახდეს. შემდეგ კი ბუნებით გამოყოლილ გულკეთილობას კარგავს.

დადიანის პირადი სამყარო უზნეო კაცის სურათს გვაძლევს. ტრადიციული თქმით — „იგი არ იყო კარგი კაცი". რახან კაცის შესახებ არსებობს ასეთი დიაგნოზი, მას შემდეგ არ გეწამს, რომ ცუდი გულის კაცმა კარგი საქმე გააკეთოს და პირიქით. განსაკუთრებული ასეთი ტრადიცია, ადამიანის დახასიათებისას ასეთი ტენდენციურობანი, ხშირად შეინიშნება ჩვენს ეროვნულ ზნე-ხასიათში, ესეც ტენდენციების სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხის ორგანული ნაწილია.

ლევან II დადიანისადმი ჩვენი ინტერესი იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ მან გარკვეული წვლილი შეიტანა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის საქმეში. დიდია მისი დამსახურება თურქი დამპყრობლებისაგან

---

[1] მ. მგალობლიშვილი, შარდენის მოგზაურობა..., შესავალი წერილი, გვ. 46

მრავალგზის თავდასხმების აცილების საქმეში. „სულთანი საყვედურობდა დადიანს: თქვენ და რუსებს ქრისტიანული სარწმუნოება გაქვთ, ამიტომაც არის, რომ თქვენ ერთად შეთანხმებით არბევთ ჩემს სახელმწიფოსო".[1]

დადიანმა თურქებთან ბრძოლაც იცოდა და მოფერებაც. სწორედ აქ ჩანს მისი ჭკუის მოქნილობაც და ხასიათის თვისებებიც. ბევრგზის აოხრებას გადაარჩინა დადიანმა დასავლეთ საქართველო თავისი დიპლომატიური ჭკუის წყალობით. ახლა გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი ამის შესახებ, თუ როგორ ახერხებდა ეს გულით უკეთური კაცი კეთილი საქმეების გაკეთებას.

დადიანმა თავისი სურვილით თურქეთის სულთნის ვეზირებს ფეშქაშუბის გაგზავნა დაუწყო ორ წელიწადში ერთხელ. სულთანი და მისი ვეზირები კმაყოფილი რჩებიან სამეგრელოს მთავრის ყურადღებით. „ამნაირად დადიანი თავისი ნებით გახდა თურქეთის მოხარკე, ხოლო მთავრის ლარსებს ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარს ბრძანებას თურქეთიდან მოხულს არ ასრულებს".[2]

ერთხელ სულთან მურად IV ირანის წინააღმდეგ ერევანს მიადგა ალყაში. დარწმუნებული, სამეგრელოს მთავრის ერთგულებასა და ყურადღებაში, სულთანმა დადიანს შემოუთვალა — შენი ლაშქრით საომრად წამოხვალო. ნერას უკაცრავადო, შეუთვალა დადიანმა. „ხარკს ინიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ ინიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვარში ვერით არ შემოხვიდეთ. და თუ ამას იზამთ, მე მეორეს მოგისპობთ ხარკს და ადვილად შეგიძლია ჩემს ვერით დაიცვა საბოლოოდ".[3]

ეს არის ეშმაკობის და ვაჟკაცობის მოზიარეული ფენომენი, რომელსაც საისტორიო ხასიათის იმვიათი იუმორიც ანიჭებს. ალბათ ეროვნებითაა ავრეთვე დამშვენებული ერთი ხერხი, რომელიც პირველად ერთად დიპლომატიის ისტორიაში მიიპყრობდა ყურადღებას.

---

[1] ბ. როდონაიას საკან. დისერტაცია, დონის კაზაკობის ბრძოლა თურქ-თათართა აგრესიის წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ ნახევარში და მისი უთანხმოება ქართველებთან, გვ. 294

[2] ა. ლაბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938, გვ. 24-25

[3] იქვე

თურქეთის ელჩებს დადიანი საზღვართან დაახვედრებდა თავის მასპინძელ-წარმომადგენლებს. მათ დავალებული ჰქონდათ ელჩები გამოეტარებინათ საშინელი ციცაბო კლდეებით, ტალახიანი გზებით, დაბურული გაუვალი ტყეებით. ღამეს გაათევდნენ ულარიბესი გლეხის ქოხში. ლოგინად თივას უგებდნენ. ალბათ, არც კოღოები მოანატრებდნენ თავს. ელოდნენ ელჩები მთავრის სასახლეში შვებას. მაგრამ დადიანი მათ ღებულობდა ხის ძირში, ძველ ხალიჩაზე, როგორც უღარიბესი მთავარი (ლევან II დადიანი, როგორც ცნობილია, უალრესად მდიდარი იყო)... არც ღამით ჰქონდათ კარგი სასტუმრო თურქეთის დესპანებს. ხის უკარ-ფანჯრო სახლში ელჩები დაბადებას იწყევლიდნენ. დადიანი მათ უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ სამეგრელოზე უფრო ღატაკი, გაუბედურებული ქვეყანა დუნიაზე არ არისო.

სამეგრელოს ერთ-ერთი გამაჰმადიანებული მკვიდრი სულთნის ვაზირებს არწმუნებდა: სამეგრელოს მიწა სავსეა ოქროთი, ოღონდ დადიანი მას მალავსო.

სამეგრელოში დაბრუნებული მოღალატე დადიანმა შეიპყრო და ცალი ხელ-ფეხი მოაჭრა. კიდევ ერთი მშვენიერი ეპიზოდი: „-დადიანის ელჩი სულთნის წინაშე წარსდგებოდა ხოლმე თეთრი ჩალმით, რაც ქრისტიანის მხრივ მაჰმადიანური სარწმუნოების შეურაცხყოფად და, მაშასადამე, მიუტევებელ დანაშაულად ითვლებოდა. სხვა შემთხვევაში ასეთი დანაშაულის ჩამდენი ქრისტიანი ან სიკვდილით უნდა დასჯილიყო, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გამაჰმადიანებულიყო. მაგრამ, როგორც სულთანი, ისე დიდი ვეზირი დადიანი ელჩის ამ უცნაურ კადნიერებას თურმე მოთმინებით ურიგდებოდნენ. „აქედან ჩანს, — შენიშნავს ტავერნიე — როგორ აფასებს სულთანი სამეგრელოს მთავრის მეგობრობას და როგორ შიშობს მისგან გამოგზავნილ გვამთა წყენასო“.[1]

ამა თუ იმ ხალხის ზნე-ჩვეულებაზე, მის ფსიქოლოგიაზე როცა მსჯელობენ, ხშირად ისეთ ტიპს შეარჩევენ მსჯელობის ობიექტად, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა იმ ერის სულთან.

დადიანი ჩვენ არ მიგვაჩნია ქართული ხასიათის ტიპურ განსახიერებად. იგი მხოლოდ გარკვეული ასპექტით გვიჩვენებს ქართველი კაცის ფსიქოლოგიას.

---

[1] ს. როდონაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 266

ვერავითარ ღირსებას ვერ დავაყენებთ ზნეობრივზე მაღლა. მაგრამ ეს ინდივიდუალურ-პიროვნულ ურთიერთობათა გარკვეულ რკალს გულისხმობს. ზოგჯერ კეთილ კაცზე მეტი სიკეთე შეიძლება მოუტანოს ქვეყანას გულით ბოროტმა, მაგრამ ჭკვიანმა კაცმა. სახელმწიფოებრივი სიკეთე - არა მხოლოდ გულით, არამედ უწინარეს ჭკუით კეთდება. ჭკუის გარეშე კეთილი გული უმწეოა ხალხს რაიმე არგოს. პირიქითაც ხშირად ხდება. მაგალითად, მკითხველის საყვარელი გმირია გულკეთილი ონისე. მაგრამ მისმა უნებისყოფობამ დიდი ზიანი მიაყენა ხალხს. ონისესნაირ ხასიათს ვერ გასწირავს ქართული ხალხური ტრადიციული თვალსაზრისი. ასევე ეპატიება ადამიანს უმძიმესი შეცოდება, თუ იგი გულით კეთილია. ისმის კითხვა: ხომ არ არის ეს ტრადიციული პოზიცია ცივილიზაციის პიროებებში მოძველებული? საგულისხმოა, რომ ქართულ ლიტერატურას არ გამოჰპარვია საწინააღმდეგო ვითარებაც.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში", სულ პატარა ეპიზოდში ძალზე ღრმა სიბრძნეა ჩამარხული: ბოროტი ვაზირი რუქა კეთილსა და ჭკვიან მეფეს ეუბნება, უგვან კაცს რატომ იჩერებ სამეფო კარზეო (გულისხმობს კეთილ სედრაქს). მეფემ უთხრა — თუ ბოროტი უნდა განვაძევო, პირველი შენ უნდა მიგაბრძანოო. მაგრამ მეფემ იცის, რომ რუქა ჭკვიანია. მისთვის კი სახელმწიფოს მართვის საქმეში ნაკლები მნიშვნელობა აქვს რუქას ზნეობრივ მხარეს, მას განსაკუთრებით სჭირდება რუქას ჭკუა. როგორც გოეთე ამბობს („ეგმონტში"): სახელმწიფოს მმართველობას სჭირდება დიპლომატია, დიპლომატიას კი ისევე სჭირდება ცბიერება და ვერაგობა, როგორც ხმალ-ხანჯალს თავისი აღჭურვილობა.

დადიანი არ არის საყვარელი გმირი. იგი ამას ვერც შესძლებდა, რაც უნდა დიდი სიკეთე გაეკეთებინა ქვეყნისათვის. შემთხვევითი ალბათ არც ისაა, რომ საუკუნეების განმავლობაში არა მარტო ემოციების, არამედ აზრების წყაროდაც ქართული შეხედულებით გული იყო წარმოდგენილი.

„შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ რუსთაველი მოიხმარდა გულს როგორც სულის ბუდეს ტვინის მაგიერ, არისტოტელეს მიხედვით, რომელიც ჰიპოკრატესა და სხვა ბერძენ ფილოსოფოსთა წინააღმდეგ ფსიქიკურს გულს მიაწერს და არა ტვინს. მაგრამ როგორც ე. ფრანგიშვილის დაწერილებითი გამოკვლევიდან ჩანს, ქართველ ხალხში ძველი დროიდანვე

ფსიქიური გულს მიეწერება. სახელდობრ: უსიამოვნო და სასიამოვნო ემოციები (გულისწყრომა, გაგულისება, გულდამწვარი, გულმტკიცე, გულმხიარული, გულმიმტაცი, გულმართლობა, გული მოულბო და სხვა), გრძნობები (გულსაკლავი, გულმართლობა, გულმიმტაცი, გულსაზარი), ფაქტივობის განცდები (გულისთქმა, შეგულება, გულმა არ მომისმინა, გულიდან ამოღება), ყურადღება (გულისყური, გულმოდგინე, გულდაგულ, გულფხიზელი), შემეცნებისა და მეხსიერების პროცესები (გულის წასვლა, გულშელონება, გულმავიწყი, გულიდან ამოშლა), აზროვნების პროცესები (გულის ხმისყოფა, გულისხმიერება, გულის სიტყვა, გულის ზრახვა, ბრმა გული); ნიჭი, ტემპერამენტი, ხასიათი (გულფიცხი, გულოვანი, გულმაგარი, გულჩვილი, გულთმისანი, გულლია, გულხარბი, გულ-მოკლე). ამნაირად გამოდის, რომ გული ქართულ ენაზე არის ის შინაგანი, რაც სინამდვილეში პიროვნებას, სუბიექტს მოეპოვება, რომ სიტყვა „გული" სულის მნიშვნელობითაც გვხვდება (ვ. ფრანგიშვილი, ფსიქოლოგია, ტ. III, 1945, გვ. 449)".[1]

ფიცი

ჩვენს ტრადიციებს ამშვენებს ადამიანური ურთიერთობის ისეთი ლამაზი წესი, როგორიც არის ფიცი, არგატეხა აღთქმული სიტყვისა.

ფიცი არის სინდისსა და ადამიანის მომავალ ქცევებს შორის ერთიანობის განხორციელების აღთქმა. განხორციელება კი არათუ ადვილია, ზოგჯერ იგი სიცოცხლის ფასად ჯდება. ყოველ შემთხვევაში, მრავალი აწმყოსეული სიამე უნდა უარყოს კაცმა სულიერი გამარჯვების მისაღწევად. ფიცი ხასიათის სიმტკიცის, ნებისყოფის ლამაზი ფორმაა, მიუხედავად მისი რელიგიური წარმოშობისა.

ფიცის ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი პროცესი, ისტორიულად, ემყარებოდა ღმერთის რწმენას. ე.ი. სინდისსა და ქცევებს შორის თავმდებია, შუამავალია, მსაჯულია ღმერთი ან ღვთაებრივი ფუნქციის აღმასრულებელი (წმინდანი, ხატი, რელიკვია). იმ შემთხვევაში, როცა უახლოეს ადა-

---

[1] ივ. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, 1957, გვ. 201-202

მიანს იფიცებს ადამიანი, ეს არის აღთქმა ღვთისადმი, რომლის დარღვევის შემთხვევაში ის თვითონ სთავაზობს ღმერთს უმძიმეს სასჯელს. ფიცის გატეხა არათუ მახლობელთა მიმართ, არამედ თვით მტრისადმიც კი, ითელებოდა დაუშვებლად. ფიცის გატეხა, ღალატი, ძალზე მწვავე სიტყვები იყო ქართველი კაცისათვის. რა თქმა უნდა, თანამედროვე თვალსაზრისით ფიცს აზრი უნდა ჰქონდეს, უაზროდ ნებისყოფის გამოცდა ფანატიზმია. მაგრამ სიტყვის არგატეხის წესი, მისი რელიგიური შინაარსის მიუხედავად, დღესაც თავისი ფორმით მომხიბვლელია.

ლაშა-გიორგის ძემ მონღოლთა ყაენთან წასვლის წინ თავისი სამეფოს მართვა-გამგეობა ერისთავებს ჩააბარა, თუმცა იმ პირობით, რომ ისინი დედოფალს უნდა დამორჩილებოდნენ. კახეთის გამგეობა თორღუა პანკისელისათვის ჩაუბარებია. თორღუამ იფიქრა, მეფე ველარ დაბრუნდებაო და დედოფალს განუდგა. მაგრამ დაბრუნდა მეფე... რამდენიმე გზის თავისთან იხმო თორღუა. თორღუას შეეშინდა, არ ეახლა მეფეს. საქმეში ხორნაბუჯის ეპისკოპოსი ჩაერია. ვერც ეპისკოპოსის სიტყვას ენდო თორღუა, თუ ალავერდის ეკლესიაში არ წავიდოდნენ. წავიდნენ ალავერდში. იქ თორღუა გამოება წმინდა გიორგის სამოსელს. ხორნაბუჯელმა ხატის წინ შეჰფიცა მას უნებლობა, მივიდა და, — „სამოსლის ფესვისაგან" გამოხსნა თორღუა. თორღუამ უთხრა: რაც მე შენ მიყო, იგი გიყოს წმინდა გიორგიმაო.

ამ ფაქტის გამო ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: „უეჭველია, აქ ჩვენ იმ რწმენის გამოხატულება გვაქვს, რომლის მიხედვითაც ტაძარი, სამლოცველო ხატის დასასვენებელი ისეთი ადგილებია, რომელთაგან მათი მფარველობის ქვეშ შევრდომილს, თვით ბოროტმოქმედისა და დამნაშავისაც კი, არც ძალით გამოყვანა შეიძლებოდა, არც გაცემა და არც დასჯა, ე.ი. ხელშეუხებლად იყო მიჩნეული".[1]

ამგვარი წესის დროს, ხატზე გამობმული კაცის გამოყვანა ძალით არავის შეეძლო, არც სახელმწიფოს, არც საეკლესიო საზოგადოებას. ეს იყო რელიგიურად განმტკიცებული და სახელმწიფოებრივი კანონებით ხელშეუხებელი წესი. ე.ი. სახელმწიფოს, ეკლესიას თავისი წესი არ უნდა

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 289

დაერღვია მაშინაც კი, რაოდენ დიდი ბოროტმოქმედიც უნდა ყოფილიყო იგი. მას გულუბრყვილობის სილამაზე უდაოდ გააჩნია. ამით ეკლესია ცდილობდა, ავტორიტეტული გაეხადა თავისი სიტყვა. ეს ქრისტიანული წესი, ანუ „შუამდგომლობა“ ხალხურად ნიშნავს — „სიტყვა სიტყვაო“. ეს ნიშნავს წესის განუხრელად ასრულებას, რომლის დარღვევა არავითარ შემთხვევაში, არავითარი მიზეზით არ გამართლდებოდა.

როგორც ითქვა, ფიცი არის თავის საკუთარ სინდისსა და საქმეს შორის, უფრო ზუსტად მომავალ ქცევებს შორის ერთიანობის აღთქმა, რომლის შუამდგომელი, მოწმე არის საფიცარი მსაჯული. ამ მსაჯულის კრძალვა და პატივისცემა აქვთ. ეი. ფიცის ისტორიულ შინაარსში სამი მომენტია გასათვალისწინებელი: სინდისი და ქცევა, მათ შორის არის ღმერთი ან წმინდანი, სალოცავი. „ფშაველი თავის თემის ხატისას დაიფიცავს და თითქმის ყველა ფიცზე უფრო ძლიერად მიაჩნია. საგანი მათის საფიცარისა ქრისტიანულია და ბევრიც წარმართიდროინდელი არის დარჩომილი. ფშაველი ფიცულობს: „ე ცეცხლის სინათლის მადლმა“, „ე დედამიწის მადლმა“, „მოღალული მზის მადლმა“, დაჰფიცავს აგრეთვე: „ხარის ბედს“, „პურის ნაწილს“, შესანიშნავის მეფეების სახელს, უფრო „თამარ მეფეს“, „ლაშარის ჯვარს“, მწყემსი მეცხვარე „საესე (ცხვრით) მინდორს“, „ცხვრის სამლთოს“, ქალი (გასათხოვარი) ჰფიცულობს, თუ ძმები ჰყავს, უფროს ძმასა და, თუ უძმოა, იტყვის: „აგრემც მიშველის ღმერთი“, „აგრემც მიშველის კვირა მადლიანი“. დედაკაცი (ქმრიანი) ჰფიცულობს შვილებს. თუ უშვილოა, — ძმებს, ქმარს არ დაიფიცავს, რადგან სირცხვილია და გამოიწვევს დაცინვას ხალხის მხრით“.[1]

ცხადია, ყველაფერი იმით განისაზღვრება — რას ერთგულებს და რას ღალატობს კაცი. ზოგიერთი რამის ღალატი ეგების უფრო პირნათლობა იყოს ჭეშმარიტებისადმი, ვიდრე ბრმა ფიცი, ბრმა ერთგულება ფუჭი პრინციპებისადმი. ისტორიულად ჩვენი ხალხის ყველაზე მაღალი საფიცარი იყო ერი, ღმერთი. რაც ჩვენი ხალხის სულიერი განვითარების აღმავალ გზას ეწინააღმდეგება, მისთვის ფიცი და ეთრგულებაც ავი ზნისა იყო. მტრი-

---

[1] ვაჟა-ფშაველა. თხზ., VII, 1956, გვ. 18-19

სათვის მიცემული სიტყვის არგატეხა ზოგჯერ უგნურება იყო, მაგრამ სიტყვა „ღალატი“ ისეთი რამაა, რომლისგანაც ყველა შემთხვევაში რჩებოდა გარკვეული ნალექი. მტრისთვის ისეთი სიტყვა არ უნდა მიეცა რაინდს, რაიც მის ღირსებას ეწინააღმდეგებოდა. მტერთან მტრობა შეურიგებელი — ასეთი იყო მთავარი პრინციპი. ავაზაკ დამპყრობელს რომ მოღალატე ეწოდებინა ქართველი კაცისთვის, ეს, ცხადია, სალანძღავ სიტყვად არ მიიჩნეოდა... მაგრამ ფეოდალური ეგოიზმის ჭირვეულობით გამოწვეული ღალატი ღრღნიდა ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს.

ფიცი ზოგიერთ შემთხვევაში შეფიცულებად, გაფიცულებად იქცეოდა და მიმართული იყო მაღალი ეროვნული საქმის საზიანოდ. ასეთი ფიცი უდრიდა ღალატს. „ღალატი“, „განდგომილება“, „ორგულობა“ "... IX-XII საუკუნეების განმავლობაში, მეტადრე IX-XI ს., იშვიათი მოვლენა არ იყო. საქართველოს იმდროინდელი ისტორია ბევრს ამგვარ მაგალითს მოგვითხრობს“.[1]

თვით ყიჩალებმაც დაუპირეს აღმაშენებელს ღალატი, მაგრამ ყოველი ღალატის დასაწყისს მაშინვე სცნობდა დავითი. მას არც ერთი ბოროტი დაფარული სიტყვა არ გამოეპარებოდაო, წერს მისი ისტორიკოსი. „ყველა ადვილად მიხვდება, — დასძენს ი. ჯავახიშვილი — თუ როგორ გახდებოდა დავით აღმაშენებელი ასეთი გულთმისანი: რასაკვირველია, ჯაშუშების დახმარებით“.[2]

დავითი „გალობანი სინანულისანი“-ში ერთგან ინანიებს, ცოდვად სთვლის მსტოვარ-ჯაშუშობის გამოყენებას, მოსმენას. მაგრამ დიპლომატიას თავისი ლოგიკა აქვს. დიდი საქმე, საქმის მაშსტაბი და შინაარსი ათავისუფლებს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს ასეთი ბრალდებისაგან. დავითის ჯაშუშების ღირსებაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თვით მისი მეფური, დიპლომატიური ძალის, სიფხიზლის ძალის შესახებ უდაოდ დადებითად მეტყველებს ეს ფაქტიც.

ღალატისათვის საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა სასჯელი არსებობდა: „თვალების დაწვა“, კასტრაცია, ექსორია (სამშობლოდან გაძევება). დავით აღმაშენებელი მოღალატეებს არც დიდსულოვნებას აკ-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 129

[2] იქვე

ლებდა და არც სიმკაცრეს. ყველას აძლევდა საშუალებას, გონს მოსულიყო, მაგრამ თუ უშედეგოდ, მაშინ იცოდა სასჯელიც. ლიპარიტის მუხანათობა იგრძნო „...ღმრთივ მგრძნობელმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების... ორ წილ პყრობილ ყო და საბერძნეთს გაგზავნა“.[1]

საფლავი

„ყველაზე მშვენიერი საფლავი მსოფლიოში“ — ასეთი სტატია უძღვნა შტეფან ცვაიგმა ლევ ტოლსტოის საფლავს (იასნაია პოლიანაში). მართლაცდა, ვისაც უნახავს ტოლსტოის მამულში, ტყეში, რუსეთის ამ გენიის სავანე, არ შეიძლება, ყურადღება არ მიიპყროს სულიერმა სისადავემ. არც ქვისა და არც რკინის ნატეხი, ოდნავ შემაღლებული მიწაყრილი, თავთან უბრალო ხის ჯვარია აღმართული...

ტოლსტოის სახლში არც ბრჭყვიალა თაროებია წიგნებისათვის. უბრალო თაროებზე ძვირფასი წიგნები აწყვია. მთავარია სულიერი შინაარსი, მატერიალურს ასე ცხადად რომ დასცინის — გენიალობა, ნიჭი, ტალანტი, სათნოება... ქვის ლოდებით არც უკვდავება, არც დაფასება არ მოიპოვება. რა უბრალოებით გამოირჩევა დავით აღმაშენებლის საფლავი გელათში, ვაჟას საფლავი მამადავითზე!...

ყველა გრძნობს, პირველ რიგში ჭირისუფალი, თუ რა უგონოდ იხარჯება ოჯახისათვის, ერისათვის საჭირო თანხები. რამდენი ბრძნული წიგნებით სავსე ბიბლიოთეკის, საავადმყოფოს და ბავშვთა სახლების აშენება შეიძლებოდა, რომ ჩვენი სასაფლაოები ქართული მამაპაპური წესის მიმდევარი იყოს, ეროვნული ტრადიცია რომ არ დარღვეულიყო.

დიდი უმეტესობა გრძნობს, რომ ეს წესი არ ვარგა, მაგრამ სრულდება კი. ინერციის კანონი, შეიძლება ითქვას, ფიზიკის სფეროში როდია მხოლოდ განსახილველი. ცნობილია, რომ ისტორიულად ქართველი ხალხი, ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებში, კათოლიკურ ევროპასავით მაინცდამაინც დიდ სიმკაცრეს არ ავლენდა. მაგრამ დღეს სამარხების ტრადიცია უკან — წარმართულისკენ უფრო მიემართება, ვიდრე ქრისტიანულისკენ.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 130

ისტორიულად ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების განმსაზღვრელია ხალხის წარმოდგენა სიკვდილზე, წინაპრებზე. არსებითად ეს რელიგიურ ძირებზე დაფუძნებული მოვლენებია. მაგალითად, ეგვიპტური კულტურა, პირამიდების, სამარხების კულტურა სწორედ ამ ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიამ წარმოშვა.

სამარხებისადმი მომეტებული ყურადღება იმ რელიგიურ ძირებზეა დამყარებული, რომლის მიხედვითაც ადამიანის სხეული, გარდაცვალების შემდეგაც რაღაცნაირად არსებობის გარკვეულ სახეს ინარჩუნებს, მის სხეულთან არის დაკავშირებული მისი სული. მაგრამ ამგვარ წესებში, ჩვენს ტრადიციებში, ქრისტიანულზე უფრო მეტად წარმართული რელიგიური გადმონაშთებია. მართალია, ქრისტიანობა ყველანაირ წარმართულ წესს არ დაპირისპირება. აქ უმეტესწილად რელიგიურ სინკრეტიზმთან გვაქვს საქმე. მაგრამ მიცვალებულისათვის სასაფლაოზე გადახურული ბინის გაკეთება, სკამის დადგმა, საკურთხის მიტანა, წყაროს ამოშენება თუ სხვა, წარმოშობით არაქრისტიანულია. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით მიცვალებულის სული ტრიალებს არა სხეულებრივ, ბუნებრივ სამყაროში, არამედ შეერთვის ღმერთს, წმინდა სულს. ამდენად ქრისტიანობამ ახლებურად შეხედა სიკვდილთან შეხვედრას, ცხედრის მნიშვნელობას.

ქრისტიანობა არ იჩენს არც დიდ გულმოდგინებას და არც უპატივცემულობას ცხედრისადმი... მიწამ გშვა და მიწამ მიგიღოს... მიცვალებულს ასეთი სიტყვით აყრიდა მიწას ქართველი კაცი. ეს ფორმულა ქრისტიანულია. ის გულისხმობს სხეულის მიწიერებას. რაც შეეხება სულს, იგი თავისუფლდება და ზეცად მაღლდება.

თუ ძველი ბერძნებისათვის, ლაღი და ჰარმონიული ხალხისათვის, ნეტარება სიცოცხლეშია, ქრისტეს მიხედვით ნეტარება ტანჯვაშია. ძალიან უცნაური ჩანდა ასეთი წარმოდგენა. ცხადია, ამ თვალსაზრისს ვერ ეგუება ჰომეროსის თვალსაზრისიც. ჰადესში აქილევსს მისი გარდაცვალების შემდეგ მოინახულებს ცოცხალი ოდისევსი, სააქაოს წარმომადგენელი; იგი სტუმრად მიდის საიქიოში, სულთა სამეფოში, პირქუში ჰადესის სამფლობელოში. აქილევსი დაღონებულია. ოდისევსი მას აუწყებს, თუ რაოდენ განდიდებულია მისი სახელი გმირთა შორის. აქილევსი სევდიანად აცხადებს, რომ მას ურჩევნია მეღორე იყოს იქ (ცოცხალთა შორის), ვიდრე გმირი აქ,

ამ მოსაწყენ სამეფოში. აქილევსს, როგორც ბერძნული ხელოვნებისა და რელიგიის თვალსაზრისის გამომხატველს, სძულს სიკვდილი. მაგრამ ბერძნულ სამყაროში თვალსაზრისთა შორის განხეთქილება მოხდა. ფილოსოფია არ ეთანხმება ბერძნული ხელოვნებისა და რელიგიის თვალსაზრისს იმდენად, რომ პლატონს ათეისტობაც კი დასწამეს.

ჯერ კიდევ შორს იყო ქრისტიანობა, როცა სოკრატე ტუქსავდა მოწაფეებს თვალზე მომდგარი ცრემლებისათვის. ეს მისი ფილოსოფიის ღალატს ნიშნავდა, რადგან მას შემდეგ, რაც სოკრატეს სხეულს გაეყრება სული, ის აღარ არის სოკრატე. ამიტომ ბრძენი მოძღვარი ასეთნაირად შთააგონებს თავის მოწაფეებს: ნუ დაიტირებენ გვამს რომელსაც უკვე აღარაფერი საერთო აღარ ეჭნება სოკრატეს სულთან.

ქრისტეს მოძღვრების არსსა და ამ მოძღვრებაზე დაფუძნებულ რელიგიას შორის წინააღმდეგობა აღმოჩნდა. ამბობენ, ქრისტიანებმა თავიანთ მოძღვარს ზედმიწევნით სწორად ვერ გაუგესო. ქრისტიანებმა ქრისტეს საფლავისა და კუბოს ძიება იმგვარად დაიწყეს, როგორადაც მას არ მიიჩნევდა საჭიროდ თვით ქრისტეც. მოციქულებს სული წმიდამ სხვა რამ ჩამოსძახა, ისინი კი სხვას იქმოდნენ. ქრისტეს ძიება დაუწყეს კუბოში. სული წმიდამ კი მათ ჩამოსძახა: ნუ ეძებთ ცოცხალსა მას მკვდართა შორის. ის არ არის იქ, ის აღდგა. ქრისტიანები ქრისტეს სიყვარულით გულანთებულნი ეძიებდნენ თავიანთი უფლის სხეულს, მაშინ, როცა შეგნებული უნდა ჰქონოდათ სხვა ფორმულის არსი: „შენ არ დაუშვებ, რომ შენი წმინდანი კუბოში გაიხრწნას“.

კამათი უსასრულოდ გრძელდებოდა: რად დასჭირდა ქრისტეს, ღმერთს ადამიანად ქცევა, რად ატარა იგი ადამიანურმა სხეულმა?.. ქრისტოლოგები ამას შემდეგნაირად ხსნიან: ქრისტემ თავისი ინდივიდუალური არსებობით გააღვთიურა ადამიანი. მას უნდოდა ღმერთად ექცია ადამიანი და ამით ადამიანებისათვის ეჩვენებინა, რომ ღმერთი მათ სულში მყოფობს და ღმერთში ისინი მყოფობენ. ქრისტე ეწამა კაცობრიობისთვის, გამოისყიდა ხორციელი ცოდვანი და ადამიანებს თავისი თვითამაღლებით აგრძნობინა სუბიექტური უსასრულობა ღვთაებრივი სულისა.

სიკვდილის შემდეგ ადამიანის არსებობის ნაკვალევს არც ჩვენი თვალსაზრისი შლის. მაგრამ მას სხვადასხვანაირად ხსნიდნენ აღმოსავლეთისა

და დასავლეთის ქრისტიანები. ამ განსხვავებას საინტერესოდ არჩევს ჰეგელი.

აღმოსავლეთში უკვე დიდი ხანია ბატონობდა თაყვანისცემა ხატებისადმი... სახე, სურათი უმთავრესად ეკუთვნის წარმოდგენათა სფეროს, მაგრამ უფრო უხეში დასავლეთის ნატურა მოითხოვდა რაღაც უფრო უშუალოს ჭვრეტისათვის. ამგვარად წარმოიშვა კულტი რელიქვიებისა. თაყვანისცემის მთავარი საგანი გახდა მარიამ ღვთისმშობელი"[1]...

„თვით უშუალოდ ქრისტესაგან შეუძლებელი იყო რაიმე რელიქვიის არსებობა, რამდენადაც ის აღდგა. ქრისტეს სავანეს, ქრისტეს ჯვარი და ბოლოს ქრისტეს კუბო გახდა უმაღლესი რელიქვია".[2]

საინტერესო თანხვედრაა ჰეგელის ამ თვალსაზრისთან, როცა შარდენის ცნობებს ეკითხულობთ რელიკვიებისადმი მეგრელების, საერთოდ, ქართველების დამოკიდებულების შესახებ.

„...აქვე ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ოქროს ლუსკუმაში, ვნახე გამხმარი მკლავი, როგორც ამბობენ, ეს არის წმ. მარინეს მკლავი, ვნახე აგრეთვე წმ. კვირიკეს მკლავი და ოქროთი და ვერცხლით შემკული სხვა წმინდანთა ნაწილები. ჯვარი, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, ინახება ვერცხლისგან გაკეთებულ, ყვავილებით მორთულ ებანოზის ყუთში, მასშივე არის პატარა კოლოფი, რომელშიც დევს მაცხოვრის წვერის რამდენიმე ღერი და შოლტი, რომლითაც იგი იგვემა. ეს ყუთი მთავრის ბეჭდით არის დაბეჭდილი. როდესაც ეს რელიკვიები გვაჩვენეს, ისინი ნოხზე დაიწყვეს და რამდენადაც ჩვენ დიდი მოწიწებითა და თაყვანისცემით ვეხებოდით და ვიღებდით მათ, იმდენად მეგრელები გულგრილად ეკიდებოდნენ ამ რელიკვიებს. ისინი უფრო ლუსკუმის ოქრო-ვერცხლის მორთულობას აფასებენ, ვიდრე ამ წმინდა ნაწილებს, რადგან რელიკვიები მრავლად მოეპოვებათ. რაც შეეხება ლიტერატურულ წიგნებს, ისინი ბევრი აქვთ".[3]

ხალხების სხვადასხვანაირი გატაცება რელიკვიებით მათ ზნეჩვეულებებსაც სხვადასხვანაირად აფერადებს. რელიკვიებისადმი მიდრეკილებების ტრადიციები განსაკუთრებით ააქტიურებს მუზეუმების შექმნისა და მათი

---

[1] Гегель, Философия истории, стр. 356

[2] ჰეგელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 369

[3] შარდენის მოგზაურობა... გვ. 156-157

დათვალიერების ინტერესს. ეს თვისება მკვეთრად შეიმჩნეოდა იმ ხალხებში, რომელთაც რელიკვიებისადმი მიმართების ასეთი ტრადიცია აქვთ.

მრავალი ლეგენდა შექმნილა თამარის დასაფლავებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ცხადია, ლეგენდად ქცეული თამარის საფლავის ძიების წყურვილი რელიკვიების წყურვილი იყო. საქართველოში თამარის საფლავის ძიება თავისი შინაარსით რამდენადმე ჰგავდა ქრისტეს საფლავის ძიებას. დიდი აღტაცებით გამოეხმაურა აკაკი წერეთლის წერილს ვაჟა-ფშაველა. ვინ იცის (მანამდეც და მათ შემდეგაც) მერამდენეჯერ „მიაგნეს" თამარის საფლავს. აკაკის აზრით, თამარის საფლავი არის ფშავში. ვაჟა აღფრთოვანებით იზიარებს ამ აზრს.

აკაკის, ვაჟას სიტყვით, „...უკვე ხელთ უგდია წერილობითი საბუთი. დოკუმენტი თამარის საფლავის არსებობისა ფშავში. რაც მე დიდი ხანია მწამს და მჯერა და არასდროს არ ვეთანხმებოდი ჩვენს მემატიანის ცნობას, ვითომცდა თამარის სავანე გელათში იყოს".[1]

სამარხები ხალხებისა წმინდა სალოცავები იყო. განსაკუთრებით მძლავრად არის მიჯაჭვული მასთან წარმართული რელიგიები. ასეთი წარმართობის, მიწიერების ინგრედიენტისაგან ვერ თავისუფლდება ქრისტიანი ხალხებიც. მაგრამ ქრისტიანობამ უდაოდ უფრო მსუბუქი გახადა მშობლიური მიწა; ადამიანის სიცოცხლის გაგრძელებად მისი ხსოვნა, სულიერი არსებობის ამქვეყნად დატოვება მიიჩნია. სამარხების კულტი ძველ ხალხებში უხვად მოიპოვება.

„დარიოსმა სკვითებს შეუთვალა თავი დაენებებინათ ხეტიალისთვის და პირისპირ შებმოდნენ მას. „დადექი, შეწყვიტე ხეტიალი და იბრძოლე".

სკვითების მეფემ შეუთვალა: „ჩვენ არა გვაქვს არც ქალაქები და არც ბაღები, რომ მათი აღების ან გაჩეხვის გვეშინოდეს და ამის გამო სასწრაფოდ ომი გავაჩაღოთ თქვენთან. ხოლო თუ თქვენთვის სრულიად აუცილებელია სასწრაფოდ ომში ჩაბმა, ჩვენ გვაქვს მამა-პაპათა სამარხები. მოდით, მოძებნეთ ისინი, შეეცადეთ მათ დანგრევას და მაშინ შეიტყობთ, შეგებრძოლებით ამ სამარხების გამო, თუ არ შეგებრძოლებით".[2]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. VII, 1956, გვ. 356

[1] ჰეროდოტე, ისტორია, IV, 127

ჩვეულებრივი, ჯანსაღი ადამიანური განსჯისათვის ღრმა ფიქრთა აღმძვრელია სამარხის წინ დგომა, როცა ვეთხოვებით ძვირფასი ადამიანის ნეშტს. ძნელია შერიგება ასეთ რეალობასთან. საფლავის პატივისცემა ეს ყოველი დროის ადამიანური მოთხოვნილებაა, შინაგანი შეგნებაა, მაგრამ სწორედ წინაპრებისადმი პატივისცემა მოითხოვს გონების ხშირ მოხმობას. ეგვიპტელები თუ მუმიებს ქმნიდნენ, ეს იმ წარმოდგენის ძალით, რომ ისინი მიცვალებულის გვამის შენარჩუნებით ახანგრძლივებდნენ მათ სიცოცხლეს. მათთვის ნეშტი უსულო, სიცოცხლისაგან დაცლილი კი არ იყო, არამედ რალაცნაირად აგრძელებდა სიცოცხლეს. დღეს ჩვენს სასაფლაოებზე რამდენნაირ წეს-ჩვეულებას არ შეეხვდებით. აქ, შეიძლება ითქვას, ათეისტზე არანაკლებ ქრისტე უნდა გაჯავრებულიყო. რამდენი რელიგიის ხელი არ ურევია მასში. ეკლესიის ბრძოლა წარმართულ კერპთაყვანისმცემლობასთან ოდითგანვე გრძელდებოდა ჩვენში. ცხადია, იგი მირიან მეფეს ერთ დღეს, წმინდა ნინოს კურთხევით არ განუძევებია ქართველებისაგან. წარმართობა ძალზე დიდი დოზით დარჩა აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებში. ვაჟა იცავს ამ წესებს მეორე უკიდურესობის წარმომადგენელთაგან, ეკლესიის მამებისაგან, იცავს ძალიან ხშირად: "დღევანდელ ქართველებს თუ რუსებს... არ შემიძლიან ნამდვილი მართლმადიდებლები დავარქვა, უეჭველია, ვერც ფშავ-ხევსურეთს დავარქმევ ნამდვილს მართლმადიდებლებს, მაგრამ ეს განა იმის მომასწავებელია, იმათ კერპთმსახურები დაეუძახოთ. მაშინ ხომ მთელი რუსეთი და საქართველოც ამ სახელით უნდა მოვნათლოთ!"[1]

გლოვის დროს ადამიანში იღვიძებს საუკუნეების მიძინებული ტრადიციები. ეს ტრადიციები, ცხადია, გონების ჭურაში არ არის მთლიანად გაცრილი. ამიტომ, ზოგჯერ თვით ინტელექტუალურ ადამიანს თავისი მწუხარების ჟამს, გარკვეული ტრადიციული ძაფები გამოაჩნდება ხოლმე. მაგრამ თანაგრძნობა ყოველ დონეზე, ეს ადამიანური აუცილებლობაა. ნათესავ-მახლობელთა სიახლოვე იმ დროს ქართველ კაცს დიდად სჭირდება. ეს ყოველთვის მხოლოდ რელიგიური გრძნობა როდია. ამის მიზეზია ქართველი კაცის ტემპერამენტი, ხასიათი, ემოციონალური ბუნება. რა თქმა უნდა, მაღალი ემოციონალიზმი ქართველების განსაკუთრებულობა როდია.

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ., VII, 1956, გვ. 353

გავიხსენოთ, როგორ გლოვობს აქილევსი პატროკლეს დაღუპვას, თმაწვერს იგლეჯს სიმწრისაგან. ასეთივე სურათებს აღწერენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გლოვასთან დაკავშირებით, მაგრამ ცივილიზაციის ყოფით სფეროებში ღრმად შეჭრა, მისი განვითარება იწვევს ემოციების უფრო მეტ დამორჩილებას.

გლოვის პროცესი — გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე, ჭირისუფლის ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს. მწუხარების დროს მისი მოვლაა საჭირო. აქ ჩნდება პურ-ღვინოს აუცილებლობა. ეს აუცილებლობა ნაკარნახევია რეალური ვითარებით. ამას უერთდება რელიგიური გრძნობა საკურთხისა — მიცვალებულის დაპურების აუცილებლობა. საჭმლის მიღება ამ დროს ჭირისუფლისაგან, მახლობელთაგან განიცდება, როგორც გარდაცვლილის სულისათვის საჭირო რამ.

ეს ტრადიცია ახალი არაა. ქელეხები საქართველოს ბარისა და მთიანეთის, სვანეთის, ფშავ-ხევსურების, ოსეთისა და სხვა კუთხის ხალხების ყოფაში გასულ საუკუნეებშიც ეკონომიურ სირთულესთან იყო დაკავშირებული. „ეს ქელეხები იღებენ ისეთ ზომასა და მეორდება ისე ხშირად, რომ ზოგიერთი ოჯახისათვის იგი გალატაკების წყარო ხდება. ოსები, სვანები და ფშაველები მასზე ხარჯავენ ასობით, ათასობით მანეთს“.[1]

ხარჯებმა გამოიწვიეს ოჯახების გალატაკება. გამოსავალიც იქნა ნაპოვნი. ასეთი გამოსავლის ძიების დროს, დასაწყისი კარგია, ადამიანურია, ზომიერია. ოჯახს მახლობლები ეხმარებიან: „ფშაველი არის ნათესაობის მოყვარული. თავისიანს ჭირსა და ლხინში გვერდს უდგა და არა შორდება. თუ მიცვალებულია საფლავში თუნდაც მისი ნათესავი არ იყოს, დაიუქმებს, მანამ მიცვალებულს მიწას არ მიაბარებენ, მთელი სოფელი უქმობს. მკვდრის პატრონი ყველას ებრალება და მისთვის ყველას გული შესტკივა, ხალხი ეწევა, რითაც ვის შეუძლიან. დედაკაცები გროვ-გროვად მივლენ მკვდრის პატრონთან და მიიტანენ თითო ხმიადს და ჩარექით არაყს. ზოგს მოჰყავს საკლავი“.[2]

---

[1] М.Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I, стр. 44; II, стр. 77

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. VII, 1956, გვ. 14

გავიდა დრო... გაფართოვდა ჭირისუფლის არე. გვაროვნულ-ნათესაურ ურთიერთობებს გვერდში ამოუდგა მახლობლობის ახალი ფორმები, მეგობრობა, კოლეგიალური თანამშრომლობა. ქალაქის პირობებში, ქართულ ტრადიციებში ერთბაშად მოქმედებს საუკუნოებრივი ტრადიციები და ახალი სინამდვილე, ისეთი, რომელიც არ არის ქართველების თავისებურება. ეს არის საკაცობრიო ყოფა. აქ კი დაირღვა გარკვეული პროპორციები. ჩარექით არყის შეწევნიდან შეწევნამ დიდი ტრანსფორმაციები განიცადა. ხშირად, შეწევნის ამ ფორმამ უშუალობა დაკარგა და გაჩნდა ბულალტერია „მოლარე-რეგისტრატორებით". განსჯა-ანგარიშით შემოსული ტრადიციის წინააღმდეგ სწორედ განსჯა-გონებით უნდა ვიბრძოლოთ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს განსხვავდებოდა გლოვის წესი. მაგრამ ეს სხვაობა იქამდე არ მიდიოდა, რომ დაკარგულიყო ქრისტიანულ-ქართულის ერთიანი შინაარსი. ამ ტრადიციებს უშუალოდ წარმართავდა ეკლესია. გლოვის საერთო წესთან ერთად არსებობდა „გლოვის წესი" მეფეთათვისაც („მეფის გარდაცვლა და გლოვის წესი"). ი. ჯავახიშვილი წერს: „როგორც მეფის დაგვირგვინების განგება არსებობდა, ისევე მეფისა და მისი სახლეულის გარდაცვალების გამო გლოვის და დასაფლავების მტკიცე წესი იყო დამკვიდრებული, რომელსაც „გლოვის წესი" ერქვა... თამარ მეფის სიკვდილის გლოვის ნიშნადაც „აღეპარსა ყოველთა თავისა თმანიცა..." (ბასილი ეზოს-მოძღვარი), „ძაძის ჩაცმა და კიდექმნა ყოვლისა სანოვაგისა აუცილებელი ყოფილა".[1]

დაკრძალვის შედმგომ, რომელსაც მთელი უმაღლესი სამღვდელოება და დიდებულები ესწრებოდნენ, მგლოვიარეებს „ბნელთა სახლთა შინა შემწყვდევასა, შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა და კიდე-ქმნასა ყოვლისა სანოვაგისასა"-ში უნდა გაეტარებინათ დრო. როგორც ვხედავთ, პურ-ღვინო (ქელეხი) მაშინაც ყოფილა და ეს იყო ეკლესიის ეთიკითა და სანქციით. „გლოვა, როგორც ჩანს, ერთ წელიწადს გასტანდა ხოლმე და „მოქცევასა წელიწადისასა", როცა წლისწირვას გადაიხდიდნენ, „ვითარცა წესი იყო, რამეთუ გარდახდა ჟამი ამის ჟამისა. შედმგომად გლოვისა მის გადახდისა". მხიარულება კელავინდებურად შეიძლებოდა".[2]

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 236
[2] იქვე, გვ. 236

„ინტელიგენც“ ნიშნავს მოაზროვნეს, სულიერი ინტერესებით მცხოვრებ ადამიანს. ქართული ინტელიგენტური ტრადიციების სათავეებზე ლაპარაკი ნიშნავს უწინარეს ყოვლისა სასულიერო მოღვაწეებზე ლაპარაკს, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, პეტრე იბერი, გრიგოლ ხანძთელი და სხვა მრავალნი... მაგრამ არც სამეფო დარბაზი გამორიცხავს ინტელიგენტის ცნებას. აქაც მეფენი და მისი თანამოაზრენი ინტელიგენტური ყოფით ცხოვრობენ.

ისტორიულად ასეთი სურათი გვაქვს! საერო საზოგადოება ქრისტიანულია, მაგრამ მისთვის რწმენას რწმენის ადგილი უკავია, ცხოვრებას - ცხოვრებისა. პირველ მოწამეთათვის კი რწმენას ცხოვრების, არსებობის მთელი სამყარო მოუცავს. ისინი ცხოვრობენ ღმერთზე ფიქრით, მოღვაწეობენ ღვთის საამებლად. ყოველ შემთხვევაში, ასეთი უნდა იყოს მათი წესგანგება. ამასთან ერთად, ისინი ეწევიან სულიერ-ინტელექტუალურ საქმიანობას, წერენ, თარგმნიან, კითხულობენ. ისინი ცდილობენ განერიდონ წუთისოფლის „ცდუნებებს“, ცდილობენ საერო ცხოვრებისაგან მოწყვეტას. ეს მათთვის „ცოდვილიანი“ სამყაროა. მაგრამ ბერები ცოცხალი არსებანი არიან. მართალია, წესით მცირე, მაგრამ მაინც სჭირდებათ საჭმელ-სასმელი, შესამოსელი. ამ პროდუქტებს კი უშუალოდ ღმერთი არ ამზადებს. აქ ისინი ვერ წყვეტენ კავშირს საერო სამყაროსთან. მათ სჭირდებათ გამძლე, მაღალი, ლამაზი, მიმზიდველი ტაძარი. მის მშენებლობას სჭირდება მშრომელის კუნთები, საშენი მასალა. რადგან კავშირი არსებობს, ცოცხალი ადამიანები კვლავ რჩებიან საერო ცხოვრების გავლენაში. მხოლოდ თითოოროლა მოწამე აღწევს „აღთქმული“ პრინციპების აღსრულებას, ამიტომ ისინი გმირმოწამეებად იხსენიებიან. მაშასადამე, ძირითადი მასისათვის, საზოგადოებისათვის ძნელი ყოფილა ყოფითი მიდრეკილების ალაგმვა. ერთმანეთს ებრძვის ხორციელი და სულიერი ინტერესები. დიდმღვდელმთავარნი, მწიგნობარნი მკაცრად ითხოვენ სასულიერო პრინციპების დაცვას.

საერო საზოგადოებაც დამოკიდებულია ეკლესიაზე. რელიგიური შიში (მოვალეობა), პატივმოყვარეობა (მისი სახელის დარჩენის სურვილი სიკვდილის შემდეგ) ძლიერ იზიდავს მდიდარ ფეოდალებს. ისინი სწირავენ დიდ თანხას, დიდძალ ქონებას, მაგრამ ეკლესია ზოგიერთს თავისი

ქონებით უკან აბრუნებს. მონასტრებში მდიდარნი ხელდამშვენებულნი მიდიან, უფლის წინაშე თანასწორ ძმათა შორის ცხოვრების აღთქმით, მაგრამ ყველას არ შეუძლია მონასტრის კარებთან დატოვოს საერო ზნე პატივმოყვარეობისა. ამგვარ ფაქტებთან დაკავშირებით წერს ივანე ჯავახიშვილი: „ასეთ მონაზონთაგან ზოგი სრულებით პატიოსანი და გულწრფელად გატაცებული პირი იყო, მაგრამ თავისი წრის ზნე-ჩვეულებასა და დედის ძუძუსთან შეთვისებული რწმენის უარყოფა მეტად ძნელია და მომეტებულ ნაწილად შეუძლებელიც“.[1]

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დიდი შესაწირით მივიდნენ სავანეში, თვითონ კი უკიდურესად მცირე საკვებით კმაყოფილდებოდნენ (ილარიონ კანანახი, ათანასე პერითურელი და სხვა).

ძალზე საინტერესო ეპიზოდებია გ. მთაწმინდელის თხზულებაში — „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ და თვით მთაწმინდელის ცხოვრებაში, რომელიც აღწერილია გიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ.

ქვემოთ მოტანილი მაგალითები არა მხოლოდ ცოდნისა და ცნობისმოყვარეობის ნიშნითაა საინტერესო, არამედ დღევანდელობის ისტორიულ ყოფასთან შეფარდების თვალსაზრისითაც. რა ნაკლი მოგვდევს შორიდან, რა ღირსებები ძევს ჩვენი ინტელიგენციის ტრადიციათა ფუძეში.

გიორგი მთაწმინდელი გადმოგვცემს: ათონის მონასტერში ერთი დიდებული ბერად აღიკვეცა. დიდი საფასე მიუძღვნია მონასტრისათვის. მას თან წაულია თავისი კვართი (პერანგი), რადგან არ უნდოდა, რომ ის ვინმეს ჩაეცვა. ერთადერთი კერძოული ინტერესი თავისთვის ეს დაიტოვა ამ კაცმა, რომელიც შემდგომ მთავარდიაკონი გამხდარა. როცა ექვთიმემ გაიგო, იხმო „კვართის“ მფლობელი. თუმცა გაბრაზებული, მაგრამ მაინც მშვიდად ეკითხება წირვის შემდეგ: „მითხარ, ჭეშმარიტი, რა დაგიტეევებიეს სოფელსა შინა?“ მთავარდიაკონს მორიდებით შეუხსენებია ექვთიმესათვის და მის მიერ გაღებული დიდი შესაწირის შესახებ. — მით უარესი, „მადლი და სასყიდელი“ გინდა გააქარწყლო ამ პერანგით? — უთქვამს ექვთიმეს. წინამძღვარმა გამოატანინა ცეცხლი და დასწვა „კუართი“. ექვთიმე მათ

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 70

შეასსენებდა სახარების აღთქმას: "სულთა ჩვენთა დადება ბრძანებულა ძმათა ჩუენთათვის..."[1]

რასაკვირველია, ეს არ არის თანამედროვე გაგებით ინტელიგენტური ყოფის სურათი. ინტელიგენციის თანამედროვე ცნება გულისხმობს სასულიერო და საერო საზოგადოებას შორის ზღვარის წაშლას, გარკვეულ ეტაპზე ამ ფენობრივ-ყოფითი წესების სინთეზს.

აქედან იღებს სათავეს ინტელიგენციის ისტორია. სულიერი, წიგნიერი ცხოვრება, ამქვეყნიურ ხორციელ მისწრაფებათა ალაგმვა, გარკვეული აზრით, ინტელიგენტური ყოფის თანამედროვე ნიშნებიცაა.

სასულიერო საზოგადოება ნიმუშის მიმცემი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის დაძლევისათვის. კაცმა რომ კაცს განძი აჩუქოს, თუ გულითადობა, უანგარობა არ არის მასში, საბოძვარი პატივმოყვარეობის გამოხატულება ხდება და არა გულკეთილობისა. მაგრამ მაშინდელი უანგარობა ადამიანისადმი მიწიერ სიყვარულში არ გამოიხატებოდა. ეს იყო ღმერთის საამებლად გამიზნული მოქმედება.

გიორგი ათონელმა ბაგრატ IV-ეს დიდი ხვეწნის შემდეგ უარი ველარ უთხრა და ათონიდან საქართველოში დაბრუნდა. ეს იყო შიმშილობის საშინელი პერიოდი. შეძრწუნდა გიორგი მთაწმინდელი, როცა დაინახა დამშეული თანამოძმეები. მას ერთი მდიდარი ეპისკოპოსი მორიდებით, კრძალვით დაუახლოვდა. ეს ეპისკოპოსი თავის დიდძალ ქონებას ეკლესია-მონასტრების გამშვენიერებას ახმარდა, ხოლო მშიერ-მწყურვალთა "არა მიჰხედვიდა".[2] ეპისკოპოსის მთელი ღვაწლის მიზანი ის იყო, რომ მონასტერში მას ალაპი მოეპოვებინა. განრისხდა გიორგი მთაწმინდელი ამგვარ ანგარებიან ხელგაშლილობაზე: ქრისტეს შენთვის ის კი არ უთქვამს: „ეკლესიანი შეამკუენითო" და ხალხი შიმშილით ამოწყვიტეთ. მის გარეკას გიორგი მთაწმინდელმა ბოროტი საქციელი უწოდა.

ინტელიგენტურ ტრადიციებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით საკითხს გვარიშვილობის ისტორიული თვალსაზრისის შესახებ. სასულიერო ფენა ერთგვარად მოსწყდა მიწიერებას, მაგრამ იგი არც ზეცად

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 70

[1] იქვე

ასულა და არც ზეციდან მოსულა, იგი იქმნება როგორც უაზნოთაგან, ისე დიდგვაროვანთაგან. საეკლესიო ცხოვრების ისტორიაში ამ მხრივ მხოლოდ პერიოდულად იღება კარები „უაზნოთათვის", ძირითადად კი მას არისტოკრატიის მცველები დარაჯობენ.

თითქოს უცნაურია: „სახარებაში" სრულიად არაორაზროვნადაა მოცემული, რომ უფლის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან: არცა აზნაურებაი, არცა მონებაი. მისთვის ადამიანი სულის მატარებელია. იმის მიხედვით ფასდება, თუ რა შინაარსს, რა სულს ატარებს, მაგრამ თავადაზნაურობა იშვიათად ინანიებს „უფლის" წინაშე თავის შეცოდებას სოციალური უთანასწორობის გამო. მაშასადამე, ერთია სახელმწიფოებრივი იერარქიული წესი ცხოვრებისა, მეორეა იდეოლოგიური პირობა, აღთქმა ღმერთისადმი. სახელმწიფო ქადაგებს ამ იდეოლოგიას, მაგრამ აკეთებს საწინააღმდეგოს. თვით ეკლესია როგორ ცხოვრობს? საღმრთო წერილის პრინციპების მიხედვით? თვით მონასტრის კედლებში არის თანასწორობა?... მხოლოდ პერიოდულად, ისიც დიდ მოღვაწეთა პირადი გარჯით. მაგრამ მას არ გააჩნია სოციალური საფუძველი და ადგილს უთმობს იერარქიას. მხოლოდ პერიოდულად იხევს უკან არისტოკრატია სასულიერო დემოკრატიზაციის წინაშე. საერო ცხოვრებაში კი ეს გაცილებით უფრო ძნელი საქმეა. დავით აღმაშენებელი, თამარი იბრძვიან ამ პრინციპების გატარებისათვის. მაგრამ პრინციპის დონეზე მისი აყვანა არც აღმაშენებელს შეეძლო, არც თამარს. ჯერ ადამიანს ასე ფართოდ არ გაუხელია თვალები, ჯერ იგი მოქალაქეობრივი უფლების, თავისუფლების ჭეშმარიტი პრეტენზიისაგან შორს არის. რაც საერო ცხოვრებაში გაატარა დავით აღმაშენებელმა, უფრო ადრე ეცადა მას გიორგი მთაწმინდელი სასულიერო საზოგადოებაში.

ამ მხრივ გიორგი მთაწმინდელიც არ იყო უწინაპრო. საეკლესიო დემოკრატიას, ასე თუ ისე, ტრადიცია საქართველოში მანამდეც ჰქონია. თუმცა ძნელია მას გაბედულად ვუწოდოთ ტრადიცია, რადგან მას შემთხვევითი, პერიოდული სახე აქვს. მაგრამ ადამიანის ღირსების დანახვის მისწრაფება მაინც ხშირად იჩენს თავს. მაგალითად, IX საუკუნეში მონასტრის წინამძღვრად გამხდარა გრიგოლ ხანძთელის დედის მსახური. გრიგოლ ხანძთელის ჯორის მომვლელიც შემდგომში განთქმული სამონასტრო მოღვაწე გახდა („ბასილი მამა").

ხუთი წელი იბრძოლა გიორგი მთაწმინდელმა, ადამიანის ჭეშმარიტი ღირსებისათვის გზა რომ გაეკაფა. მას დიდი ავტორიტეტი, ნიჭი და ჭკუა ძალუმად მოჰმადლებოდა. დიდი სიკეთე დათესა, მაგრამ... ბოლოს გიორგი მთაწმინდელი კვლავ ათონს უბრუნდება. მისი წასვლის მიზეზს კი ისტორიამ კითხვის ნიშანი გადააფარა.

მთაწმინდელი საქართველოში მოღვწეობის დროს დიდგვაროვანთ ღარიბთადმი წყალობას ასწავლიდა, ღარიბთა კი „მოთმინებასა ასწავლიდა“... „გიორგი მთაწმინდელმა მაშინდელი ქართული ეკლესიის იერარქიის არისტოკრატიული წეს-წყობილების დემოკრატიულად შეცვლა სცადა...

გიორგი მთაწმინდელის ამ მოღვაწეობის სიდიადე უფრო ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ დასავლეთ ევროპაშიაც ეკლესიისა და მონაზნობის დემოკრატიზაცია მხოლოდ XIII ს-ში დაიწყო და რომის ეკლესიის სამღვდელოებისა და მონასტრების არისტოკრატიული ტრადიციების შეცვლა პირველად მხოლოდ ფრანცისკმა სცადა“.[1]

საინტერესოა აგრეთვე ზნეობრივი სახე დიდებული ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელისა. დასაზუსტებელია, როცა მას ასკეტს ვუწოდებთ. ხანძთელი პირადი ცხოვრებით არის ასკეტი და არა იმ აზრით, როგორც ეს ესმოდა დასავლეთის ქრისტიანობას. ანტუან პადუანელი ზის ნილოსის პირას გამოქვაბულში და თევზებს უკითხავს თავის ლექციებს. გრიგოლ ხანძთელი კი არის კაცი, რომელმაც “საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“ (დაისწავლა), შესანიშნავად იცის ფილოსოფია, ლიტერატურა, კითხულობს მრავალ ენაზე, წერს სასულიერო საგალობლებს (იადგარს)... მან აღაშენა ხანძთის, შატბერდის, გუნათლეს, მერეს, უბისის მონასტრები, სიბრძნის კერები...

გრიგოლ ხანძთელის წინაშე თრთიან „ხორცითა ძლიერნი მეფენი“. აფხაზთა მეფე დემეტრემ სიცრუე ჰკადრა გრიგოლ ხანძთელს: შენი ბერები ჩემთან არ არიანო. გრიგოლს მრავალი სიტყვა არ დაუხარჯავს, მხოლოდ ეს უთხრა: „ნუ შრომასა შემამთხვევ მეფეო“. წყრომის ტონი საკმარისი შეიქნა, მეფემ ტყუილი აღიარა.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 77

ჩვენი ისტორიის კაბადონზე ამობრწყინებულნი: ხანძთელი, ათონელები, დავით აღმაშენებელი, თამარი, რუსთაველი... ჭეშმარიტი ჰუმანისტებია — ისინი ადამიანში ჭეშმარიტ ღირსებებს ეძებენ, ხედავენ და წინ სწევენ ერის ნიჭს, ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს.

როდესაც ინტელიგენციის სათავეებზეა ლაპარაკი, პირველ სასულიერო მოღვაწეებთან ერთად არ გვავიწყდება საერო ფენა, მეფისა და ერისთავების კარზე მოღვაწე მწიგნობარნი... მაგრამ ესენი საეკლესიო ცხოვრებას როდი იყვნენ მოწყვეტილი. ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდა ჩვენი სასიქადულო აკადემიები, სიბრძნის კერები, სიბრძნის წყარო, პირველსახე ჩვენი უნივერსიტეტისა.

ახლა საერო აზროვნების სფეროს გადავხედოთ, გავიხსენოთ, როგორაა აქ ეს საკითხი გაშუქებული...

„ათასად გვარი დაფასდა...“

საკითხი გვარიშვილობისა და პირადი ღირსების ურთიერთშეფარდების შესახებ შესანიშნავადაა გაშუქებული რუსთაველის ცნობილ პოლემიკურ სტროფში.

მოგვაქვს სარგის თმოგველისა და რუსთაველის პოეტური პაექრობის ხალხური ვარიანტი:[1]

სარგის თმოგველი:

ვით მზე დიადი აფრქვევს მიწას შუქსა და სითბოს,
ესოდენ გვარი, დიდი გვარი, ჰფენს ყველას სიტკბოს.
უგვარო კაცი არის ჭია, მწერი მცოცავი,
ფრთებდაგლეჯილი, სხვისი მონა და საცოდავი,
რაგინდ ღირსებით იყოს იგი შემკულ-მოსავი...
დიდგვარიანი შუქმფენია, ვით მზე მბრწყინავი
იგი ლომია, უგვარო კი „მატლი მფორთხავი“.

---

[1] შ. ონიანი, ეკუთვნის თუ არა რუსთაველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბნენ“, 1976, გვ. 87

რუსთაველი:

ფილოსოფსნი შემოკრბეს, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
პატრონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა,
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

ეს ლექსები ისე შეეფარდება ერთმანეთს მხატვრული ღირსებით, როგორც ჭეშმარიტების დანახვის უნარით.

შემდგომი პერიოდის ჩვენი საამაყო მოაზროვნენი ადამიანის ჭეშმარიტი ღირსების დანახვაში პირნათლად უსწორებენ თვალს რუსთაველის ზემოხსენებულ აფორიზმს, რომელმაც ლიტერატურული გამოძახილი ჰპოვა თეიმურაზის, არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟას შემოქმედებაში...

რასაკვირველია, ტრადიციებზე მსჯელობის სფერო ძალზე ფართოა. ტრადიცია გააჩნია სოფელს, უბანს, ქუჩას, ქალაქს... ტრადიციები გააჩნიათ ერთი პროფესიის, ერთი წარმოების თანამშრომელთ... რთული და საინტერესოა ინტელიგენციის ტრადიციებზე მსჯელობა, რადგან „ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული მტრის დამარცხება“.[1]

ძველი ქართულის მიხედვით „ნიჭი“ ნიშნავდა ჩუქებას. ნიჭი მართლაც საჩუქარია ბუნებისა. თუმცა ძველად განასხვავებდნენ საღვთო და ბუნებით ნიჭს. ბუნებითი ნიჭი გაგებული იყო როგორც რაიმე საქმის განსაკუთრებული უნარი, თუმცა შესაძლოა ის ყოფილიყო უღვთო და ეშმაკეული. ტრადიციებზე მსჯელობისას არც დღესაა მნიშვნელობას მოკლებული საკითხი — ნიჭი თუ გვარიშვილობა? ეს საუკუნეობრივი პრობლემა იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნული ზნე-ხასიათის მთელი რიგი მომენტები. ეს საკითხი მცირეოდენ სახეცვლილებას განიცდიდა, როცა ნიჭის მაგივრად ზრდილობას უპირისპირებდნენ გვარიშვილობას. ზრდილობის მნიშვნელობა ქცევის წესებით არ შემოიფარგლებოდა. ეს ნიშნავდა პიროვნულ სრულფასოვნებას,

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. VII, 1956, გვ. 235

თვითსრულყოფას, ყოველ ღირსებას, რაც ადამიანს აქვს მომადლებული, რითაც შეიძლება ადამიანმა იამაყოს, როგორც სოციალურმა არსებამ. ზრდილობა ეს იყო რეალიზებული ნიჭი. აქა-იქ მაინც გამოკრთოდა ისტორიაში ნიჭისათვის უპირატესობის მიმნიჭებელი აზრი. არსებითად დესპოტურ ქვეყნებში ნიჭის კარები დახშული იყო. საგულისხმოა, რომ ბიბლია გვარისა და ნიჭის დაპირისპირებისას ნიჭის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს. მიუხედავად გვარის მემკვიდრეობითი უფლებებისა, იგი ზეცით „მირონცხებულს" უპირატესობას ანიჭებს. მწყემსი ბიჭი იყო დავითი, შემდგომ იუდეველთა ლეგენდარული მეფე და წინამძღოლი. ე.ი. მას ზეცამ, ღმერთმა მისცა ნიჭი (ზრდილობა). ქრისტეს ადამიანური ბიოგრაფია კი ამ გვაროვნულ-წოდებრივ ზღუდეებს გვერდს უვლის. იგი არც დიდგვაროვანია და არც მდაბიო. მას უკვე აღარ გააჩნია ეს მიწიერ-სოციალური ჩარჩო, რასაც ადამიანს დაახვედრებდა სოციალური გარემო. ზოგ ნიჭიერს მონობა დახვდებოდა, ზოგ ყეყეჩს სამეფო ტახტი, აი, ასეთი უაზრობისაგან, ანუ ნიჭისადმი, უშუალო პიროვნული ღირსებისადმი ტირანული დამოკიდებულება იყო ისტორიული ჩაობრჩენილობის ატრიბუტი. კაცობრიობა უნდა განვითარებულიყო და მოძრაობდა კიდეც იქით, რომ პირველ ღირსებად უშუალო-პიროვნული ნიჭი ყოფილიყო.

ერთი ახირებულობა მოწიფული ცივილიზაციის ხანაშიც გადმოჰყვა ზოგიერთ ნიჭით გაბრწყინებულ ადამიანსაც. მაგალითად, ბალზაკი, გოეთე და სხვები წინაპართა ფესვების ძიებაში პოულობდნენ თავიანთი ღირსების არაშემთხვევითობის საფუძველს. ტურგენევმა მწარედ დასცინა ლევ ტოლსტოის — ვინ იცის რამდენი ყეყეჩი გრაფია ქვეყანაზე, ეს ის გენიალური კაცი კი თავის გენიალობაზე უწინ გრაფობით იწონებს თავსო.

გვაროვნულ-წოდებრივ არისტოკრატიზმს დაუპირისპირდა ინტელიგენტურ-ინტელექტუალური, ანუ სულიერი არისტოკრატიზმი (შილერი, დოსტოევსკი), მაგრამ განასხვავებენ არისტოკრატიზმის კიდევ ერთ სახეს — ბუნებრივ არისტოკრატიზმს (გოეთე, ტოლსტოი).[1]

ცხადია, დღეს ღიმილის მომგვრელია უღირსმა კაცმა იყოყოჩოს თავისი ღირსეული წინაპრებით.

---

[1] Томас Манн, Соч., т. 9, Гете и Толстой.

ხშირად წინაპრებისადმი ჩვენს ტრადიციულ მოწიწებას მეტი პოეტური სამოსელი ახლავს, ვიდრე რეალური საქმიანი პატივისცემა. მაგალითად, ჩვენზე ნაკლებ გაჰყვირიან ზოგიერთი ხალხები წინაპართადმი პატივისცემის შესახებ, მაგრამ თავიანთ ოჯახებში წინაპრის 8-12 თაობის გენეალოგიის სქემები — სურათები აქვთ. ჩვენში მაქსიმუმია ვიცოდეთ ბაბუის ბაბუის სახელი, 4-5 თაობა.

ადამიანი თვით უნდა იყოს თავისი პიროვნული ღირსებით აღჭურვილი. ჩემში „მე"-მ უნდა შექმნას სიამაყის სურათი. ეს უპირატესობა აქვს ნიჭს. მართალია, მის ფესვებსაც ბუნებით-შემკვიდრეობით საფუძვლებში ეძებენ, მაგრამ ხშირია შემთხვევა როცა ნიჭიერ კაცს უნიჭო მემკვიდრე ჰყავს. ამიტომ აქ ბუნება არავისთვის ამოსაცნობ გეგმებს არ ადგენს. მთავარი კი ისაა, თუ რამდენად ზრუნავს სოციალურ-პოლიტიკური გარემო, რათა ნიჭს კეთილშემსვეღრი ატმოსფერო შეუქმნას.

ნიჭი და ქართული ოჯახურ-ნათესაური გარემო

ერის კულტურული განვითარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. რაც უნდა მრავლად იბადებოდეს ბუნებით მომადლებული ადამიანები, თუ გარემო ნიჭის კეთილშემსვეღრ ატმოსფეროს არ ქმნის, ერი წინ ვერ წავა. მსოფლიო ისტორიის გზა ეს არის გზა სიბნელიდან სინათლისაკენ, ტირანიიდან თავისუფლებისაკენ. თავისუფლება არის ისტორიის მოძრაობის მიზანი. ადამიანი ნათელი უნდა გახდეს, განწმენდილი ცრურწმენებისა და უაზრო ყოფითი წესებისაგან.

დიდმნიშვნელოვანია, უფრო ზუსტად, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სოციალური გარემო. მხოლოდ აზრიან ადამიანურ გარემოს შეუძლია ნიჭის წარმოშობა და განვითარება. ბედნიერება ეპოქისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რაგვარ ტალანტებს წარმოშობს იგი. გენია, ტალანტი, ნიჭი კვირტში არ უნდა ზრებოდეს. ისტორიული ძნელბედობის მთელი ჯაჭვი, სულიერი ალმავლობის შემფერხებელი ძალა, თითქოს სიმბოლურს ხდიდა ქართული ნიჭის კაეკასიონის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე-ამირანის სახით წარმოდგენას.

გარდა გარეშე მტრებისა, ბარბაროსთა დაპყრობებისა, ნიჭს ჰყავს

„შინაური“ მტერიც, ეს არის სრულიად სხვა სახის მძარცველი, მფლანგველი ნიჭისა...

გავიხსენოთ მინდია. იგი ტრაგიკული იმიტომ კი არ არის, რომ დაიღუპა, როგორც ცოცხალი ადამიანი. მას გაცილებით უფრო დიდი უბედურება დაატყდა თავს. მან ვერ შეძლო წუთისოფლის ცდუნებათაგან დაეცვა თავისი ტალანტი. ვაჟამ გვიჩვენა, რომ ნიჭის მტერი და ნიჭის მფლობელის მტერი ყოველთვის ერთი და იგივე არაა. ცხოვრებისეული მტერი ზოგჯერ (მისთვის უნებურად) საბაბი ხდება ნიჭის გამოვლენისა. როგორც მტრის დამარცხება ანიჭებს ადამიანს გამარჯვებულის ტიტულს, ნიჭი წინააღმდეგობასთან შერკინებით იწრთობა.

ძნელადშესამჩნევი მტერი ჰყავს ნიჭს, ნიჭიერი, კაცის უსაყვარლესი, უახლოესი ადამიანების სახით. ყოფითი ინტერესები, ცხოვრების წვრილმანები და ნიჭის მაღალი, იდეური ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს. ძლიერი ყოფითი ადათ-წესები ამარცხებენ მაღალ იდეას, ათანაბრებენ მისი მფლობელის შინაარსს გარემო სტანდარტთან. ასეთი ადათობრივი კონსერვატიზმი არის ერთ-ერთი შემფერხებელი ძალა სულიერი აღმავლობის გზაზე.

დიდი კაცის ცხოვრების სიმძიმე ისაა, რომ ის პირად ცხოვრებას უქვემდებარებს ტალანტს, თუ ტალანტი გახდა ცხოვრების მსხვერპლი, იგი აუქმებს თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.

მინდია თავისი ოჯახური ინტერესების მსხვერპლი შეიქნა. მას ლბილი გული აქვს, უყვარს ოჯახი. ვერ გაუძლო ცოლ-შვილის გაჭირვების ცქერას. ეს რამდენადმე იმის მსგავსია, რაც ღმერთის მიერ აბრამის გამოცდა იყო (აბრამმა ღმერთის სიყვარულს ყველაფერი მიუძღვნა. ღმერთის წინადადება მიიღო და თავისი უსაყვარლესი შვილის ყელზე დანა აღმართა. ღმერთმა აღარ ინება ასეთი მსხვერპლი, იგი დარწმუნდა აბრამის ერთგულებაში. ამ მითის აზრი მრავალნაირად იხსნება, მაგრამ უმთავრესია ის, თუ რწმენას რა ძალა აქვს ადამიანში. ყველაფერზე მაღლა აყენებს მას ადამიანი თუ არა).

მინდია ვერ უძლებს საყვარელი, საბრალო ცოლ-შვილის დამშეულ-შეცივებულ ყოფას და ღალატობს აღთქმას.

ვაჟამ ნიჭის (მინდიას) ცხოვრებასთან (ცოლთან) დრამატულ პაექრო-

ბაში მთელი სურათი გადაგვიშალა თვალწინ. მკითხველი ეძებს პოეტის მხარეს; რომელს ამართლებს, რომელს ამტყუნებს პოეტი? მაგრამ ვაჟა იმიტომაა გენიოსი, რომ სირთულეების წინაშე უკან არ იხევს. მსოფლიო პრობლემებს მარტივი პასუხები არ მოეპოვება, კონფლიქტი მწვავდება, მაგრამ მართალია როგორც მინდია, ისე მზია...

თავის საყვარელ ცოლს, თავისის ტალანტის მტერს, მინდია ასე მიმართავს:

სრულ შენგან გავხდი წყეულო,
უგერგილოდ და ყროლადა,
რა ვარ? განალა კაცი ვარ,
ლირსი ცის ქვეშე ვიდოდე?!
იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ,
ნეტავ წამალი ვიცოდე!..

შვილებიც ჭირად გამიხდა, შამაცვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცზედა
ეხლა დღე და ღამ ვტირია...

მინდია, მისივე აზრით, ყველაზე უბედურია. მასთან მკვდრის ბედი უკეთესია. ნიჭთან გამოთხოვების ეს გლოვა გვაძლევს იმის სურათს, თუ რაოდენ ძლიერია მინდიას სულიერი საწყისისადმი, ბუნებით ინტელექტუალური მიმართება, მისი გზნება რელიგიურ-შემოქმედებითი არსებობისა.

მინდიასათვის მოვლენათა იდუმალების შეგრძნების განსაკუთრებული უნარი ყველაზე ძვირფასი განძია. მას ეს უნარი იმიტომაც აქვს, რომ მან იცის მისი ფასი. იგი თავისი სიცოცხლის ყოვლისმომცველ შინაარსად თვლის მას. ეს არის ჭეშმარიტი გენიალობის უტყუარი ფსიქოლოგიური ნიშანი.

სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა!
არიან მოსვენებულნი,
არაფერს გრძნობენ გრძნობითა.
რითალა ვარგო ქვეყანას,
დავკარიელდი ცოდნითა.

დიდმა ვაჟამ ადამიანის ოჯახურ ინტერესებზე, საქვეყნო ინტერესებზე

ამაღლების დიდებული სურათი შექმნა, გვიჩვენა მინდიას სულიერი დაცარიელება, ნიჭის სიკვდილი.

ცოლს უყვარს მინდია, თავისი ქმარ-შვილი. მისი ნიჭია ოჯახის კეთილდღეობის უნარი. კეთილმოწყობა მას ესმის არა მხოლოდ როგორც არსებობის შენარჩუნება, არამედ ცხოვრება არანაკლებ სხვებისა. დღესაც ძალიან მკვეთრად გვეცემა თვალში ქართველი მეოჯახე ქალის, დიასახლისის დაჟინებული ინტერესი, — სხვებზე ნაკლებად რატომ უნდა ვიცხოვროთ? სხვების წამბაძველობა ჩვენი ტრადიციის ერთ-ერთი მკვეთრი ნიშანია.

ცოლმა იცის, რომ მინდია სხვებისგან გამორჩეული უნარის კაცია. მაგრამ მას არ შეუძლია ამ განსაკუთრებულობის ნამდვილი შინაარსის დანახვა, მისთვის ანგარიშგაწევა, რადგან მისი მსჯელობა, ხედვა ეს არის ანალოგიებით, სხვათა მაგალითებით ახსნა-დასაბუთების პრინციპი. ეს ჩანს მინდიას ცოლისადმი გამოჯავრებით ნათქვამ სიტყვებშიც:

ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორ ცეცხლს ანთებს „ჰნახოდი,"
ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი.

ცოლს არ შეუძლია ასეთი სიახლის დანახვა, რომელიც მას ცხოვრებაში ყოველდღიურად არ შეხვედრია. მისი არგუმენტია, რომ ეს მას არსად გაუგონია. ამიტომ არ სჯერა მინდიასი:

ყმაწვილნ უხორცოდ დაზრდილნი
რა ვაჟკაცობას იზამენ?
არსად არ გამიგონია
ასრე გაზრდილი სხვისა მე.

მზიას თავისი ლოგიკა აქვს და არც ისე ადვილად პასუხგასაცემი. მზიას პირით ვაჟა გამოხატავს რიგითი ინტერესების ადამიანის ცხოვრებისეულ მრწამსს. მზია მართალი არ არის გენიალური პიროვნების ჭირვეულობის პირისპირ, მაგრამ მზია არის ცხოვრების ლოგიკის წარმომადგენელი. მზია არის მასა, მინდია ერთეული. ზოგჯერ დღესაც გვეცნობა ქართველი მეუღლეების სხვათადმი შეჯიბრების გრძნობები, რასაც ხშირად მიუყვანია მათი ქმრები საპყრობილემდე. მზიას ყოველი არგუმენტი სწორედ იმის მიხედვით მოაქვს, სხვებისნაირად რად არ ცხოვრობ და ფიქრობ:

ან შენ რა გიჭირს ისეთი,
თავს რად იტკივებ ძალადა;
შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა
სხვან რად არ თელიან ბრალადა?

ტრადიციების უარყოფითი მხარეები, მისი შეზღუდულობა ყველაზე ნათლად ჩანს ნიჭთან შეპირისპირებაში. ხშირად ტრადიციები კონსერვატიულ წარმოდგენათა ძლიერი ზღუდეებია, რომლებიც გასაქანს არ აძლევს ნიჭს. სითამამეს ართმევს, ხელს უშლის შრომისა და შემოქმედებითი კონცენტრირების საქმეში. წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა ქართველი მეცნიერ-მუშაკი, მტერ-მოყვრის კაცი, რომელიც ცდილობს იყოს მამა-პაპათა ტრადიციების აღმსრულებელი. ქართული ნათესაური გარემოს ურთიერთობის მოვალეობა-უფლებები ძალზე შორს მიდის. ახლო ნათესავია არა მხოლოდ ბიძაშვილი, არამედ ბიძაშვილთა შვილები და შვილიშვილები. მას დავუმატოთ ცოლის სანათესაოს მოქმედების რადიუსი. ცოლისძმები, ცოლისდები, მათი ოჯახებით... მეგობარ-კოლეგები ხშირად უფრო ძვირფასია, ვიდრე ნათესავი. ნათესავი ბუნებამ დაგვიდგინა, მეგობარი კი ჩვენ დავუდგინეთ ჩვენს თავს. ერთი სიტყვით, საშუალოდ სანათესაოს ოდენობა 200-300 სულამდე ადის. აბა, წარმოიდგინეთ ამდენი ადამინისადმი გულისხმიერება, ყურადღება, ქათინაურები...

ასეთი სანათესაოს ჭირისა და ლხინის სუფრებზე მტერ-მოყვრის კაცი, ალბთ, 150-200 დღე-ღამეს დახარჯავდა. მას დავუმატოთ ერთმანეთისათვის ზრუნვის არაოფიციალური ფორმები, „მიმეგზავნე". „მიმყევი", „უთხარი ერთი სიტყვა"... და ა.შ. ეს არის ნიჭის ფლანგვის, უყაირათობის, არაინტელიგენტური გარემოს, ტრადიციების უარყოფითი მომენტი. რა უნდა ქნას მეცნიერ-მუშაკმა? ტრადიციებს ზურგი შეაქციოს, ნათესაობა მოიმდუროს? — იტყვიან გამომწვევად. თუ არ უნდა მოიმდუროს, ნუ მოიმდურებს, მაგრამ როცა მას მეცნიერება დაემდურება, მაშინ თავს დააბრალოს. რას ვაყენებთ ყველაზე უწინ? ნამდვილი ნიჭიერი კაცი საზეო საქმეს სწირავს მთელ თავის ენერგიას. ნამდვილი არ არის, უდღეურია ის ნიჭი, ყმაწვილობის დროს რომ ბევრს გვპირდება... შემდეგ კი იტყვიან, ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ... ნიჭი იმასაც ნიშნავს, რომ მისი მფლობელი მას არ დათმობს... სულიერი სიცოცხლე თუ კაცში ჩაქრება, მას არ ჰქონია

ფესვმაგარი ნიჭი. ჩვენ არ უარვყოფთ უილბლო სიტუაციების მნიშვნელობას. სახელდობრ, არახელსაყრელი გარემო თუ როგორ არ აძლევდა ნიჭს გასაქანს. ვგულისხმობთ იმ შემთხვევებს, როცა ნიჭის მოვლა მის მფლობელზეა დამოკიდებული. თუ კაცს ფიქრისათვის, მუშაობისათვის „პირში სულ უდგას"... ბრძოლა ჰმართებს უკანასკნელი ენერგიის დაძაბვით, ფიქრი რომ აზრად გადაადნოს, შესანიშნავად ამბობს ვაჟა:

მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული,
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს სალადა.

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ყოფითი გაგებით კმაყოფილი ვაჟა. მისი სიცოცხლის სტიქია არის წვა აზრისათვის.

ტრადიციები აღმავალი, ახალი საფეხურის ჭეშმარიტებას, ნიჭის მოთხოვნებს დაბლა ექაჩება, ტრადიციები ნიჭთან ძალიან ხშირად კონფლიქტშია. მაგრამ წინააღმდეგობასაც სხვადასხვანაირი გაგება აქვს. წინააღმდეგობა ზოგჯერ ნიჭის პარტნიორია, ზოგჯერ კი ჩამაქრობელი. ეს არის „უბედური უბედურება" განსხვავებით „მშვენიერი უბედურებისაგან".

ნიჭი და მამულიშვილობა

მამულიშვილობა გულზე მუშტის ცემა და ბრტყელ-ბრტყელი მეტაფორების ქადაგება როდია. ისიც კი არ კმარა — გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა. ამოცანაა ჩვენი საქმე მამულისგან სიყვარულისა და დაფასების ღირსი იყოს. პოტენციურად ყოველ მოქალაქეს შეუძლია სამსახური გაუწიოს მამულს. მშვენიერი ნარკვევი დაწერა კარამზინმა პატრიოტიზმის შესახებ. იგი განასხვავებს სამი სახის სიყვარულს სამშობლოსას: პირველი — ბიოლოგიური, მეორე — ზნეობრივი, მესამე — პოლიტიკური. პირველი ყველაზე უფრო დაბალია. იგი ცხოველებსაც აქვთ. ძნეობრივი სიყვარული უფრო მაღალი საფეხურია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არის პატრიოტიზმი. პატრიოტი ჰქვია იმ მოქალაქეს, რომელიც სამშობლოს ერთგულებას, მის სიყვარულს ყველაფერზე მაღლა აყენებს. ყოველ მეფეს უნდოდა დიდი და

მტკიცე სამეფოს გემგებელი ყოფილიყო, მაგრამ თითო-ოროლა იყო პატრიოტი მეფე. ასეთ მეფეს სამეფო თავის ტახტად კი არ უყვარდა, თავისი თავი უყვარდა სამშობლოსათვის.

ბუნების საჩუქარი, ნიჭი, მისმა მფლობელმა სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა წარმართოს. ასეთ ადამიანებს უდგამს ძეგლს მამული. მაგრამ ნიჭის მოვლა, იდეისათვის, შემეცნებისათვის თავგანწირული სამსახური ადვილი როდია. რამდენი თმენა და რამდენ იაფფასიან, მაცდუნებელ სიამოვნებებზე უარის თქმაა საჭირო... დიდ შემოქმედებით, მეცნიერულ თუ მოქალაქეობრივ სიკეთის ნიჭს შორს მიაქვს სამშობლოს სახელი. ასეთი პიროვნებანი ქმნიან ერის ნათელ სახეს, მსოფლიო კულტურასთან ეროვნული კულტურის შეფარდების სურათს. ნიჭი არის ავტორი კულტურისა. ყველაზე კარგი ტრადიცია არის ის პატრიოტული განცდა, როცა შეგვიძლია უშურნელი სიამაყის გრძნობით გახარებდეს შენი თანამედროვის ნიჭის აღიარება. წინა საუკუნის ქართველს ჩვენ არ ვეჭიბრებით... მაგრამ ცოცხალ, წარმატებულ მამულიშვილთა ღვაწლის დაფასება გვიჭირს... პატრიოტი წარსულში აწმყოსა და მომავლის საფუძვლებს ეძებს, მომავლის რწმენით.

ერის პროგრესულ მოაზროვნეთა მიერ ბევრი რამ თქმულა ჩვენი პატრიოტული გრძნობების ცალმხრიობაზე. გულაჩუყებით გვიყვარს სამშობლო, რომლის ცნება ხანდახან წარსულით შემოიფარგლება. არა მხოლოდ ხუროთმოძღვრული ქმნილებანი, კულტურულ-ისტორიული ფენომენი წარმოადგენს ძეგლს. ძეგლია ყოველი ეროვნული საქმე, რომელსაც შეუძლია სახელოვანი გახადოს ჩვენი ხალხი თავისი გონებით, გულის სინათლით. ოდითგანვე პირველ ბოროტებად ნიჭის მტრობა და შური თქმულა. ყველაზე დიდი სიწამხდრე ის არის, ლანძღავდე ნიჭით, ღირსებებით შემკულ ადამიანს, რასაც სავალალოდ ხშირად ვხედავთ ხოლმე ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ ისტორია არაფერს ივიწყებს და პირველ რიგში კი ნიჭის მტრობას. ცხადია, ნიჭი თუ უდღეური არ არის, მას ვერაფერი შეაკავებს მზისკენ ლტოლვაში. ხშირად გვინახავს საოცარი ფიქრის აღმძვრელი ფაქტი: ასფალტს, ცემენტის დუღაბს როგორ უხმაუროდ ამოხეთქავს ნაზი ბალახი...

ძველი სპარტელები და ათენელები პირველ საზოგადოებრივ სათნოებად თვლიდნენ საქებარის ქებას, ულირსის კიცხვას. ვაი თუ, საზოგადოებას ამ ღირებულებათა ცნობის ორიენტაცია დაეკარგოს!

ჩვენს საზოგადოებაში ნიჭიერი კაცისათვის ფართო გზაა გახსნილი. ეს როდი ნიშნავს დაბრკოლებების უქონლობას. ჩვენი მოქალაქეობრივი, რაინდული ვალია, სადაც გული პირშავობას გაგვიწევს და შურის ნაღველი განსჯისკენ წარემართება, გონებამ იფხიზლოს — არ შეგვარცხვინოს — საქებარი და სალანძღავი ერთმანეთში არ აგვერიოს.

საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს არა მხოლოდ წარსულში, ახლაც ეზრდება ნიჭიერი ცვლა იმ ადამიანებისა, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი ღირსებით სახელი გაუთქვან სამშობლოს.

„მაგრამ ფარვა სიავისა“

რაც უფრო მდიდრდება, ღრმავდება ერის კულტურული დონე, მით მეტად შეიძლება ეროვნულ მანკიერებებზე თამამი მსჯელობა. ერის სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები ხშირად შეგნებულად თავს იკავებდნენ ეროვნული თვითკრიტიკისგან. ეს დამოკიდებული იყო ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზეც. მაგრამ ჩვენი თავკაცები მაინც იმ აზრს ავითარებდნენ, რომ სიფხიზლისათვის, პროგრესისათვის ერი წავიდეს თვითანალიზის გზით. დავით გურამიშვილს ჩვენი ისტორიის არაერთგზისი შეტორტმანების მიზეზად ქართველი ხალხის სოციალ-ფსიქოლოგიური მანკიერებანი მიაჩნია. გარეშე მტერი რას დაგვაკლებდა, ერთსულოვნება რომ გვქონოდა. შური, ამპარტავნობა... იყო მიზეზი ქვეყნის აოხრებისა — ჰგოდებს პოეტი. გარკვეული ყოყმანის შემდეგ იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საჭიროა თვითმხილება ეროვნული მანკიერებისა:

ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არმინება
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი მაზე მერცხვინება;
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება,
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება.

ჩვენს ისტორიაში ხშირად გაისმოდა სენტიმენტალურ-პატრიოტული სიტყვები: საკუთარი ნაკლი გარეთ არ უნდა გავიტანოთო, მხილების ნაცვლად არჩევდნენ ნაკლოვანებათა დაფარვას. ცხადია, ასე არ ფიქრობდა დიდი ილია:

ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქრთვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია,

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია.

დღეს ღრმა ეროვნული თვითშეგნების საუკუნეა. სენტიმენტალობის გარეშე, უკომპრომისოდ არჩევს ხალხი საკუთარი ტრადიციების ღირსებანაკლოვანებებს.

„ცნობილია, რომ ჩვენს ხალხს მრავალი ჯანსაღი და პროგრესული ტრადიცია აქვს. რაც ეროვნული ღირსებისა და სიამაყის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს. წარსულში შექმნილ ამ ძვირფას ტრადიციებს ემატება ახალი ეპოქის ამსახველი ახალი ტრადიციები, ახალი ადათები და წესები. მაგრამ ყველაფერი, რაც ახალია, კარგი როდია, ისევე როგორც, რაც ძველია — მოსაწონი როდია. ძველი ტრადიციების ეთნიკური შეფასების და ზოგიერთი მათგანის გარდაქმნა-გასწორების პრობლემა დიდი, მნიშვნელოვანი ამოცანაა...“[1]

ადამიანთა ქცევები რომ კეთილშობილური იყოს, ჯერ ფიქრთა სიწმინდეა საჭირო. ფსიქიკა უნდა განიწმინდოს ეგოისტური, კერძომესაკუთრული ტენდენციებისაგან. რა ნიჭსა და ფანტაზიას არ ხარჯავს ზოგჯერ ადამიანი, კარგი კაცი რომ ერქვას. აქცენტი კეთდება სასხვისოდ დასანახ ქცევებზე. მთელი ყურადღება გადატანილია იმის ცდაზე, როგორ დავანახო სხვას, რომ კარგი ვარ. ამ ამოცანას სულ მარტივი პასუხი მოეპოვება: ჯერ ჩემს თავს შიგნიდან უნდა დავანახო, რომ მართლა კაცური კაცი ვარ. ილუზიაა, თითქოს ჩემს ფიქრთა სკივრს მხოლოდ მე ვატარებ, ფიქრებში ვერავინ ჩამხედავსო. ადამიანები იმაზე უკეთ ხედავენ ჩემს იდუმალ სამყაროს, ვიდრე თვით მე. დროებითია თავისი თავისათვის საიდუმლოების შენახვა. საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხრიალებთ, ჩვენი ყოველი იდუმალება ცხად სახეს იღებს, საბოლოოდ ხომ ბოროტს ბოროტი ერქმევა, ღირსეულს ღირსეული. ყოფილა შემთხვევები უკეთილშობილესი კაცი გალანძღულა, მისთვის ზურგი შეუქცევია ჭეშმარიტებას — დიდი სიკეთისათვის რომ დიდ ბოროტებას სწამებენ და პირიქით. ზოგჯერ ადამიანი ველარ უძლებს ამ დროებით გაუგებრობას, სწორედ იმიტომ, რომ მასში

---

[1] გ. ბანძელაძე, ადამიანური ღირსების ცნება მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში, 1975, გვ. 97.

სუსტია საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობა, საკუთარი ღირსების გრძნობა. თუ „მე“ მწამს, რომ წრფელი ვარ ჩემი სინდისის წინაშე, მთელმა გუნდმა რომ დაცინვის ყიჟინა დამაყაროს, „მე“ წარბშეუხრელი თვითდაჯერებით ვეუბნები ჩემს სინდისს: „დეე ნუ გაიგებენ, მე ხომ მართალი ვარ!“ ადამიანები საბოლოოდ მშვენივრად შეიტყობენ მოსაჩვენებელი სიკეთის სიყალბეს. ამიტომ ერთადერთი გზა ეს არის თვითკონტროლის გზა, მოთმინების თავის თავისადმი სიმკაცრის გამომუშავების გზა. დღეს საოცრად გამჭოლავია ადამიანის თვალი სხვის ფსიქიკურ გარსში გასაღწევად. ადამიანი ადამიანებისათვის ზნეობრივი საიდუმლოება არ არის. პიროვნული თვითსრულყოფის გზა ძნელია, ხშირად ძალიან მწარეც, მაგრამ „კენწეროში გატკბილდების...“ თვითკონტროლი ნიშნავს, რომ უგუნური თვითრწმენა, იმედი, აზრიანმა, შინაგანად დასაბუთებულმა და განმტკიცებულმა რწმენამ შეცვალოს: „იმედი იზოლირებულად განხილული, სუსტი ძალაა. მას აძლიერებს კონტროლი. ეს უკანასკნელი უნდა გავიგოთ არა როგორც შიშის ფაქტორი, არამედ როგორც თავმოყვარეობის გამოვლენით სასახელო და საკუთარი მოღვაწეობის შემფასებელ-შემმოწმებელი.“[1]

შური

„შური არს მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა“
საბა

შური ერთ-ერთი უაღრესად სამარცხვინო სენია. შურიანი კაცი ხშირად ვერ გრძნობს საკუთარ შურს, მაგრამ თუ მას ეს გაუმხილეს, მისი თავმოყვარეობა მწარედ შეილახება. საბედნიეროდ, ყველა გრძნობს, რომ ეს არის სულმდაბლობა, არარაინდული, ქურდული, მხდალი მეტოქეობა. „მხოლოდ თავისუფალი სულის ადამიანები არ არიან შურიანი“ (ჰეგელი).

რასაკვირველია, ადამიანთა დახასიათება შურიანთა და უშურნელთა კატეგორიებად, არაფილოსოფიურია. მეტ-ნაკლებად შურის გრძნობა თავისებურად კეთილშობილ ადამიანსაც თან სდევს, მაგრამ კეთილშობილ

---

[1] გ. ბანძელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

ადამიანში შურის პირველ იმპულსებს გასაქანი არ ეძლევა, პიროვნება მაღლდება ამ სულმოკლეობის შემოტევაზე.

შური არც შემთხვევითი მოვლენაა და არც შესასწავლადაა უინტერესო. მას ინტელექტუალური განვითარების პირობადაც კი თვლიან. ინტელიგენციას ურთიერთობაში ისეთი მარტივი ინტერესები რომ გააჩნდეს, როგორც არკადიელ მელორეებს (კანტის მაგალითია), მაშინ ინტელექტი ვერ განვითარდება. ადამიანი რომ თავისუფალი იყოს ამ შავი უნარისაგან, სრულიად სხვანაირად უნდა წარმოგვედგინა ადამიანის ბუნება, სამყაროს მუშაობის წესი. დიალექტიკაში ჩაუხედავ კაცს შეიძლება გაუკვირდეს ენგელსის შემდეგი აზრი: გაცილებით მეტი შინაარსი და სიღრმეა ჰეგელის იმ თვალსაზრისში, რომ ადამიანი ბუნებით ბოროტია, ვიდრე ფოიერბახის იმ თეზისში — ადამიანი ბუნებით კეთილიაო.

შურის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღია სიტყვა. შურის შინაგანი მექანიზმის, ტიპური სიტუაციების სოციალური პორტრეტები, ეტიუდები ამზეურებენ ისეთ ნიუანსებს, რომლებშიც ფარულად ბევრი შეიცნობს თავის თავს. რა თქმა უნდა, არსებობენ ისეთი შურით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც დღემუდამ სხვებს აბრალებენ შურიანობას.

ადვილად ვამჩნევთ ბოროტებას გარეთ. შური სხვაში ძალიან კარგად ჩანს, თავის თავში კი ძნელად.

რა თქმა უნდა, ჩემი ბრალი არ არის, გულში „ეშმაკი" რომ ჩამომიქროლებს, როცა ჩემს მეგობარს, კოლეგას აქებენ ჩემზე მეტად... ვულოცავ წარმატებას, ვცდილობ გალიმებას, მაგრამ სახის ნაკვთები დაბნეული ცდილობენ დამალონ რეალობა... ამაზე ბუნება აგებს პასუხს, მაგრამ ადამიანის სოციალური ღირსება მოითხოვს, არ დაგვამარცხოს კერძოეგოისტურმა, ბუნებრივმა საწყისმა.

საინტერესოა, რატომ დასჭირდა ბუნებას ასეთი ირონია ადამიანისადმი? შური იმიტომ ჩამიღვენთა ბუნებამ სულში, რომ გამოვცადო სიკეთისკენ ლტოლვის ძალა. ეს „სამოქალაქო" ომი საკუთარ თავში უფრო რთულია, ვიდრე გარეშე ძალებთან შერკინება. ესაა ბრძოლა საკუთარ თავზე ბატონობისათვის. შურთან ასეთი შერკინება არის აგრეთვე დიდი სულიერი შემოქმედების წყარო: შურიცაა და შურიც! ზოგში იგი ერთი ნამცეცაა და მასთან ბრძოლისთვის ერთი ნამცეცა სიკეთეა საკმარისი. მაგრამ ფაუსტმა

რომ გაანათოს სიკეთის ძალით, აქ უკვე სხვა მასშტაბია საჭირო, აქ მას დიდი ეშმა — მეფისტოფელი სჭირდება.

შურის უცნაურობა ისაა, რომ მას არ უყვარს შორს წასვლა. იგი, შეიძლება ითქვას, საშინაო სნეულებაა. თავისებურად მეტ-ნაკლებად შესამჩნევად ბუდობს ღვიძლ დედ-მამისშვილებში, ნათესავებში. ჩვენ შეიძლება საზოგადოებაში ვამყობდეთ ჩვენი ნათესავის წარმატებებით, მაგრამ სანათესაოს ფორუმზე თითქოს გალახული ვგრძნობთ თავს, გამარჯვებული ნათესავის ჩრდილში. აქაც იგივე ვითარება გვაქვს — გონების სისუსტე, რომელიც გულის ღვარძლს ვერ უმკლავდება. გული კი, ერთი ფილოსოფოსის თქმით, არის წყარო ყოველი ნათელი და ბნელი გრძნობისა. გულის პირველ იმპულსებს, მის მღელვარე ემოციებს ჰყავს ისეთი მეთვალყურე, როგორიცაა გონება. გონებას ევალება რაინდობა — შეგვეძლოს საძულველ ადამიანში დავინახოთ ღირსება და ჩვენი სიძულვილის თვითგანხილვა, მისთვის ობიექტური მსჯავრის გამოტანა.

ქართველ კაცს არავითარი შური არა აქვს, ვთქვათ, ამერიკელისადმი. მას ზოგჯერ ურჩევნია უცხოელი იყოს იმ აღმოჩენის ავტორი, რისთვისაც გვირგვინი ერგო მის თანამემამულეს. გაცილებით უფრო აღტაცებული ვლაპარაკობ, ვთქვათ, ჩემი თაობის ინგლისელი კოლეგის გამარჯვებაზე, ვიდრე ჩემი მეგობარ-კოლეგის, ძმაკაცის მიღწევაზე. როდესაც შემახსენებთ ჩემი მეგობრის წარმატებებზე, მე ათასნაირად ვიღრიცები... იძულებით გეთანხმებით — „ჰო,... კი,... არა უშავს-რა...“ ვიწყებ წინადადებას მოღრუბლული სახით და ვამთავრებ გაბადრული: „მაგრამ ინგლისელის აღმოჩენა სულ სხვაა, საუცხოოა“. შური არ არის ქართველი ხალხის ისტორიული განსაკუთრებულობა. შური ყველა ხალხის სამოქალაქო ბიოგრაფიაში იჩენს თავს. მაგრამ საკითხავია, შურმა დაამარცხა თუ შური დაამარცხა საქვეყნო წინსვლის ძალამ. იტალიელებსო, ამბობს ჰეგელი, პეტრარკას დროიდან ოცნებად ჰქონდათ გაერთიანება. მაგრამ ვერ ახერხებდნენ ფეოდალური ეგოიზმის, პარტიკულარიზმის დაძლევას და მათ ოცნება საუკუნეების განმავლობაში განუხორციელებელი დარჩათ. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იტალიური კულტურის წინსვლის შეფერხება შეძლო ამ შურმაო. შური მისი ტიტანების კულტურულმა ვულკანურმა ძალამ დაძლია. უფრო მწარე შედეგები ჰქონდა შურს ქართულ სინამდვილეში.

სავალალოდ, ხშირად ვხედავთ მას, როგორც ჩვენი კულტურის ბორბლის შემჩერებელს...

ჩვენს მხატვრულ, ფილოსოფიურ თუ საისტორიო მწერლობაში ხშირად ვხვდებით მსჯელობას ამ მოუცილებელი ჭირის მავნე შედეგების შესახებ.

XI–XII საუკუნეთა მიჯნიდან მოისმის შურის გამო შეწუხებული ჩივილი დიდი ქართველი მოაზროვნისა. იოანე პეტრიწი გაკვირვებულია, შეძრწუნებულია თანამემამულეთა უგვანო საქციელით — შურისა და ვერაგობის გამო. ოდნავ სიყვარული და მხარდაჭერა რომ მქონოდა, დაბრკოლებებს გადავლახავდი, ენას განვავითარებდი, ფილოსოფიური აზრის დონეს არისტოტელურად წინ წავსწევდიო. გულისდამწველად იფიცება იოანე პეტრიწი: „...ვფუცავ სურვილსა, რომელ ენამცა ენისადა გამეწყო და ხედვაიმცა ფილოსოფოსთა განცდისა მეარისტოტელურა...“[1]

გრძნობს დიდი სწავლული და მოაზროვნე, რომ მისეული ცოდნა უაღრესად საჭიროა მისი ქვეყნისათვის, თანამემამულეებისათვის. მას პატივმოყვარეობა არ აწუხებს, აწუხებს იმის დარდი, როგორ გადასცეს თავისი ცოდნა თავის ხალხს, როგორ წასწიოს იგი წინ, როგორ აიყვანოს კულტურული კაცობრიობის დონეზე ჩვენი ხალხის ინტელექტი და ზნეობა. ნაცვლად იმისა, რომ ქართველები საამისოდ კეთილგანწყობილი ყოფილიყვნენ ჩემდამი — წერს პეტრიწი, — მათ დევნა დამიწყესო, რამეთუ ორმაგი უვიცობა სჭირთ. ჯერ ერთი მეცნიერული ცოდნის უქონლობა, მეორე ის, რომ არ იციან თავიანთი უვიცობაო. იქვე იმოწმებს სოკრატს: ძნელია ავადმყოფობა, მაგრამ უფრო ძნელია ავადმყოფობის უცოდინარობაო. „პირველ მარტივად უმეცრებითა სასწავლოთაითა და კვლავად მეორედ თვით უმეცრებისა უმეცრებითა. ვითარ იტყვის სოკრატე, რამეთუ ძნელი სენი, არამედ უფიცხეს უმეცრება სენისა“[2]. შეძრწუნებულია პეტრიწი სწორედ შურის გამო: „... შურთა და ვერაგობათა სახუმილისაგან მექმე აწ ამის ჟამისა ქართველთა და ბერძენთა შორის“[3].

---

[1] Н. Я. Марр. Иоан Петрицкий, грузинский неоплатоник XI–XII вв. С.-Петербург, 1909, стр. 44.

[2] იქვე

[3] იქვე

რომელი ქართველი მოაზროვნე არ შეუძრწუნებია შურს. „ცრემლები მალრჩობს, ველარას ვამბობ“ — წერდა ვაჟა-ფშაველა 1910 წელს დაწერილ ლექსში — „გიორგი საკაძის სურათზე“. დიდი მოურავისა და საქართველოს ბედს მწარედ ჩაუფიქრებია მგოსანი:

თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეშურდეს?
ნამდვილს მშობელსა ეს ეკადრება?

ტრაბახი

ტრაბახი მრავალნაირია. ყველაზე მარჯვეა თავმდაბლობაში შეფუთვნილი ტრაბახი. ყველაზე გულუბრყვილო მოტრაბახედ მონტენს თავის თავზე მოლაპარაკენი მიაჩნია. იგი გულისხმობს იმათ, რომელთათვისაც ტრაბახი ერთგვარ იუმორსაც შეიცავს.

ტრაბახის მარჯვე ფორმაა ხელოვნური თავმდაბლობა, — თავის მოკატუნება ქების წინაშე, თითქოსდა მაღლა ვდგავარ ადამიანურ სისუსტეზე, ამ დროს კი ვქმნით ხოტბისათვის ხელსაყრელ სიტუაციებს.

ტრაბახი არის კოხტაობა სხვებისა და საკუთარი თავის წინაშე, ისე რომ, ვგრძნობთ საკუთარ ღირსებათა უკმარისობას. რა თქმა უნდა, დიდია ცდუნება თავის თავის შელამაზებულად წარმოდგენისა.

ტრაბახი მხოლოდ ინდივიდუალურ-ადამიანური მოვლენა როდია. ტრაბახა შეიძლება იყოს სოფელი, ქალაქი... ისტორია იცნობს ტრაბახა ერებსაც, რომლებიც თავიანთი კულტურის ზედმეტი ქებით, ნაცვლად მიზნისა, ტრაბახის კულტურაში არწმუნებდნენ სხვა ხალხებს. ნამდვილ საქმეს დღეს თუ არა, ხვალ ხომ მაინც დაინახავენ. ტრაბახი მოჩვენებითი ღირსების წარმოჩენის ცდაა. იგი ადრე თუ გვიან თავს იჩენს, შერჩენით კი არავის შერჩენია.

ტრაბახის მეზობელი, ნათესავი ცნებაა მეტიჩრობა. ჩვენი ხალხი ამ სენისადმი ზომაზე მეტი სიძულვილითაა გამსჭვალული. მეტიჩრობა (ბავშვური) მოგვწონს, მაგრამ სრულწლოვანი ადამიანი რომ თავის მოწონებას ცდილობს ნათხოვარი ხმით, ჟესტებით, ეს მართლაც ძნელი ასატანია.

მაგრამ მეტიჩრობას ხშირად უსამართლოდაც ვწამებთ ღირსეულ ადამიანს, აქტიური, საზოგადოებრივი ენთუზიაზმისათვის. ზოგჯერ შეიძლება ადამიანის ქცევა გარეგნულად ჰგავდეს მეტიჩრობას, მაგრამ არსით მასში ღრმა სიკეთე იყოს დამარხული.

ზოგჯერ მეტიჩრობიდანაც კეთილზნეობრივი თვისებები აღმოცენებულა. ე.ი. გარეგნული ვითომ ღირსებიდან წარმოქმნილა შინაგანი ჭეშმარიტების ღირსება. მაგალითი: „ძველი დროიდან ფრანგებს საყვედურობდნენ თავქარიანობას, აგრეთვე პატივმოყვარეობას და თავმოწონების სწრაფვას. მაგრამ სახელდობრ ამ მისწრაფების გამო — რომ მოსწონდეთ, მათ მიაღწიეს უმაღლეს არისტოკრატიულ დახვეწილობას...“[1]

აღზრდის ტრადიციები

როგორ ზრდის შვილებს მშობელი, გვარი, ერი, ქვეყანა — ეს უკიდეგანო საკითხია. იგი გვიჩვენებს ჩვენი ერის სოციალური განვითარების ისტორიის ძალზე ცოცხალ სურათებს. მომავალ მოქალაქეებს მშობლების ან პედაგოგების მითითებები ნაკლებად ზრდის, მას ის ნიმუშები ზრდის, რომელსაც ყმაწვილი ან გადმოიღებს, ან დაუპირისპირდება.

ქართველი ბავშვები იზრდებოდნენ საგმირო ამბების, გმირთა თავგადასავლების მოსმენით. სიზმარშიც, ცხადშიც, ოცნებებშიც ეჯიბრებოდნენ გმირებს. როგორიც იყო ცხოვრების მიერ ნაჩვენები იდეალები, ისეთნაირად იზრდებოდნენ ნორჩები, ახალგაზრდები...

ერის იდეალები, ქცევისა და ფიქრის ნიმუშები არის მოზარდის ოცნების ორიენტირი. მაგრამ ზოგჯერ ხალხური იდეალები არც ისე სწორადაა ორიენტირებული ვაჟკაცობის იდეალებზე. მამებს ხშირად ვაჟკაცობის ნიშნადაც მიაჩნიათ, თუ მისი პატარა ბიჭუნა „ვაჟკაცურად“ შეივინება. ანდა როცა ბავშვი უხეშად ცელქობს, მშობელს ელიმება, ცდილობს ღიმილის დაფარვას და ტუქსავს. ტუქსვა და ღიმილი კი საწინააღმდეგო შინაარსისაა. ბავშვს უფრო უღვივდება აკრძალულისადმი ინტერესი. მით უმეტეს ბავშვებს არც ისე ადვილად გამოეპარებათ ასეთი თითქოს დამ-

---

[1] Гегель. Соч., т. III, 1956, стр. 79

ალული ღიმილი. დატუქსვა-დირექტივა არა თუ უშედეგოა, პირიქით, აღვივებს საწინააღმდეგო მისწრაფებებს. როგორც ითქვა, მშობელი ხშირად ვაუკაცობის ნიშნად ალიქვამს ზოგიერთ ისეთ ქცევას, რომელსაც უზნეობის პირი უფრო უჩანს.

ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები იმ ზნეობრივი სულისკვეთებით იზრდებოდნენ, რაც ირგვლივ სუფევდა. ამ მხრივ საძრახის სიტყვას ვერ ვიტყვით აღზრდის ქართულ ტრადიციებზე.

ქართული ზრდილობის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა ასაკისადმი პატივისცემა. ეს ჩვენი საუკუნოვანი ტრადიციაა. მაგრამ ასაკის გაფეტიშება, ცხადია, საზოგადოებრივ პროგრესს უშლის ხელს. ამის მაგალითია ჩინეთში ძველად არსებული წესი: ცამდე მართალი შვილი, მამისაგან დასჯილი, თუ თავის მართლებას დაიწყებდა, სასჯელს იმატებდა. ცამდე მართალი უმცროსი ყოველთვის მტყუანი იყო უფროსთან. ცხადია, უმცროსმა ასაკის გამო პატივი უნდა სცეს უფროსს, მაგრამ უფროსიც პიროვნულად უნდა იმსახურებდეს პატივისცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს მორჩილ აზროვნებას. აზროვნება კი მით მეტად შვენის გონებას, რაც უფრო თამამია. ახალგაზრდის ნააზრევს დიდი ნდობა სჭირდება. მას გასაქანი უნდა ჰქონდეს. ასეთია ცივილიზებული საზოგადოების ლოგიკა.

საგულისხმოა, რომ გვარიშვილობის პრივილეგიების მოპოვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი იყო აღზრდილობა. მოქალაქეობრივ-პიროვნული ღირსებანი პრივილეგიურ კლასთან ათანაბრებდა უგვაროს, მეფე მას ანიჭებდა „გვაროვნობის“ სიგელს. ასე იქმნებოდა თავადიშვილობისა და აზნაურობის სიგელები. მოგვიანებით თავადებს ამის გაგონება არ სიამოვნებდათ, რადგან მათ სურდათ, რომ გვაროვნული პრივილეგიების სათავეები ლამის ციდან მიღებულ პრივილეგიად ჩაეთვალათ. როგორც ამბობენ, საქართველოში ფეოდალიზმი არ ყოფილა კასტური (ნ. ბერძენიშვილი). ეს იწვევდა საზოგადოების სოციალურ-თვისებრივი აღმავლობის, დახვეწის, წინსვლის შესაძლებლობას.

თითქმის ყველა მაღალ თუ დაბალგანვითარებულ ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა უფლისწულის აღზრდას. ამას მოითხოვდა თვით სამეფო ტახტის ლოგიკა. საქართველოში უფლისწულის აღზრდა ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

ქართველი უფლისწულების აღზრდის პრინციპი უფრო დასავლეთის სტილს შეესაბამება, ვიდრე აღმოსავლეთისას. აქ ორი მომენტი შეიძლება გამოვყოთ: პირველი — ინდივიდუალური — ფიზიკურ-ფსიქიკური წრთობის საშუალებანი, მეორე — თეორიულ-პოლიტიკური განათლების მიღება. ჩვენი უფლისწულების აღზრდა გვიჩვენებს ჩვენი ხალხის მაღალ ცივილიზებულ სულისკვეთებას. მეფეს უნდა ჰქონოდა ფართო თეორიული, ფილოსოფიურ-თეოლოგიური განათლება. ვის შეიძლება ეჭვი შეეპაროს დავით აღმაშენებლის უღრმეს და უფართოეს განათლებაში. მაგრამ „გალობანი სინანულისანის“ ავტორისაგან გასაკვირი არ არის ის თავმდაბლობაც, რომელიც მან გამოხატა სამღვდელოებასთან პაექრობის დროს: „მე შორს ვარ სწავლულებისა და მეცნიერებისაგან, ვითარცა მხედრობასა შინა აღზრდილი“.[1]

უფლისწულების აღზრდა ნება-უნებლიედ მოითხოვდა უნივერსალურ აღზრდას, ჰარმონიულ აღზრდას: მკლავი მაგარი, ჭკუა ღრმა და შორსმჭვრეტელი, ცოდნა ვრცელი და მდიდრული...

უფლისწულის აღზრდა არ იყო გასაიდუმლოებული და იზოლირებული სხვათა თვალისგან. პირიქით, ის იყო წარმტაცი, სანიმუშო სანახაობაც თავისი თანატოლებისათვის, რომლებიც მის კარზე იზრდებოდნენ. უფლისწულის აღზრდა, მისი პიროვნული მომზადება-ამაღლების პროცესი ნიმუშის სურათს აძლევდა ფეოდალთა შვილებს... თავის მხრივ, ისინი ნიმუშს აძლევდნენ თავიანთ აზნაურებს... ასე რომ, უფლისწულის აღზრდას სხვათა აღზრდისათვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, ეს იყო მეტრი იმდროინდელი კულტურული აღზრდისა. „აღზრდილ-შეზრდილობა“ იწვევდა აგრეთვე ფეოდალურ-სოციალურ კიბეზე ამაღლების საშუალებას. „აღზრდილ-შეზრდილობა ფეოდალური ინსტიტუტი ჩანს თითქოს... სამეფო კარზე მეფის შვილებთან, განსაკუთრებით ტასტის მემკვიდრე უფლისწულთან ერთად იზრდებიან დიდებულ აზნაურთა შვილები... ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებისა და მიმზიდველობის ხანაში ერთგული მოყმე რაინდები იზრდებიან კარზე (თამარი კარიდან არ იშორებდა მათ მამებსაც კი...) და არსებობდა, უნდა ვიფიქროთ,

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 188

სასახლისაკენ მიმზიდველი ძალები — მზე აქ ამოდიოდა, თუ არ იძულებით, სამეფო კარი მას თავისთან ყოლას ვერ შესძლებდა...

ეს აღზრდილ-შეზრდილები მთელი ფეოდალური ურთიერთობის სიგრძეზე ჩანან (გვიან ხანაში)... შეზრდილ-გაზრდილობა ფეოდალური ხანის "საერთო სწავლის" სანერგე იყო. აქ კარზე ბატონიშვილთან ერთად ითვისებდა მომავალი ყმა ფეოდალური ზრდილობის მთელ კოდექსს, — ვეფხისტყაოსნის კულტურას... აქედან ეფინებოდა ეს კულტურა „ზრდილობა" ფეოდალური საზოგადოების ფართო ფენებს, დიდებულ აზნაურთა თუ თავად-აზნაურთა ფართო ფენებს, მათ ყმებს.

ასე რომ საშუალო საუკუნეებში მეფისა და ფეოდალის კარი მხოლოდ პოლიტიკური ცენტრი კი არ იყო, არამედ კულტურის ცენტრიც, ფეოდალურ „ზნეობათა" სწავლებისა და გავრცელების ცენტრი".[1]

„ვეფხისტყაოსანი" და ქართული აღზრდის ტრადიციები

„ვეფხისტყაოსანს" მრავალნაირი ტრადიცია უკავშირდება. ტრადიციას წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის" მზითვად გატანების ფაქტი. „ვეფხისტყაოსნის" ცოდნა იყო განათლებისა და ერისკაცობის კულტურის გარკვეული საზომი. მახვილი შედარებაა: „ვეფხისტყაოსანი" იგივე იყო ქართველებისათვის, რაც „სახარება" საქრისტიანოსათვის.

„ვეფხისტყაოსანი" იყო ქართველი კაცისათვის უდიდესი ავტორიტეტი. მის აფორიზმებსა თუ სიტუაციებს ქცევის ნორმების შეფასებისას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმოწმებდნენ. მას ჰქონდა განუზომლად დიდი შთაგონებისა და სტიმულის ძალა. „ქართლის ცხოვრებაში" სეხნია ჩხეიძის ნაამბობი დამაჯერებელია და ამასთან იშვიათი ფაქტიც. ისტორიკოსი მოგვითხრობს: 1659 წელს სპარსეთში ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი ბელუჯთა მრავალრიცხოვან ლაშქარს უნდა შებმოდა. „ჯარის სიმცრო გვჭირდაო" — იგონებს მთხრობელი. იგი ქართველთა ჯარის სულიერ გატეხილობას გრძნობდა. წინასწარგანწყობილება უკიდურესად არასასურველია. ჯარის მეთაურს მოჰგონებია რუსთველის დიდებული სიტყვები: „უგანგებოდ ვერას

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 86-87

მიზმენ, შეცამებან ხმელთა სპანი". ამ სტრიქონებს სასწაულებრივი ძალა მიუცია ლაშქრისათვის და მტერი დაუმარცხებიათ.

რუსთაველის ეს სიტყვები, ისე როგორც მისივე აფორიზმი: „არა საქმე არ იქნების, რაცა უფალს არა ნებავს," „სახარების" შინაარსს, ცნობილ გამოთქმებს ესადაგება. მაგრამ ამ სიტყვებს ისტორიულად რწმენის ძალა ჰქონია.

„ვეფხისტყაოსნის" ვირტუოზული ლექსი, მომჯადოებელი მუსიკალობა, სიტყვის მრავალფეროვნება და ლაზათი, მაღალი მხატვრული ძალა იპყრობდა ქართველი ქალისა და კაცის გულს. მის სიტყვებს გულში იწერდნენ, იმეორებდნენ, ფიქრებშიც ანგარიშს აბარებდნენ მას...

რახან ნაწარმოები მომჯადოებელია, ეს ნიშნავს, რომ მას დიდი შემოქმედებითი და წარმმართველი ძალა გააჩნია. ვინც გვიყვარს, კიდეეაც ვბაძავთ მას; იგულისხმება ბაძვა არა ზედაპირული და თვითდამამცირებელი, არამედ განმაპირობებელი. „ვეფხისტყაოსნის" ქალებს ჰბაძავდნენ ქართველი ქალები, ცდილობდნენ ისეთი ლამაზები და ჭკვიანები, მეგობრულნი და მოყვასთადმი მზრუნველნი ყოფილიყვნენ, როგორიც ნესტანი და თინათინია. ცხადია, ეკლესია აღშფოთდებოდა ამის გამო. ხორციელი სილამაზის ქადაგება სულის წარწყმედის პირობად მიაჩნდათ. ქრისტიანული ეკლესია სათნოებას სულის სილამაზეში ხედავს.

„ვეფხისტყაოსანმა" ზეციური სილამაზით უმღერა მიწიერ, ხორციელ სილამაზეს.

„ვეფხისტყაოსანი" ქცევის იდეალური ნიმუშების ჩვენებით ზრდიდა ქართველ ხალხს, იმის მიხედვით, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, ადამიანთა ურთიერთობა.

„ვეფხისტყაოსანში" სატრაქტატო აზრები, აფორიზმები აღზრდის შესახებ ცოტაა. მაგრამ აღმზრდელ-აღზრდილის ურთიერთობა სრულ სურათს გვიქმნის ფეოდალური აღზრდის შესახებ. თუმცა ისტორიული რეალობა აქ პოეტიზირებულია, სინამდვილე აყვანილია იდეალურის ხარისხში.

„ვეფხისტყაოსანში" აღმზრდელ-აღზრდილის, ანუ აღზრდის მამაშვილურობაზე ლაპარაკი უბრალო შედარება როდია. მასწავლებელი — მოწაფე „ვეფხისტყაოსანში" ურთიერთობის მამაშვილური ფორმითაა წარმოდგენილი. ფარსადანი ტარიელს, როგორც ნაშვილებს, როგორც შვილს ისე ზრდის.

არც როსტევანს, არც ფარსადანს ვაჟი არ ჰყავთ. როსტევანი როგორც შვილს, ისე ზრდის ავთანდილს. როსტევანი თავდაპირველად გულგატეხილია, მას უყვარს ავთანდილი, მაგრამ ნადირობამდე თითქოს მას სრულად არ სცოდნია ავთანდილის შესაძლებლობანი, ღირსებები. ის სევდიანად ამბობს:

კაცი არ არის, სითვანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია".

ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა.

ავთანდილი როსტევანისათვის სიძე-ძმეკვიდრეა, მისდამი სიყვარული სრულიად ცხადია.

ტარიელი უძეო ფარსადანმა აიყვანა.

მეფემ ბრძანა: „შვილად გავზრდი თვით ჩემივე გვარი არსა.
მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად".

„ფარსადანმა ტარიელი იშვილა, საპატრონოდ ზრდიდა: ბრძენები ასწავლიდნენ ხელმწიფურ ქცევას. მაშ გამზრდელები ბევრი ჰყავდა ტარიელს. ვინ რა ზნეს ასწავლიდა და ვინ რას, ამიტომაა, რომ თავის მრავალ გამზრდელს ასახელებს".[1]

„ვეფხისტყაოსანში" ნაჩვენებია აღმზრდელ-აღზრდილის ურთიერთობა. ისინი ერთმანეთისთვის საფიცარნი არიან. თუმცა ამ ზნესრულყოფილი ადამიანების თეორიული აღზრდის, სიბრძნის სწავლების პროცესი ნაჩვენები არ არის. ეს პროცესი აქ უდავოდ იგულისხმება და ნათქვამიცაა, სიბრძნის დაუფლების მნიშვნელობაზე. ტარიელის სიტყვები „ბრძენთა მიმცეს სასწავლებლად" სწორედ გულისხმობას ნიშნავს და არა ჩვენებას. სიბრძნის განსწავლის პროცესი აქ არ ჩანს. რანაირი იყო ტარიელის ბრძენი მასწავლებელნი, რანაირ სიბრძნეს ასწავლიდნენ მას? სიბრძნე თავისთავად, რასაც ის ნიშნავდა, და ფილოსოფიური სიბრძნე ერთი და იგივე არ არის. მათ შორის განსხვავებაა და მისი მხედველობაში მიუღებლობა სწორი არ იქნება.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 296-297

მოწაფემ მასწავლებლისგან ყველაფერი უნდა მიიღოს, რის მიღებაც შეიძლება. შემდეგ უნდა გაუსწროს. ეს არის თვით აზრის განვითარების ლოგიკა. მასწავლებლის მიღწევა უნდა მოხსნას მოსწავლემ. არსით ე არის კონფლიქტური გზა ჭეშმარიტების მოპოვებისათვის. მასწავლებელ-მოსწავლის სიყვარული ურთიერთჩამკეტი გრძნობა არ არის. აქ შეიძლება მასწავლებელთან მოსწავლეს დავაც მოუვიდეს, რომელიც ზოგჯერ კონფლიქტის სახესაც იღებს. მასწავლებელი თავისი სამყაროთი ხედავს ჭეშმარიტებას. მოსწავლე მის სამყაროს უნდა მოსწყდეს და შექმნას საკუთარი თვალსაზრისი. არისტოტელეს უყვარს თავისი მასწავლებელი პლატონი, მაგრამ უფრო მეტად — ჭეშმარიტება, ამით მან ბოდიში მოუხადა მასწავლებელს — მე ჩემი სამყარო მაქვს და ნუ გეწყინებაო. ასეთი სამყარო ჩვენ „ვეფხისტყაოსანში" არც გვაქვს, არც უნდა გვქონოდა. ეს იქნებოდა პროზაული სახე სინამდვილისა, „ვეფხისტყაოსანი" კი იდეალურ-პოეტური სინამდვილეა. რას ასწალვიან ტარიელს ბრძენნი? მეფური სიბრძნისათვის საჭირო იმ მრავალფეროვან ცოდნას აძლევენ, როგორადაც ზრდიდნენ უფლისწულებს.

რუსთაველის გენიალურ პოემაში „გაზრდილს მართებს გამზრდელის პატივი, შიში, მორიდება, ერთგულება, კრძალვა" (ნ. ბერძენიშვილი). როდემდის მართებს გაზრდილს ასეთი დამოკიდებულება მოძღვრისადმი? სიკვდილამდე. რას იზამს აღზრდილი, თუ მოძღვარი ცდება? ამ კონფლიქტურ კითხვაზე რუსთაველი ყურადღებას არ ამახვილებს. აქ სიყვარულის იდეალური, მიმზიდველი, დადებითი სურათები გვაქვს. შოთას პოეტურობამ ცამდე ასწია ადამიანური ურთიერთბის სილამაზე. გვიჩვენა თუ რა საყვარელი და მომხიბვლელი არიან ადაიმანები, თუ ისეთი იქნებიან, როგორც მის მიერ შექმნილი ზნე-ხასიათები. მართალია, იგი ფეოდალურ-არისტოკრატიულ სამყაროს ასახავს, მაგრამ ნამდვილი ფეოდალიზმისაგან მხოლოდ ლანდია შერჩენილი. არსებითად ეს არის ფეოდალურ სამოსში მოქცეული იდეალური სამოქალაქო-სახელმწიფოებრივი ცხოვრების სურათი.

მოძღვარნი თავის გაზრდილებს, როგორც შვილებს ისე შეჰხარიან. აქ არც შური და ეჯიბრი ბუდობს. მოძღვარნი თავიანთ აღზრდილებს ასწავლიან, როგორი უნდა იყოს კაცური კაცი, როგორ უნდა მართავდეს მმართველი ქვეყანას. „ვეფხისტყაოსანი" ქართული ზნე-ხასიათის არაჩვეუ-

ლებრივად ნატიფ სახეებს ქმნის. მან ზნეობრივ სინათლესთან ერთად გვაჩვენა ჭკუის მომხიბვლელობის ძალა. ადამიანს ჭკუა ამშვენებს, იქნება კაცი თუ ქალი. თინათინისა და ნესტანის ორიგინალობა სწორედ მათი ჭკუის, მეფური ჭკუის ჩვენებაშიცაა. განუზომლად დიდია რუსთაველის მადლიანი სიბრძნის კეთილისმყოფელი გავლენა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების დახვეწისა და კულტურული აღმავლობის საქმეში.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ აღზრდის ტრადიციის შესახებ

„სიბრძნე სიცრუის“ აღზრდის მეთოდს ხშირად სპარტანულს უწოდებენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღზრდის ეს მეთოდი ყველაზე ნაკლებად ჰგავს სპარტანულს და უახლოვდება აღზრდის იმ წესს, რომელიც ფრიად შექებულია ქსენოფონტეს, ჰეროდოტეს, პლატონის, მონტენის, ჰეგელისა და სხვების მიერ. ვიდრე ამ მეთოდს განვიხილავდეთ, მანამდე ვნახოთ, თუ რამ გამოიწვია სპარტანული აღზრდის ასოციაცია.

უფლისწულ ჯუმბერის პერსონალური მასწავლებელი ლეონი ჯუმბერს მრავალ სიძნელეს განაცდევინებს. ლეონმა უფლისწულს ჯერ მერიქიფობა დააკისრა, „არც დასვა და არც აჭამა“, ფეხზე დგომისაგან ჯუმბერი ისე დაიქანცა, რომ „ქვე დაეცა და შეწუხდა“. სანადიროდ მიმავალმა, ცხენზე ამხედრებულმა ლეონმა უფლისწული წინ წარიმძღვარა, „მთათა და გორათა არბენინა“. ლეონმა ჯუმბერი უმიზეზოდაც გაროზგა. ერთი სიტყვით, მისი მიზანია უფლისწულმა იცოდეს ცხოვრების, შრომის ფასი, ე.ი. პრაქტიკული გამოცდილებით შეიცნოს სიკეთე.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის მიზანია ჯუმბერში სიკეთის გრძნობის აღზრდა. მიზანია სიკეთე. რაც შეეხება წრთობის საშუალებებს, იგი, მართალია, ფიზიკურსაც მიმართავს, მაგრამ აქ უფრო ფიზიკურ-შრომითი წრთობა გვაქვს, განსხვავებით ათენური ან სპარტანულისგან. ცნობილია, თუ რა ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი შრომისადმი ათენელები და სპარტანელები, რადგან შრომა ძველ საბერძნეთში მონების საქმედ იყო მიჩნეული. ათენელი და სპარტანელი, თავისუფალ ადამიანებად წოდებულნი, იწვრთნებოდნენ ფიზიკურად — ათლეტურად, თუმცა არის-

ტოტელეს მიაჩნია, რომ ხშირად ეს ათლეტიზმი ამახინჯებდა სხეულს. ლაკედემონელებს, ე.ი. იმავე სპარტანელებს, არ მოსვლიათ ასეთი შეცდომა, მაგრამ მათ უარესი მოუვიდათ. ეს მკაცრი სამხედრო ფიზიკური წრთობა, არისტოტელეს თქმით, პირუტყვულ უშიშროებას ავითარებდა მათში.

სპარტანულ აღზრდას ჰქონდა თავისი ღირსებები; ეს იყო სიმტკიცის, სამშობლოსათვის, სახელმწიფოსათვის ერთგულების გამომუშავება, მაგრამ, როგორც ცნობილია, სპარტანულ აღზრდაში უმნიშვნელო ადგილი ეკავა ზნეობრივ აღზრდას.

მართალია, „სიბრძნე სიცრუისაში" ჯუმბერის სხეულებრივ წრთობა-ზეცაა ლაპარაკი, მაგრამ ეს ესთეტიკურ წრთობას არ ნიშნავს. ფიზიკური წრთობა შეიძლება იყოს შრომით-ფიზიკური პროცესი, რომლის მიზანია არა თვით ფიზიკური შრომა, როგორც ასეთი, არამედ შრომით-ფიზიკური გზით სიკეთის პრაქტიკული გაგება. ე.ი. ასეთი წვრთნა ეთიკური პრინ-ციპების კუთვნილებაა, რადგან მისი მიზანია ზნეობა, სიკეთე. ფიზიკური წვრთნა შეიძლება იყოს სპორტული წვრთნა; სხვანაირად მას ათლეტიზმ-საც უწოდებენ. აქ უკვე ესთეტიკა ბატონობს, რადგან ათლეტიზმის მიზანია სხეულის ფიზიკური ძალის სილამაზე. ათლეტიზმი თუ თვითმიზნურია და არ ხელმძღვანელობს ესთეტიკური პრინციპებით, მაშინ ეს ნიშნავს უხეში ფიზიკური ძალის გამომუშავებას. მხატვრული ტანვარჯიშული წრთობა, ესთეტიკურად წარმართული ათლეტიზმი დამახასიათებელი იყო ძველი ათენელებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სპარტის კანონები დიდი კაცის, ლიკურგეს მიერ იყო შედგენილი, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ათენის სახ-ელმწიფოს კანონებს. თუკიდიდესთან ათენელები ეუბნებიან სპარტანელებს: „თქვენს კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს არაფერი აქვს საერთო სხვების კანონებთან და ზნე-ჩვეულებებთან. ამასთან, როდესაც გამოჩნდებით საზღ-ვარგარეთ, თქვენ არ იქცევით არც თქვენი კანონებისა და ზნე-ჩვეულებების, და არც ძველ საბერძნეთში მიღებული კანონებისა და ზნე-ჩვეულებების მიხედვით".[1]

---

[1] ციტირებულია წიგნიდან: Гегель, Философия истории, 1935,М. - Л., стр. 248.

ათენის სახელმწიფო, ჰეგელის თქმის არ იყოს, მშვენიერებისათვის არსებობდა, მაშინ როცა სპარტაში აბსტრაქტულ, მკაცრ სათნოებასთან გვაქვს საქმე, პლუტარქედან მოდის ცნობილი ამბავი სპარტანელი ბიჭის ნებისყოფის საარაკო სიმტკიცეზე, რომელსაც მოსასხამის ქვეშ დამალული ჰყავდა მოპარული მელია. მელიამ კბილებითა და ბრჭყალებით გამოფატრა მას მუცელი, მაგრამ ბიჭი მანამდე მტკიცედ იყო, ვიდრე არ მოკვდა.

მართლაც, ხშირ შემთხვევაში, მომხიბვლელია სპარტანული სიმტკიცე. ჟან-ჟაკ რუსოს, „ემილში", სპარტანელი ქალის სიმტკიცის ასეთი მაგალითი მოაქვს: ლაკედემონელმა დედაკაცმა ბრძოლის ველზე ხუთი შვილი გაგზავნა. როდესაც დაბრუნებულ შიკრიკს მან ამბავი ჰკითხა, შიკრიკმა უთხრა — ხუთივე დაიხოცნენო. გმირი დედა განრისხდა — უგნურო მონავ, მე ამას როდი გეკითხები, მე გეკითხები, როგორაა ბრძოლის საქმეო. როდესაც ამ ქალმა გაიგო, რომ მისი სამშობლო იმარჯვებს, სამადლობელი შესწირა ღმერთებს. რა საოცარი დამთხვევაა ვაჟა-ფშაველას სიტყვებთან:

ეგებ ინებოს ბატონმა,
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა,
თუ ამას გავიგონებდი
არ ვიტირებდი მკვდრებზედა:
იმავ დღეს, შვილო დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა...

სპარტაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ქალების აღზრდის საქმეს. მართალია, არისტოტელეს მიაჩნია, რომ ლიკურგემ, სპარტის ლეგენდარულმა კანონმდებელმა, თითქოს უარი თქვა ქალებისთვის აღზრდის კანონების დაწესებაზე, რადგან ეს უნაყოფო საქმედ მიიჩნიაო. მაგრამ პლუტარქე არ ეთანხმება არისტოტელეს. მისი აზრით, ქალებიც ისეთივე სიმტკიცის პრინციპით იზრდებოდნენ სპარტაში, როგორც ვაჟები. ქალიშვილს სჯიდნენ თუ მისი სატრფო შედრკებოდა შიშისგან. პლუტარქე მოგვითხრობს, რომ ერთხელ როდესაც ყმაწვილი შეკრთა შიშისგან, სახელმწიფომ დაუჯარიმა მისი შეყვარებულიც.

რაც შეეხება სინდისის და კეთილშობილების სპარტანულ გაგებას, ის ამ მხრივ დღეს გაკვირვებასაც იწვევს, მაშინ როცა „სიბრძნე სიცრუის" მორალი უალრესად თანამედროვეა. სპარტაში, მოზუცები ჩაერეოდნენ ხოლმე ბიჭუნების კინკლაობაში, აქეზებდნენ და აჩხუბებდნენ მათ.

ერთი სიტყვით, სპარტანული აღზრდა იყო წმინდა „სამხედრო-ფიზიკური“. აქ არც უფლისწულებზეა ლაპარაკი და, საზოგადოდ, არც გვაქვს აღზრდის ერთპიროვნულ-ინდივიდუალურ მეთოდებზე ლაპარაკი. სპარტანელი ბავშვები იზრდებოდნენ კოლექტიურად ბანაკებში, რაზმებად დაყოფილნი. ისე კი ფიზიკური წვრთნა, რა თქმა უნდა, არც სპარტის და არც ათენის განსაკუთრებული თავისებურება არ იყო.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“-ში არსად არ გვაქვს ლაპარაკი ჯუმბერის სპორტულ ან სამხედრო-ფიზიკურ წრთობაზე. ესაა სიბრძნის პრაქტიკული წრთობა, რათა უფლისწულმა გამოიმუშაოს სინამდვილის გაგების რეალისტური უნარი. პრაქტიკული სიბრძნე ან პრაქტიკული გონება ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ერთ შემთხვევაში იგულისხმება, როცა აზრი გადადის პრაქტიკაში, მეორე შემთხვევაში კი აზრი იქმნება პრაქტიკიდან. ამიტომ საბა ორბელიანის ის ყოფითი, პრაქტიკული ილეთები მიზნად ისახავს სიკეთის გრძნობას და ცნობას. ათენსა და სპარტაში გონებრივ აღზრდაში ინტელექტუალური მიზანი იგულისხმებოდა და არა ზნეობრივი თანამედროვე გაგებით, ე.ი. იგულისხმებოდა განათლება ფილოსოფიური, მუსიკალური და ა.შ. ამ სახით ინტელექტუალიზმზე არა გვაქვს ჩვენ საბასთან ლაპარაკი „... გამორკვეული არ არის აგრეთვე, ისიც, — წერს არისტოტელე „პოლიტიკის“ VIII წიგნში, — რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება — ინტელექტუალური უნარის თუ ზნეობრივი თავისებურების განვითარებაზე!“ „სიბრძნე სიცრუისაში“ კი გვაქვს პრაქტიკული სიბრძნის შეძენის უაღრესად საინტერესო სურათი, ანგარიშგასაწევი თანამედროვე პედაგოგიური თვალსაზრისითაც.

რაც შეეხება პლატონის პედაგოგიურ მოძღვრებას, იგი წარმოადგენს იდეალური და არა რეალური სახელმწიფოს სურათს. პლატონისთვის ადამიანის ღირებულება მის გონიერებაში, იდეებთან თანაზიარობის უნარში მდგომარეობს. ამიტომ მისი მიზანია ფილოსოფიური სიბრძნით აღზრდილი ხელმძღვანელი, გამგებელი სახელმწიფოსი. ქვეყანას ფილოსოფოსი უნდა განაგებდეს, რომელმაც იცის ყოველი მოვლენის არსებითი მხარე, სათნოების ფასი. ფიზიკური წრთობის თვალსაზრისით პლატონი სპარტანულისკენ იხრება, მაგრამ მისი აღზრდის პრინციპი ძირითადად ათენურ აღზრდას ეფუძნებოდა. თუმცა პლატონისეული იდეალური აღზრდის პრინციპები ამავე დროს ორივესგან განსხვავდებოდა.

სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის, წვრთნის მეთოდი, გაცილებით მეტად შეიძლება დავუკავშიროთ სხვა ანტიკურ მოძღვრებებს, ვიდრე სპარტანულს. ვნახოთ, თუ რომელ მეთოდს უახლოვდება, ჩვენი აზრით, სულხან-საბა ორბელიანის მეთოდი.

ქსენოფონტეს მიხედვით, სხვადასხვა სახელმწიფოში შვილებს მშობლები სხვადასხვანაირად ზრდიან. როცა შვილები წამოიზრდებიან, ეწევიან დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამის შემდეგ თუ ისინი ჩაიდენენ ქურდობას, მძარცველობას, კანონის მიხედვით ისჯებიან. მაგრამ უფრო ჭკვიანურად მიაჩნია მას სპარსული აღზრდის პრინციპები. ამ პრინციპის მიხედვით ბავშვი ისე უნდა აღიზარდოს, რომ შედმგომში საერთოდ გამოირიცხოს დანაშაულზე ლაპარაკი.

„...სპარსული კანონების მიხედვით სიფრთხილე წინასწარაა საჭირო, რომ შემდეგ საზოგადოებაში აღარ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ეჭნებათ მიდრეკილება უწესო და სამარცხვინო საქმეებისადმი. ამ განწყობილებას ისინი ბავშვობიდანვე ქმნიან განსაკუთრებული სახით“.[1]

ჰეროდოტე სპარსული აღზრდის შესახებ გვიამბობს: “ბავშვებს ხუთიდან ოც წლამდე ასწავლიან სამ რამეს, ცხენოსნობას, მშვილდოსნობას, სამართლიანობას. ხუთ წლამდე მამას არ უჩვენებენ ბავშვს. ბავშვი ქალებთანაა. ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშვის მცირეწლოვან ასაკში სიკვდილის შემთხვევაში მამას გული არ დაწსყვიტონ“.[2]

მიშელ მონტენი წერს: „ქსენოფონტეს მონათხრობიდან სპარსელების მიერ ბავშვების ბრწყინვალე აღზრდის შესახებ, ჩვენ ვგებულობთ, რომ ისინი ასწავლიდნენ მათ სიკეთეს, მაშინ როცა სხვა ხალხები ბავშვებს მეცნიერებას ასწავლიდნენ. პლატონი ამბობს, სპარსელი მეფეების უფროსი შვილები იზრდებოდნენ შემდეგნაირად: ახალდაბადებულს აძლევდნენ არა ქალებს მოსავლელად, არამედ იმ საჭურისებს, რომლებიც თავიანთი სიკეთის გამო მეფის ოჯახის კეთილგანწყობილებით სარგებლობდნენ. ისინი თვალ-ყურს ადევნებდნენ იმას, რომ ბავშვის სხეული ყოფილიყო ლამაზი

---

[1] Ксенофонта философа и полководца славного история о старшем Кире, С.-Петербург, 1759, стр. 5

[2] Геродот. История в девяти книгах, Ленинград, 1972, стр. 55

და ჯანმრთელი. რვა წლისას ასწავლიდნენ ცხენოსნობას და ნადირობას. როდესაც ბიჭს შეუსრულდებოდა თოთხმეტი წელი, მას გადასცემდნენ სამეთვალყურეოდ ოთხ აღმზრდელს: ყველაზე ბრძენს, ყველაზე სამართლიანს, ყველაზე ზომიერსა და ყველაზე წარჩინებულს მთელს ქვეყანაში".[1]

კიდევ ერთი ავტორიტეტიც: „სპარსეთში, — წერს ჰეგელი, — ძალიან ზრუნავდნენ პრინციპების, განსაკუთრებით კი ტახტის მემკვიდრის აღზრდაზე. შვიდ წლამდე მეფისწულები ქალებთან რჩებოდნენ და არ ეჩვენებოდნენ მეფეთ. შვიდი წლიდან ისინი იწაფებოდნენ ნადირობაში, ცხენოსნობაში, მშვილდოსნობაში და სწავლობდნენ ეთქვათ სიმართლე. არის აგრეთვე მითითება, რომ პრინცს ასწავლიდნენ ზოროასტრის მაგიას. ოთხი უკეთილშობილესი სპარსი ზრდიდა პრინცს .[2]

პედაგოგიკის ისტორიაში არ არსებობს ისეთი პედაგოგიური ხერხი, მეთოდი, რომელსაც მსგავსი მონათესავე მეთოდები არ გააჩნდეთ. სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის მეთოდიც არ არის მთლიანად თავისებური, სრულიად განსხვავებული, თუმცა ესაა ორიგინალურად, მხატვრულად განსახიერებული თვალსაზრისი, რომელსაც დიდი დარბაისლური ჭკუის ბეჭედი აზის.

სულხან-საბა ორბელიანმა აღზრდის უნივერსალურ მნიშვნელობაზე იმდენად გაამახვილა ყურადღება, რომ მას არ დაუსვამს საკითხი აღსაზრდელის ბუნებრივი მონაცემების შესახებ. ამის თაობაზე შედმგომში გვეტყვის აკაკი წერეთელი:

მაგრამ მარტო წერთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა.

რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანი ამ მხარესაც გულისხმობდა; თუ აღსაზრდელს, როგორც იტყვიან, სანამყენე რტო არ გააჩნია, მაშინ ამაოა ყოველი გარჯა.

გენიალური აღსაზრდელი და გენიალური აღმზრდელი — ასეთი თანდამთხვევის იდეალურ ფაქტად ისტორია მიიჩნევს ალექსანდრე მაკედონელისა და არისტოტელეს მოწაფეობა-მასწავლებლობას.

---

[1] Мишель Монтень, Опыты, т. Ш, М.-Л., 1958, стр. 181

[2] Гегель, Философия истории, 1935, стр. 178

სულხან-საბა ორბელიანის აღზრდის თვალსაზრისი ღრმა და ზოგადკაცობრიულია. ფსიქოლოგიური თუ წმინდა პედაგოგიური მოძღვრებანი თავიანთ აღმოჩენებად თვლიან იმას, რომ ადამიანი ბუნებრივი არსებაა და მას ბუნებრივი გზით წრთობა სჭირდება. შრომითი წვრთნით ვიგრძნობთ ბუნების პულსს, ადამიანის სუფთა გულისძგერას — ასეთია დღეს აღზრდის უმთავრესი პრინციპი.

ვაჭრობისა და ხელოსნობისადმი მიმართების ქართული ტრადიციები

დღევანდელი ხალხური მიმართება ვაჭრობისადმი მაინცდამაინც დიდ სიმპათიებს არ გვიმეღავნებს, თუმცა ეს არ არის ქართული ხასიათის განსაკუთრებულობა.

ვაჭრობისადმი ლიტერატურული მიმართება და ფილოსოფიური მიმართება სხვადასხვანაირია. ხელოვნება, ძირითადად ლიტერატურა, ვაჭრობის საქმიანობას უფრო მეტად ფორმალური ესთეტიკური თვალით აღიქვამდა. პროფესიათა შორის გარკვეულ დახარისხებას ოდითგანვე ახდენდა საზოგადოებრივი აზრი. ახლაც ზოგიერთი საქმე უმართებულოდ სათაკილოდ ითვლება, ზოგიერთი — საამაყოდ. დღესაც არასწორი ტრადიციული თვალსაზრისი ხშირად გვიშლის ხელს ვაჭრობის მიმართ ამრეზილი დამოკიდებულების გამო. ამ ფსიქოლოგიამ დიდად შეუშალა ხელი გასულ საუკუნეებში ჩვენი საზოგადოების სოციალური წინსვლის საქმეს. ვაჭრობის გარეშე საზოგადოება ცივილიზებული ცხოვრების წესზე ვერ გადავა. ვაჭრობის გარეშე საზოგადოების განვითარება საერთოდ შეუძლებელია. ვაჭრობისა და ხელოსნობისადმი ქართულმა ფსიქოლოგიამ რამდენადმე წარმოშვა არაპრაქტიციზმი, ცხოვრების რეალობიდან დაშორება.

ვაჭრობისადმი სიმპათია-ანტიპათია ისტორიულად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ საზოგადოების რა ფონზე ჩანდნენ ვაჭრები. ვაჭრებისადმი ირონიული დამოკიდებულება გვიანფეოდალურ ხანას უფრო უნდა მიეკუთვნებოდეს. როცა ვაჭრები ფენიდან კლასად იქცევიან, როცა წვრილბურჟუაზიული ინტერესებისა და ფეოდალური არისტოკრატიის მაღალფარდოვნების ფსიქოლოგია შეეჯახა ერთმანეთს, მაშინ იწყება ესთეტიკური შურისძიება, მხატვრული ჩვენება სათაკილო გარჯისა... თავის დამცირება, მატყუარო-

ბაც, გრძნობის უგულებელყოფა — ასეთნაირად წარმოგვიდგენენ ვაჭრის მხატვრულ სურათებს. ეს სურათები ქმნიან ტრადიციულ ფსიქოლოგიურ მიმართებებს, საზოგადოებრივ თვალსაზრისს.

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ვაჭრობის, მოგზაურობის, მატყუარობისა და ქურდობის ღმერთი არის ჰერმესი. მისი ასეთი „სპეციალობებისადმი" არავითარი ირონია არ იგრძნობა. ეს თვისებები გადაჯაჭვული იყო ერთმანეთთან. თვით ქურდობაც ძველ ხალხებში სხვადასხვაგვარად იყო ხოლმე გაგებული.

ძველი ბერძნული ცივილიზაციის განვითარება, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ვაჭრობის განვითარების გარეშე. ძველი მოაზროვნეები ღრმად აანალიზებდნენ ვაჭრობის მნიშვნელობას სოციალური განვითარების საქმეში. პლუტარქე წერს:

„ვაჭრობის წყალობით ბარბაროსთა მოთვინიერება, უცხო ქვეყნების მეფეთა გულის მოგება და დიდი გამოცდილების მიღება შეიძლებოდა. ზოგიერთი ვაჭარი ქალაქის დამაარსებელიც კი გახდა— ამბობენ, თალესიცა და მათემატიკოსი ჰიპოკრატეც კი ეწეოდნენ ვაჭრობასო. პლატონმა, სხვათა შორის, უცხო ქვეყნებში მოგზაურობის ხარჯის დასაფარავად ეგვიპტეში ზეთი გაყიდა თურმე".[1]

„...თავისუფალ ლაპარაკს სოლონი ვაჭრულმა ცხოვრებამ მიაჩვიაო. ამას იმით ხსნიან, რომ ვაჭრობა მრავალსა და დიდ განსაცდელთან არის დაკავშირებული და ვაჭარი კაცი განსაცდელთა გადატანის სანაცვლოდ ტკბობასა და სიამოვნებას მოითხოვს ხოლმეო".[2]

ვაჭრობა საკმოად განვითრაებული იყო და არავითარ სათაკილო გრძნობებთან არ იყო დაკავშირებული ძველ კოლხეთსა და იბერიაში. საინტერესო ფსიქო-ეთნოლოგიური ნიშნით ჰყავს დახასიათებული სტრაბონს ალბანელები, ისინი, შეიძლება ითქვას, მეტად ჰგვანან ქართველებს. „მათ არა აქვთ ვაჭრობისადმი მიდრეკილება. არიან თვალადნი, ტანადნი, მეომარნი. ალბანელების ეს დახასიათება იმიტომ დაგვჭირდა, რომ, სხვადასხვა

---

[1] პლუტარქე, სოლონი, გვ. 2
[2] იქვე, გვ. 3

დროს მისი ნამდვილი ანარეკლი გვაქვს ქართულ ხასიათში. მით უმეტეს, რომ „ალბანელები სულ გაითქვიფნენ კახელებში“...[1]

ცდება არქანჯელო ლამბერტი, როცა წერს: „წინათ კოლხეთში ფული სრულიად არ იყო ხმარებაში“.[2] ლამბერტისათვის (XVII ს.) ძველი კოლხეთის ისტორია უფრო შორს იყო, ვიდრე დღეს, მეცნიერების განვითარების წყალობით. მაშინ არ იყო აღმოჩენილი „კოლხური თეთრი“ (მონეტა).

ვაჭრობის განვითარება ხელოსნობის განვითარებასაც უკავშირდებოდა. სტრაბონის მიხედვით, კოლხეთიდან ბერძნებს არა მხოლოდ ნედლეული გაჰქონდათ, არამედ საკმაოდ განვითარებული ხელოსნური ნაწარმიც.[3]

ფეოდალური თავმოყვარეობის გაჩენიდან იწყება თავმოყვარეობასა და პატივმოყვარეობას შორის საზღვრების მოშლა. ჩვენში, თუმცა განვითარებული ფეოდალიზმი მფარველობას უწევს ვაჭრობას, მაგრამ ვაჭრობისადმი ამრეზილი მიმართება მიანც ჩანს ლიტერატურის ისტორიიდან, თვით „ვეფხისტყაოსანშიც“. „ვეფხისტყაოსანი“ ვაჭრობისადმი, როგორც სოციალური მოვლენისადმი, დადებითი აზრისაა და იძლევა იმდროინდელი ფეოდალური საქართველოს სავაჭრო განვითარების შესანიშნავ სურათს, მაგრამ თვით ვაჭრები, რაინდების ფონზე ისევე სასაცილოდ გამოიყურებიან, როგორც ავთანდილი ვაჭრის სამოსელში. ცხადია, “ვეფხისტყაოსნის“ მკითხველის სახეზე ირონიული ღიმილი ჩნდება, როცა ავთანდილი გულანშაროს, ვაჭართა სამეფოს მიადგება.

ვაჭრობას როგორც საზოგადოებრივ საქმიანობას, სოციალურ ფაქტს რუსთაველი განიხილავს როგორც მოაზროვნე, საზოგადოების განვითარების მცოდნე კაცი და მის მნიშვნელობას არათუ უგულებელყოფს, არამედ პირიქით, დადებითი აზრისაა მასზე. როგორც პოეტი კი, იგი სილამაზის, სიმაღლის, სიფაქიზის მხატვარია. ეს არავითარ წინააღმდეგობას არ ქმნის რუსთაველის თვალთახედვაში. რუსთაველის სამყაროზე დაყრდნობით, ვაჭრობის განვითარების სურათი შესანიშნავადაა წარმოდგენილი:

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 391
[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 156
[3] სტრაბონი, XI, 2,17

„ზღვათა მეფის ქალაქისაკენ ქარავნები მიდიან: ეგვიპტით გამოსულთ მობალდადენი მისდევენ. ძვირფასი საქონელი მიაქვთ: ლალი, მარგალიტი, აურაცხელი „საჭურჭლე“.. გზაში მეკობრეები ბუდობენ, ქარავნებს ლეწავენ. ეს მეკობრეები ძლიერი მეომრები არიან (აი, ისეთი, როგორიც იყო როშაქ). ვაჭრები კი ჯაბანნი და ომის უმეცარნი არიან. ისინი ალიარებენ კიდეეაც თავიანთ „ცვილობას“ (არ მაგრობას)... ასეთ პირობებში მათ მცველი, ბადრაგა, მფარველი სჭირიათ... ამისათვის მოწოდებული არიან ფეოდალები, რომელნიც ებრძვიან მეკობრეობას, მფარველობენ ვაჭრებს... გიორგი III კანონი მეკობრეთა წინააღმდეგ ფრიად დამახასიათებელია და ნიშანდობლივია მოწესრიგებული სახელმწიფოსათვის. ფეოდალებს კარგად ესმით ვაჭრებისა და ვაჭრობის მნიშვნელობა. ფეოდალების სამოსელი, იარაღი, სამკაული ხომ სულ ვაჭრების შემოტანილია. ამ მხრივ ფეოდალური საზოგადოება დიდადაა დამოკიდებული ვაჭრისაგან. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ფეოდალი დათვივით იჯდა თავის ბუნაგში, ადგილობრივ დამზადებულ სამოსელში, გაბანჯგვლილ ცხენზე, უხეშ მოგვებში, მძიმე იარაღში. ეხლა ის მოყმე ჭაბუკია. იარაღი მას ხვარასნული აქვს, სამოსელი ბალდადური, ძვირფასი ქვები შუააზიური, მოსასხამი სირიული, ბეწვი რუსული და სხვადასხვა... ვაჭრები იცნობენ ცის დასალიერ ქვეყნებს, ისინი ბრძენები არიან. ვაჭრები არიან ელჩები. ფეოდალები კარგად გრძნობენ ვაჭართა ფასს, პატივს სცემენ მათ და განსაკუთრებულ მფარველობაში ჰყავთ...“[1]

ვაჭრის, ვაჭართა კლასის საკითხი აქტუალური გახადა XIX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ. გ. ერისთავმა, ლ. არდაზიანმა, დ. ჭონქაძემ და სხვებმა გვიჩვენეს ერთიერთმანეთზე ზნედაცემული სახეები ვაჭრებისა. მეტნაკლებად მათი საერთო ნიშნებია: უსირცხვილობა, უგულობა, უგემოვნობა, საშინლად დამახინჯებული ქართულით მეტყველება. მათთვის არ არსებობს არავითარი ადამიანური სათნოება. მხოლოდ ფულია მათი ღმერთი. ამ მხრივ გ. წერეთელმა დაარღვია ტრადიცია. ბახვა ფულავას მოაშორა ასეთი ჩარჩული მანჭვა-გრეხა და გვიჩვენა ნორმალური კაცის ნორმალური ქცევები. მაგრამ მწერალი მას არ გვიხატავს, როგორც საყვარელ გმირს.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 322

მას ბევრი რამ აკლია იმისთვის, რომ ქართველი მკითხველის საყვარელი გმირი გახდეს. მკითხველისგან მან თანაგრძნობა მოიპოვა. ბახვა ფულავას ამგვარად დახატვით გ. წერეთელმა გვიჩვენა კაპიტალიზმის სურათიც, რომელიც ფეოდალიზმთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია.

XIX საუკუნის მწერლები ვაჭრებს რომ ასე სამარცხვინო ადამიანებად გვიხატავდნენ, ამას თავისი გარკვეული მიზეზები ჰქონდა, თუმცა მასში ნაკლებად იყო განჭვრეტილი საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივა.

ძველი ქართული ტრადიციების შნოსა და ლაზათს გვიჩვენებს ხალხური ერთობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ნადი (სოფლად), ამქარი (ქალაქად).

მეზობლები, მოკეთეები ეხმარებოდნენ გაერთიანებული ძალით მოძმეს სახლის აშენებაში, მოსავლის მოყვანაში... ეხმარებოდნენ ქვრივ-ობოლს. „ძალა ეთრობაშია“ — ეს იყო ადამიანის ადამიანზე ზრუნვის მშვენიერი ქართული ფორმულა. ეკონომიურად სასარგებლო, მორალურად — ფსიქოლოგიურად იმედის მომცემი ძალა იყო ნადი. „კაცი კაცითაო“, ამბობდნენ ქართველები და ღმერთზე მეტად ერთმანეთის იმედი ჰქონდათ.

ნადური შრომა ადამიანთა ურთიერთშეხვედრის სიხარულს იწვევდა, აჩენდა საუბრის საერთო თემას, გზა ეძლეოდა ფანტაზიას, იუმორს. ბევრი რამ რჩებოდა წლების განმავლობაში ტკბილად მოსაგონარი. ნადი სიკეთის სილამაზეა, უანგარობის, ბუნებრივი კულტურის მაღალი ეთიკური გამოვლენაა.

შემთხვევითი არც ისაა, ქართული ფოლკლორი ნადურმა მოტივებმა რომ გაამდიდრა. საქართველოს თითქმის ყოველი კუთხის მუსიკალურ ფოლკლორში უხვად გამოირჩევა ნადური სიმღერები. არქანჯელო ლამბერტი აღტაცებას ვერ ფარავს მეგრული ნადის გამო. „რა მშვენიერი სანახავია, როცა მზის ჩასვლისას თოხნას გაათავებენ და მიდიან პატრონის სახლში, თითქოს ერთი დროშის ჯარისკაცებიაო, გადაუდვიათ მხრებზე თოხები და ექვს თუ რვა წყებად, ნელ-ნელა მიდიან, თან მიიმღერიან და დიდის ამბით შედიან პატრონის ეზოში. აქ ისინი ირგვლივ დახსდებიან და შუალამემდის სხედან და დროს ატარებენ ჭამაში და სიმღერაში“.[1]

---

[1]არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 52

ნადის რომანტიკა ძნელი შესამჩნევი და აღსაწერი როდია. უფრო თვალს მოფარებულია ქალაქური ერთობის, ამქრული ურთიერთობის რომანტიკა. შეიძლება ამქრულ ურთიერთობაში რომანტიკის წაკითხვა ხელოვნური, ნაძალადევი გვეჩვენოს, მაგრამ ამ პროზას აქვს მთელი რიგი კეთილი, მაღალეთიკური თვისებები.

ჩარჩ-ვაჭრების, მევახშეების ჩრდილი რაღაცნაირად, ხშირად უსამართლოდ ეფინებოდა ხელოსნურ-ამქრულ ტრადიციებს. მისი მეზობლობა ვაჭრობის წარმოდგენასთან რაღაცნაირად აცლიდა სიმპათიებს ამქრულ ზნე-ჩვეულებებსაც. საქმეში ჩახედულნი კი კარგად იცნობდნენ ხალხური ერთობის ამ ფორმისათვის დამახასიათებელ მრავალ მშვენიერ წესს.

ამქრის წევრის გზა ასეთი იყო: შეგირდი — ქარგალი — ოსტატი. „შეგირდს ოსტატის სახლში შესვლის შემდეგ უყურებდნენ, როგორც ოჯახის წევრს".[1]

ყურადღებას იპყრობს ამქრის წევრთა პროფესიული ნამუსი. „ხელობის შეცვლა ან ხელოსნობის რამდენიმე დარგში საქმიანობა აკრძალული იყო".[2]

ამქრის წევრი ფიცსა დებს. ამ ფიცს წერილობითი სახე არ გააჩნია. სიტყვა ბეჭედია.

ამქარი ზრუნავს მისი წევრის ოჯახის წევრებზე. პატრონობს, ეხმარება ქვრივ-ობოლს. „არც ოსტატების ქალიშვილების ინტერესებს ივიწყებდა ამქარი. უღარიბეს ქალიშვილებს გათხოვებისას კორპორაცია ატანდა მზითევს".[3]

„საერთდ ურთიერთდახმარებისა და ქველმოქმედების იდეა ამქარში ძალიან ფეხმოკიდებული იყო. მისი ქველმოქმედება ვრცელდებოდა ზოგჯერ ქალაქის უღარიბეს კლასებზეც. ურთიერთდახმარების იდეა წარმოადგენდა ამქრის ერთ-ერთ შემაკავშირებელ ელემენტს".[4]

ამქრის ურთიერთობა ეფუძნებოდა სამეურნეო და რელიგიურ პრინციპებს. რელიგიურ კულტს აქ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. „ძველთაგან,

---

[1] ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 138
[2] იქვე, გვ. 139
[3] იქვე, გვ. 139
[4] იქვე, გვ. 140

ტრადიციის მიხედვით, ყოველ ამქრობას მფარველად ჰყავდა რომელიმე წმინდანი, რომელიც სათანადო კორპორაციის პატრონად ითვლებოდა. ამ პატრონის პატივისცემად ამქრები ყოველწლიურად აწყობდნენ დღესასწაულებს. იგი დაკავშირებული იყო ღვთისმსახურებასა და წირვა-ლოცვასთან, გარდაცვლილი ამხანაგებისა და გამოჩენილი ოსტატების მოსახსენებლად. ამ დღესაწსაულებზე დასწრება ყოველი წევრისათვის ახლაც სავალდებულოა, დღესასწაულზე ღვთისმსხაურებასთან ერთად, მსხვერპლსაც სწირავენ. მთელი ამ ცერემონიის შემდეგ იმართება საერთო სადილ-წვეულება".[1]

ტრადიციულად ოსტატი პატივს უნდა სცემდეს თავის ოსტატობას, პროფესიას.

საჩუქარი და ქრთამი[2]

საჩუქარი არის ერთგულებისა და სიყვარულის გამოხატვის მატერიალური სიმბოლო. ახლობელი სიმბოლურად გვიმტკიცებს, რომ მას ჩვენთვის გულითადი რამ ემეტება. საჩუქარი პოეტური მორთვაა ჩვენი ურთიერთობისა. როგრც მახლობელი ადამიანის ნახვა არ გვწყინდება, ასევეა აგრეთვე „ჩუქებისა არ მოწყენა" (რუსთაველი).

სხვადასხვანაირია საჩუქრის ფორმები. ძველ ქართულში საჩუქარს ზემოდან ქვემოთ (სოციალური მნიშვნელობით) „წყალობა" ერქვა. ღვთის წყალობაც აგრეთვე საბოძვრად იყო მიჩნეული. საჩუქარს ქვემოდან ზემოთ შეწირვა ერქვა. შეწირვა არა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის გამოგონებაა. ძველი ბერძენი გამოჯანმრთელების შემთხვევაში შესაწირავს უძღვნიდა ასკლეპიოსს — ჯანმრთელობის ღმერთს. არა მხოლოდ ბერძნული ან ქრისტიანული რელიგია, თითქმის ყველა რელიგიაში გვხვდება შეწირვა. უძველესი საშინელი საფეხური ბუნებრივი რელიგიისა ადამიანებსაც, შვილებსაც კი მოითხოვდა შესაწირად.

სხვადასხვა რელიგიური, ფსიქოლოგიური მოტივით შეწირვის უამრავი ფორმა არსებობდა. მიცვალებულისათვის მტრის შეწირვა, საფლავზე მტრის

---

[1] ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 141

[2] იხილეთ ს.ს. ორბელიანის განმარტება - "ქრთამი (5,23 ესია) საცოდავი ძღვენი"

დაკვლა (ზვიადაურს ჰკლავენ ქისტების საფლავზე), ესეც „საჩუქრის“ ფორმაა. საჩუქრის (შეწირვის) ფორმაა რელიგიური შეწირვა, აგრეთვე, მიცვალებულის საკურთხი. ეს არ არის წმინდა ქრისტიანული წარმოშობის ადათი.

დიდძალ საჩუქარ-შესაწირავს იღებდა ეკლესია. ასაჩუქრებდნენ თვით მეფეებსაც, თავისი თანამემამულენი (სპარსეთის მეფეები პირიქით იქცეოდნენ. ისინი თვითვე ამწყალობებდნენ თავიანთ თანამემამულეებს. თუმცა ამგვარი ფაქტი არც საქართველოს წარსულისათვის იყო უცხო).

„კეთილი გულით მიძღვნილი, მცირედიც შეიწირების“ — ეს არსებითად ქრისტიანული შინაარსის ფორმულაა (გავიხსენოთ „ქვრივის შესაწირი“). თუ საჩუქარი გულიდან მოდის, ის განიცდება როგორც რელიკვია, ის სამახსოვროა, სიმბოლოა ჩვენი გულითადობისა. მაგრამ თუ საჩუქარში გულის ადგილი განსჯა-ანგარიშმა დაიკავა, საჩუქრიდან იწყება გზა ქრთამისაკენ.

ქრთამი ძველ ქართულში დღევანდელი მნიშვნელობით არ იხმარება. იაკობი ქრთამის გაღებით ახერხებდა ენახა საპყრობილეში მყოფი შუშანიკი. ქართული სამართლის მიხედვით, — 26 მწიგნობართა შორის ყველაზე დაწინაურებულ „საწოლის მწიგნობარს“ სხვებისაგან განსხვავებით „კანონიერად“ ერგებოდა „ქრთამი“. როდესაც კაცი მიიღებდა სიგელს, დამწერისა და ჭყონდიდელისთვის (მწიგნობართუხუცესისთვის) „ქრთამი“ უნდა მიეცა. „ქრთამი უნდა გამოელო იმას, „სიგელი ვისცა უბობიან“ და თავი და თავი წილი აქეთგან „ჭყონდიდელისა და საწოლის მწიგნობრის ქრთამი“[1] იყო. მაგრამ მას აქ ქრთამის მნიშვნელობა კი არა, უფრო ძღვენის სახე აქვს. გარკვეულ დროს ქრთამი ცხადად გამოჩნდა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მანკი. „გარდარეული ვერცხლის-მოყუარება“ და „აღება ქრთამისა“. ქრთამის აღება ხდებოდა „ფარულად განაც ცხადად“. მაგრამ ყველაზე დიდ ცოდვად და დანაშაულად ითვლებოდა ქრთამის გზით ჭეშმარიტების გაყალბება, ე.ი. როცა ქრთამი ნიჭის, გონების მტერი ხდება. ასეთი ხაზგასმა ქრთამისა მის განსაკუთრებით მავნებლობაზე ლაპარაკობს. სასულიერო დაწესებულებების მესვეურთ ბევრი რამ ეპატიებოდა, მაგრამ

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1919, გვ. 139

მართლაც მძიმე დანაშაული იყო უნიჭობასა და ნიჭიერებას შორის მზღვარის წაშლა ფულის ზემოქმედებით. „რასაკვირველია, ჩვეულებრივ მექრთამეობაზე უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა „ქრთამისა და აღებითა გარდაქცევა ჭეშმარიტებისა“.[1]

როგორც ვხედავთ, სიწმინდის ტაძრებშიც შეჭრილა ქრთამი, პროტექციონიზმი. ჩვენი ერის პროგრესული მესვეურები ებრძოდნენ ამ უწმინდურებას. დავით აღმაშენებელი „...მხედრობასა შინა აღზრდილი“ კაცი სულიერ მამებს მოუწოდებდა სიწმინდისა და პატიოსნებისაკენ.

ქრთამს ყველა ქვეყანაში აქვს ისტორია. მაგრამ მიუხედავად გარკვეული შემთხვევებისა, ჩვენში ძველ დროს იგი მაინც არ იყო ფართოდ გავრცელებული. ის ვრცელ გასაქანს იღებს გვიან, ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული აპარატის პირობებში, თუმცა მექრთამეობა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ტრადიციად არ ქცეულა. სამწუხაროდ, მან საკმოად საშიში სახე მიიღო უკანასკნელ პერიოდში.

ენის ტრადიციები

„ენის ტრადიციებიო!“

ამის გაგონებაც ეხამუშებათ ისეთ პირებს, რომელნიც ენის კულტურას უსაგნიერ ფუფუნებად სთვლიან, ვისაც ენააღრეული მეტყველებაც ბუნებრივ სტიქიონად მიაჩნია“ (კონსტანტინე გამსახურდია).

ენა არის გონებისა და აზრის ძირითადი სასიცოცხლო წყარო. „რა ენა წარხდეს, ერი დაეცეს“.

ენას დიდი მოვლა უნდა. ენის მოვლა ეს მხოლოდ გრამატიკულ წესკანონებზე ზრუნვა როდია. ენას აზრი აღრმავებს, გრძნობების სინატიფე ანათლებს... ენაზე ზრუნვა ერზე ზრუნვაა.

საუკუნეებს რომ გავხედოთ, ქართული ენა საქართველოს მიწაწყალივით რბევის ველად წარმოგვიდგება. ვერც მტრობამ, ვერც ბიზანტიურმა ალერსმა ვერ შეაცვლევინა ჩვენს ენას თავისი ხასიათი. ენისადმი პატრი-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II, 1929, გვ. 330

ოტული დამოკიდებულება თუ მეტი არა, არაფრით ნაკლები არაა საკუთარი მიწა-წყლისა და ისტორიის სიყვარულისა.

ქართული ენა იყო ის ბურჯი, რომელმაც ქართველი ხალხი ისტორიის ქარ-ცეცხლში გამოატარა.

ქართული ენის ისტორია ქართველი ხალხის, მისი ლიტერატურის ისტორიაცაა. მას ატყვია ყველა ის ნაიარევი, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა. ქართული ენა იყო ის გადაუწყვეტელი ძარღვი, რითაც ქართველ ხალხს ეგოდენ დიდი გამძლეობა აღმოაჩნდა. ვინ იცის რამდენი ხალხი აღგვილა პირისაგან მიწისა და უკვალოდ გამქრალა ისტორიის მორევში. ალბათ, სიტყვაც დაუსუსტდათ იმ ხალხებს!

მშობლიური ენა ისევე ტკბილია ყურთათვის, როგორც ხილვა მშობლიურ მხარეში მზის ამობრწყინებისა, ჩვილის ტკბილად გამოღვიძებისა. ჩვენი ფიქრი, სიზმარი ქართულია და იმ სიტყვებშია ჩაწნული, რაც ჩვენმა წინაპრებმა მოგვიტანეს, ვით ხელიხელსაგოგმანები მარგალიტი. ბედნიერია ადამიანი, რომლის გონება მშობლიურ ენაზე ახელს თვალს...

როცა უცხო მხარეში კაცს მოესმის მშობლიური სიტყვა, თუნდაც სიტყვის შინაარსის გაურკვევლად, ბგერათა ფონეტიკა ყურსა და გულს ესალბუნება. ბგერებიც კი ეროვნულ ხასიათს ატარებს. „ეს დამოკიდებულია არა აზროვნებისა და გრძნობების გამოხატვაზე, არამედ თვით ინდივიდუალურისა და აუსხნელისაგან — ბგერისაგან: გვესმის რა მშობლიური ბგერები, მასში თითქოს ვცნობთ ჩვენს საკუთარ ნაწილს".[1]

ქართული ენა სიკეთის, სიყვარულის, მოფერების ენაა. მასში მრავალი საალერსო მიმართვებია: „შენი ჭირიმე", „შენ შემოგევლე", „შენ გენაცვალე", „ჩემო სიცოცხლევ"... ეს სიტყვები ისეთ ინტიმს ატარებენ, ძნელია ადამიანმა გულის კარები მოგვიხუროს.

ქართულ ენას ღონიერ, ძარღვიან ენას უწოდებენ. იგი თამამად უძლებს უღრმეს ფილოსოფიურ აზრებს. ფილოსოფიური აზროვნება ენის თეორიული მოწიფულობის აუცილებელი პირობაა. ფილოსოფიური აზრის სირთულე ენას თავის კანონებსაც სთავაზობს. ქართული ენა შესანიშნავად

---

[1] Вилгельм Гумбольдт, Различие организмов человеческого рода, С... Петербург, 1859, стр. 56.

იტანს ნოვატორობას. ახალ ფილოსოფიურ ცნებებს ქმნიდა პეტრიწი, რამაც ახალი ფილოსოფიური ენობრივი სიახლეც წარმოშვა.

პეტრიწი ფილოსოფიური აზრის განვითარების შესახებ როცა მსჯელობს, მას არ წყვეტს ენის განვითარების პრობლემისაგან. მისთვის ენა და აზროვნება, შეიძლება ითქვას, ურთიერთისგან მოუწყვეტელია. ენა რომ განვითარდეს, იგი არ უნდა ყაბულდებოდეს უკვე არსებული ფორმებით. აზრების სიცოცხლე მოითხოვს განვითარებად, ახლებურ ნიუანსებს. შესატყვისების ახალ-ახალი ფორმები სჭირდება ახალ ფილოსოფიურ აზრებს. პეტრიწის ენა შემოქმედებით-ფილოსოფიური ენაა. ეს არაა ტრადიციულობას მიჯაჭვული ენა. დიდი ქართველი მოაზროვნისათვის ენა აზროვნების სურათია.

„...მიუხედავად იდეალური სისწორისა, მისი მეტყველება არაჩვეულებრივად ხელოვნურია... ენას ის უყურებდა როგორც ზედროულსა და ზევრცეულს მოვლენას. ის ცდილობდა ქართული ენა გადაექცია მის მიერვე ნაქადაგევი ფილოსოფიის ღირსეულ იარაღად. ამას ის ახერხებდა ქართული ენის უდაოდ ღრმა წვდომის წყალობით.

გაკივრებას იწვევს ის ამოუწურავი რესურსები, ის პირდაპირ ეკადოსნური ძალები, რომელთაც ის ფლობდა, რათა ჭარბად ეპოვნა ქართულ მეტყველებაში საჭირო მასალები ყველა ნიუანსის, აზრთა დინების გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის მიხედვით...“[1] პეტრიწის ენის საგანგებო შესწავლამ გამოარკვია, რომ „...ფილოსოფიურ ცნებათათვის ადეკვატური გამოთქმების შექმნის დროს ნაჩვენებია ორი ძირითადი ხერხი: ხერხი საჭიროების გამო სიტყვების მიმოხრის ჩვეულებრივი წესიდან გამოსვლისა და ხერხი ქართული ენის რომელიმე წესის გადაჭარბებით ხმარებისა...“[2]

ქართული სიტყვა ძალზე ღრმა აზრებს ლაზათიანად ეგებება, ფილოსოფიურ სირთულეს აქ დათმობაზე წასვლა არ უხდება. ამას აღიარებდნენ ენათა ძალის მცოდნენი: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება წარმოითქვას რაგინ რა ენით. აზრი არ მოიპოვება

---

[1] Н.Я. Марр, Иоан Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII вв., С.- Петербург, 1909, стр. 34.

[2] ნ. კეჭაყმაძე. იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის, თსუ შრომები, 1953, გვ. 255

არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართველთა საკუთრებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოისხას... ასე მდიდარია ქართველი, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა" (ნ. მარი).

ძალიან გაურთულდათ საქმე ენის ფილოსოფოსებს. ცხადია, ენაც ვითარდება, მაგრამ რანაირად? განვითარებასაც ნაირ-ნაირი შინაარსი აქვს. ენა ვითარდება თუ არა ცივილიზაციის განვითარების შესაბამისად?

ე.ი. რამდენად უფრო განვითარებულია ერი, იმდენადვეა მისი ენაც განვითარებული? — ეს კითხვა დღესაც სადაოდ რჩება ენის ფილოსოფოსთათვის. მაღალგანვითარებულ ენას ზოგჯერ ხალხთა ბუნებრივი ნიჭიერებისგამოვლენის ფორმად თვლიან, ე.ი. ეს არისო თანდაყოლილი და არა შემუშავებული უნარი. ეს იდეალიზმია!

მარქსის აზრით, გასულ საუკუნეში ინგლისელი კოლონიზატორების შესვლა ინდოეთში, ინდოეთისთვის პროგრესული მოვლენა იყო. დაბალი აზიური წყობა ევროპეიზმს ეზიარა. ისმის კითხვა: რამდენადაც უფრო მაღალგანვითარებული იყო ინგლისი ინდოეთთან შედარებით, იმდენად უფრო განვითარებული იყო ინგლისური ენა სანსკრიტულთან შედარებით? ამ შემთხვევაში სხვა საკითხია, რა კულტურა იყო ინგლისურ ენაზე ამეტყველებული და რა კულტურა ინდურად. სანსკრიტულ ენას უაღრესად მაღალგანვითარებულ ენას უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში ძნელი სათქმელი ყოფილა ინგლისურის მასზე უფრო მაღლა დაყენება. ხალხთა მთლიანი განვითარების, ცივილიზაციის რეზულტატია ეს განვითარება, თუ მას თვითგანვითარება, ან რაღაც ცით მომადლებული ნიჭი ვუწოდოთ?! ჰუმბოლდტი წერს: „...თვით ინდოეთიც დავალებულია თავისი ენის უპირატესობით არა ცივილიზაციისაგან, თუმცა ის იყო კიდევ უფრო ძველი და წარმოიქმნა უცხო ზემოქმედების გარეშე. ენის წარმოქმნის პრინციპი, როგორც თვით ინდოეთის ცივილიზაცია, ერთნაირად არის დამოკიდებული ხალხის გენიალობაზე. ამიტომ ენა და ცივილიზაცია ყოველთვის არ დგანან ერთნაირ დონეზე".[1] გენიალობის ასეთი თანდაყოლილობა მისტიურ ფესვებში მიდის.

---

[1] ჰუმბოლდტი, დასახ. წიგნი, გვ. 18

ენის სიმდიდრე მოქალაქეში ამ ენაზე მეტყველების დროს სიამაყის გრძნობას იწვევს. ღრმა და ჭკვიანური აზრები, ნატიფი მხატვრული სახეები გვაყვარებს ენას. ენა, მართლაც, სარკეა ერის სულიერი სილრმისა, მისი თეორიული მოწიფულობისა და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა. დიდი ილია პესიმისტურ სურათს გვიხატავს, თუმცა თავის გულში მთლად ისე გულგატეხილი არ უნდა იყოს, როცა ჩვენი ჩვენდა დასალუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულ ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორღა მოვსთხოვთ ჩვენს ენასა?"[1]

ენა, ცხადია, ერთია მისი განმავითარებელი მწერლისა და მკითხველთა აუდიტორიისათვისაც, მაგრამ სიტყვის ოსტატთა სპეციფიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა ენასთან დამოკიდებულებაში შეუწყნარებელი იქნებოდა. ახალი სტილით მშობლიური ენის სამყაროში შემოსვლა ადვილი როდია. მას არც ისე ზეიმით ხვდება საყოველთაო, ცნობილი ტრადიციული წესები მეტყველებისა. აბა წარმოვიდგინოთ ფშაურის იერით შემოსილი სიტყვის მადლი დიდი ვაჟას შემოქმედებისა. თავის დროზე ეს ქართული მთლად უბოდიშოდ არ შემოსულა ჩვენი მეტყველების ფონდში.

არავის მოსწონს სიტყვა ტრაფარეტი, მით უმეტეს, როცა საკითხი მეტყველებას შეეხება. მაგრამ ზოგჯერ ტრაფარეტს უპირისპირდება სიტყვათა კორიანტელი, გარეგნული ყურადღების მისაპყრობად. როგორც გოეთე ამბობს: „იქ, სადაც აზრი არ სჩანს ნათლად, სიტყვა უმალვე ჩნდება მის ნაცვლად" („ფაუსტი"). აქ ტრადიცია უნდა დაუსვდეს ასეთ ორიგინალომანიას. მაგრამ მაინც როგორი კრიტერიუმი შეიძლება არსებობდეს, რანაირად შეიძლება დაირღვეს ტრაფარეტები, რომ ენა ცოცხალი იყოს, არ იყოს მშრალი და უგულო, „დაშტამპული", არ იყოს უპიროვნო, ინდივიდუალობაწართმეული. ტრაფარეტები უნდა დაირღვეს ისე, როგორც მას არღვევდნენ პეტრიწი, რუსთაველი, სულხან-საბა, გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა... როგორ არღვევდნენ ისინი ტრადიციულ სინტაქსს, გამოთქმების ცნობილ ფორმებს? აქ სულ ელემენტარული პასუხიც არსებობს. თუ თვით აზრმა, სათქმელმა შიგნიდან მოითხოვა შესიტყვების ორიგინალური ფორმა,

---

[1] ი. ჭავჭავაძე. წერილები, 1975, გვ. 215

მას გამართლება აქვს. სიტყვის „დამახინჯება“, თუ აზრს უფრო ჯანსაღს, უფრო ნათელს ხდის, არ არის დამახინჯება. თუ წრფელი სითამამით, გონების შინაგანი ლოგიკით არის გამოწვეული წინადადებების არა ყველას ნებაზე გაწყობა, არამედ ისე, როგორც აზროვნება, იდეა კარნახობს, რათა გულში ჩამწვდომად ითქვას სათქმელი. აბა დავაკვირდეთ: როდის იჩენს თავს კვაზიაკადემიური სტილი... ვფურცლავთ წიგნს და არაფერი გვრჩება. იმიტომ, რომ სათქმელი არ არის, სტრიქონებია ნაკეთები. ძალზე დასაფიქრებელია, გასაანალიზებელია მწერლის ენობრივი უფლებების მიღწევის გზა, ვიდრე ის თავის სტილს კბილებით დაიცავდა. გამარჯვების შემდეგ კი ყველაფერი ბუნებრივად ჩანს. გვაქვს თუ არა ეროვნულ სასიათში კონსერვატიულობა? ვენდობით თუ არა მომავალ მწერალს, გზაში რომ არის და არა პარნასზე? მწერლის სიტყვიერი უფლებების შერკინება ტრადიციებთან ძალზე ხშირად ისეთივე სურათს გვიდგენს, როგორც თემისა და პიროვნების კონფლიქტი. როცა პიროვნება ეცდება საზოგადოებრივ თვალსაზრისთა წინ წაწევას, ხშირად საზოგადოება მას აუმხედრდება ხოლმე. „დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყავები“ (გიორგი მეფის სიტყვები კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარკვენიდან“).

ორიგინალური ნიშნავს თავისთავადს, ახალ, შეუჩეველ აზრს, საქმეს, რაც პიროვნების შინაგანი მრწამსის გამოხატულებაა. იგი გულისხმობს ტრადიციული აზრის ან ქცევის ნორმებისგან ერთგვარ განდგომასაც. ტრადიციული ცნობიერებისათვის ასეთი აზრები გამღიზიანებელია.

როდესაც თქვენ საუბარს იწყებთ, წარმოდგენაში მე რალაცნაირად წინ გისწრებთ და ვამთავრებ თქვენს სათქმელს. ყოველ შემთხვევაში გუმანით ვხელმძღვანელობ, საით უნდა წარემართოს დაწყებული აზრი. მაგრამ თუ თქვენ ისეთი მოულოდნელი, ორიგინალური მიმართულებით გაუხვიეთ, საითაც მე ფანტაზიით არასოდეს გამიხედავს, ეს მაღიზიანებს, თითქოს შეურაცხყოფას აყენებთ ჩემში მსაჯულის, შემფასებლის ღირსებას. თქვენ თვითდაჯერებით მსჯელობთ, ანგარიშს უწევთ აზრის შინაგან ლოგიკას და არა მე.

ისტორია უამრავ პარადოქსს იცნობს, როცა ორიგინალურ, გენიალურ აზრს გესლიანი ღიმილით ხვდებოდნენ. „რას იზამ! სხვის აზრებზე როდი ვწერ, არამედ ჩემი აზრების შესახებ. მე კი საგნებს ვუცქერი არა ისე,

როგორც სხვები. დიდი ხანია, რაც ამას მსაყვედურობენ" (რუსო). ასეთივე წუხილი ჩანს პუშკინის სიტყვებშიც:

ბედნიერია, სხვების თვალთაგან
ვინაც დამალა მალალი ზრახვა.

წინ ისე როგორ წახვალ, თუ ზურგი არ უჩვენე იმ მიჯნას, საიდანაც იწყება წინსვლა. ორიგინალური აზრი, სიტყვა, ცხადია, უპირისპირდება არაორიგინალურს. ესაა პროგრესის ცნობილი დიალექტიკური ლოგიკა. ორიგინალურ აზრთან შეხვედრისას ცოფსა ჰყრის ზოგჯერ ბუნებით გულკეთილი კაციც, რომელსაც თავი ტრაფარეტით აქვს სავსე. ასეთი პროკრუსტე-რედაქტორები უსიცოცხლოს ხდიან, აქრობენ აზრის გზნებასა და ლაზათს, ცდილობენ, ყველა ერთმანეთს ჰგავდეს. ამიტომ ორიგინალური აზრის ავტორს დიდი სიმამაცე ჰმართებს. უნდა გაუძლოს თუნდაც ასეთ გუნდურ ყიჟინას: „ამდენი ხალხი გეუბნება, კიდევ არ გჯერა?!" ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ ჭეშმარიტად ორიგინალური აზრის სიმტკიცეს და არა უპრინციპო სიჯიუტეს. ორიგინალური აზრის მოწინააღმდეგეთა შორის შეიძლება იყოს ისეთიც, რომელმაც, ორიგინალური აზრის ავტორს ხელი რომ მოტყდეს, ლამის თავისი შესთავაზოს, მაგრამ მასთან თანშეზრდილი მეგობრის ორიგინალობის ან გაგება არ ძალუძს, ან ატანა. ბრძენთაგან თქმულა: ორიგინალურს არ ველოდებითო.

აზრის ორიგინალობის ერთ-ერთ ნიშანს ფრაზა წარმოადგენს. იგი ზოგჯერ მთელ თხზულებას აიწონის. ფრაზა ნიჭის საქმეა და კინალამ იგივეა მხატვრულს, ფილოსოფიურ, პუბლიცისტურ მეტყველებაში, რაც ფორმულები მათემატიკაში. ალმასივით ფრაზა ღონე და სილამაზეა გონებისა. ფრაზა დიდი ამოსუნთქვაა, შვებაა. იგი აზრის შეკუმშული ენერგიაა, აზრისა და სიტყვის კავშირის წვდომის ნიჭია, ზოგჯერ რომ სიტყვას გაღუნავს აზრის გასამართავად, ზოგჯერ რომ გაცვეთილ სიტყვას ფერს შესძენს და სინტაქსის კანონებს ღიმილით დაუკრავს თავს. ფრაზა ორიგინალური აზრის ძლიერი ნაკვთია და ვიდრე აზრი სიტყვებს მოირგებდეს, დაიმორჩილებდეს, სიტყვები ძლიერ ურჩობენ. ესაა სწორედ „ენა ენაში" (პოლ ვალერი).

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი ენის ტრადიციებთან დაკავშირებით. ტელევიზორში დიქტორმა თუ იმპროვიზირებულად მიკროფონი გადასცა ჩვენს სწავლულსაც კი, ხშირად ეს კაცი შეგეცოდებათ. იმდენი ბორძიკი, სი-

ტყვების წამება, წინადადებების წყვეტა... მაშინ, როცა სხვა ენებზე ხშირად შესანიშნავად ვისმენთ, თითქოს ენა თავისით მუშაობს. წინადადებები ისეა ერთმანეთთან გადაბმული, რომ არც ხელების მტვრევა სჭირდება მოსაუბრეს და არც სახის ნაკვთების დაძაბვა. მიზეზი მრავალგვარია. ერთი მიზეზი უნდა იყოს შიში — ვაი თუ, ისე არა ვთქვი, როგორც იტყოდნენ სხვები. და იმავდროულად მას ახლებურად თქმაც სურს. ეს რთული ფსიქოლოგიური პროცესია. აბა დავაკვირდეთ სკოლის მოსწავლეების გაკვეთილს, ზეპირად თხრობის ფონეტიკას. თითქოს სიმღერით, გაბმული ხმით გვიყვებიან გაკვეთილს. თუ გაკვეთილის მაგივრად ბავშვს ოჯახურ ამბავს გამოვკითხავთ, გვიყვება უკვე საკუთარი, ბუნებრივი ხმით, ბუნებრივი თხრობით. ბუნებრივი საშინაო მეტყველების მნიშვნელობის გაზვიადებაც არ შეიძლება. მეტყველებას დიახაც აქვს საზოგადოებრივი, საგარეო მეტყველების სპეციფიკური მხარე. მაგრამ როცა ზოგი ჩვენი მსახიობი ნათხოვარი ხმით მეტყველებს, ესეც ისეთივე საჭირბოროტო საკითხია, როგორც მართლწესრიგის საკითხი.

მშობლიური ენის გარდა, სხვა ენის ცოდნა იმ სხვა ხალხისადმი სიყვარულს აღძრავს. ეს შენიშნული აქვს ენის ფილოსოფოს-ფსიქოლოგებს. ჩვენც გვახარებს, როცა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები ქართულისადმი ყურადღებას ამჟღავნებენ და ზოგჯერ ქართულადაც დაგველაპარაკებიან: სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები მშვენივრად ეჩვევიან ქართულ ენას... ასევე გვახარებს, როცა უცხოელი ქართულად ლაპარაკობს. „ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა ინგლისელი ქალი გამაცვნეს, — იგონებს აკაკი წერეთელი, — რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულად. მხოლოდ გურულად კი უქცევდა კილოს, მე, რასაკვირველია, ის ჩვენში დაბადებული და აქვე გაზრდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრად მისულა ერთ მის ნათესავთან და მას აქეთ, რაც მოსულა, ორი წელიწადის მეტი არ გასულა! გამიკვირდა და ვკითხე: ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ მეთქი? სიცილით მიპასუხა: „თუკი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში კაცმა ენა რომ ვერ შეისწავლოს, აბდალი უნდა იყოსო“.

ეს რომ თქვა, ალბათ იფიქრა ჩემზე, რომ გურულ სიტყვას „აბდალს“ ვერ გავიგებდი და გადაასწორა: „უვარგისიო“...[1]

---

[1] ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ., 1965, გვ. 61

ეს სასიამოვნო ლაპარაკი მათ ჩაამწარა ერთმა კუდაბზიკა მანდილოსანმა, რომელმაც შენიშნა, რომ ქართულად ლაპარაკი არისტოკრატთათვის შეუფერებელიაო. ინგლისელს, მარჯორი უორდროპს, გაუკვირდა და ჰკითხა: „როგორ, განა აკრძალული გაქვთ, ნებას არ გაძლევენ ილაპარაკოთ?

— ვის უნდა აეკრძალა?! მაგრამ უცხო ენები უფრო გვეხერხება და მართალი რომ ვთქვათ, მაინც და მაინც სასიამოვნო ვერ არის ქართული, ყურს ეჩოთირება...“[1]

ასეთი მდგომარეობა თითქმის ყოველ ერს ჰქონია სხვადასხვა დროს. თვით გერმანული არისტოკრატიისთვისაც ერთ დროს გერმანული უხეშად ჟღერდა და ფრანგულად მიმართავდნენ ერთმანეთს. ფრანგული ენა ასეთივე არისტოკრატიულ, საგარეო ენად ითვლებოდა რუსებისთვისაც.

ენების ცოდნა სამკაულია ადამიანისათვის. მაგრამ მშობლიური ენა არის საწყისი, გრძნობების ენა, რომელიც ადამიანის სწორი მსოფლშეგრძნებისა და ნიჭის განვითარების საწინდარია.

ქართული ენა რომ მიმზიდველი და საამაყო იყოს თუნდაც ისეთი, ზემოთ მოხსენებული კუდაბზიკა მანდილოსნისთვის, ქართულად უნდა ჰყვაოდეს არა მხოლოდ სიტყვის ქმნილებანი... ქართულ ენას კვლავაც დაამშვენებს მაღალი კულტურის ხუროთმოძღვრება, მუსიკა, მხატვრობაც. ერთი სიტყვით, ენა მთლიან ეროვნულ კულტურასთან ერთად ხდება ფართო მასისათვის ცხადზე უცხადესი. თავისთავად ქართული სიტყვის მარილს შესანიშნავად გრძნობენ ქართული სიტყვის ოსტატები, ყველა ვის გემოვნებას და მოქალაქეობრივ სულისკვეთებას წუნი არ დაედება.

უფლება არა გვაქვს არ ვერწმუნოთ კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ აზრს: „ქართული ალფაბეტი, — მითხრა ერთმა უცხოელმა, ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა, — ჩემთვის ჯერაც გამოუცნობი სფინქსია“.

„მარტო ესთეტიკური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გუთური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზს, კოხტა ასოებს. ქართველები ალბათ ვერც კი ამჩნევენ ამას, არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან

---

[1] ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, გვ. 61

მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი".[1] მშობლიური ენა თავისთავად სისხლხორცეულად პატრიოტული მოვლენაა. მაგრამ იგი, ისტორიულად, ხშირად გამხდარა პოლიტიკური პატრიოტიზმის ობიექტი. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა წაბაძულობით იოანე ზოსიმემ ქართულ ენას მეორედ მოსვლის ჟამს განკითხვის ენა უწოდა. ასეთი გულუბრყვილო აზრი აქამდე თავს ვერ მოიტანდა, რომ იგი საოცრად ნატიფი ქართულით, შინაგანი მოქალაქეობრივი შემართებით არ იყოს დაწერილი. X საუკუნის ეს მოაზროვნე ქართულს და ბერძნულს დებად თვლის „ვითარცა მარიამ და მართა".

„და ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქვს ოთხმეოცი და ათოთხმეტი წელი უმეტესა სხვათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან დღესამომდე".

იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" თავისი ლიტერატურული ღირსებით იპყრობს ყურადღებას, თუმცა შინაარსობრივად მასში ბევრი რამაა ჯერ ბუნდოვანი.

ხალხთა შორის მეგობრობის ტრადიციებიდან

ქართველ ხალხს უფლებამოსილად შეუძლია იამაყოს ხალხთა შორის მეგობრობის საკუთარი ტრადიციებით. მის ისტორიულ მიწა-წყალზე სხვა, მრავალი ეროვნების პირმშოთ თავი არასოდეს უგრძენიათ უმეგობროდ, უმეზობლოდ. ასეთი იყო ჩვენი ისტორიული სინამდვილე. მაგრამ ეს სინამდვილე შეგნებული, გაცნობიერებული ფაქტი გახლდათ ქართველი ხალხისა და მისი წინამძღოლებისათვის.

ქართველ მეფეთა შორის დავით აღმაშენებელს ბადალი არა ჰყავს. მასზე უფრო ინტერნაციონალური გრძნობების კაციც ისტორიულად ცოტა თუ მოიპოვება ქვეყნად.

ყურადღებას იპყრობს ამ სულმნათი მამულიშვილის ფილოსოფია, თანამედროვე ფილოსოფიური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მისეული

---

[1] კ. გამსახურდია, ქართველობა და უცხოეთის გენია, თხზ., ტ. 8, გვ. 145

„ადამიანის კონცეფცია“. „გალობანი სინანულისანი“ ჯერ სათანადოდ არ გახმოვანებულა, ეს დიდად საყურადღებო მოვლენაა და ელოდება აღიარებას. დავითისათვის ადამიანისადმი სიყვარულის ცნება მხოლოდ ქართველის ცნებაში ვერ ჩაეტეოდა. ეს მის ნამოქმედარსა და ნაფიქრალში ნათლად გამოიხატა, ეს იყო დიდი საკაცობრიო გულის და სულის კაცი... დავითი ინანიებს, რომ მან გააფართოვა საქართველოს საზღვრები, „სახლი სახლსა შეერთეო“, მაგრამ მის მიერ გაფართოებულ სახელმწიფოში შემომავალი ხალხები არც ერთხელ თავს დაპყრობილ-დამცირებულად არ გრძნობდნენ. ეს იმიტომ, რომ დავითი არა მოჩვენებით, არამედ შინაგანი რწმენით პატივს სცემდა ყველა ერის ენასა და რწმენას, თანასწორუფლებიანობის პრინციპით. ამიტომაც ადიდებს მას დიდი ილია: „ჩვენს მატიანეებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს:

„დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი...“

ვარდან დიდი წერს:

„დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხური წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.[1]

ილია ჭავჭავაძეს მოაქვს აგრეთვე მაჰმადიანი მწერლის ალ-ლაინის სიტყვები:

„...დავითი თავის შვილით დიმიტრითურთ ყოველდღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუეძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით“.[2]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილები, 1975, გვ. 214
[2] იქვე, გვ. 215

დავითის ასეთი ინტერნაციონალური მოღვაწეობა უტრადიციო მოვლენა არ იყო. ქართველი მეფეები, როგორც ჩვენი ისტორიკოსები შენიშნავენ, ადრეც გულუხვად ექცეოდნენ უცხო ტომის ხალხს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მიწა-წყალზე ქართველთაგან დაწიოკება არავის განუცდია. ინტერნაციონალიზმი ქართველ ხალხს საუკუნოვანი ტრადიციებით მოსდგამს.

„დავითი უფრო მეტ პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთა“ — ამბობს მუსულმანი მწერალი ალ-ლაინი. დავითის გენიალობა, ინტერნაციონალურობის გრძნობის სიღრმე ეროვნული გრძნობის ხარჯზე როდი იყო დაფუძნებული. ისტორია საკმაოდ იცნობს მაგალითებს, როდესაც მეფე-იმპერატორები გაერთობოდნენ ხოლმე სხვა ხალხის პატივისცემაში და ივიწყებდნენ საკუთარ ხალხს. დიდ მაკედონელს საყვედურად ჩაეწერა ბიოგრაფიაში მსგავსი ცალკერძოება. სპარსეთში ყოფნისას გარს შემოიხვია სპარსეთის დიდებულები. პატარა მაკედონიის შვილმა, რა იხილა სპარსეთის დიდებულთაგან მის წინაშე მაამებლური ქცევანი, ისე გაბრუვდა, თავის ამალიდან გაჰყარა თანამოძმე მაკედონელთა რაზმი. ცის გუმბათს რომ სწვდებოდეს ადამიანის სიდიადე, ასეთი ჩრდილი უდავოდ ჩამოსწევს დაბლა. სხვა ხალხის სიყვარული თავისი ხალხის სიყვარულის სანაცვლოდ უდღეური და განწირული იყო ისტორიისთვის.

დავითის ინტერნაციონალური გრძნობის სიღრმე ეს მისი შინაგანი ტალანტიდან მომდინარეობდა. იგი, მართალია, ხშირად აბარებს ანგარიშს თავის იდეოლოგიას — „ბიბლიას“, ძველსა და ახალ აღთქმებს. ქრისტიანული და მსოფლიო რელიგიები ინტერნაციონალურია იმ აზრით, რომ მისთვის მთავარია ის, თუ რომელი ღმერთი აერთიანებს მათ. მაგრამ დავითის ინტერნაციონალური გრძნობა, მისი ტალანტის, კაცური თვალსაზრისის შინაგანი გამოხატულება იქიდანაც ჩანს, რომ საუკუნეებს გამოასწრო ადამიანის ღირსების ცნობა-დაფასებაში.

XII საუკუნეში მთელ მსოფლიოში გვარიშვილობის, პრივილეგიური გვაროვნული კასტების ეპოქაში, ეს კაცი ნიჭის მიხედვით ახდენს ადამიანის ღირსების შეფასებას. ეს უფრო მეტი სითამამე იყო დავითისაგან საქართველოში, ვიდრე საგარეო დიდ ომებში ხმალდახმალ ჩაბმა. აწინაურებს ნიჭიერ უნარიან უგვაროთ. ერისთავებს ბრჭყალები დააცალა, წინ წამოსწია, გონიერი, ნათელი, ძლიერი ადამიანები, „ნიჭს აძლევს ზენა

მხოლოდ კაცს და არა გვარის შვილობა...“ საუკუნეებით, საქმით დაასწრო გრიგოლ ორბელიანის ამ სიტყვებს. მთელი სოციალური ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა დავითის ამ პროგრესულ თვალსაზრისს. განსაკუთრებით კი სამხედრო სამსახურში შეძლო მან უგვაროთა დაწინაურება (ყუბასარი, აფრიდონი...).

დავითი არასოდეს იყო ნივთების მოტრფიალე. როგორც ყველა დიდ კაცს, მასაც უნდოდა ყოველი სიმდიდრე ტაძრად, კულტურის კერად, კულტურის ნივთად ქცეულიყო. გელათის მონასტერი მარტო რად ღირს! დავითის ომებიც განსხვავდება ომების ისტორიაში. ომების ერთი უმთავრესი მიზანი ნაალაფევი იყო. „დავითის ლაშქარი იმიტომ კი არ იბრძვის, რომ დავლა იშოვოს (დავლა ბუნებრივი შედეგია მომთაბარეებთან გამუდმებული ომებისა) და ნადავლით კი არ ცხოვრობს და წინ მიდის საქართველო, არამედ იბრძვის დავითის ლაშქარი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბატონყმური საქართველოს მშვიდობა და თავისუფლება, რომ უზრუნველყოს კავკასიის ხალხთა გაერთიანება-განვითარება. თუ როგორი ცივილიზებული იყო საქართველოს სახელმწიფო, ეს კარგად ჩანს მოძმე სომხეთისა და შარვანის მაგალითებიდან... საქართველოს სახელმწიფოში შემომავლობის ხანაში სომხეთმა განსაკუთრებულ კეთილდღეობას მიაღწია. ასევე შარვანმაც. ამიტომ იყო, რომ სომეხი პოლიტიკური მოღვაწენი ასე დიდი პატრიოტები იყვნენ ამ დიდი ქართული სახელმწფოსი“.[1]

ქართველი ხალხი აგრძელებს თავის საუკუნოვან ტრადიციას - ხალხთა შორის მეგობრობის დიდებულ ტრადიციას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 45-46

სახლი სოფ. ლესაში, სადაც დაიბადა ვახტანგ გოგუაძე

ხევსურეთი. ე. გოგუაძის მიერ გადაღებული ფოტო

ექსპედიცია ხევსურეთში. მარცხნიდან პირველი ვ. გოგუაძე

ვ. გოგუაძე ხევსურეთში

ვ. გოგუაძე. თბილისის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი

ერქომაიშვილი და ვ. გოგუაძე თსუ-ს საქტო დარბაზში

ჯ. კახიძე და ვ. გოგუაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ვ. გოგუაძე თსუ-ს სტუდენტებთან ერთად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ვ. გოგუაძე ეროვნული კონგრესის გახსნაზე

ვ. გოგუაძე. თბილისის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი



მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი შ. ლომიძე და საქართველოს
პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე
თუშ მეცხვარეებთან სოფ. ომალოში

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე
და ჰანს-დიტრიხ გენშერი, 1993 წ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე,
თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარე ჯინდორუქი და
საქართველოს ელჩი თურქეთში ნ. კომახიძე

თურქეთის პრეზიდენტი ს. დემირელი და ვ. გოგუაძე

ვ. გოგუაძე და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ვ. შუმეიკო



ვ. გოგუაძე ჩინეთში ოფიციალური ვიზიტისას

ვ. გოგუაძე, მისი მეუღლე ნანა და საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. მიმინოშვილი

ვ. გოგუაძე და მისი ქალიშვილი თამარი

ვ. გოგუაძის ვაჟი გიორგი

ვ. გოგუაძე 60 წლის იუბილეზე

ვ. გოგუაძე შვილიშვილებთან: ვახტანგთან და ნანუკასთან

ვ. გოგუაძე შვილიშვილებთან: ვახტანგთან და ნანუკასთან

ვ. გოგუაძის შვილიშვილები: ვახტანგი და ნანუკა

პირთა საძიებელი

ათანასე პერითურელი 132
ალექსანდრე მაკედონელი 165, 185
ალი-ბეი 109
ალ-ლაინი 184, 185
ალ-მუჰამედი (იბრაჰიმ შინჯიკაშვილი) 109
ალ-ჯაბარტი აბდურახმან 107, 108, 109
ანაქარსისი 5
ან-ნასავი შიხაბ ად-დინ მუჰამედ 98, 99, 100
ანტუან პადუანელი 135
არდაზიანი 169
არისტოტელე 118, 151, 159, 162, 163, 165
არჩილ მეფე 74, 76, 137
აფრიდონი 186
აშოტ კურაპალატი 28

ბაგრატ IV 133
ბაირონი 47
ბაკურიოსი 30
ბალზაკი 138
ბარათაშვილი 22
ბარდაველიძე ვ. 64
ბარდესანი 77
ბასილ ეზოს-მოძღვარი 130, 134
ბერძენიშვილი ნ. 10, 159
ბეტანი 67
ბინო (აბატი) 107
ბურნაშოვი ს. 109

გამსახურდია კ. 174, 179, 182
გელასი კესარიელი 59

გიორგი III 169
გიორგი ხუცეს-მონაზონი 48, 132
გრიგოლაშვილი ლ. 103
გრიგოლ ხანძთელი 21, 28, 30, 131, 134, 135
გრიფიუსი ანდრეას 45
გოეთე 18, 58, 68, 118, 138, 178
გორკი მ. 111
გულაბერისძე ნ. 135
გურამიშვილი დ. 146, 178
გურგენი (იბერთა მეფე) 25
გურჯი-ზადე 98

დავით ალმაშენებელი 6, 32, 102, 103, 122, 123, 134, 136, 155, 173, 183-186
დადიანი ლევან II 114, 115, 116, 117
დავრიჟეკი ა. 45, 110
დარვინი ჩ. 105
დარიოსი 127
დეკანდოლი 62
დემეტრე (აფხაზთა მეფე) 135
დემეტრე (დავით ალმაშენებლის ვაჟი) 187
დიმიტრი თავდადებული 28
დიუმა ალ. 46, 69
დომინიკე (წმინდა) 112
დოსტოევსკი 138
დუგლასი 67
დუხტია (დედოფალი) 30

ევრიპიდე 42
ევსევი კესარიელი 24
ენგელსი ფ. 149
ერეკლე II 109

ერისთავი გ. 169
ერისთავი რ. 40
ექვთიმე ათონელი 132

ვალერი პ. 180
ვაჟა-ფშაველა 10, 13, 22, 39, 51, 68, 92, 94, 95, 113, 114, 123, 127, 137, 140, 141, 142, 144, 162, 178
ვარდან დიდი 184
ვარსქენ პიტიახში 15, 18
ვახტანგ ბატონიშვილი 51
ვინკელმანი 47
ვოლნეი 107

ზარზმელი სერაპიონ 31

თალესი 167
თამარ მეფე 32, 34, 35, 36, 54, 121, 127, 130, 136, 155
თეიმურაზ II 57, 137
თეოდორიტე კვირელი 25
თორღუა პანკისელი 120
თუკიდიდე 161

იაკობ ხუცესი (ცურტაველი) 15, 34, 173
იბრაჰიმ-ბეი 110
ივანე ათაბაგი 99-101
ილარიონ კანანახი 132
იოანე ბატონიშვილი 82
იოანე ზოსიმე 183
იოანე პეტრიწი 83, 151, 176, 178
იოანე რუფინუსი 74
იუსტინე 25
იუსუფ-კოჯა 108

კანტი ე. 149
კარამზინი 144
კერესელიძე ივ. 69
კლაპროტი 109
კოვალევსკი მ. 39, 41
კორნელი 43

ლამბერტი არქანჯელო 64, 168
ლაშა-გიორგი 120
ლიკურგე 5, 162
ლუარსაბ მეფე 110

მათე ედესელი 184
მაიერი 15
მაკალათია ს. 40
მარკიზი ტაკი-ედინ აჰმედ 107
მარი ნ. 19, 24, 25, 63, 97, 177
მარსელი 107
მარქსი კ. 177
მასონი 107
მეგრელიძე ა. 79
მერჩულე გიორგი 21
მესმერი 60
მთაწმინდელი (ათონელი) გიორგი 48, 86, 132, 133, 134, 135
მინკევიჩი ი.ი. 57
მირიან მეფე 128
მიქელ მოდრეკილი 76
მონტენი 6, 64, 160
მროველი ლეონტი 19
მურად IV 116
მური ტ. 86

ნაპოლეონ ბონაპარტე 107-108
ნიბური კ. 107

ოლივიე 109
ორბელიანი გრ. 70, 71, 137
ორბელიანი სულხან-საბა 111, 118, 137, 160, 163, 164, 165, 166, 178

პარნი ე. 45
პეტრარკა 150
პეტრე იბერი 29, 30, 131
პითაგორა 81
პინო 107
პლატონი 6, 125, 159, 160, 163
პლუტარქე 5, 41, 162, 167
პროკოპი 25
პუშკინი ა. 170, 180

ჟირარდენი სენ-მარკუს 43
რატიანი გ. 95-96
რუდაქი 68
რუსო ჟან-ჟაკ 180
რუფინუსი 74

სააკაძე გიორგი 110, 152
საბანისძე იოანე 32
საკარი 109
სარგის თმოგველი 136
სახოკია თ. 96
სელინ მესამე 107, 108
სენეკა 43
სიტი-ნეფისე 109
სოკრატე 38, 125, 151

სოლომონ I (იმერთა მეფე) 108
სოლონი 5
სტრაბონი 41, 167

ტაბიძე გ. 22
ტავერნიე 117
ტაციტუსი 44
ტიბული 27
ტოლსტოი ლ. 123, 138
ტოტი (ბარონი) 109
ტურგენევი ივ. 138

ურბნელი ნ. 40

ფალიაშვილი ზ. 53
ფერიერ-სოვბეფი 107, 109
ფოიერბახი 149
ფრანგიშვილი ვ. 118, 119
ფრანცისკ ასიზელი 112, 135
ქეთევან დედოფალი 42, 44, 45, 110
ქსენოფონტე 160, 164

ყაუხჩიშვილი ს. 73
ყუბასარი 186

შალვა ახალციხელი 99, 101
შარდენი ჟ. 47, 105, 126
შარლე რუ ფრანსუა 107
შაჰ-აბას I 44, 110
შევრემონი 46
შილერი 138
შოთა რუსთაველი 22, 81, 136, 137, 157, 159, 168, 172, 178

შუშანიკი (დედოფალი) 173

ჩელები ევლია 103
ჩხეიძე ს. 156

ცვაიგი შ. 123

წერეთელი აკ. 71, 72, 127, 137, 181
წერეთელი გ. 63, 169, 170
წერეთელი გრ. 95, 96

ჭავჭავაძე ი. 137, 146, 178, 184
ჭონქაძე დ. 169

ხიზანიშვილი ნ. 40

ჯავახიშვილი ივ. 6, 24, 50, 54, 74, 120, 122, 130, 132
ჯალალ-ად-დინი 99, 100
ჯანაშვილი დ. 41
ჯანაშია ს. 7, 24, 85
ჯუვეინი 98, 99, 100

ჰაინე ჰ. 21
ჰამერი ი. 107
ჰანზალა 16
ჰარნაკი 59
ჰეგელი 9, 16, 68, 105, 112, 126, 49, 150, 160, 162, 165
ჰენი 62
ჰეროდოტე 11, 41, 160, 164
ჰიპოკრატე 118, 167
ჰომეროსი 124
ჰუმბოლდტი 177

გამოყენებული ლიტერატურა

არაყიშვილი დ. ქართული მუსიკა, თბ., 1925
არგონავტიკა, შესავალი წერილი ა. ურუშაძისა, თბ., 1975
ბანძელაძე გ. ადამინური ღირსების ცნება მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში, თბ., 1975
ბარამიძე ალ. შოთა რუსთაველი, 1975
ბარდაველიძე ვ. ჩიტაია გ. ხევსურული ორნამენტი, თბ., 1939
ბერიტაშვილი ივ. მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, თბ., 1957
ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, VIII, თბ., 1974
გამსახურდია კ. ქართველობა და უცხოეთის გენია, თხზ., ტ. 8
გეორგიკა, ტ. I, 1961, X
გვახარია ვ. ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962
გოგიჩაიშვილი ფ. ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976
გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის ისტორია, თბ., 1975
დიუმა ა. კავკასია, თბ., 1964
ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I
ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. VII, თბ., 1956
თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ. მარჯორი უორდროპი, თბ., 1965
ითონიშვილი ვ. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1950
კარბელაშვილი პ. ქართული საეკლესიო და საერო კილოები, 1898
კეჭაყმაძე ნ. იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის, თსუ შრომები, 1953
კობიძე დ. სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975
კეკელიძე კ. კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, 1949
კიკნაძე გრ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957
ლამბერტი ა. სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938
ლეკიაშვილი ა. შენ ხარ ვენახი, თბ., 1972
მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941
მაკალათია ს. ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფორბა, თბ., 1925
მელიქიშვილი გ. ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 1953
ნიჟარაძე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964
ონიანი შ. ეკუთვნის თუ არა რუსთაველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბნენ“, თბ., 1976

ოჩიაური· თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967
ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975
როდონაია· ს. საკანდ. დისერტაცია, დონის კაზაკობის ბრძოლა თურქ-თათართა აგრესიის წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ ნახევარში და მისი ურთიერთობა ქართველებთან
სახოკია თ. გურია, აჭარა, სამურზაყანო, თბ., 1950
სახოკია თ. მოგზაურობანი, თბ., 1950
ტაბაღუა ი. ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, „მაცნე", 1974, №1,
ჩხიკვაძე გრ. ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, თბ., 1948
ჭავჭავაძე ი. წერილები, თბ., 1975
ხარაძე რ. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939
ხარაძე რ. რობაქიძე ალ. მთიულების სოფელი ძველად, თბ., 1965
ხიზანიშვილი ნ. ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940
ჯავახიშვილი ი. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956
ჯავახიშვილი ი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III, 1962
ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960
ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, II, თბ., 1929
ჯავახიშვილი ი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1930
ჯანაშია ლ. ქართლი IV ს. პირველ ნახევარში, ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973
ჯანაშია ს., შრომები, III
ჯანელიძე დ. სილაგაძე ბ. ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში. თბ., 1967
ჯორბენაძე ს. საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957
ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1974
ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, თბ., 1973

Бардавелидзе В.В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957
Беттани и Дуглас, великие религии Востока, М., 1899

богаевский Б.Л. Замледельческая религия Афин, т. I, П., 1916
Бурнашов, Картина Грузии, Тифлис, 1896
Винкельман, Избр. произведения и письма, 1935
Гегель, Философия права, 1932
Гегель, Философия истории, 1935
Геродот. История в девяти книгах, Ленинград, 1972
Гумбольдт В. Различие организмов человеческого рода,
С.-Петербург, 1859
Даврижеци А. Книга истории, М., 1973
Египет под властья Мухаммада Али, М., 1963
Зелинский Ф.Ф., Религия еллинизма, II., 1922
Кагоров Е. Культ фетищей, растений и животных в древней Греции,
С.-Петербург, 1893
Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, т. I, М.,
Культура древней Индий, М., 1975
Маркс К. Письмо Ф. Энгельсу, Соч., т. 1
Маркс К. и Энгельс Ф. о религии и борьбе с нею, т. П, 1933
Марр Н.Я. Боги языческой Грузии, С. Петербург, 1901
Марр Н. Из Пиринейской Гурии, 1927
Марр Н.Я., Иоан Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII вв.,
С.- Петербург, 1909
Минкевич И.И. Музыка как медицтнское средство на Каквказе, 1896
Монтень М. Опыты, т. III, М.-Л., 1958
Орловская Н.К., Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков, Тб. 1965
Пушкин А.С. Роман и повести. М., 1971
Тацит, Анналы, XII
Томас Манн, Соч., т. 9
Урушадзе А.В., Рогава Г.В., сб. Проблемы античной культуры, Тб. 1975
Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-дина Манкбурны, Баку, 1973

შინაარსი

შესავალი 5
რელიგიათა შორის ბრძოლების როლი
ქართული ადათ-წესების ფორმირების საქმეში 14
ქალისადმი დამოკიდებულების ტრადიციები საქართველოში 34
ქორწინება 48
მუსიკალურ-ყოფითი ჩვეულებანი 55
ღვინო და ქართული ლხინი 62
საერო და საეკლესიო მუსიკალური
ტრადიციების ბრძოლის ანარეკლი ქართულ ზნე-ჩვეულებებში 72
„მშობლიურო ჩემო მიწავ“ 87
სტუმარ-მასპინძლობა 90
გმირული ზნე-ხასიათი 98
ვაჟკაცობა და რაინდობა 111
ერთი თავისებური ხასიათის შესახებ 114
ფიცი 119
საფლავი 123
ქართული ინტელიგენტური ტრადიციების სათავეებიდან 131
„ათასად გვარი დაფასდა“ 136
ნიჭი და ქართული ოჯახურ-ნათესაური გარემო 139
ნიჭი და მამულიშვილობა 144
„მაგრამ ფარვა სიავისა“ 146
შური 148
ტრაბახი 152
აღზრდის ტრადიციები 153
„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული აღზრდის ტრადიციები 156
სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“
აღზრდის ტრადიციის შესახებ 160
ვაჭრობისა და ხელოსნობისადმი მიმართების
ქართული ტრადიციები 166
საჩუქარი და ქრთამი 172
ენის ტრადიციები 174
ხალხთა შორის მეგობრობის ტრადიციებიდან 183
პირთა საძიებელი 199
გამოყენებული ლიტერატურა 206

ერი გულადი, პურადი...
© ვახტანგ გოგუაძე

მეორე გამოცემა
რედაქტორი ზურაბ გაიპარაშვილი

© მხატვარი ლევან ცუცქირიძე
დიზაინერი ალექსანდრე ბერდიშევი
დამკაბადონებელი ნუგზარ არჩემაშვილი

A NATION BRAVE AND BOUNTEOUS
© VAKHTANG GOGUADZE

Second edition
Editor Zurab Gaiparashvili

© Illustrated by Levan Tsutskiridze